PRIME Time

N3 (253) ორშაბათი, 27 იანვარი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი · ფასი 2 ლარი · www.ptpress.ge

# მერიის გარშემო ახალი სკანდალი მწიფდება



ირაკლი კერესელიძე: „მე ფაქტებით ვამტკიცებ, რომ ის კონტრაქტორები, რომლებთანაც პირდაპირი წესით, უფრო მაღალი ფასით გაფორმდა ხელშეკრულებები, პირდაპირ გარიგებაში იყვნენ მერიასთან“

EXCLUSIVE

## українці ми вас підтримуємо



## ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან ყიფიანთან

„ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, ფეხბურთში სიტუაცია დავალაგო. დღეს რაც ხდება, მარაზმია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასამარდეს ის უმსგავსობა, რაც დღეს ფეხბურთშია. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ფეხბურთი არ არის მიტოვებული“

EXCLUSIVE





## დათა ახალაიას საიდუმლო წერილი ვანო მერაბიშვილს

EXCLUSIVE

## რა სქემით შოულობდნენ ფულს ნაციონალი დეპუტატები



პეტრე მამრაძე: „სამაგიეროდ წამოვიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაქრაძის სიმამრი, რომელსაც სამშენებლო კომპანია ჰქონდა, ერთმანეთის მიყოლებით იგებდა სახელმწიფო ტენდერებს“

# SCANDAL

# რა კომპრომატები ჰქონდა ადმირალს სააკაშვილზე?

„მოგვიანებით ადმირალის ბელგიაში გაქცეული თანაშემწე, ვიქტორ ჭელიძე საიდუმლოს გაამხელს და იტყვის, რომ მისი თხოვნით ჰოსპიტალის უფროსმა გარდაცვლილს ექსპერტიზა ჩუმად ჩაუტარა და მის სისხლში დარიშხანის კვალი აღმოაჩინა“

EXCLUSIVE

„ამბობენ, ზურა მოწამლულია და მართალია-მეთქი? მართალიაო, დამეთანხმა. მე, როგორც ექიმს, თავიდანვე შემეპარა ეჭვი, რომ ინფარქტმა ასეთი სიკვდილი არ იცის“

„ამ კასეტაში თურმე სააკაშვილზე იყო რაღაც კომპრომატი, თუმცა პირადად ჩემთვის ის არ უჩვენებია. შესაბამისად, ასეთ კასეტას ის სახლში ხომ არ დატოვებდა? არადა მთელი ოჯახი გადაგვაყოლეს მას. 8 წლის განმავლობაში გვკლავდნენ და არ ვკვდებოდით“



## ექსკლუზიური ინტერვიუ „მოქალაქის“ აღმასრულებელ დირექტორ გიორგი საბანაძესთან



„დიახ, ბირთვი უკვე არსებობს, თუმცა „მოქალაქე“ ცოცხალი ორგანიზმია და მომავალშიც იქნება შესაძლებლობა წევრები დავიმატოთ“

EXCLUSIVE

## ექსკლუზიური ინტერვიუ დავით ბაქრაძესთან



„ჩვენ ბოლომდე შევეწინააღმდეგებით რუსეთის ზეწოლას... სადამდე გამოგვყვება ამ ბრძოლაში ხელისუფლება, ეს რთული კითხვაა“

# რატომ მოიკლა თავი 25 წლის ბიჭმა

EXCLUSIVE



## საყდრისის საბადო - მითი თუ სამეცნიერო თაღლითობა



თინა ხიდაშელი: „ვფიქრობ, ნარმანია ყველაზე მაგარი ადამიანია, ვინც ამ საქმისთვის გამოდგება“

EXCLUSIVE

## რა ნიშნით ათავისუფლებენ თანამშრომლებს საჯარო სამსახურიდან?



რეზო ოთარაშვილი: „ცერებრალური დამბლა მაქვს კიდურზე და ჩემს ზურგს უკან არის ოჯახი, ცოლი და შვილი, რომლებიც დღეს ჰაერში დამიტოვეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მერიის გარშემო ახალ

მარიამ ნადირაძე

**გიგი უგულავასთვის მერის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, გაჩნდა ეჭვი, რომ საგამოძიებო ორგანოები მისი და, საერთოდ, მერიის საქმიანობით მასშტაბურად დაინტერესდებოდნენ და ახალ-ახალ შეტევებს განახორციელებდნენ მასზე. შეგვიძლია გითხრათ, რომ ამ ეჭვს საფუძველი ნამდვილად აქვს.**

ამბავი, რომელიც „პრაიმტაიმმა" უნდა გიამბოთ, სულაც არ არის მრავალი წლის წინანდელი. ისტორია ორი თვის წინ დაიწყო, ამჟამად კი საგამოძიებო ორგანოებში გადმოინაცვლა.

ამბის მთავარი მოქმედი პირი ამ შემთხვევაში „თბილსერვის ჯგუფია". შეგახსენებთ, რომ ეს ის კომპანიაა, რომელსაც მერია განაგებს 100 პროცენტით და მისი სახელი შარშან უკვე გაჟღერდა სკანდალურ კონტექსტში, როდესაც იქ განხორციელებული მაქინაციების გამო გიგი უგულავას ერთხელ უკვე წარედგინა ბრალი. მაშინ კორუფციული სქემა, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური დაინტერესდა, ასე გამოიყურებოდა:

გამოძიებით დადგინდა, რომ 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფის" იმჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი ხუჭუამ, მერიის დასუფთავების სამსახურის იმჟამინდელი უფროსის, ტარიელ ხიზანეიშვილის დავალებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ამ სამსახურში ფორმალურად შექმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება", სადაც, 2 წლის განმავლობაში ფიქციურად დასაქმდა „ნაციონალური მოძრაობის" 764 აქტივისტი – ე.წ. პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია, რადგან ისინი, როგორც წესი, უკვე დასაქმებულები იყვნენ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში და პარალელურად პარტიულ საქმიანობასაც ეწეოდნენ, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ, ხელფასის სახით, 5 245 945 ლარი დაერიცხათ.

გამოძიებით ირკვევა, რომ 2010 წლის 6 აგვისტოს, „თბილსერვის ჯგუფის" საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი დედაქალაქის მოქმედმა მერმა – გიგი უგულავამ დაამტკიცა. რაც შეეხება დასუფთავების სამსახურის ყოფილ უფროსს, ტარიელ ხიზანეიშვილს, მან მოგვიანებით ვიცე-მერის თანამდებობა დაიკავა.

თბილისის მერს, გიგი უგულავას, ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით წარედგინა, რაც 9-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**მაშინ ამ ამბავს პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც გამოეხმაურა და განაცხადა:**

„მე ჩემი საკუთარი ფულის დახარჯვის საშუალება არ მომცეს არჩევნების პროცესში... მან ბიუჯეტის ფული დახარჯა, ჩვენი ხალხის ფული დახარჯა, გაჭირვებული ხალხის ფული. აი, ნაგავი რომ მიაბეს ელექტროგადასახადებს, აი, ის ფული დახარჯა და მაგ დასაქმების უფლება მას არ ჰქონდა. ასე თვითნებურად ხარჯოს ბიუჯეტის ფული, არავის არ მიუნიჭებია მისთვის ეს უფლებები და პასუხი აგოს კონკრეტულად კონკრეტულ კითხვებზე. ხალხის დასაქმებაში ნუ გადაჰყავს ეს, ზოგადად".

შესაბამისად, ეს არის სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმე, რომლითაც გიგი უგულავას დასჯას გეგმავენ.

თუმცა, სანამ ეს საქმე განხილვის სტადიაშია, „პრაიმტაიმმა" შეიტყო, რომ მერიის საქმიანობით სამართალდამცველები ისევ დაინტერესდნენ. ამჯერად საქმე სხვა ეპიზოდს ეხება. ამბავს კი შპს „ნენეს" წარმომადგენელი, ადვოკატი **ირაკლი კერესელიძე გვიამბობს:**

– საქმე „თბილსერვის ჯგუფს" ეხება. ეს არის შპს, რომელიც მერიის 100-პროცენტიან განკარგულებაშია. დირექტორია თორნიკე შიოლაშვილი. საჯარო მოხელეა. ეს შპს თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სხვადასხვა დროს აცხადებს ხოლმე ტენდერებს გარკვეული პროდუქციის შესყიდვაზე. მათ შორის ყოველწლიურად ცხადდება ტენდერი ტექნიკური მარილის შემოტანაზე. გასულ წელს ამ ტენდერში შპს „ნენეც" მონაწილეობდა, რომელსაც ახლა მე წარმოვადგენ. შესთავაზა დაბალი ფასი და მოიგო ეს ტენდერი. მოგებული ტენდერის საერთო ფასი იყო 800 ათას ლარამდე. უნდა შემოტანილიყო დაახლოებით 7000 ტონა ტექნიკური მარილი. ეს მარილი შემოდის რამდენიმე ქვეყნიდან. ძირითადად ეს არის ირანი და თურქეთი. თუმცა არსებობს ეგვიპტის გზაც.

**– „ნენეს" საიდან შემოჰქონდა მარილი?**

– „ნენეს" ჰყავდა თავისი ქვეკონტრაქტორები, რომლებსაც ეს მარილი შემოჰქონდათ თურქეთიდან და ირანიდან. ზუსტად იმიტომ, რომ ეს ქვეკონტრაქტორები პატიოსან სიტყვაზე მათ არ ენდობოდნენ, „ნენეს" მოუწია ავანსის გადახდა იმისთვის, რომ ამ მარილის ჩამოტანა დაგვეწყო. ეს იყო 75 ათასი ლარი, რომელიც ჩვენ გადავუხადეთ ჩვენს ქვეკონტრაქტორებს. მოგებული ტენდერის თანახმად, ჩვენ ტონა მარილი უნდა შემოგვეტანა 114 ლარად. კონტრაქტები გაფორმდა, მიწოდების გრაფიკიც გაიწერა. მიწოდება უნდა განხორციელებულიყო დეკემბრიდან თებერვლის ჩათვლით, სათანადო გრაფიკის მიხედვით. პირველი მიწოდება 2013 წლის 5 დეკემბერს უნდა განხორციელებულიყო. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი ქვეკონტრაქტორებისა და კიდევ სხვადასხვა გარემოებების გამო დაგვიგვიანდა მიწოდება რამდენიმე საათით. 5 დეკემბრის ნაცვლად, მარილის პირველი ნაწილი, რაც შეთანხმებული იყო, მივიტანეთ 6 დეკემბერს. 10 მანქანა ჩამოვიდა. მაგრამ მოხდა საოცარი რამ: როდესაც ჩვენი მანქანები მივიდნენ კონტრაქტით გათვალისწინებული დაცვის ადგილას, ლილოს პოლიგონზე, ის იქ არ ჩაიბარეს. ფაქტობრივად, ეს მანქანები ეზოშიც იყვნენ შესული, მაგრამ კერძო დაცვის დახმარებით ისინი იქიდან გამოყარეს. ამავდროულად, „თბილსერვისის" დირექტორისგან, თორნიკე შიოლაშვილისგან მივიღეთ წერილი, რომ ჩვენთან ხელშეკრულება არის გაუქმებული, რისი მოტივიც ყოფილა ვადის გადაცდენა.

**– ასეთი მკაცრი სანქცია ხელშეკრულებითვე იყო განსაზღვრული?**

– ხელშეკრულებაში წერია, რომ ყოველი ვადაგადაცილებული დღე სანქცირებულია ფინანსური სანქციით, ღირებულების 0,05 პროცენტით. მაგრამ ერთი დღით ვადის გადაცილება შიოლაშვილისთვის, უბრალოდ, მიზეზი გახდა ძველი ჩანაფიქრების განხორციელებისთვის.

**– რას გულისხმობთ?**

– ვინაიდან აუქციონი ელექტრონული იყო და ჩვენ დაბალი ფასი შევთავაზეთ, იქ მანიპულირების საშუალება, იმისთვის რომ სხვა კომპანიებს გაემარჯვათ, უბრალოდ, არ ჰქონდათ. ერთი მხრივ, ჩვენ დაგვაჯარიმეს, მაგრამ მეორე მხრივ სინათლეზე გამოსვლა დაიწყო იმ კორუფციულმა ურთიერთობებმა, რომელიც იქ არსებობდა. 3-4 დღეში „თბილსერვისი" პირდაპირი წესით ხელშეკრულებებს აფორმებს შპს „ერესპესთან" და ინდმეწარმე ჯემალ ბერიძესთან. ეს ხელშეკრულებები გაფორმდა 10 და 11 დეკემბერს, ისევ 7 ათას ტონაზე, ოღონდ ამ შემთხვევაში ყოფს – 3 000 ტონა უნდა შემოიტანოს „ერესპემ", 4000 – ჯემალ ბერიძემ. გამოვიდა, რომ ჩვენი კონტრაქტი მთლიანად გადაიტანა სხვებზე. მას ამის უფლება ჰქონდა მხოლოდ მაშინ, თუ იქნებოდა ფორსმაჟორი, ანუ გამოუვალი მდგომარეობა. ეს კი გულისხმობს, რომ არის სიცივე, ზამთარი, სასწრაფოდ გესაჭიროება ტექნიკური მარილი და არ გაქვს. ჩვენს შემთხვევაში კი მართალია, იყო ზამთარი, მაგრამ არ იყო ყინვა და სიცივე. ამავდროულად მარილი მოტანილია, დგას კონტეინერებში, მაგრამ არ იბარებენ, იმ ფორმალური მიზეზით, რომ 1 დღე დააგვიანდა ჩამოსვლა და როცა ჩვენი მანქანები ჯერ კიდევ იქ დგას, სხვებს უფორმებენ კონტრაქტს. „ერესპეს" არანაირი გამოცდილება არ ჰქონია მანამდე მარილის შემოტანის. ჯემალ ბერიძეს ასეთი გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ მისმა წინადადებამ ტენდერში ვერ გაიმარჯვა. მეტიც, როცა ჩვენ ირანიდან მარილი შემოგვქონდა და ჩვენი მანქანები იტვირთებოდა, ეს კონკრეტული ადამიანი პირადად იყო ჩასული იქ და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ მანქანებს ჩამოსვლა დაგვიანებოდათ. ანუ ეს შეგნებული საბოტაჟი იყო.

**– კონტრაქტის ჩაშლა თავშივე იყო გათვალისწინებული?**

– სურათი ამას გვიჩვენებს.



## „ეს კონკრეტული ადამიანი პირადად იყო ჩასული იქ და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ მანქანებს ჩამოსვლა დაგვიანებოდათ. ანუ ეს შეგნებული საბოტაჟი იყო"

**„ეს 46-ლარიანი ზედა მარჟა აწყობდა „თბილსერვისს" კორუფციული გადანაწილებისთვის. ამით ახლა საგამოძიებო ორგანოები ინტერესდებიან. ეს საქმე ქვემდებარეობით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ეკუთვნის. როგორც ჩანს, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ ეს საქმე ანტიკორუფციულმა დეპარტამენტმა უნდა გამოიძიოს"**

## EXCLUSIVE

**„მე ფაქტებით ვამტკიცებ, რომ ის კონტრაქტორები, რომლებთანაც პირდაპირი წესით, უფრო მაღალი ფასით გაფორმდა ხელშეკრულებები, პირდაპირ გარიგებაში იყვნენ მერიასთან"**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ი სკანდალი მწიფდება





## „ნათლად იკვეთება, რომ თორნიკე შიოლაშვილისა და მისი ბანდის პასუხისმგებლობა აუცილებლად დადგება“

# სამართალდამცველები კიდევ ერთ კორუფციულ სქემას შიფრავენ

**– ტენდერის გვერდის ავლით, პირდაპირი წესით გაფორმებულ ხელშეკრულებებში ახალ კომპანიებთან მარილის შემოტანის ფასი იცვლება?**

– საქმე სწორედ ესაა. ორივე შემთხვევაში ფასი არის უკვე 160 ლარი. იმ დროს, როდესაც 114 ლარად შპს „ნენეს“უკვე ჩამოტანილი აქვს მარილი. ამას არ იბარებენ, ხელოვნურად ქმნიან ფორსმაჟორს, ვინაიდან თავად აჩერებენ კონტრაქტს და 160 ლარად იგივე მარილზე ურიგდებიან 2 სხვა კომპანიას. ამასთანავე, პირველი პარტიის შემოტანა მათ უნდა განეხორციელებინათ 20 დეკემბერს. ახლა კი გამაგებინეთ, სად არის აქ ფორსმაჟორი?

**– ეს 46-ლარიანი მარჟა 7000 ტონაზე შეადგენს 322 ათას ლარს. გინდათ თქვათ, რომ ამ თანხის მიმართულება დგება ეჭვქვეშ?**

– შემომტანი კომპანიები, ბუნებრივია, ქველმოქმედი ორგანიზაციები არ არიან და მათ თავისი მარჟა ჰქონდათ. ანუ, თუ „ნენე“ 114 ლარს ამბობდა, ბუნებრივია, მას უფრო იაფად შემოჰქონდა. შესაბამისად, ის ორი კომპანიაც იაფად ყიდულობდა, მაგრამ ჩვენზე გაცილებით ძვირად აბარებდა „თბილსერვისს“, ვინაიდან ეს 46-ლარიანი ზედა მარჟა აწყობდა „თბილსერვისს“ კორუფციული გადანაწილებისთვის. ამით ახლა საგამოძიებო ორგანოები ინტერესდებიან. ეს საქმე ქვემდებარეობით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ეკუთვნის. როგორც ჩანს, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ ეს საქმე ანტიკორუფციულმა დეპარტამენტმა უნდა გამოიძიოს.

**– რა სტადიაზეა გამოძიება?**

– სისხლის სამართლის გამოძიება დაწყებულია. იქნა ამოღებული ყველა დოკუმენტაცია. ჩვენ დაკითხულები ვართ და დაზარალებულად ცნობის პროცედურები მიდის ახლა. მეტიც, შპს „ნენემ“ უჩივლა „თბილსერვისს“ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება ყველა ნაწილში, რაშიც მან ჩვენ დაგვაზარალა. არის კიდევ სხვა მნიშვნელოვანი დეტალები, რამაც აჩვენა ამ კორუფციული გარიგების ფორმა: როგორც მოგახსენეთ, იმ ახალ კონტრაქტორებს მარილის შემოტანა 20 დეკემბრიდან უნდა დაეწყოთ, ანუ 15 დღის შემდეგ, ჩვენს ვალდებულებასთან შედარებით. საინტერესო ის არის, რომ ჯემალ ბერიძემ მოწოდების გრაფიკი დაარღვია და ჩვენგან განსხვავებით არა ერთი დღით, არამედ რამდენიმე დღით, თანაც სამჯერ. საბოლოოდ 20 დეკემბრისთვის დათქმული 1000 ტონის შემოტანა მაინც ვერ მოახერხა. მაგრამ მისთვის კონტრაქტი არავის გაუწყვეტია. ის სამივეჯერ მხოლოდ ფინანსური სანქციით დააჯარიმეს. ახლა ვკითხულობთ, 160-ლარიანი კონტრაქტი რომ გაგიფორმა, სამჯერ დაარღვია ეს კონტრაქტი და ის მხოლოდ ფინანსური სანქციით დააჯარიმა, მე რომ 114 ლარად შემოვიტანე, ერთი დღით დავაგვიანე ერთხელ, ჩემთან რატომ არ გამოიყენა იგივე სანქციები? ანუ ინტერესი სახეზეა, არა? მე პირადი შეხვედრა მქონდა თორნიკე შიოლაშვილთან და ავუხსენი, რომ არავითარ ფორსმაჟორს ადგილი არ ჰქონია და ვხედავთ კორუფციულ სქემას. თუ მაინცდამაინც 160 ლარად უნდოდათ მარილის ჩაბარება, ჩემგან ეყიდათ ამ ფასად. მაგრამ ამას არ გააკეთებდნენ, ვინაიდან ჩემთან კორუფციულ გარიგებაში ვერ შემოვლენ და ფულს ვერ „გამიტეხდნენ“. პირდაპირ გეტყვით, რომ ასეთი ღია კორუფციული სქემა მე არ მინახავს.



**– ეს იყო სქემა, რომელიც არსებობდა ამ კომპანიაში, თუ ეს მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევა იყო? ან „ერესპე“ და „ჯემალ ბერიძე“ ასოცირდებოდნენ მანამდე მერიასთან, ან მათ კომპანიებთან?**

– ასეთ შემთხვევაში ხშირად ასოცირებული ჯგუფები იყენებენ აბსოლუტურად არაასოცირებულ კომპანიებს. მნიშვნელობა არ აქვს, ვისი სახელი ფიქსირდება. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ „ნენესთან“ ეს ურთიერთობა არ შედგებოდა. მე ფაქტებით ვამტკიცებ, რომ ის კონტრაქტორები, რომლებთანაც პირდაპირი წესით, უფრო მაღალი ფასით გაფორმდა ხელშეკრულებები, პირდაპირ გარიგებაში იყვნენ მერიასთან. პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, სამოქალაქო წესით მოვითხოვეთ მოყენებული ზიანის ანაზღაურება. გარდა იმისა, რომ გადახდილი გვქონდა ავანსი მარილის ჩამოტანისთვის, გვქონდა საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული იყო სადაზღვევო კომპანიის მიერ 80 ათას ლარზე, ჯარიმის სახით, რომელიც „ნენეს“ ახლა კისერზე ადევს და ვალდებულება აქვს, რომ გადაუხადოს „თბილსერვისს“ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა ცალმხრივად გაუწყვიტა კონტრაქტი „ნენეს“. ამას გარდა, ჩვენი საერთაშორისო რეპუტაციაც ეჭვქვეშ დადგა. ამ მარილს ხომ საქართველოში არ ვაწარმოებთ? სხვა ქვეყნებში ჩვენ კონკრეტული პარტნიორები გვყავს, რომელთათვისაც ამას მნიშვნელობა აქვს, როგორ უდგება ჩვენი კონტრაქტორი საქართველოში ამ ვალდებულების შესრულებას. არის საშიშროება, რომ ჩვენი კომპანია შავ სიაში მოხვდეს, რადგან სახელმწიფო ორგანომ გაუჩერა კონტრაქტი.

**– ამ კორუფციულ სქემაში თორნიკე შიოლაშვილის ინტერესი იკვეთება?**

– ყველა უკანონო დოკუმენტზე მას აქვს ხელი მოწერილი და ნათლად იკვეთება, რომ თორნიკე შიოლაშვილისა და მისი ბანდის პასუხისმგებლობა აუცილებლად დადგება.

**– ბანდაში ვის გულისხმობთ?**

– მთელ მერიას. მე მაქვს დოკუმენტი, სადაც ვიცე-მერი პირადად უდასტურებს თორნიკე შიოლაშვილს ფორსმაჟორის არსებობას. ვერ გეტყვით, ამ კორუფციული სქემით მიღებული სიკეთე ვის ჯიბეებში და რა რაოდენობით ხვდება, მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ ერთ სამსახურზე, დასუფთავების სამსახურზე. აქ რომ ამხელა კორუფციაა, წარმოიდგინეთ, სხვაგან რა იქნება.

ობიექტურობის პრინციპის დაცვით „პრაიმტაიმი“ თავად თორნიკე შიოლაშვილსაც დაუკავშირდა. „მოგეხსენებათ, გამოძიება მიმდინარეობს ამ საკითხზე. შესაბამისად, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ახლა ვერაფერს გეტყვით, თუმცა მისი დასრულებისთანავე ყველა კითხვაზე გაგცემთ პასუხს“, – გვითხრა „თბილსერვისის“ დირექტორმა.



**„ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ ერთ სამსახურზე, დასუფთავების სამსახურზე. აქ რომ ამხელა კორუფციაა, წარმოიდგინეთ, სხვაგან რა იქნება“**

**„მე ჩემი საკუთარი ფულის დახარჯვის საშუალება არ მომცეს არჩევნების პროცესში... მან ბიუჯეტის ფული დახარჯა, ჩვენი ხალხის ფული დახარჯა, გაჭირვებული ხალხის ფული. აი, ნაგავი რომ მიაბეს ელექტროგადასახადებს, აი, ის ფული დახარჯა და მაგ დასაქმების უფლება მას არ ჰქონდა. ასე თვითნებურად ხარჯოს ბიუჯეტის ფული, არავის არ მიუნიჭებია მისთვის ეს უფლებები და პასუხი აგოს კონკრეტულად კონკრეტულ კითხვებზე. ხალხის დასაქმებაში ნუ გადაჰყავს ეს, ზოგადად“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რას შეეწირა ადმირ

მარიამ ნადირაძე

**ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიების პროცესში შესაძლოა, გამოიკვეთოს კიდევ ორი ადამიანის – საზღვაო ძალების ყოფილი სარდლის, ზურაბ ირემაძისა და უკრაინაში ქართველი ატაშეს, გია კრიალაშვილის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების ფაქტი. ერთის გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიად ინფარქტი იყო დასახელებული, მეორე კი, როგორც ე.წ. მუხროვანის ამბოხების ერთ-ერთი ორგანიზატორი, სპეცოპერაციის დროს მოკლეს.**

თუმცა გადამდგარი ოფიცრებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც საქართველოში იარაღით ვაჭრობის საკითხის გამოძიებით არის დაკავებული, ზემომოყვანილ ორივე ფაქტს ამ თემის ფარგლებში განიხილავს და აცხადებს, რომ იარაღით ვაჭრობას საქართველოში სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ესენი იყვნენ – ზურაბ ჟვანია, ზურაბ ირემაძე და გია კრიალაშვილი.

ამის შესახებ „პრაიმტაიმმა“ მკითხველს გასულ ნომერში უკვე უამბო. ხოლო მათ, ვინც ჯერ კიდევ არ არის საქმის კურსში, შევახსენებთ, რომ ამ ჯგუფის მიერ გამოძიებული საკითხების წრე ასე იკვრება: ყოფილი პრეზიდენტის ბიძამ, თემურ ალასანიამ, რომელიც ცნობილ იარაღით მოვაჭრე ერიკ გუდისს შეეკრა, ეს ბიზნესი საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე წამოიწყო. სწორედ მათი „დამსახურებით“ შეწყდა თანამშრომლობა ჩეხეთთან, საიდანაც საქართველოს მანამდე შემოჰქონდა იარაღი და ამ კუთხით თანამშრომლობა უკრაინულ კომპანიასთან დაიწყო. უკრაინიდან შემოტანილი იარაღი სირიასა და ირანში უნდა მოხვედრილიყო. ამისთვის ამ ჯგუფს აეროპორტი და ზღვა სჭირდებოდა. აეროპორტი მათ პირდაპირი წესით არ მიჰყიდათ ზურაბ ჟვანიამ. მისი გარდაცვალებიდან 2 თვის შემდეგ ეს მიზანი მიღწეული იყო. გია კრიალაშვილს მათთვის მოლაპარაკებების ჩაშლა შეეძლო უკრაინასთან და ამიტომაც მოიშორეს თავიდან. რაც შეეხება ზღვიდან ტვირთის ტრანსპორტირებას, ამ მხრივ მათ პრობლემას საზღვაო ძალების სარდალი უქმნიდათ, რომელიც 2004 წლის 13 აგვისტოს მოულოდნელად გარდაიცვალა. მოგვიანებით ადმირალის ბელგიაში გაქცეული თანაშემწე, ვიქტორ ჭელიძე საიდუმლოს გაამხელს და იტყვის, რომ მისი თხოვნით ჰოსპიტალის უფროსმა გარდაცვლილს ექსპერტიზა ჩუმად ჩაუტარა და მის სისხლში დარიშხანის კვალი აღმოაჩინა.

როგორც ჩანს, საგამოძიებო ჯგუფის მუშაობა ამ კონტურებით არ შემოიფარგლება. 28 იანვარს ამერიკის საელჩოში უფლებადამცველი ირაკლი კაკაბაძე და პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი სწორედ იარაღით ვაჭრობისა და ამ საქმეში თემურ ალასანიასა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის მონაწილეობასთან დაკავშირებით ჟურნალისტებისთვის და დიპლომატიური კორპუსისთვის პრესკონფერენციას გამართავენ.

მანამდე კი „პრაიმტაიმი“ მკითხველს თემის ერთგვარ გაგრძელებას შესთავაზებს.

მას შემდეგ, რაც შევიტყვეთ, რომ შესაძლოა, ზურაბ ირემაძე ინფარქტით არ გარდაცვლილიყო, მისი ოჯახის წევრებს ვესაუბრეთ და გარწმუნებთ, ის ისტორიები, რაც იქ მოვისმინეთ, მეტისმეტად ბევრია ერთი ოჯახისთვის.

**მანანა ირემაძე, ზურაბ ირემაძის მეუღლე:**

– ფოთში მაშინვე დაიწყეს საუბარი, ზურა მოკლესო. მოგვიანებით, ზურას თანაშემწისგან, ვიქტორ ჭელიძისგან შევიტყვეთ, რომ ექსპერტიზა ჩაატარებინა და ზურას სისხლში დარიშხანი აღმოჩნდა.

**– გვესმის, რომ ადმირალი სამხედრო პირი იყო და შესაძლოა, სახლში ბევრი რამ არ მოეყოლა, მაგრამ თქვენ თუ გრძნობდით რამე დაძაბულობას მის გარდაცვალებამდე?**

– ზურას ჩემთვის ნათქვამი ჰქონდა, ისეთ დავალებებს მაძლევენ, რომელსაც ვერ შევასრულებ და არ შევასრულებ, ამათ ჩემი სიკვდილი აქვთ გადაწყვეტილი, ესენი გამწირავენ, მომკლავენო („პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში მაიორმა გოდერძი ორმოცაძემ განაცხადა, რომ ადმირალს სააკაშვილმა იმ გემის ჩაძირვა უბრძანა, რომელზეც ლუჟკოვი იმყოფებოდა. – მ.ნ.).

**– რატომ უნდა მოეკლათ?**

– ეს არასდროს აუხსნია... დაახლოებით 3 წლის წინათ თავდაცვის სამინისტროში ვიყავით მე და თამთა (თამთა ირემაძე, ადმირალის შვილი. – მ.ნ.) და შემთხვევით შეგვხვდა ფოთის ჰოსპიტალის ყოფილი უფროსი, ზაზა შალამბერიძე. ვკითხე, ზურას გარდაცვალების შემდეგ, გასვენებამდე, რატომ გვაძლევდი წამლებს ოჯახის წევრებს და რატომ გვთიშავდი-მეთქი? მაშინ ჩვენთან სახლში ბრიგადები მოდიოდნენ ჰოსპიტალიდან და გაუგებარ წამლებს გვასმევდნენ. პრაქტიკულად, ზურას გასვენებამდე არაფერი გვახსოვს. პირჯვარი გადაიწერა და მითხრა, შვილებს გეფიცები, ეს ყველაფერი შენს გადასარჩენად გავაკეთეო. იქვე ვკითხე, ამბობენ, ზურა მოწამლულია და მართალია-მეთქი? მართალიაო, დამეთანხმა. მე, როგორც ექიმს, თავიდანვე შემეპარა ეჭვი, რომ ინფარქტმა ასეთი სიკვდილი არ იცის, ეს არ დამიმალავს და მაშინვე ვთქვიო.

**– ეს ის ზაზა შალამბერიძე არ არის, ვისზეც ამბობენ, ექსპერტიზა ჩაატარა და სისხლში დარიშხანი აღმოაჩინაო?**

– დიახ. ჩემთვის საინტერესოა, თუ ეს ექსპერტიზა მართლა ჩაატარეს, ამდენ ხანს რატომ დამალეს? ზურას ექსპერტიზის საკითხი დღის წესრიგში მაშინ საერთოდ არ დამდგარა, არადა ის სამხედრო პირი იყო და ყველა შემთხვევაში უნდა ჩაეტარებინათ ექსპერტიზა ოფიციალურად, თუნდაც ზურა ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო... ზურას კაბინეტიც არ დალუქულა. მეტიც, მეორე დღესვე გატყდა მისი კაბინეტი და ძალიან ბევრი ნივთი გაიტანეს იქიდან – იარაღი, ხანჯლები, მედლები, საბუთები, ნოუთბუქი და ა.შ. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ვიღაცა რაღაცას ეძებდა. ეს შთაბეჭდილება მოგვიანებით მომხდარმა ამბებმა კიდევ უფრო გააძლიერა, როდესაც ჩვენი სახლი ოთხჯერ გაიძარცვა, ერთხელ დაგვაყაჩაღეს, გურიაში სახლის მესამე სართული გადაგვიწვეს, სადაც ზურას ნივთები ელაგა. ძირითადად ის ნივთები იკარგებოდა, რაც ზურასთან და მის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული.

**– მაინც, რას ეძებდნენ?**

– როგორც ვიქტორ ჭელიძე აცხადებს, მაშინდელ სპეცსამსახურებს რაღაც კასეტა აინტერესებდათ. ის კასეტა მე ერთხელ დამანახა ზურამ, სახლში ჭელიძესთან ერთად მოვიდა და მითხრა, მანჩო, რომ იცოდე, აქ რა არისო...

**– რა იყო?**

– ამ კასეტაში თურმე სააკაშვილზე იყო რაღაც კომპრომატი, თუმცა პირადად ჩემთვის ის არ უჩვენებია. შესაბამისად, ასეთ კასეტას ის სახლში ხომ არ დატოვებდა? არადა მთელი ოჯახი გადაგვაყოლეს მას. 8 წლის განმავლობაში გვკლავდნენ და არ ვკვდებოდით.

**– რას გულისხმობთ?**

– 8 წლის განმავლობაში ფეხქვეშ გათელეს ჩვენი ოჯახი: გვემუქრებოდნენ, გვძარცვავდნენ, გვაყაჩაღებდნენ, ფსიქოლოგიურად გვატერორებდნენ. ცალკე აღებული თითო შემთხვევა შეიძლება ვინმემ რაღაც დამთხვევად მიიჩნიოს, მაგრამ ამდენი დამთხვევა ნამდვილად არ არის: ზურას გარდაცვალებიდან 21-ე დღეს სიძე მომიკლეს, თამთას ქმარი. თურმე ზურას გარდაცვალების შემდეგ ისიც ამბობდა, მალე მეც გამასაღებენო.

**– ავარიაში გარდაიცვალა, არა?**

– იმ დროს ცუდად ვიყავი და თამთა ჩემთან რჩებოდა. ღამით დათუნა დაგვემშვიდობა და დილით გავიგეთ, რომ ავარიაში გარდაიცვალა. მანქანის უკანა ნაწილი, საბარგული იყო შეჭყლეტილი. სალონი მთელი იყო.

**აკო ირემაძე:**



– მეუბნებოდნენ, დიდი სიჩქარით მიდიოდა, ბოძს დაეჯახა და ლუქიდან ამოვარდაო. ამ დროს ლუქი მთელი იყო.

**თამთა ირემაძე:**

– ყველა ძვალი დაფშვნილი ჰქონდა. ეჭვი დათუნას მამასაც გაუჩნდა. მოგვიანებით ეჭვად გავიგეთ, რომ შესაძლოა, ის მანამდე სცემეს, მოკლეს და მერე მოახდინეს ავარიის ინსცენირება, რადგან ძალიან ბევრი რამ არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს, აირბაგებიც არ იყო გახსნილი და მასთან ერთად მყოფ გოგოს ნაკაწრიც არ ჰქონდა. ეს გოგო, თათია, სხვათა შორის, მამას გარდაცვალების დღესაც ჩემთან იყო. მამას მეგობრის შვილი იყო, ერთად ვიყავით გაზრდილები. მამა 13 აგვისტოს გარდაიცვალა. იმ დღეს ის და დათუნა სწავლებაზე იყვნენ წასულები და ჩემთან მამას მდივანი უნდა დარჩენილიყო. მის ნაცვლად, რატომღაც თათია დარჩა. ერთად ვიყავით სახლში, ღამე იყო, შუქები ჩაქრა, მობილური ქსელები არ მუშაობდა და ჩემი ბინის გისოსებზე რყევის ხმა გავიგე. ვიღაც აპირებდა სახლში შემოღწევას... დედასთან დავრეკე და აღმოჩნდა, რომ



დათუნა რუხაძე

## და რა გაუმხილა სიკვდილამდე საკუთარ მეუღლეს?

## „ზურას გარდაცვალებიდან 21-ე დღეს სიძე მომიკლეს, თამთას ქმარი. თურმე ზურას გარდაცვალების შემდეგ ისიც ამბობდა, მალე მეც გამასაღებენო“



**მოგვიანებით ადმირალის ბელგიაში გაქცეული თანაშემწე, ვიქტორ ჭელიძე საიდუმლოს გაამხელს და იტყვის, რომ მისი თხოვნით ჰოსპიტალის უფროსმა გარდაცვლილს ექსპერტიზა ჩუმად ჩაუტარა და მის სისხლში დარიშხანის კვალი აღმოაჩინა**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ალი ზურაბ ირემაძე?

## რა კომპრომატებს ინახავდა საზღვაო ძალების სარდალი მიხეილ სააკაშვილზე?



მამა ჩამოსული იყო. მაშინვე გამოიქცა ჩემთან, გიჟივით იყო. სახლში რომ შემოვარდა, მითხრა, დავინახე, მე უკვე ყველაფერს მივხვდი და ყველაფერი ვიცი, მამა, შენ არ ინერვიულო, მაგათ ნახე, რას ვუზამო! შთაბეჭდილება დამრჩა, რომ უკვე რაღაც გარკვეული ჰქონდა. აივანზე გავიდა, გაისროლა. უკან რომ შემობრუნდა, ვაიმე, მამა, მგონი, ცუდად ვარო და სასწრაფოს მოსვლამდე გარდაიცვალა... როგორც უკვე გითხარით, იმ ღამით თათია ჩემთან იყო. 3 კვირის შემდეგ კი, როდესაც დათუნა გარდაიცვალა, გამთენიის 6 საათზე, ისევ თათია იჯდა მასთან მანქანაში. როცა ვკითხე, როგორ აღმოჩნდა იქ, მიპასუხა: ენა გააჩერე, თორემ ახლა ორმეტრიანი 21 წლის ქმარი რომ გიწევს გასწორებული, სანამ მაგას გაასვენებ, შენც გაგასწორებო. ამის მერე ის გოგო აღარასდროს მინახავს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მას ბევრი რამ ეცოდინება.

**მანანა ირემაძე:**

– ზურას გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ დაგვაყაჩაღეს. მეორე სართულზე ვცხოვრობდით. ბინას გისოსები ჰქონდა. გისოსები გაჭრეს და სახლში ისე შემოვიდნენ. ღამის ოთხი საათი იყო. აკო მაშინ 13 წლის მყავდა. გვეძინა. შუქები არ იყო. შემოვიდნენ შავი ფორმებით, „სპეცნაზს“ რომ აქვს. ერთნაირად ეცვა სამივეს. გადაჭრილი შავი ნაქსოვი ხელთათმანები ეცვათ და შიგნიდან ნათურები ანათებდა. შეიარაღებულები იყვნენ. მოკლე ავტომატები ეჭირათ. როგორც მერე გავარკვიე, ასეთი იარაღი მარტო სპეცსამსახურებს ჰქონდა მაშინ. ჩურჩულმა გამაღვიძა. წამოვიწიე და ვეღარ ავდექი. ერთს ფეხები ეჭირა, მეორე ყელზე მაწვებოდა. ახლოს მოიწია და მითხრა, – არ იყვირო. ფული, იარაღი, ოქრო და გავდივართო. არყის სუნი ასდიოდა. ისტერიკაში ჩავვარდი და ჩემს ყვირილზე აკომ გაიღვიძა, – დედა არ მომიკლათ, დედას ხელი არ ახლოთო, ყვიროდა. ძვირფასეულობა მივეცი, მაგრამ ვერ გამაჩერეს. თავში ჩამარტყეს პისტოლეტი და დასისხლიანებული, პიჟამოთი მისაღებში გამიყვანეს. ნათესავი ბიჭი იყო ჩვენთან სტუმრად. მე, აკო და ეს ბიჭი სკოჩით გადაგვაბეს. იმ ოთახში ზურას სურათები იყო კედლებზე. ყველა ჩამოყარეს. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ რაღაცას მიზანმიმართულად ეძებდნენ და თანაც უცხოები არ იყვნენ. მარტო ისეთ ადგილებში იქექებოდნენ, სადაც ზურას ნივთები იყო... რომ გადიოდნენ, შემოსასვლელში ვიდეოკამერა ნახეს. ვთხოვე, კასეტა დამიტოვეთ, ზურას გასვენებაა გადაღებული-მეთქი. ზურას ტელეფონიც წაიღეს. ერთი მომიბრუნდა და მეუბნება, ქალბატონო, მაპატიეთ, არ მინდოდა, რომ ჩამერტყაო. მერე აკოს მიუბრუნდა და უთხრა, – შენ ხომ პირველ სკოლაში სწავლობ? ამ ტელეფონს 2-3 დღეში სკოლაში მოგიტანთო. ბავშვს ისე გაუხარდა, რომ ახტა, თითქოს მადლობის ნიშნად კოცნა უნდოდა. წელამდეც ვერ მისწვდა. იმან თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა, – აკო, შენ მაგარი კაცი გაიზრდებიო. გასვლის დროს ბავშვს გააღებინეს კარი. წინ ის გაიყვანეს. ალბათ, იფიქრეს, თუ ვინმე ისროდა, ჯერ აკოს მოხვდებოდა. კიბეზე 2-3 საფეხური რომ ჩაიარეს, ერთ-ერთი მობრუნდა, კამერა დაგვიბრუნა და აკოს უთხრა, ეს შენ ჩემგან გქონდეს საჩუქრადო. ასეთი დაყაჩაღება გაგიგიათ?

**– ამბობთ, რომ გემუქრებოდნენ და გატერორებდნენ...**

– პერიოდულად ვიღაცები რეკავდნენ. გვეუბნებოდნენ, რომ უნდა გავჩუმებულიყავით და ხმა არ ამოგვეღო. ზოგჯერ ვიღაცები რეკავდნენ ტექსტით – შენ დედა ხარ? შვილი მოგიკლეს და სახლში რა გინდაო... წარმოიდგინეთ, რა დღეში შეიძლება ჩავარდე, სანამ სიმართლეს გაარკვევ. ასეთი რაღაცები ხდებოდა სისტემატურად... ამ შანტაჟისა და მუქარის შემდეგ გურიაში დაგვიწვეს სახლის მესამე სართული.

**– ვინ დაგიწვათ?**

– ახლა კი ვიცი, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი. 2011 წელს ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში გამოჩნდა ვინმე ბექა, ე.წ. სასიძო. საშობაოდ გურიაში ვიყავით ერთად ჩასულები. მესამე სართულზე ავიდა და ცოტა ხანში ცეცხლიც გაჩნდა. მას, ეტყობა, არ ეგონა, რომ ცეცხლი ასე უცებ მოედებოდა სახლს. მანქანა დაქოქილი ჰყავდა და მიდიოდა. მისი გეგმით, ხანძრისთვის უნდა გაესწრო, მაგრამ იმდენად სწრაფად მოხდა ყველაფერი, რომ თვითონ მოუხდა ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობა.

**– რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ეს მან გააკეთა?**

– მერე გამოგვიტყდა... ჩვენი სახლი რომ იძარცვებოდა, ესეც მისი ხელით კეთდებოდა. მისგან სახლიდან გატანილი ნივთები ერთხელ მშრალ ხიდზე აღმოვაჩინე. გამყიდველი გამოტყდა და მომწოდებლად მისი სახელი და გვარი დაასახელა. ტელეფონში



ზურაბ ირემაძე

**„ზურას ჩემთვის ნათქვამი ჰქონდა, ისეთ დავალებებს მაძლევენ, რომელსაც ვერ შევასრულებ და არ შევასრულებ, ამათ ჩემი სიკვდილი აქვთ გადაწყვეტილი, ესენი გამწირავენ, მომკლავენო“**

**„პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში მაიორმა გოდერძი ორმოცაძემ განაცხადა, რომ ადმირალს სააკაშვილმა იმ გემის ჩაძირვა უბრძანა, რომელზეც ლუჯკოვი იმყოფებოდა**

# EXCLUSIVE

რომ ვკითხე, რა დაგიშავეთ, რატომ მოგვექეცი ასე, ან ის გურიის სახლი რატომ დაგვიწვი-მეთქი, მითხრა, ჩემი დანაშაული ის არის, რომ მართლა შემიყვარდით, ვერ გაგიმეტეთ და ვერ დაგხოცეთო. მანამდე იპოთეკაში ჩადო ჩვენი ბინა. დედაჩემს მოტყუებით მოაწერინა ხელი და ჩვენ რომ გავიგეთ, ამ ვალის დაფარვას, ამ ბინის გარდა, მშენებარე ბინაც შეეწირა დილომში. ახლა ქირით ვართ...

**– იქნებ ჩვეულებრივი თაღლითი იყო?**

– დღეს დარწმუნებით ვიცით, რომ ის სპეცსამსახურზე მუშაობდა. მანამდე, უბრალოდ, ვეჭვობდით. უბრალოდ თაღლითი რომ ყოფილიყო სახლიდან იმ კალამს წაიღებდა, რომელიც ფასეული იყო და არა იმას, რომლითაც ზურა აწერდა ხელს დოკუმენტებზე. პირველად გურიაში რომ ჩავიყვანეთ, მთელი ღამე იმ ვიდეოებს უყურებდა, რომელიც ზურას ეკუთვნოდა და მისი წვრთნები იყო გადაღებული.

**– იმ ხელისუფლების პირობებში თქვენ არ აქტიურობდით და არც განცხადებები გაგიკეთებიათ ადმირალის შესაძლო მკვლელობის შესახებ. რაში დასჭირდებოდა სპეცსამსახურებს თქვენთვის ეს ადამიანი შემოეჩინა?**

**აკო ირემაძე:**

– ეს უფრო ჩემზე იყო გათვლილი. ბოლო პერიოდში მე ყველგან ვამბობდი, რომ მამაჩემის მკვლელობას, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოვფენდი ნათელს და აუცილებლად მივაღწევდი მის გამოძიებას. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ეს ბექა. სულ მეკითხებოდა, ნარკოტიკებს მოიხმარო? ხომ არ თამაშობო? ახლა ვაანალიზებ და ვხვდები, რომ უნდოდა, ჩემი რაიმე სისუსტე გაეგო. ცდილობდა, საზღვარგარეთ წავეყვანე. ხან რუსეთს მთავაზობდა, ხან ბელგიას, ხან გერმანიას. როგორც ჩანს, ჩემი მოშორება უნდოდა. რამდენჯერმე შემთხვევით გადავრჩით, ისეთ ავარიაში ვხვდებოდი. თანაც ყველა ჯერზე მთელი ოჯახი ვისხედით მანქანაში, საჭესთან კი ბექა იყო. ავარიული სიტუაცია ყოველთვის იმ დროს იქმნებოდა, როცა ყველას გვეძინა.

**მანანა ირემაძე:**

– შემთხვევით რომელიღაცას ელვიძებოდა ხოლმე...

**– ამ ავარიით ხომ საკუთარ სიცოცხლესაც საფრთხეში ჩაიგდებდა?**

– თვითონ გადახტებოდა... როდესაც პოლიციამ უკვე ყველაფერი იცოდა და სანქცირებულად ჩემი ტელეფონი ისმინებოდა, იმის ადგილმდებარეობაც დადგენილი იყო. 24 დღის განმავლობაში ბექა არ დაიჭირეს. 24-ე დღეს კი გამომძიებელი მოვიდა და შეგვატყობინა, გარდაიცვალა წამლის დიდი დოზის მიღების გამოო.

**– ფიქრობთ, რომ ისიც მოკლეს?**

– ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ ჩვენს ოჯახში ის რაღაცას ეძებდა, იქნებ იმ კასეტასაც, რომლის შესახებაც გესაუბრეთ...

**„ამ კასეტაში თურმე სააკაშვილზე იყო რაღაც კომპრომატი, თუმცა პირადად ჩემთვის ის არ უჩვენებია. 8 წლის განმავლობაში გვკლავდნენ და არ ვკვდებოდით“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მაიდანის

# რას და რატომ სწირავს თავს უკრაინელი ხალხი



ქეთი ხატიაშვილი

ორ თვეზე მეტია, მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს, რა მამაცურად დგას უკრაინელი ხალხი მაიდანზე ყინვასა და სიცივეში და როგორ იცავს ქვეყანას საკუთარი სიცოცხლის ფასად. ბევრი გაოცებულია, არ ესმით, საიდან მოდის ასეთი თავგანწირვა.

სინამდვილეში მაიდანის აქცია იმდენად უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგ არ არის მიმართული, რამდენადაც კრემლის. პუტინის მიმართ უკრაინაში (და არამხოლოდ იქ) განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. რუსეთის პრეზიდენტმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში იმიჯი საბოლოოდ მაშინ დაკარგა, როცა საბჭოთა კავშირის დანგრევა მეოცე საუკუნის კატასტროფად გამოაცხადა. და ეს იმ კატასტროფების ფონზე, რაც ამ საუკუნემ გაიარა, ორი მსოფლიო ომისა და ეთნოწმენდების სახით. სხვა ქვეყნებისა თუ ხალხების მაგალითებს ამჯერად არ მოვიყვანთ. ისევ უკრაინის თემას რომ მივუბრუნდეთ, ამ სიტყვებმა მოსახლეობას მთელი ის საშინელება გაუცოცხლა თვალწინ, რისი გადატანაც მათ საბჭოთა კავშირის დროს მოუწიათ. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უკრაინაში დღესაც ცხოვრობენ ის ადამიანები, რომლებმაც მთელი ეს საშინელება საკუთარ თავზე გამოსცადეს. ასე რომ, დღეს მაიდანზე სწორედ იმ ადამიანების შვილები და შვილიშვილები დგანან, რომლებმაც **Голодомор** გაიარეს. დღეს ეს თაობა არა უბრალოდ საკუთარ ქვეყანას იცავს, ის შურსაც იძიებს წინაპრების გამო და ყველაფერს გააკეთებს, რომ მომავალში ასეთი სისასტიკე აღარასოდეს განმეორდეს.



**EXCLUSIVE ფოტოები**







## Голодомор

„გოლოდომორს“ უკრაინაში 1932-1933 წლებში ჰქონდა ადგილი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ამ თემას, ისევე როგორც კატინის ტრაგედიას პოლონეთში, ტაბუ ედო. ვერავინ ბედავდა მის წამოწევას. ამაზე ლაპარაკს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას უტოლებდნენ და სასტიკად სჯიდნენ.

1984 წელს ამერიკის სენატში საგანგებო კანონპროექტი შევიდა, რომელიც კონგრესში საგანგებო კომისიის შექმნას ითვალისწინებდა უკრაინული შიმშილის თაობაზე. კანონპროექტს კონგრესმენი როტი ლობირებდა. ის ირწმუნებოდა, რომ უკრაინელები განადგურდნენ პოლიტიკური მოტივების გამო, მხოლოდ იმიტომ რომ ისინი უკრაინელები იყვნენო. ამავე წლის ოქტომბერში კი რეიგანმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც კომისიის შექმნას ითვალისწინებდა. მაშინ ითქვა, რომ 1932-33 წლების შიმშილობა უნდა გამოიძიონ, იმიტომ რომ მთელმა მსოფლიომ გაიგოს, როგორი იყო საბჭოთა სისტემა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ ტრაგედიაზე არა მხოლოდ ხმამაღლა წერდნენ, უკრაინის რადამ 2006 წლის დადგენილებით „გოლოდომორი“ უკრაინელი ხალხის ეთნოწმენდად შეაფასა. მედიაში კი თვითმხილველები და ისტორიკოსები დეტალებზე ალაპარაკდნენ.

„გოლოდომორის“ დროს უკრაინაში 4 მილიონიდან 6 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. მასობრივი შიმშილობა, ისტორიკოსების შეფასებით, საბჭოთა ხელისუფლებამ უკრაინელ ხალხს მათი დამორჩილების მიზნით მოუწყო. მისი განხორციელება დაევალათ საგანგებოდ შექმნილ კომისიებს, რომლებმაც კარდაკარ ჩამოიარეს და მოსახლეობას წაართვეს ხორბალი და ყველაფერი, რისი ჭამაც შეიძლებოდა. უკრაინელ გლეხებს აღარაფერი დაუტოვეს.

სოფელ ტარგანში, რომელიც კიევიდან ასიოდე კილომეტრშია, 1933 წლის ზამთარი მოსახლეობის ნახევარზე მეტმა ვერ გადაიტანა. როცა ამ ტრაგედიას ტაბუ აეხსნა, მედიამ თვითმხილველების ძებნა დაიწყო. უკრაინული გაზეთები წერდნენ 92 წლის ალექსანდრე ოვიდიუკზე, რომელიც შიმშილს გადაურჩა. მისი მონათხრობიდან:

– ბოლშევიკებმა კომისიები შექმნეს. ასეთი ნაგლი როგორ უნდა იყო – გლეხებს ისედაც არაფერი ჰქონდათ დარჩენილი, ისინი კი მაინც დადიოდნენ სახლიდან სახლში და ყველაფერს, თუ რამეს იპოვიდნენ, ართმევდნენ...

1932-33 წლების ზამთარში უკრაინის სოფლებში ძაღლებსა და კატებსაც ველარ ნახავდით. სხვა რომ აღარაფერი ჰქონდათ, მოსახლეობა ცხოველების ჭამაზე გადავიდა. შემდეგ კი კანიბალიზმის ფაქტებიც დაფიქსირდა. კანიბალიზმის, ანუ ადამიანის ჭამის 2500-მდე ფაქტია ოფიციალურად დადასტურებული.

**ალიონა გონჩარუკი:**

– ქუჩაში გამოსვლის გვეშინოდა, ვინმეს რომ არ დავეჭირეთ და მოვეკალით... მახსოვს, ჩვენს მეზობლად ერთი ქალი ცხოვრობდა, დუნია ერქვა, მას გოგო ჰყავდა პატარა. ის გოგო დაიკარგა, შემდეგ მასთან შევიხედეთ სახლში და ამ ბავშვის თავი ვიპოვეთ ცალკე, ღუმელში კი მისი ხორცი იხარშებოდა. წარმოიდგინეთ, ამ ქალმა საკუთარი შვილი შეჭამა.

მასობრივი შიმშილის გამო სოფლებში ადამიანებიც მასობრივად იღუპებოდნენ და მათ ძმათა სასაფლაოზე მარხავდნენ. ტარგანში ძმათა სასაფლაოზე 400 ადამიანია დამარხული, მათ შორის ქალებიცა და ბავშვებიც. ზოგიერთებს ცოცხლადაც მარხავდნენ.

ერთ-ერთი თვითმხილველი იგონებს, როგორ ჩამოიარა ადგილობრივმა კომკავშირელმა, რომელიც მოხუცს მოათრევდა. მან უთხრა: მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ! კომკავშირელმა კი უპასუხა: ბებო, მაინც მოკვდები და ხვალ ამ სიშორეზე შენი გულისთვის ამოსვლა მომიწევს, სჯობს, ახლავე წაგიყვანოო.

უკრაინაში ოფიციალურად ითვლება, რომ „გოლოდომორის“ დროს მასობრივი სიკვდილიანობა საბჭოთა ხელისუფლებამ შეგნებულად და მიზანმიმართულად გამოიწვია.

## ვლადიმერ სერნიჩუკი: „სხვა რომ ვერაფერი მოუხერხეს ბოლშევიკებმა უკრაინელ ხალხს, გადაწყვიტეს, ისინი შიმშილით დაეხოცათ“



**ვლადიმერ სერნიჩუკი:**

– საბჭოთა კავშირში სხვა ხალხებიც შიმშილობდნენ, მაგალითად, ყაზახები, მაგრამ მათ შეეძლოთ, მეზობელ რეგიონებში გადასულიყვნენ პურისთვის, უკრაინელ გლეხს კი არსად არ შეეძლო წასვლა. ისინი ვერც ბელორუსიაში გადავიდოდნენ და ვერც საბჭოთა რუსეთში, იმიტომ რომ საზღვრები ჩაკეტილი იყო, მატარებლის ბილეთები არ იყიდებოდა... უკრაინაში ბევრს არ სურდა ბოლშევიკებისთვის ზედმეტი უფლებები მიეცათ, არც კოლმეურნეობებში სურდათ გაწევრიანება, ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. სხვა რომ ვერაფერი მოუხერხეს, გადაწყვიტეს, ისინი შიმშილით დაეხოცათ.

„გოლოდომორს“, თავისი მასშტაბებით, ჰოლოკოსტსაც ადარებენ. ფაშისტური რეჟიმის დროს გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე 6 მილიონი ებრაელი გაანადგურეს.

ასე რომ, ყველას, ვინც ახლა მაიდანზე დგას, ეს ტრაგედია ახსოვს. ახსოვთ, როგორ დაიხოცნენ მათი წინაპრები, ან რა სასწაულად გადარჩნენ, ახსოვთ და ამ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# Голодомор-იდან Майдан-ამდე



**ალიონა გონჩარუკი: „მასთან შევიხედეთ სახლში და ამ ბავშვის თავი ვიპოვეთ ცალკე, ღუმელში კი მისი ხორცი იხარშებოდა. წარმოიდგინეთ, ამ ქალმა საკუთარი შვილი შეჭამა“**











ის გამეორება არ უნდათ, არ უნდათ, რომ პუტინმა საბჭოთა კავშირი აღადგინოს, უკრაინაში კი თავისუფლების მოყვარულმა ხალხმა ასეთივე ტრაგედია კიდევ ერთხელ გაიაროს. ამას მართლა სჯობია ყინვაში დგომა, სიკვდილი თავისუფლებისა და ღირსებისთვის, ვიდრე კომმარული მონობა. მოკლედ ახსოვთ და დგანან... ახლა ისინი ევროპაში ხედავენ მხოლოდ გადარჩენას.

## პარალელები

ის, რაც ახლა კიევში ხდება, ჩვენ 90-იან წლებში გავიარეთ. მახსოვს, თითქმის ორწლიანი სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ ბევრი ამბობდა, ეს ჩვენ, ქართველები, ვართ ფიცხები, ხომ ხედავთ, როგორ დინჯად და ჭკვიანურად მოიქცნენ ბალტიის ქვეყნები, თითქმის უდანაკარგოდ გავიდნენ საბჭოთა კავშირიდანო.

ეროვნულ მოძრაობას, 9 აპრილის გამო, ბევრი აკრიტიკებდა. ილია მეორის მოწოდებაზე, ეკლესიაში გადავიდეთ და ვილოცოთო, ირაკლი წერეთელმა პირველმა იყვირა: ჩვენ არ დავიშლებითო.

ბევრი ფაქტორის გამო, შესაძლოა, უხეში შედარებაა, მაგრამ რუსეთისადმი დამოკიდებულებაში ერთი პრეზიდენტიც რადიკალი იყო და მეორეც.

შოთა მალაშხია მიიჩნევს, საქართველოს წინააღმდეგობა რომ არ გაეწია, 9 აპრილი და ეროვნული მოძრაობა რომ არ ყოფილიყო, დასავლეთი მხოლოდ ბალტიის ქვეყნებით დაკმაყოფილდებოდაო.

მაშინ გორბაჩოვსა და რეიგანს შორის გარიგება დაიდო – ბალტიისპირეთი საბჭოთა საზღვრებს დატოვებდა, დანარჩენ ტერიტორიაზე კი რეფორმები დაიწყებოდა. დასავლეთი მზად იყო, რამდენიმე მილიარდით დახმარებოდა საბჭოთა კავშირს რეფორმირებაში. **შოთა მალაშხიას** შეფასებით, საქართველომ, თუნდაც 9 აპრილით, ეს გარიგება ჩაშალა. დიდი ტრაგედია დატრიალდა მაშინ აზერბაიჯანშიც, სერიოზული წინააღმდეგობა იყო უკრაინაშიც.




– რომ არა ასეთი წინააღმდეგობა, გარიგება შედგებოდა და ჩვენ, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკები, კავშირის შემადგენლობაში დავრჩებოდით. ასე რომ, საუბრები იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი ისედაც დაიშლებოდა, სწორი არ არის. ზვიად გამსახურდია საკუთარი საგარეო პოლიტიკით სწორედ ამ გარიგებას დაუპირისპირდა.

მაშინ რუსეთმა 200 მილიონი დახარჯა იმაზე, რომ ზვიად გამსახურდია გზიდან ჩამოეშორებინა და საქართველოში შევარდნაძე ჩამოეყვანა. მოსკოვი თითქოს სწორედ მისგან ელოდა მხარდაჭერას საბჭოთა კავშირის რეფორმირების საკითხში.

ასეთივე იმედით შეიცვალა კიევში იუშჩენკო იანუკოვიჩით. გორბაჩოვის რეფორმა ჩავარდა და სტარტი პუტინის საბჭოეთის აღდგენის გეგმამ აიღო. მაშინვე ითქვა, რომ იანუკოვიჩი კრემლის პროექტი იყო, თუმცა, სანამ ოფიციალურად არ აქცია ზურგი ევროკავშირს და მოსკოვში არ გაიქცა, კიეველებმა არ დაიჯერეს. მათ ხომ დემოკრატიული არჩევნების გზით შეცვალეს ხელისუფლება იმ იმედით, რომ სოციალურ პრობლემებს მოიგვარებდნენ, შედეგად კი სამოქალაქო ომი მიიღეს და ლამის რუსეთის იმპერიაში აღმოჩნდნენ.

და როგორც მაშინ, 1989 წლის 9 აპრილს, ბევრი რამ წყდებოდა და გადაწყდა რუსთაველზე, ახლა ყველაფერი მაიდანზე გადაწყდება. ეს სივრცე ან დიდი ხნით დაიკეტება და პუტინი მას ისევ რკინის ფარდებს ჩამოაფარებს, ან უკრაინის შემდეგ საქართველო და აზერბაიჯანიც გააღრმავებენ ევროკავშირთან თანამშრომლობას და კრემლი საბჭოთა კავშირის აღდგენას ვერ შეძლებს.

ერთხელ საქართველომ ჩაშალა გარიგება, ახლა უკრაინა ჩაშლის ევრაზიული კავშირის აღდგენის გეგმას. ეკონომისტების გათვლებითა და კრემლის ექსპერტების შეფასებებით, კიევის გარეშე, პუტინის ახალ იდეას სიცოცხლე არ უწერია, რადგანაც უკრაინის დიდი ბაზრის გარეშე ეს სივრცე ეკონომიკურ მოგებას არც ერთ ქვეყანას არ მისცემს.

თბილისის პოზიცია ჯერჯერობით გასაგებია. ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს გზა ევროპა და დასავლეთია და რომ ეს ხალხის არჩევანია და ხელისუფლება ამ არჩევანს მიჰყვება.

**ამ თემაზე ღარიბაშვილს დავოსშიც მოუწია პასუხის გაცემა. CNBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრემიერმა აღნიშნა:**

– უკრაინა საქართველოს პარტნიორი და მეგობარია. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მართლაც საშინელებაა. ვიმედოვნებთ, რომ პოლიტიკური ლიდერები ქვეყნის ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდანაც გამონახავენ გზას შეთანხმების მისაღწევად. ვგმობთ ძალადობას. ჩვენ ვნახეთ, რომ ხალხი დაიღუპა და ნამდვილად გვაღელვებს ბოლო დროს იქ განვითარებული მოვლენები. უკრაინისა და საქართველოს მდგომარეობა აბსოლუტურად სხვადასხვანაირია, ვინაიდან საქართველო ნაკლებადაა დამოკიდებული რუსეთზე, მაშინ როცა უკრაინა 100%-ით არა, მაგრამ 50%-ით რუსეთზეა მიბმული. ამაშია სხვაობა.

თბილისში მიიჩნევენ, რომ, როგორც არ უნდა დასრულდეს უკრაინის მოვლენები, თბილისს მოუწევს, მოსკოვს წინააღმდეგობა გაუწიოს და ამისთვის მზად უნდა იყოს. ზეწოლაზე უცხოელი ექსპერტებიც საუბრობენ.

**ალექსანდრე პეტერსენის განმარტებით:**

– პუტინის ამბიციები საკმაოდ ნათელია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მას ევრაზიული კავშირის ფორმირება სურს. ბოლო პერიოდში ჩვენ დავინახეთ, როგორ აიძულა რუსეთმა უკრაინა, უარი ეთქვა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ეს ტენდენცია, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც საფრთხის შემცველია, მაშინ, როდესაც დოკუმენტის პარაფირება ახლახან მოხდა. ვფიქრობ, რუსეთის ძალისხმევა, გადააფიქრებინოს საქართველოს ევროპული კურსი, ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდება. ამისთვის მას სხვადასხვა ბერკეტები აქვს.

საქართველოში მიაჩნიათ, რომ თბილისს რიტორიკის შეცვლა არ უშველის; რომ რუსეთს უფრო მეტი სჭირდება, ვიდრე რიტორიკის შერბილებაა. ამდენად, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ მოსკოვის მხრიდან ზეწოლის გაძლიერებას ელოდებიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# ნიკა რურუა: „ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ასოცირების ხელშეკრულებას ხელს უშლიან საქართველოს მტრები“

**„შეიძლება სახელმწიფო დაეხმაროს, მაგრამ არ შეიძლება საბიუჯეტო ორგანიზაცია იყოს ეკლესია“**

მირიან ბოქოლიშვილი

**კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა მიიჩნევს, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი ცალსახად რუსეთის თამაშს თამაშობენ და უახლოეს პერიოდში მათ ლუსტრირებას ვარაუდობს. „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში რურუა ეკლესიისა და პოლიტიკის ურთიერთგამიჯვნის თემაზეც საუბრობს. სააკაშვილის მთავრობის მაღალჩინოსანი მიიჩნევს, რომ ბიუჯეტი არც ერთ რელიგიურ ორგანიზაციას, მათ შორის მართლმადიდებლურ ეკლესიას არ უნდა აფინანსებდეს. საუბარი ნიკა რურუასთან ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ დავიწყეთ.**

**ნიკა რურუა, კულტურის ყოფილი მინისტრი:**

– ის, რაც ხდება „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისა და ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური დევნა. ძალიან ცუდი პრეცედენტია, როდესაც ხელისუფლება ერთმა ძალამ მეორეს გადააბარა მშვიდობიანად და ეს მეორე ძალა სამართლის საფარქვეშ ცდილობს მოწინააღმდეგის განადგურებას. ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარების პრეცედენტს ამით სამომავლოდ დიდი დარტყმა ადგება.

**– თუმცა, მეორე მხრივ, ისმის კითხვა – თუკი ადამიანმა დააშავა, რატომ არ უნდა დაისაჯოს ის, მიუხედავად მისი თანამდებობრივი სტატუსისა?**

– ეს ისეთი სპეკულაციაა, რომელიც გაუგებარია, როდესაც საქმე გვაქვს პოლიტიკურ პერსონებთან. ბუნებრივია, მე არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური ოპონენტები კანონის მოშველიებით შეავიწროო და დევნო. თუ არის მტკიცებულებები, ეს მტკიცებულებები უნდა მიიტანონ სასამართლოში და სასამართლომ აწონ-დაწონოს, რამდენად მყარია ეს მტკიცებულებები. მაგრამ ჩვენთან ეს ასე არ ხდება. ყოფილი პრემიერი, თავდაცვის მინისტრი თვეების განმავლობაში გამოკეტილი ჰყავთ წინასწარ პატიმრობაში. ეს, ფაქტობრივად, ააშკარავებს, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ დევნასთან და არა კანონის აღსრულებასთან. ეს ხდება იმიტომ, რომ პოპულისტური ქულები ჩაიწერონ მთავრობის წევრებმა, გამოჩნდნენ მაგარ ბიჭებად იმით, რომ ვიღაც ციხეში ჩასვეს. წინასწარი პატიმრობა სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური დევნის ძალიან მკაფიო მტკიცებულება.

**– მაგრამ, როდესაც საუბარია იგივე დავით კეზერაშვილზე, ბუნებრივად ისმის კითხვა – როდესაც წარსულში ის არასდროს ყოფილა ბიზნესმენი, როგორ მოახერხა მილიარდიანი ქონების დაგროვება?**

– მე არ ვიცი ამ ადამიანის ბიზნესის შესახებ არაფერი, გარდა იმისა, რომ ის 6 წლის წინათ წავიდა ხელისუფლებიდან და გახდა ბიზნესმენი. როგორც ვიცი, ის იყო საკმაოდ ნიჭიერი და წარმატებული ბიზნესმენი.

**– 6 წელში შესაძლებელი იყო ამხელა ქონების დაგროვება?**

– კი, ჩემი აზრით, შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში ეს არ არის არანაირი მტკიცებულება, რომ მან რაიმე უკანონო გზით იშოვა ფული. საუბარი იმაზე, რომ „ვიღაცამ თქვა“, „ყველამ იცის“ და ა.შ... ეს არის ბავშვური ტიტინი. ეს არის ძალიან არასერიოზული და არაკომპეტენტური ლაპარაკი. საჭიროა კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოსთვის, სადაც დაცული უნდა იყოს ღიაობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. მაშინ, როდესაც პროკურატურა ყველა მაღალჩინოსანზე ითხოვს წინასწარ პატიმრობას, ეს რეალურად გათქვამს მათ სურვილს, რომ საქმე გვაქვს შურისძიებასთან და არა სამართალთან. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი გამართლდება? როგორ უბრუნებ იმ წლებს, რომელიც წინასწარ პატიმრობაში გაატარებინე? ევროპულ ცივილიზებულ ქვეყნებში ასე არ ხდება. წინასწარ პატიმრობაში არ მიუციათ, მაგალითად, ჟაკ შირაქი, პარიზის მერი, ბერლუსკონი, რომელსაც უამრავი ბრალდება ჰქონდა, მაგრამ ერთი დღე არ მჯდარა ციხეში.

**– გასაგებია... უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე მინდა გკითხოთ. სავარაუდოდ, საქართველოში მსგავსი მასშტაბის დაპირისპირებასა და უკრაინული სცენარის განმეორებას არ უნდა ველოდოთ, მაგრამ რამდენად შესაძლებელია, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ევროპასთან დაახლოების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა? მით უმეტეს, რომ ჩვენ წინ გვაქვს 17 მაისი, რომელიც საკმაოდ მგრძნობიარე თარიღი აღმოჩნდა გარკვეული ჯგუფებისთვის...**

– ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველა. უნდა ვიცოდეთ, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს უშლიან საქართველოს მტრები, მთელი თავისი რესურსით, მათ შორის ადგილობრივი მე-5 კოლონისა და აგენტურის გამოყენებით. ვიღაცებმა უკვე გააჟღერეს, რომ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა საქართველოსთვის არის ცუდი და პირიქით, დაგვაზარალებს. ეს არის სრული სისულელე და ვინც ამას იტყვის, პირდაპირ შეგიძლიათ დაუსვათ დიაგნოზი, რომ ის მუშაობს პუტინზე. ჩვენი თავისუფლების, წარმატებისა და ერთიანი საქართველოს გარანტია არის თავისუფალ სამყაროში ყოფნა, ევროპასთან და ამერიკასთან. უნდა დავაკვირდეთ ამ პროცესს და ვინც წინააღმდეგი წავა, მოხდება მათი ლუსტრირება, რომ ისინი ცალსახად მუშაობენ რუსეთზე.

**– ევროპის გარყვნილების შესახებ საუბრები რამდენიმე სასულიერო პირის მხრიდანაც მოგვისმენია...**

– მე ჩემს თავს არ მივცემ უფლებას, ფაქტების გარეშე ვისაუბრო, მით უმეტეს ეკლესიაზე, რომელიც ჩვენი ისტორიის განმავლობაში ქვეყნის იდენტობის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. ზოგადად კი, რელიგია პოლიტიკურ საკითხებში რომ არ უნდა ერეოდეს, ამის მომხრე ვარ. პოლიტიკა არის პოლიტიკოსების საქმე, რელიგია კი – სასულიერო პირების. ეს ორი რამ, როგორც ზეთი და წყალი, ერთმანეთში არ ერევა.

**– რამდენად არის დღეს ეს გამიჯვნა დაცული?**

– სამწუხაროდ, მთლად კარგად არ არის გამიჯნული ეს ორი სფერო. გავიხსენოთ სიბრძნის შემცველი გენიალური ფრაზა, რომელსაც სახარებაში ამბობს იესო ქრისტე: მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა.

**– რაკიღა ეკლესიის თემას შევეხეთ, საინტერესოა, რას უპასუხებთ იმ კრიტიკას, რომელიც საზოგადოების მხრიდან ისმოდა თქვენი ხელისუფლების მისამართითაც... საუბარია ბიუჯეტიდან საპატრიარქოს რამდენიმემილიონიან დაფინანსებაზე, ყბადაღებულ ჯიპებზე და ა.შ.**

– ავტომობილების გადაცემაში მხოლოდ სახელმწიფო არ მონაწილეობდა, აქ მრევლის შეძლებული ნაწილის წვლილიცაა, რაც შეეხება დაფინანსებას, დიახ, ბიუჯეტიდან ფული მიდიოდა საპატრიარქოს დასაფინანსებლად, მე ვფიქრობ, რომ ეს არ იყო სწორი. შეიძლება სახელმწიფო დაეხმაროს, ხელი გაუწოდეს, მაგრამ არ შეიძლება საბიუჯეტო ორგანიზაცია იყოს ეკლესია. ეს შემდგომში იწვევს პოლიტიკისა და რელიგიის აღრევას, რაც, საბოლოო ჯამში, ორივეს აზარალებს.

# „ვფიქრობ, ნარმანია ყველაზე მ



## „მთელი ისტორია, ყველა წიგნი გვეძახის და გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ადგილი სწორედ ევროპულ ოჯახშია“

**„დიდი იმედი მაქვს, რომ 17 მაისი არ გახდება ქაოსის მიზეზი. ეს, პრინციპში, ორივე მხარეზეა დამოკიდებული. დარწმუნებული ვარ, სახელმწიფოც თავის ადგილზე იქნება ასეთი ვითარების დროს“**

ხათუნა მგალობლიშვილი

**უკრაინა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე დგას. ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები ჯერ კიდევ დაობენ, რამდენად სწორია უკრაინასა და საქართველოს შორის პარალელების გავლება. ფაქტია, რომ დასავლური ორიენტაციის მთავარი დამამუხრუჭებელი ჩვენთანაც და უკრაინაშიც ერთია. გაიტანს თუ არა რუსეთი თავისას უკრაინაში? სწორედ ამის გარკვევის შემდეგ გახდება შესაძლებელი, უფრო გადაწყვეტით ვიმსჯელოთ მომავალი ერთი წლის შესახებ. თუმცა მანამდე ვერსია, ბუნებრივია, ბევრია. რამდენად შეიძლება გახდეს ხელისშემშლელი ფაქტორი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის პატიმრობა, ან 2014 წლის 17 მაისი, ან თუნდაც უმცირესობის საკითხი, რომლის მიმართაც ეკლესიას მკაფიოდ გამოხატული შეხედულება აქვს... ამ კითხვებზე უმრავლესობას კონკრეტული პასუხი მოეპოვება. ისინი არსებულ საფრთხეებს აანალიზებენ და სწორედ ამიტომ გადაწყვეტილი აქვთ, რომ ერთობა მანამ შეინარჩუნონ, სანამ მიზანი, ანუ დასავლურ ოჯახში გაწევრიანება, მიღწეული არ იქნება.**

**თინა ხიდაშელი, უმრავლესობის წევრი:**

– ვინც ამბობს, რომ უკრაინასთან პარალელის გავლება არ არის სწორი, შეიძლება გულისხმობს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არც გუშინ, არც დღეს და არც ხვალ არ იქნება ისეთი ხელისუფლება, რომელიც შექმნის ისეთივე პრობლემებს, რომელიც დღეს უკრაინას აქვს. პოლიტიკური ძალები ასე უცბად და შეუმჩნევლად არ იბადებიან, რომ მოულოდნელად გაურკვეველი ძალა აღმოჩნდეს ხელისუფლებაში. ამ მხრივ, ნამდვილად არ არის პარალელი გასავლები. თუმცა არის მეორე მხარე. უკრაინაში არ მომხდარა ცვლილება ერთ ღამეში, ანუ უკრაინას არ დაუძინია დასავლური ორიენტაციით და არ გაუღვიძია შეცვლილი ორიენტაციით. იქ დროთა განმავლობაში შეიქმნა ფაქტების ერთობლიობა, რომელმაც ეს შედეგი მოიტანა. მე ძალიან ბევრი ვისაუბრე უკრაინულ პარტიებთან, მათ შორის რეგიონების პარტიასთან, ადამიანებთან, რომლებიც ჩემი კოლეგები არიან საპარლამენტო ასამბლეაში და სრულიად მესმის მათი, როდესაც ისინი საუბრობენ იმ ფაქტორებზე, რომლის ერთობლიობამაც უკრაინა არსებულ შედეგამდე მიიყვანა. ჩემი აზრით, შეცდომა ის არის, რომ რუსეთის ხელში პროცესის დამამუხრუჭებელმა ბევრმა ფაქტორმა მოიყარა თავი. ძალიან სამწუხაროა ის, რაც უკრაინაში ხდება, თუმცა იმედი მაქვს, რომ ევროპელი მეგობრების დახმარებით საკითხი დადებითად გადაწყდება. ამ ეტაპზე მთავარია, პროცესი სამოქალაქო ომამდე არ მივიდეს. ეს საშიშროება თუ გადაგორდა, აი, შემდეგ, ბუნებრივია, ძალიან სერიოზული საუბარი და მუშაობა მოუწევთ იმისთვის, რომ უკრაინა თავის რელსებს დაუბრუნდეს.

**– ფიქრობთ, რომ ჩვენთანაც შეიძლება გაჩნდეს პრობლემები ხელის მოწერის წინ, თუნდაც იგივე 17 მაისის სახით, ან ეკლესიიდან გამომდინარე?.. არის მოსაზრებები, რომ ქართულ ეკლესიაში რუსეთს ჩანერგილებიც ჰყავს...**

– ნამდვილად არ მჯერა, რომ ადამიანები ასე მარტივად იმართებიან. მით უფრო, როცა განათლების მაღალ საფეხურზე ადის ადამიანი, მისი მართვა კიდევ უფრო წარმოუდგენელი ხდება.

**– თუმცა ფაქტია, პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ ადამიანებს...**

– კი, რა თქმა უნდა. მაგალითად, მე მთელი ცხოვრება არა, მაგრამ დიდხანს მქონდა ეს იარლიყი. ვფიქრობ, ყველაზე კარგი პასუხი ამაზე არის არჩევანის თავისუფლება და საღი აზრი. თუ ვინმე ძალისმიერი მეთოდებით არ ცდილობს თავისუფლების შეზღუდვას, არჩევანის თავისუფლების აკრძალვას, ადამიანები, როგორც წესი, ბოლოს მაინც მიდიან სწორ არჩევანამდე. ჩვენ სხვა არჩევანი, უბრალოდ, არ გვაქვს. მეტი რაღა უნდა დაგვემართოს? მთელი ისტორია, ყველა წიგნი გვეძახის და გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ადგილი სწორედ ევროპულ ოჯახშია. რაც შეეხება 17 მაისს, დიდი იმედი მაქვს, რომ 17 მაისი არ გახდება ქაოსის მიზეზი. ეს, პრინციპში, ორივე მხარეზეა დამოკიდებული. დარწმუნებული ვარ სახელმწიფოც თავის ადგილზე იქნება ასეთი ვითარების დროს.

**– რამდენიმე დღის წინ პატარკაციშვილის ოჯახი და წინა ხელისუფლების ერთობლივი ხელშეკრულება გასაჯაროვდა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ხელახალმა გამოძიებამ უგულავას ან მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმოს?**

– პატარკაციშვილებისა და წინა ხელისუფლების ერთობლივ ხელშეკრულებას, სიმართლე გითხრათ, არ ვიცნობ, არც მინახავს, შესაბამისად, გამიჭირდება შეფასების გაკეთება. რომც მენახა, პასუხს პირდაპირ მაინც ვერ გაგცემდით. ნებისმიერი ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელსაც ორივე მხრის ხელმოწერა აქვს, პირველ რიგში, უნდა გამოვლინდეს, ნებაყოფლობითი იყო თუ არა ეს. გამოძიებამ უნდა დაადასტუროს იძულების ფაქტი. ამის შემდეგ უკვე შეგვეძლება, ვისაუბროთ უგულავასა და სხვების ბრალის დამძიმებაზე. ამას, რა თქმა უნდა, როგორც იურისტი, ისე ვამბობ. რეალურ ცხოვრებაში შემიძლია მარტივად წარმოვიდგინო, რა მოხდა „იმედთან“ დაკავშირებით, რადგან ყველაფერმა ჩვენ თვალწინ გაიარა, 7 ნოემბრიდან მოყოლებული. ამიტომ ღრმად მჯერა, რომ ეს ხელშეკრულება ნებაყოფლობითი არ იყო. თეორიული შანსიც კი არ არსებობს იმისა, რომ ეს ხელშეკრულება თავისუფალი ნების პირობებში გამოვლენილი საკონტრაქტო ურთიერთობა იყო. თუმცა გავიმეორებ, ეს აუცილებლად უნდა დადასტურდეს იურიდიულად.

**– ნაციონალების კიდევ ერთმა ლიდერმა, ვანო მერაბიშვილმა საკმაოდ მძიმე ბრალი წაუყენა ახალ მთავრობას. თქვენი აზრით, ღამე საპყრობილიდან მისი გაყვანა რეალურად მოხდა?**

– საერთოდ, ამ თემას ძალიან არასერიოზულად ვუყურებ. მერაბიშვილის პროვოკაცია იყო ეს თუ ვიღაცის ბოროტი განზრახვა, ერთი და იგივეა. ამით არაფერი იცვლება. აქ მთავარი სხვა რამ არის. საქართველოში შეიძლება ერთადერთი ადამიანია მერაბიშვილი, რომელმაც ზედმიწევნით იცის, როგორ მუშაობს სათვალთვალო კამერები პენიტენციარულ დაწესებულებებში. შეუძლებელია, რომ მას ეს არ სცოდნოდა თავისი თანამდებობიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდს ვგულისხმობ. რატომ არ იცოდა დეტალები სოზარ სუბარმა, ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა, თუმცა, სამწუხაროდ, რეალობა იყო, რომ არ იცოდა. სოზარმა იცოდა, რომ სადღაც, რომელიღაც დაწე-



**„ერთად გავალთ ამ არჩევნებზეც და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ერთად გავალთ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზეც“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აგარი ადამიანია, ვინც ამ საქმისთვის გამოდგება“




## თინა ხიდაშელი:

# „ნაციონალები თვითონ იგონებდნენ ამბებს, შემდეგ თავისივე მოგონილ ამბებზე აკეთებდნენ პიარს და მთელი ქვეყანა ცხოვრობდა ამ მოგონილი ამბებით“




სებულებაში ვიდეოჩანაწერები ათდღიანი პერიოდით ინახებოდა, შესაბამისად, ბუნებრივად გაუჩნდა განცდა, რომ ყველგან ასე ხდებოდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ არის დაწესებულებები, სადაც საერთოდ არ იწერება, ანუ მხოლოდ „live“-ია და არანაირი არქივი არ კეთდება. ესეც პრობლემაა, სხვათა შორის, მაგრამ ეს აბსოლუტურად სხვა თემაა. სწორედ ჩვენი ამ საკითხის არცოდნით ისარგებლეს ნაციონალებმა, დაგეგმეს, ოღონდ დაგეგმეს კალენდრით და შესაბამისად, გააჟღერეს ისეთ დროს, როდესაც უკვე შეუძლებელი იქნებოდა მისი გადამოწმება. ამ ყველაფრის მთავარი ფასი რა იყო? ის, რომ, რაც შეიძლება სწრაფად გაეგო საზოგადოებას მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის შესახებ და სწრაფად ამტყდარიყო ამბავი. ხომ ასეა? ამის ნაცვლად კი მერაბიშვილმა ეს შეინახა, რადგან იცოდა, რომ მის სიტყვებზე ჰამერბერგი ჩამოვიდოდა საქართველოში, მედია ატეხდა ამბავს, მოინდომებდნენ შესვლას, კადრების გადამოწმებას და ვერავინ ამას ვერ ნახავდა. მათი სურვილია, გამუდმებით იყოს ყვირილი, რომ ვანო პოლიტპატიმარია. ამისთვის საჭირო ამბები სჭირდებათ.

**– ანუ ამბობთ, რომ ეს კარგად დადგმული სცენარი იყო?**

– ეს ჩვეულებრივი ამბავია, ისინი მთელი ცხოვრება ასე ცხოვრობდნენ და კიდევ ბევრ რამეს დადგამენ. ნაციონალები თვითონ იგონებდნენ ამბებს, შემდეგ თავისივე მოგონილ ამბებზე აკეთებდნენ პიარს და შემდეგ მთელი ქვეყანა ცხოვრობდა ამ მოგონილი ამბებით. ბოლოს და ბოლოს, ომი დაგვიდგეს, ომი გაითამაშეს ტელევიზიით, სხვა რაზე უნდა ვილაპარაკოთ?

**– მერაბიშვილმა თავისი მეუღლის, თაკო სალაყაიას დაკითხვაზე დაბარება ზეწოლად შეაფასა...**

– რა მოხდა გირგვლიანის მკვლელობის ღამეს იმ საბედისწერო მაგიდასთან? რა ხდებოდა მაშინ, როდესაც 27 წლის ბიჭს, სავარაუდოდ, იმავე მაგიდიდან გაცემული ბრძანების ფარგლებში აწამებდნენ და კლავდნენ? ნაციონალების ადგილზე აღარასდროს ვახსენებდი ამ საკითხს და ერთხელ მაინც მოვიხდიდი ბოდიშს – კოლექტიურად და ინდივიდუალურად, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაციონალები ამას არ აპირებენ და ისევ ძველ კურსს აგრძელებენ. ეს მათი პრობლემა და არჩევანია. მე პირადად ძალიან მიხარია, რომ თაკო სალაყაია დაიბარეს. იმედია, ამით არ დასრულდება დაბარებების სერია და ყველა დაიკითხება, ვინც იმ მაგიდასთან იჯდა.

**– თვითმმართველობის არჩევნებზე გკითხავთ. თქვენ რომ დღეს ცალკე არსებული პარტია იყოთ და არა კოალიცია, დავით ნარმანიას მერობის კანდიდატად შეარჩევდით?**

– მე და ნარმანიას იმხელა ცხოვრების გზა გვაქვს ერთად გავლილი, როგორც „ენჯეოშნიკებს“, რომ, რა თქმა უნდა, ვენდობი და, რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში წამოვაყენებდით მას მერობის კანდიდატად. ვფიქრობ, ნარმანია ყველაზე მაგარი ადამიანია, ვინც ამ საქმისთვის გამოდგება.

**– ოპონენტების კანდიდატებზე რა ინფორმაციები გაქვთ?**

– არაფერი არ ვიცი დანარჩენი კანდიდატურების შესახებ. ეს არ არის ჩემი საზრუნავი, იმიტომ რომ ინტერესი არ მაქვს, ბუნებრივია. ნარმანია, მთელი მინისტრობის პერიოდში ისეთ მინისტრად გამოიკვეთა, რომ კითხვები არ ჩნდება. ნარმანია იყო პიროვნება „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციიდან“, რომელსაც მე, როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, პარტნიორად ვიყენებდი გვერდით. ყველა ის თვისება, რომელიც მას ჰქონდა – პასუხისმგებლობის, სამუშაო რეჟიმის შერჩევის, ბოლო წერტილამდე ჩაყოლის თვალსაზრისით, ახლა გაასმაგებულად გამოჩნდა. ეს კაცი ნახეთ საქმეში, რომელიც მას დაეკისრება მერად არჩევის შემთხვევაში. ვფიქრობ, რაიმე განსაკუთრებული საფრთხის განცდაც კი არ უნდა გვქონდეს, ვინ იქნება კონკურენტი.

**– რაც შეეხება კოალიციას, თვითმმართველობის არჩევნებზე ერთად გახვალთ?**

– ეს ლაპარაკი არ ყოფილა კოალიციაში. ეს საუბარი იყო მედიაში. ერთად გავალთ ამ არჩევნებზეც და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ერთად გავალთ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზეც. იმიტომ რომ დღეს ჩვენ ვართ პოსტვილნიუსის მდგომარეობაში. ისეთი რამ დგას რისკის ქვეშ, რომ სხვანაირად მოქცევა, უბრალოდ, გამორიცხულია. კოალიციაში არავინ არ დააყენებს რისკის ქვეშ ყველაზე უმთავრესს – არ დაუსვამს არც ერთ დამატებით კითხვის ნიშანს იმ ძალიან მძიმე გზას, რომელიც ხელმოწერამდე უნდა გავიაროთ.

**– თუმცა ურთიერთობის პრობლემები აშკარად არის კოალიციაში, თუნდაც წულუკიანის განცხადება მოწმობს ამას... იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესში ჩართული არ იყო...**

– უმჯობესია, ეს კითხვა წულუკიანს დაუსვათ, თუმცა მე არ ვიცი, რომ თეა წულუკიანი არ მონაწილეობდა პროცესში. ერთი ვიცი, რომ მთავარ პროკურორს წარადგენს იუსტიციის მინისტრი და ასეც მოხდა. თუ წულუკიანმა თქვა, რომ ის არ მონაწილეობდა შერჩევის პროცესში, მაშინ, ვფიქრობ, რაღაც თანამდებობრივი პასუხისმგებლობა არსებობს, რომლის თანახმადაც მას ეს არ უნდა ეთქვა. თუ ის თავისი ნებით არ მონაწილეობდა პროცესში, ეს მისი არჩევანი იყო. თუმცა ვფიქრობ, მსგავსი განცხადება უფრო კონტექსტიდან არის ამოვარდნილი. ისე კი, კოალიციაში პრობლემები არ არის. კოალიციაში არის დისკუსიები, ხანდახან არის თემებზე განსხვავებული მოსაზრებები, ღმერთმა დაგვიფაროს რომ მესიჯებით ვიღებდეთ იმ ტექსტებს, რომლითაც უნდა ვისაუბროთ. ეს ამბავი კარგად გახსოვთ, ალბათ, ნაციონალებიდან. ჩვენ მესიჯებს არ ვიღებთ, ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას. აი, მაგალითად, ეკონომიკაზე. პირადად მე მაქვს მესიჯები ეკონომიკასთან დაკავშირებით და შემიძლია, გაჩვენოთ კიდეც. ისინი არის სუფთა ინფორმაციული და მას არასოდეს მოჰყვება ტექსტი, შენ ეს უნდა თქვა... ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემთ იმდენად, რომ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ აღარ გვჭირდება, დავაკონკრეტოთ, ვინ რა უნდა თქვას. წინააღმდეგ შემთხვევაში არც დემოკრატია იქნება და ვერც ევროპას დავუახლოვდებით. როცა ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება აღარ იქნება კოალიციაში, შემდეგ შეგვეძლება, ვთქვათ, რომ კოალიციაში პრობლემებია. კოალიციაში უდიდეს უმრავლესობას, დარწმუნებულები იყავით, რომ პრობლემა შეექმნება, თუ ვიღაც გვეტყვის, ეს თქვით, ეს არ თქვათო... სწორედ ეს არის მთავარი, რომ კოალიციაში არავინ არავის დამცირებას, დათრგუნვას არ ცდილობს. ბუნებრივია, ვმსჯელობთ, რა თქმა უნდა, ხშირად ხმის აწევითაც არის საუბარი, მაგრამ ეს ჩხუბი არ არის. ეს ჩვეულებრივი ამბავია და სწორედ ასე მივდივართ სწორ გადაწყვეტილებამდე.

**– გამოდის, ის, რაც დავით უსუფაშვილმა სოზარ სუბარზე განაცხადა, ჯანსაღი კრიტიკა იყო და მეტი არაფერი? ან თუნდაც ასეთ კრიტიკას არ მოჰყვება კონკრეტული მინისტრის შეცვლა?**

– სოზარზე არაფერი არ უთქვამს დათოს. მან, უბრალოდ, თქვა, რომ კარგი იქნებოდა, თუ სოზარს ეცოდინებოდა აღნიშნული რეჟიმი და ასეც არის. მართლაც კარგი იქნებოდა, მაგრამ არ იცოდა. ცუდია, რომ არ იცოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანია და შეიძლება, რომ არ იცოდეს რაღაც. შეიძლება ყველა კითხვა თავში არ მოგივიდეს ყოველთვის. მაგალითად, მე „facebook“-ში ვიღაც მეკამათა, სანამ ხელისუფლებაში მოხვიდოდით, 112-ის გადასახადს აკრიტიკებდით და ახლა რატომ ხართ ჩუმადო. მართალია, ვაკრიტიკებდი, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში მართლაც არ მომსვლია თავში ეს საკითხი. უამრავი სხვა რამ მიტრიალებს და არ გამხსენებია 112. შეიძლება ვიღაცისთვის სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი. ამიტომ ვართ, რომ ერთმანეთს უნდა შევახსენოთ, მივუთითოთ და შემდეგ პასუხი მოვთხოვოთ. იგივე იყო სოზართან დაკავშირებითაც. ეს არ იყო კრიტიკა. რაც შეეხება მთავრობაში ცვლილებას, მე ამაზე ნამდვილად არაფერი ვიცი, არც მსმენია და არც ამის წინაპირობას ვხედავ.

> **„კოალიციაში პრობლემები არ არის. კოალიციაში მიდის დისკუსიები, ხანდახან არის თემებზე განსხვავებული მოსაზრებები“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE

## ინტერვიუ „მოქალაქის“ აღმასრულებელ დირექტორ გიორგი საბანაძესთან



ეკა წივწივაძე

**ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა, ფონდი „მოქალაქე“ რომ დააფუძნა, საზოგადოებისთვის ცნობილი 23 იანვარს გახდა. თუმცა ახლად შექმნილ ორგანიზაციასთან დაკავშირებით ჯერაც უამრავი დეტალია უცნობი და ბევრი კითხვა ღიად რჩება. წესით, ყველა კითხვას პასუხი 28 იანვარს, ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე გაეცემა, სადაც ყოფილი პრემიერი ჟურნალისტების წინაშე უკვე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის სტატუსით წარსდგება.**

**ვის იხილავს საზოგადოება „მოქალაქეში“ ბიძინა ივანიშვილთან ერთად, სავარუდოდ, ეს საკითხიც ხვალ გაირკვევა. ერთადერთი კონკრეტული სახელი და გვარი, რაც უკვე მედიისთვის და საზოგადოებისთვისაა ცნობილი – გიორგი საბანაძეა. საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებით საბანაძე „მოქალაქის“ აღმასრულებელი დირექტორია. სწორედ ის შეითავსებს ივანიშვილის პრესსპიკერობასაც.**

**ვინ არის გიორგი საბანაძე და როგორ მოხვდა ის „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის გვერდით?! – ამ კითხვაზე თავად საბანაძე საუბარს ჯერჯერობით ერიდება. ამბობს, რომ ყველა კითხვას პასუხს თავად ივანიშვილი გასცემს. ივანიშვილის პასუხებამდე კი „პრაიმტაიმმა“ ინტერვიუ მის პრესსპიკერთან ჩაწერა.**

**– 30 წლის გიორგი საბანაძე თბილისელია. 1983 წელს დაიბადა...**

– ოფიციალურ საბუთებში დაბადების თარიღი 15 დეკემბერი მიწერია, თუმცა დედა (ტატიანა საბანაძე) მეუბნება, რომ 12 დეკემბერს ვარ დაბადებული. რა თქმა უნდა, დედა უფრო სანდო წყაროდ მიმაჩნია, მაგრამ საბუთებში ყოველთვის 15 დეკემბერს ვწერ.

**– რაც შეეხება განათლებას, რომელ სკოლაში სწავლობდით?**

– თავს დემირელის კოლეჯელად მივიჩნევ, მიუხედავად იმისა, რომ დემირელი არ დამიმთავრებია. დამამთავრებელ კლასში ღამის სკოლაში გადავედი და უნივერსიტეტში ჩასაბარებლად რეპეტიტორებთან დავიწყე მომზადება.

**– უმაღლეს სასწავლებელზე რას გვეტყვით?**

– 2001 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ბაკალავრის დიპლომი ამ უნივერსიტეტის მაქვს. 2006 წელს მაგისტრატურაზე სწავლა „საქართველოს“ უნივერსიტეტში – პიარისა და კომუნიკაციების განხრით გავაგრძელე.

**– ახლა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სწავლობთ?**

– დიახ, უკვე მეორე წელია „ჯიპაში“ ვსწავლობ – პოლიტიკის მიმართულებით.

**– სამუშაო გამოცდილებაზე რას გვეტყვი?**

– 2004 წელს, გაზეთ „7 დღეში“ დავიწყე მუშაობა. სადაც სამი წლის მანძილზე საქართველოსა და საერთაშორისო-პოლიტიკურ მოვლენებზე ვწერდი.

2012 წელს, მეგობრებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაცია „nova societas“-ი დავაფუძნე, რომლის აღმასრულებელი დირექტორიც გახლავართ. გარდა ამისა, 2013 წლიდან დღემდე რადიო 106-ზე თოქ-შოუ „მეშვიდე სართული“ მიმყავს. 2007 წლიდან დღემდე ვმუშაობ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ვარ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების ხელძღვანელი.

გიორგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისვლა, „პრაიმტაიმთან“, ბიბლიოთეკის ყოფილმა დირექტორმა ბორის გაგუამაც გაიხსენა.

„გიორგი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი განყოფილების გამგედ კონკურსის წესით შეირჩა. ჩემი ხელმძღვანელობის დროს მოვიდა. ძალიან ნიჭიერი და კარგი ახალგაზრდაა. რაც მთავარია, შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერია“ – განცხადა „პრაიმტაიმთან“ საუბარში ბორის გაგუამ.

ალბათ, ამ თვისებების გამო არ სურთ მასთან დამშვიდობება ბიბლიოთეკის თანამშრომლებს.

„ძალიან გვიხარია გიორგის ბატონ ბიძინა ივანიშვილის გვერდით ყოფნა. თუმცა გვწყინს, რომ ჩვენგან მიდის. ძალიან კარგი პიროვნება და კარგი უფროსი იყო. წასვლის შესახებ განცხადება ჯერ დაწერილი არ აქვს. თუმცა, უკვე ერთი თვეა შვებულებაშია და ახალ სამსახურში, ალბათ, იმდენად დატვირთული გრაფიკი ექნება, რომ ბიბლიოთეკას ველარ შეუთავსებს“, – განუცხდა „პრაიმტაიმს“ ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების სპეციალისტმა გულიკო გორდელაძემ.

როგორი გრაფიკით მოუწევს მუშაობა, ამაზე თავად გიორგი ჯერ არ საუბრობს. ჯერ თავის ფუნქცია- მოვალეობაშიც ბოლომდე გარკვეული არაა.

– როგორც საჯარო რეესტრშია დაფიქსირებული, ფონდ „მოქალაქეს“ აღმასრულებელი დირექტორი გახლავართ, ამასთან ერთად, ალბათ, პრესსპიკერის მოვალეობასაც შევასრულებ.

**– ანუ გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილი მედიასთან ხშირად აღარ გამოჩნდება და მისი სახელით თქვენ ჩაატარებთ ბრიფინგებსა და პრესკონფერენციებს?**

– გულწრფელად გეტყვით, დეტალები ჯერ თავადაც არ ვიცი. 28-ში ყველაფერს თავად ბატონი ბიძინა გეტყვით.

**– მაშინ გვითხარით, როგორ გახდით ერთ-ერთი „მოქალაქე“?**

– როგორ დააკომპლექტა გუნდი და ვინ იქნება ორგანიზაციაში, ამ კითხვაზეც პასუხს თავად ბატონი ბიძინა გასცემს.

**– ანუ გამოდის, რომ გუნდი უკვე დაკომპლექტებულია?**

– დიახ, ბირთვი უკვე არსებობს, თუმცა „მოქალაქე“ ცოცხალი ორგანიზმია და მომავალშიც იქნება შესაძლებლობა წევრები დავიმატოთ.

### „დიახ, ბირთვი უკვე არსებობს, თუმცა „მოქალაქე“ ცოცხალი ორგანიზმია და მომავალშიც იქნება შესაძლებლობა წევრები დავიმატოთ“

განაცხადა ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა და იქვე „პრაიმტაიმს“ პირობა მისცა, რომ 28 იანვრის შემდეგ ჟურნალისტებთან გაცილებით უფრო ღია და გახსნილი იქნება.

**P.S. კიდევ რამდენიმე დეტალი გიორგი საბანაძის ბიოგრაფიიდან: ქართულის გარდა, რიგით მეორე ცნობილი „მოქალაქე“ სამ ენას, ინგლისურს, რუსულს და თურქულს ფლობს.**

**და ბოლოს, ცნობისთვის, სამოქალაქო სექტორში ბიძინა ივანიშვილის მარჯვენა ხელი დასაოჯახებელია.**

# რა სქემით შოუღლობდნ







მარიამ ნადირაძე

**საზოგადოებას ჯერ კიდევ ვერ აუხსნეს, როგორ გადაიქცნენ ჯინსებიანი და „შოტლანდკიანი“ გოგო-ბიჭები ნაციონალური ხელისუფლების მოსვლის პირველივე ეტაპზე „პიერ კარდენსა“ და „შანელში“ გამოწყობილ სოლიდურ მამაკაცებად და ქალბატონებად...**

მკითხველი, ბუნებრივია, მიგვიხვდება, რომ არ გვექნება საუბარი ვიზუალზე და მოდაზე. ამ სტატიაში „პრაიმტაიმი“ შეეცდება ნაწილობრივ მაინც აუხსნას მკითხველს, თუ როგორ იყენებდნენ სახელისუფლებო ბერკეტებს საკუთარი ჯიბეების გასასქელებლად და შესაბამისად, სახლის, პირი-სახის, თუ საერთო ვიზუალის დიზაინის გასაუმჯობესებლად ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლამდეც და მას შემდეგაც საჯაროდ მხოლოდ „დემოკრატიული ღირებულებების საფუძველზე სუნთქავდნენ“... ამჯერად ჩვენ ვსაუბრობთ იმ ნაწილზე, რომელიც ნაციონალური ხელისუფლების პირობებში პარლამენტში იყვნენ წარმოდგენილნი და აღმასრულებელი ხელისუფლების ძლევამოსილი სადავეები ხელში არ ჰქონდათ. ანუ, ამჯერად არ ვსაუბრობთ კეზერაშვილის, ადეიშვილის, მერაბიშვილის და სხვათა შესახებ. დღეს ჩვენ ნაციონალების ისეთ ლიდერებზე ვისაუბრებთ, რომლებიც მოსახლეობის თვალში უკანონო შემოსავლებთან არ ასოცირდებიან. მაგალითად, გიორგი ბარამიძე ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირიდან“ ახსოვს საზოგადოებას და ის „ნაციონალურ მოძრაობაში“ ე.წ. ჟვანიას გუნდს წარმოადგენდა.

იმისათვის, რომ ზოგადი სურათი გამოკვეთილიყო „პრაიმტაიმმა“ გადაწყვიტა თითო ფიგურა აეღო ზემოთ ჩაოთვლილი ლიდერების გუნდიდან და მისი ბიზნესების შესახებ ინფორმაცია მოეძიებინა. შედეგად ძალიან საინტერესო სურათი მივიღეთ.

მაშ ასე, თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ინფორმაციას გია ბარამიძეზე, რომელიც ჟვანიას გუნდის წევრი იყო, გიორგი თევდორაძე, რომელიც „ბურჯანაძე-დემოკრატებიდან“ მოდის და დავით ბაქრაძეზე, რომელიც თავიდან ნინო ბურჯანაძის თანამოაზრედ აღიქმებოდა. ინფორმაციები კი აბსოლუტურად რეალურია, რადგან პირადი წყაროების მიერ მოწოდებული მასალები გამოქვეყნებამდე საჯარო და სამეწარმეო რეესტრების ბაზებში გადავამოწმეთ და მათ ავთენტურობაში დავრწმუნდით.

გასული წლის 2 სექტემბრის მონაცემებით გიორგი ბარამიძე ვერაზე მდებარე სასტუმრო „ვარაზის“ სამპროცენტიანი წილის მფლობელია. ამ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემოსავალი კი 10 მილიონს შეადგენს.

მისი მეუღლე, ეკა ჯაფარიძე შპს „ოპერას“ წილიდან 10 პროცენტს ფლობს. ეს კომპანია სპილენძის ფურცლების, ავეჯის და საოფისე ინვენტარის იმპორტს ახორციელებს და მისი საერთო შეოსავალი 12 მილიონს შეადგენს.

გია ბარამიძის რძალი (ძმის ცოლი), ნია მღვდელაძე 63-პროცენტიან წილს ფლობს შპს „ეკო-სფეროში“, რომლის საქმიანობას თხევადი ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა წარმოადგენს და მისი ერთობლივი შემოსავალი მილიონი ლარია.

გიორგი ბარამიძესთან დაკავშირებულ საწარმოებს მთლიანობაში მიღებული აქვს 23 მილიონი ლარის შე-

### „გია ბარამიძის შესახებ თავის დროზე მსმენია, რომ საქალაქთაშორისო ავტობუსების ავტოპარკი მის ხელში იყო...“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ენ ფულს ნაციონალი დეპუტატები?



გია ბარამიძის მიერ გაყიდული სახლი ახვლედიანის აღმართზე



## პეტრე მამრაძე: „სამაგიეროდ წამოვიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაქრაძის სიმამრი, რომელსაც სამშენებლო კომპანია ჰქონდა, ერთმანეთის მიყოლებით იგებდა სახელმწიფო ტენდერებს“

მოსავალი. პირადად ფიზიკურ პირს გიორგი ბარამიძეს კი - 2 მილიონი, რომელიც სახლის გაყიდვას უკავშირდება. ეს სახლი მან, ელენე ახვლედიანის აღმართზე, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ააშენა. მიწის ფართობი 453 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ხოლო მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის ფართი 365 კვადრატული მეტრია. მიწისქვეშა ავტოსადგომით, ფართით 95 კვადრატული მეტრი და შენობა ნაგებობა #2, რომელიც გასული წლის 3 ივნისს თემურ უგულავას მიჰყიდა, რომელიც კაზინო „აჭარის“ მფლობელი გახლდათ.

მოდით ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ შედარებით ახალი ლიდერის გიორგი თევდორაძის ოჯახში შევიხედოთ: მისი ძმის, დავით თევდორაძის სახელზე რეგისტრირებულია 149 კვადრატული მეტრის უძრავი ქონება ქუთაისში, რომელიც 2008 წლის 27 თებერვლამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრება იყო და ამ დღეს მან ის აუქციონზე შეიძინა. ის შპს „დაიკას“ 25 პროცენტიანი წილის მფლობელია. საწარმოს საქმიანობის სფეროს სატერმინალო მომსახურება წარმოადგენს (ქუთაისში არსებული ტერმინალი - მ.ნ.) და მისმა ბუნვამ 2 მილიონი ლარი შეადგინა.

**„როდესაც ამ სქემებს ვსწავლობდი, გამოიკვეთა ასეთი პრინციპი: მე შენ მოგცემ ამ ტენდერს, მაგრამ დიდ ნაწილს დააბრუნებ „ობშიაკში“**

დეპუტატის მამას, იუზა თევდორაძეს წყალტუბოში არსებული 600 კვადრატი მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა დედა-ენის ქუჩაზე, არც მეტი, არც ნაკლები, გასული წლის 10 მაისს ჩუქების ხელშეკრულებით გადასცემია. ეს ადამიანი, 50 პროცენტ წილს ფლობს შპს „ლს და თი“-ში. ამ საწარმოს ჯამური ბრუნვა 3 მილიონ ლარს აღწევს.

ახლა დავით ბაქრაძესაც მივადექით. ბევრს, ალბათ, გაუკვირდება, რატომ დავინტერესდით მასთან ასოცირებული კომპანიებით. გვინდა მოგახსენოთ, რომ სწორედ იმ ნიშნით მოხდა დაინტერესება, რა ნიშნითაც შეიძლება ამ ადამიანების გაკვირვება გამოვიწვიეთ. ეს არის ადამიანი, რომლის ფინანსური შემოსავლები არასდროს ყვირის. თუმცა, როგორც ირკვევა, მის სიმამრს, ლერი მეტრეველს 50 პროცენტიანი წილი აქვს სამშენებლო კომპანია „ბელდ ინვესტში“, რომლის შემოსავალი 30 მილიონი ლარია. გამარჯვებულია ორ სახელმწიფო ტენდერში (ტენდერის # SPA110020878 და SPA110012446), რომელთა ჯამური ღირებულება 1 118 181 ლარია. იმავდროულად ლერი მეტრეველი 14 პროცენტიან წილს ფლობს შპს „ჯიმსაშენში“, რომელსაც 2008 წლის 19 ნოემბრის პრივატიზებით საკუთრებაში აქვს დარეგისტრირებული 950 ჰექტარი მიწის ფართობი დმანისის რაიონში.

ეს მშრალი ინფორმაცია, რომელიც ჩვენ საჯარო დაწესებულებებიდან მოვიპოვეთ, კონკრეტულ პოლიტიკოსებთან ასოცირებულ კომპანიებთან დაკავშირებით, ჩვენს მკითხველს გარკვეულ ინფორმაციას უქმნის იმის თაობაზე, რომ გუნდის წევრებს სხვადასხვა დოზით ჰქონდათ ე.წ. დაშვება ფულის კეთების მექანიზმებთან, თუმცა, ჩვენი რესპონდენტი აგვიხსნის სქემას, რომლის ფარგლებში მიღებული თანხებიც „ობშიაკისკენაც“ უნდა გადანაწილებულიყო.

**მაშ ასე, „პრაიმტაიმი“ პეტრე მამრაძეს ესაუბრება:**

- საქართველო ჯერაც იმ გარდამავალი ქვეყნების რიგშია, სადაც გამდიდრება, თუნდაც ბიზნესის წარმოება, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი მივა ძალაუფლების გარკვეულ საფეხურამდე მაინც. ასეთი „სახურავის“ გარეშე ეს ვერ ხერხდება. თომას ჯეფერსონს აქვს ნათქვამი, რომ თუ ხალხმა ვერ შექნა საკუთარი მთავრობის გაკონტროლების მექანიზმი, მაშინ უნდა შევურიგდეთ, რომ ქვეყნის მთელი დოვლათი ამ ადამიანების და მათი ოჯახის წევრების ხელში გადავა. სააკაშვილს გუნდის შიგნით ასეთი დევიზი ჰქონდა - ყველა კარგი ტიპი ჩვენგან მიხედილი უნდა იყოს. ეს ნიშნავდა იმას, რომ თუ სადმე გაიგებდნენ ახალგაზრდა ადამიანის არსებობის შესახებ, რომელმაც უცხო ენები იცის, შეუძლია უცხოელებზე დადებითი შთაბეჭდილების მოხდენა, თუნდაც ის იმ მომენტში სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგი ყოფილიყო, მისთვის თანამდებობა უნდა შეეთავაზებინათ. ამას მოყვებოდა მაღალი ხელფასი, დანამატი, პრემია, მოემსახურებოდა ამ კარგ ტიპს შავი ჯიპი. მერე უკვე გაჩნდებოდა მისი ბიზნესი სიმამრის სახელზე, რომელიც წარმატებით განხორციელდებოდა. მახსოვს, თედო ჯაფარიძემ ერთხელ დავით ბაქრაძის შესახებ მითხრა, ნიჭიერი ახალგაზრდაა და მიხედეო. ის საოცარ კარიერას იკეთებდა, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარეც რომ იყო, რეალური ხელისუფლება მაშინაც კი არ ჰქონია ხელში. მას და პრემიერ გილაურს, ერთად აღებულს გაცილებით ნაკლები ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე მერაბიშვილის რომელიმე მოადგილეს, ვთქვათ ეკა ზღულაძეს. სამაგიეროდ წამოვიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაქრაძის სიმამრი, რომელსაც სამშენებლო კომპანია ჰქონდა, ერთმანეთის მიყოლებით იგებდა სახელმწიფო ტენდერებს. ამ მოგებული ტენდერებით აღებული ვალდებულებების უმეტესობის განხორციელება ჯერაც არ დაწყებულა. არადა ფული გადახდილია.

მაგალითისთვის შემიძლია მოგიყვანოთ გიგა ბოკერიას შემთხვევაც. მას დეკლარაციაში ეწერა, რომ მამისგან 75 ათასი დოლარი ჰქონდა მიღებული საჩუქრად. მამას კი სამშენებლო კომპანია ჰქონდა, რომელიც ტენდერებს იგებდა. ერთი სიტყვით, შვილიკოს გამო მამიკო იგებდა ტენდერებს, მერე კი მამიკო შვილიკოს ასეთი სოლიდური თანხებით ასაჩუქრებდა... როდესაც ამ სქემებს ვსწავლობდი, გამოიკვეთა ასეთი პრინციპი: მე შენ მოგცემ ამ ტენდერს, მაგრამ დიდ ნაწილს დააბრუნებ „ობშიაკში“. მე მოწმე ვარ იმის, რომ ერთ ახალგაზრდა ბიჭს მოაგებინეს სამეგრელოში გაზის მილების გაყვანაზე ტენდერი იმიტომ, რომ „ძმა“ იყო და „მიხედილი“ იყო. მერე კი მოსთხოვეს, რომ „ობშიაკში“ 300 ათასი დოლარი შეეტანა. კაცი გაოგნდა, რადგან ეს თანხა იმაზე მეტი იყო, რაც საერთოდ ამ ტენდერიდან მას დარჩა. მისგან ვიცი, რომ შეყარა ის ადამიანები, როლებსაც მიშასთან პირდაპირ ხაზზე შეეძლო გასვლა და ვის სატელეფონო ზარებსაც მიშა პასუხობდა. ერთ-ერთმა ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და მითხრა, ახლა რომ მიშას დავურეკო, იმან კი ყვირილი რომ დაიწყოს, მაშინ 500 ათასი მოატანინეთო, მერე რა გეშველებაო?

**- რამდენად ენდობოდნენ მაშინ ე.წ. ჟვანიას გუნდის წევრებს და აძლევდნენ თუ არა მათ თუნდაც ასეთი სქემით ფულის შოვნის საშუალებას?**

- მაშინ ძალიან საინტერესო პროცესები დაიწყო. ამ გუნდის დიდი უმრავლესობა ცდილობდა სააკაშვილისთვის დაემტკიცებინა, მათზე მეტი ნაცი იყო, ვიდრე ისინი, ვინც თავიდანვე იყო ამ მოძრაობაში. იყო უნდობლობა და კონკურენცია, მაგრამ ჟვანიას გუნდის წევრები ყველანაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ერთგულება მიშასთვის.

**- ეს „ერთგულება“ რამდენად აისახა მათ შემოსავლებზე?**

- მე მიყვებოდნენ, რომ გია ბარამიძის მეუღლის კომპანიამ ერთმანეთზე მიყოლებით მოიგო მერიის ტენდერები დიზაინზე. იმავდროულად მესმოდა, რომ ძველ თბილისში ბარამიძე აშენებდა ვებერთელა სახლს სიდედრის სახელზე.

**- გულისხმობთ სახლს ახვლედიანის აღმართზე?**

- დიახ, სწორედ მას. გინდათ ერთი სასაცილო ამბავი მოგიყვეთ? მეცნიერი დავით აფრასიძე თავის დროზე გია ნოდიასთან მუშაობდა. დაახლოებით 3-4 წლის წინ ვკითხულობ „ფრიდომ ჰაუზის“ ანგარიშს, რომელიც ფრიად კრიტიკულია იმ ხელისუფლების მიმართ. დავინტერესდი ავტორით, რომელიც სწორედ დავით აფრასიძე აღმოჩნდა. ის, იმხანად უცხოეთში მუშაობდა. 2 თვეში დავით აფრასიძე პოლიციის რექტორად დაინიშნა. ვიცნობ თქვენს კოლეგას, რომლის სახელსაც არ დავასახელებ და თავის დროზე დევიდ სმიტს 2008 წლის შემდეგ შეკითხვები დაუსვა ომთან დაკავშირებით. საკმაოდ მწვავე და მომზადებული პოზიცია ჰქონდა. დასვა კითხვები, თუ რამდენად ოპტიმალურად იმოქმედა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, შეიძლებოდა თუ არა პროვოკაციის თავიდან აცილება და ა.შ. იმას გაუჭირდა პასუხების გაცემა. ამ ინტერვიუდან 2 დღის შემდეგ ამ ჟურნალისტს მერაბიშვილისგან დაურეკეს და პრესსამსახურის უფროსობა შესთავაზეს 4 000 ლარიანი ჯამაგირით, პრემიებით, ჯიპის მომსახურებით და ა.შ. მოგვიანებით გაირკვა, რომ მათ ეს შეთავაზება დევიდ სმიტის რეკომენდაციით გაუკეთებიათ - ჭკვიანი გოგოა, გონება უჭრისო. ამ ქალმა უარი თქვა ამ შეთავაზებაზე. ესეც ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებოდა „კაი ტიპების მიხედვა“ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან. საბოლოოდ კი მოხდა ისე, რომ ახალგაზრდების ის კრიტიკული მასა, რომელსაც განათლება უცხოეთში ჰქონდა მიღებული და სერიოზული პოტენციალი ჰქონდა, აღმოჩნდა „ნაცებთან“, როგორც მომსახურე პერსონალი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა დაუმტკიცა ლევან ყიფ

მაგდა კლდიაშვილი

**მისი მინისტრობის კანდიდატად წარდგენისას ერთადერთ ღირსებად მამამისის შვილობა ჩაუთვალეს. რა დაამტკიცა და გააკეთა ლევან ყიფიანმა ყოფილი პრემიერის სიტყვების საპასუხოდ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი, თვლის, რომ თუკი უკრაინა მიემგზავრება სოჭის ოლიმპიადაზე, მაშინ საქართველომ რატომ უნდა თქვას უარი ამაზე. გაუწევს თუ არა ის მიხეილ ყაველაშვილს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე ლობირებას - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან ყიფიანთან.**

**- როდესაც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა პოსტზე წარგადგინათ, განაცხადა, რომ თქვენი ერთადერთი ღირსება დავით ყიფიანის შვილობა იყო. არ ლახავს თქვენს ღირსებას ის, რომ თქვენი ერთადერთი ღირსება მამათქვენის შვილობაა?**

- მან თქვა, რომ ერთ-ერთი ღირსებაა დავით ყიფიანის შვილობა. ამაში მეც ვეთანხმები, ვამაყობ დავით ყიფიანის შვილობით და, რა თქმა უნდა, ეს მეტს მავალდებულებს. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა და დავამტკიცებ, რომ სხვა ღირსებებიც მაქვს. წელიწად-ნახევრის განმავლობაში მაქსიმუმის კეთებას ვცდილობ. რამდენი დროც დამჭირდება და დავრჩები, ჩემს შესაძლებლობებს გამოვავლენ. ეს მოტივაცია უფრო მავალდებულებს, რომ მქონდეს მეტი დადებითი იმპულსი, მეტი შევმატო ქვეყანას და გავამართლო ეს გვარი.

**- წელიწადზე მეტია რაც მინისტრი ხართ, რა გააკეთა ლევან ყიფიანმა, იმის დასამტკიცებლად, რომ მას სხვა ღირსებებიც აქვს?**

- პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ლევან ყიფიანმა, ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე, ძველი და ახალი კადრების შერწყმით სამინისტროში საქმიანი და ძალიან მეგობრული გუნდი ჩამოაყალიბა - ეს არის უპირველესი ღირსება. გუნდური მუშაობით გავმიჯნეთ სპორტი და ახალგაზრდობა პოლიტიკასგან. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, ეს არ არის ის მაქსიმუმი, რაც უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ ზედმეტად პოლიტიზირებული იყო ეს უწყება, რომელიც ზეგავლენას ახდენდა არა მარტო სპორტსმენებზე, არამედ ახალგაზრდობაზეც. მოსვლისთანავე განვაცხადე, რომ სპორტი და ახალგაზრდობა უნდა იყოს დეპოლიტიზირებული. სამინისტრო ღია გახდა ყველასთვის. ვისაც სურვილი ექნება, მობრძანდეს და თავისი მოსაზრება, პროგრამა ექნება, დააფიქსიროს აზრი. უნდა მოხდეს სპორტულ ფედერაციებში ჯანსაღი ძალების მობილიზება, ფედერაციაში ჩაურევლობის პრინციპით ჯანსაღი რეფორმების წახალისება, რაც აქამდე არ იყო ჩვენს ქვეყანაში. ფედერაციები გახლავთ დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილები არიან დარგების მიხედვით. მათ უნდა ჰქონდეთ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება. მივაღწიეთ იმას, რომ ფედერაციებში ჩატარდა კონკურენტული არჩევნები, ცვლილებები მალე საკანონმდებლო კუთხითაც მოხდება, რომ არ დაიწყოს ამ ფედერაციების გამოყენება პირადი ინტერესებისთვის, ანუ სკამების მორგება პიროვნებებზე. აი, ამ კუთხით წავედით, პირველ რიგში. ეს არის ის ძირითადი პრინციპები, რითაც უნდა არსებობდეს სპორტი და ამ პრინციპებს დღესაც ვიცავთ, ჩაურევლობას ვგულისხმობ. ეს ჩვენი სპორტული საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელია. რაც შეეხება ახალგაზრდობას, ახალი თემატიკა შემოვიტანეთ და მეტი აქცენტი გადავიტანეთ ბავშვებზე, ეს ახალგაზრდობის ნაწილია. ასევე, მაქსიმალურად ვეცდებით, იმ პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებით, უახლოეს პერიოდში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება, ერთხელ და სამუდამოდ განისაზღვროს, თუ რა პოლიტიკას ატარებს ქვეყანა. შეიქმნა პოლიტიკის ორი დოკუმენტი, ერთი სპორტის, ერთი კი ახალგაზრდული კუთხით, მზადების პროცესშია სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ამ წელს პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგმება. წლევანდელი წელი არის საკანონმდებლო ცვლილებების, ინფრასტრუქტურის განვითარების და იმ შედეგების გაუმჯობესების წელი, რაც შარშან იყო.

„კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არ იყო ჩემი პირადი გადაწყვეტილება. შექმნილი იყო კომისია, რომელმაც ეს, გადაწყვიტა სპორტულ შედეგებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით მიიღო, არანაირი პირადი დამოკიდებულება. პირად ინტერესებზე დაყრდნობით არ ვმოქმედებ, მით უმეტეს, ჩემი აზრი გამაჩნია, კერძოდ, ფეხბურთთან დაკავშირებით. იმპულსებით არ ვხელმძღვანელობ“

**- როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სპორტისა და პოლიტიკის გამიჯვნაზე, ჭიდაობის ფედერაციაში, ლუკა კურტანიძის გარშემო იყო ხმაური. ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვია, მისი მოადგილე შოთა ხაბარელის შვილი. მაშინ როგორ გამოდის გამიჯნული სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან?**

- საქართველო პატარა ქვეყანაა, ლუკა კურტანიძის პოლიტიკური ჩართულობა გასაკვირი არ არის.

**- დიახ, მაგრამ ის ხომ იყო „ქართული ოცნების“ წევრი და მისი აქტივისტი?**

- მაშინ „ქართული ოცნების“ გვერდით მთელი საქართველო იდგა...

**- თუმცა, ყველა მინისტრი და ფედერაციის პრეზიდენტი არ გამხდარა.**

- პრეზიდენტებს ირჩევენ, არ ხდებიან. ლუკა კურტანიძე საჭიდაო ოჯახმა აირჩია, არ დაუნიშნავთ, ისევე, როგორც არ დაუნიშნავთ ლერი ხაბელოვი. ლერი ხაბელოვი წინა წლებში იყო ფედერაციის პრეზიდენტი, ძალით გააგდეს, გააქციეს საქართველოდან, არ უნდა დაგვავიწყდეს ეს. ის, რომ დღეს, ლერი ხაბელოვი პარლამენტშია, მის საზოგადოებრივ შესაძლებლობას უსვამს ხაზს. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და არ ზღუდავს ამაში მას. ჩვენ ვიყავით წინააღმდეგი, რომ ალმასკომებში, ფედერაციებში, ვიცე-პრეზიდენტებად არ ყოფილიყვნენ ის პარტიული პირები, როგორც ეს იყო ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის ფედერაციაში. ესენი იყვნენ ის პარტიული ადამიანები, რომლებსაც ამ სფეროებთან არაფერი ესაქმებოდათ. ახლა გადახედეთ ჩამონათვალს, უცხო პირები არ არიან იქ შესულები, ყველას კონკრეტულ დარგთან აქვს კავშირი.

**- წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე თქვენმა ერთ-ერთმა მოადგილემ განაცხადა, რომ წინა მინისტრისგან ბევრი გაფუჭებული საქმე დახვდათ. რა მემკვიდრეობა დაუტოვა ლადო ვარძელაშვილმა სპორტის სამინისტროს და რისი გამოსწორება შეძელით?**

- რთული პროცესები მიმდინარეობს. ბევრი დანიშნულება ჰქონდა სამინისტროს. მოვახერხეთ და გავაუქმეთ ის რეგიონალური განყოფილებები, რომლებშიც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ფუნქციურად არაფერი ესაქმებოდათ იქ. ჩამოვაყალიბეთ ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც აანალიზებს და ჩვენს თანამშრომლებს წარუდგენს იმ ტენდენციებს, რომელიც აქამდე არ არსებობდა, როგორც სპორტული, ისე ახალგაზრდული კუთხით. შეიქმნა ინფრასტრუქტურის სამმართველო, რომელმაც მთელი საქართველოს მასშტაბით 250-მდე სპორტული ობიექტის მონიტორინგი ჩაატარა. სამწუხაროდ, მინდა გითხრათ, ჩვენი წინა ხელისუფლება ზარ-ზეიმით რომ ხსნიდა სპორტულ ობიექტებს, არც ერთი მათგანი თანამედროვე სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. ინფრასტრუქტურა უხარისხოა, ფული დახარჯული. ქუთაისის სპორტის სასახლე უნდა ნახოთ, რა აგია იატაკზე. აუზები აშენდა, წყალი გასდის, ან უკეთეს შემთხვევაში საჭყუმპალაოებია გაკეთებული. სწორედ ამის გაკეთებას და გამოსწორებას ვცდილობთ, რაც დროს მოითხოვს და მეამაყება, რომ 90-იანი წლებიდან, პირველად, საქართველოში, სპორტი გახდა ყველაზე მოთხოვნად სიაში, იმ პრიორიტეტებში, რომელსაც ინფრასტრუქტურის სამინისტრო ადგენს, 30-მდე სხვადასხვა სახეობებში მიჯნავს და ჩვენ მეექვსე ადგილზე ვართ. ეს ნიშნავს, რომ სპორტის აქტუალობამ აიწია და თითოეულმა მოქალაქემ იცის, რა მნიშვნელობა აქვს ამას. სამინისტროს პრიორიტეტია, მოვახდინოთ სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განსაზღვრა ქვეყანაში, შემდეგ უკვე განხორციელება. მივაწოდებთ მას მუნიციპალიტეტებს და წლების განმავლობაში გაიწერება გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა. ველოდებით იმ ცვლილებებს, რომელიც ახლო მომავალშია დაგეგმილი, ადგილობრივი თვიმმართველობებისა და მერების არჩევნებთან დაკავშირებით, ეს ჩვენთან პირდაპირ კავშირშია.

**- რა ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელა სამინისტრომ გასულ წელს?**

- ჩვენ დავიწყეთ იმით, რომ ხელბურთის საერთაშორისო ჩემპიონატს ვუმასპინძლებთ 2017 წელს, 2015 წელს ახალგაზრდული ფესტივალია დაგეგმილი, რომელმაც მოგვცა საშუალება, დაგვეწყო რეაბილიტაციის პროცესი და მშენებლობები. მოხდება ძველი დარბაზების რეკონსტრუქცია, რომელიც იმის საფუძველი იქნება, რომ იქ სპორტსმენი შევიდეს და ვარჯიში დაიწყოს. ეს პროცესი დაწყებულია და უკვე 2015 წელს ახალი ობიექტები გვექნება. წყალტუბოში, ზუგდიდში შენდება სტადიონები; ზუგდიდში ასევე შენდება საციგურაო მოედანი. 2017 წლის ჩემპიონატისთვის იგეგმება ხუთ სხვადასხვა რეგიონში მინი სპორტის სასახლის აშენება. ეს გრძელვადიანი პროექტებია, ამიტომ წელს პროექტირების წელი იქნება, ძალიანაც რომ გინდოდეს განხორციელება, ვერ შეძლებთ. ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი ინფრასტრუქტურა, რაც შემდეგ ქვეყანაში დარჩება და განვითარდება.

**- აუცილებლად მინდა გკითხოთ ვერის ბაღში მდებარე სტადიონზე, რომელიც ახლა ავტოსადგომად არის ქცეული. ამ**




„მოვახერხეთ და გავაუქმეთ ის რეგიონალური განყოფილებები, რომლებშიც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ფუნქციურად არაფერი ესაქმებოდათ იქ“




„სამწუხაროდ, მინდა გითხრათ, ჩვენი წინა ხელისუფლება ზარ-ზეიმით რომ ხსნიდა სპორტულ ობიექტებს, არც ერთი მათგანი თანამედროვე სტანდარტებს არ აკმაყოფილებს“

„ინფრასტრუქტურა უხარისხოა, ფული დახარჯული. ქუთაისის სპორტის სასახლე უნდა ნახოთ, რა აგია იატაკზე. აუზები აშენდა, წყალი გასდის, ან უკეთეს შემთხვევაში საჭყუმპალაოებია გაკეთებული“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იანძა ზიძინა ივანიშვილს



## ბიძინა ივანიშვილის თვალით დანახული ლევან ყიფიანის ერთადერთი ღირსება

**„ზედმეტად პოლიტიზირებული იყო ეს უწყება, რომელიც ზეგავლენას ახდენდა არა მარტო სპორტსმენებზე, არამედ ახალგაზრდობაზეც“**

**„ლუკა კურტანიძე საჭიდაო ოჯახმა აირჩია, არ დაუნიშნავთ, ისევე, როგორც არ დაუნიშნავთ ლერი ხაბელოვი. ლერი ხაბელოვი წინა წლებში იყო ფედერაციის პრეზიდენტი, ძალით გააგდეს, გააძევეს საქართველოდან“**

**უკრაინის ოლიმპიური ნაკრები მიემგზავრება და ჩვენ რატომ უნდა ვთქვათ უარი გამგზავრებაზე. ჩვენ გამოვთქვით პროტესტი და მსოფლიომ იცის, რას წარმოადგენს რუსეთი. ჩვენ გავმიჯნეთ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან, თუმცა მაინც ერთვება ამაში პოლიტიკა, ამიტომ მხოლოდ სპორტული დელეგაცია მიემგზავრება, სამთავრობო დელეგაცია კი არ მიდის - ეს უკვე პოზიციაა!**

**სტადიონთან დაკავშირებით გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, იმიტომ, რომ საზოგადოებას კარგად მოეხსენება, ამ სტადიონზე დავით ყიფიანმა დაიწყო თამაში. აქ აიდგით თქვენ ფეხი და იყო ბევრი საუბარი იმაზე, თითქოს, გულგრილად მოეკიდეთ ამ სტადიონის ამბავს, თუ აპირებთ გარკვევას და ყურადღების მიქცევას?**

- გულგრილად ნამდვილად ვერ მოვეკიდები ამ საკითხს. ყველა სტადიონი, რაც კი საქართველოში გაუქმებულა, ყველასთან ვიდექი და ჩემს პრინციპულ პოზიციას ვაფიქსირებდი. ეს არასწორი განმარტებაა. რამდენჯერმე ვიყავი იმ ადგილას, შევხვდი მცხოვრებლებს, ვისაც ვიცნობ და არ ვიცნობ. ვისი გაკეთებულია და ვის დაავალა მერიამ ეს, ამის გარკვევა მიმდინარეობს. საკითხი ღიად რჩება და გადაჭრით არ შეიძლება ასე ლაპარაკი, რომ მე გულგრილი ვარ. მინდა საზოგადოებას და თქვენც მოგიწოდოთ, რომ შეფასებებში უფრო კორექტულები იყოთ. როგორ შეიძლება გულგრილი ვიყო იმ ადგილისადმი, სადაც გავიზარდე. ვინმესთან თავის გამართლება არ მჭირდება. ეს უნდა გადაწყვიტოს მერიამ. კიდევ ერთელ ვამბობ, რომ არც ერთი სტადიონი არ გაიყიდება, არ დაინგრევა, თუ მის ნაცვლად, სხვა ადგილას, უკეთესი არ აშენდება.

**- წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე საუკეთესო მენეჯერად რაგბის კავშირის პრეზიდენტი დაასახელეთ. ფეხბურთის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტისა და თქვენი ურთიერთობის შესახებ საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, ნომინირებულიც არ იყო. მაშინ, როდესაც სფფ-მ „ოთხთა ფინალი“ მაღალ დონეზე ჩაატარა, ასევე, რიგი ელიტ-რაუნდებისა, ნომინაციაში წარდგენას მაინც არ იმსახურებდა ფედერაციის პრეზიდენტი, ზვიად სიჭინავა? თქვენმა პირადმა შეხედულებებმა ხომ არ გადაწონა?**

- კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არ იყო ჩემი პირადი გადაწყვეტილება. შექმნილი იყო კომისია, რომელმაც ეს, გადაწყვიტა სპორტულ შედეგებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით მიიღო, არანაირი პირადი დამოკიდებულება. პირად ინტერესებზე დაყრდნობით არ ვმოქმედებ, მით უმეტეს, ჩემი აზრი გამაჩნია, კერძოდ, ფეხბურთთან დაკავშირებით. იმპულსებით არ ვხელმძღვანელობ. მაქვს ყოველდღიური ურთიერთობა სფფ-ს გენერალურ მდივანთან, რეზო არველაძესთან. სამუშაო ურთიერთობა ზვიად სიჭინავასთან და ვითხოვ იმას, რომ ნორმალურად მოხდეს ბიუჯეტის დაგეგმვა. საქართველოს მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი არ სჭირდება, ეს ბევრჯერ მითქვამს. ფედერაციამ ფეხბურთზე და სტრუქტურულ ცვლილებებზე უნდა გააკეთოს აქცენტი. ეს საფეხბურთო პოლიტიკაა, არანაირი პიროვნული არ არსებობს. გია ნიჟარაძე კი იმ შედეგების მიხედვით დასახელდა, რაც რაგბს ჰქონდა.

**- არველაძე ახსენეთ, ეს ადამიანი წლების განმავლობაში ფედერაციაში მმართველ გუნდში იყო. გვახსოვს, იყო ბევრი ვალი, ახლა სიჭინავასთან გაქვთ უთანხმოება, თანაც ის პრეზიდენტობასაც აპირებს. თუკი ვსაუბრობთ ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაზე, რატომ არ უნდა დადგეს რეზი არველაძის პასუხიმგებლობის საკითხი?**

- ეს რეზოს უნდა ჰკითხოთ, იღებს თუ არა პასუხისმგებლობას. ყველას აქვს უფლება, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, დანარჩენ კითხვებს კი თავად რეზო გასცემს პასუხს. მე რომ მინისტრი ვარ, ავიღებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას, იმის მიხედვით, რა მექნება გაკეთებული. ეს ადამიანების მოვალეობაა.

**- როდესაც თქვენ მინისტრი გახდით და ყველამ იცის, რომ დავით ყიფიანის ვაჟი ხართ, იყო იმედი, რომ ფეხბურთს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. იმის გამო, რომ სალაპარაკო არ გახდეთ, ხომ არ დაგეჩაგრათ ეს სახეობა?**

- სპორტი და ფეხბურთი განვაცალკეოთ ერთმანეთისგან. მსოფლიოში დღეს ფეხბურთი დგას ერთ მხარეს, სპორტის დანარჩენი სახეობები - ცალკე. ეს არ არის ჩემი განცხადება. ეს გამომდინარეობს იქიდან, თუ რა მდგომარეობაა მსოფლიოში ფეხბურთზე. მაღალი დასწრება, მოთხოვნა, ჩართულობა, ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ფეხბურთის განსაკუთრებული სოციალური დატვირთვა აქვს. ყველგან, სადაც ფეხბურთი არ არის ბიზნესი, არის სოციალური დატვირთვის. საქართველოში დიდი ხანი ვერ იქნება ფეხბურთი ბიზნესი, ამიტომ მას უნდა მიენიჭოს სოციალური სტატუსი. სპორტის მინისტრი, უეფაში, იმ პროექტების თანამონაწილედ დაფიქსირდა, რომელიც უნდა განახორციელოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფას დახმარებით. არსებობს კონკრეტული ხედვა, რომელიც გვაქვს და მიბმულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. უეფას პრეზიდენტი პირდაპირ მიწვევს თავის ოფისში და მინისტრებისთვის ასე ადვილი არ არის მის კაბინეტში მოხვედრა. ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, ფეხბურთში სიტუაცია დავალაგო. დღეს რაც ხდება, მარაზმია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასამარდეს ის უმსგავსობა, რაც დღეს ფეხბურთშია. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ფეხბურთი არ არის მიტოვებული, ვმუშაობთ და ყველა სპორტის სახეობას უნდა მიექცეს ყურადღება. ეს ჩემი მოვალეობაც არის და შინაგანი განწყობაც.

**- მას შემდეგ, რაც საფეხბურთო კლუბმა გორის „დილამ“ თქვენგან დაფინანსება მიიღო, კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვიეთ. ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ თუკი 11 იანვრამდე კლუბების ბიუჯეტის ანგარიშზე 23 მილიონი ლარი არ დაირიცხებოდა, ის თანამდებობას დატოვებდა. როგორ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო კლუბებს?**

- არ ვიცი, რას ამბობდა სიჭინავა. ვიცი, რა სჭირდება ფეხბურთს, კერძო სექტორსა და მუნიციპალურ კლუბებს. ფეხბურთი არის მეტად ძვირადღირებული სპორტი. დღეს ყველაზე მეტად ის ხალხი გვაკრიტიკებს, ვინც სახელმწიფოს ყველაზე მეტი ფული დახარჯა და ვთვლი, რომ არამიზნობრივად მოხდა ხარჯვა. ეს არის ის დარგი, რომელიც ფრთხილ მიდგომას მოითხოვს და ამაში უნდა იყოს ჩართული ყველა ის სტრუქტურა, რომელიც არსებობს, მით უმეტეს, სახელმწიფოს გარეშე ფეხბურთი ვერ იარსებებს. შესაბამისად, ჩართული უნდა იყვნენ მუნიციპალიტეტები, სწორი სტრუქტურის შემთხვევაში გაიმართება როგორც საბავშვო, ისე საკლუბო სისტემა. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და მას ვეღარავინ შეაჩერებს.

**- 2015 წლის იანვარში სფფ-ში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. ცნობილია, რომ მასში მონაწილეობას ცნობილი ფეხბურთელი და თქვენი მეგობარი მიხეილ ყაველაშვილი მიიღებს, გაუწევთ მას ლობირებას?**

- რა თქმა უნდა, ყველასთვის კარგად ცნობილია ჩემი მიშასადმი დამოკიდებულება და იმ ადამიანებისადმიც, რომლებიც დღეს ფედერაციაში არიან. მე და მიშამ დიდი გზა გამოვიარეთ, რომ ფარდა აგვეხადა იმ ქმედებებისთვის, რაც ფეხბურთის ფედერაციაში ხდებოდა. ბრძოლა დასრულდა იმით, რომ ხელისუფლება შეიცვალა. შესაბამისად, მიშას აქვს თავისი გზა, რომელიც საზოგადოებისთვის იქნება ცნობილი. ჩემი „მფარველობა“ მას არ სჭირდება, რადგან აქვს თავისი ავტორიტეტი, ხედვა ფეხბურთის განვითარების კუთხით. მზად ვარ, ყველა იმ ჯგუფთან ვითანამშრომლო, რომელიც საფეხბურთო სამყაროს გააერთიანებს. დღეს, სამწუხაროდ, ფეხბურთის იმიჯი საქართველოში, ძალიან დაცემულია.

**- ფიზკულტურის ინსტიტუტის აღდგენა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამის ნაწილი იყო. რა ეტაპზეა ეს საქმე?**

- ამ მიმართულებით ვმუშაობთ. ფიზკულტურის ინსტიტუტი სამართლებრივად აღდგენილია და მას „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“ ჰქვია. შენობის პირველ და მეორე სართულზე უკვე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და მალე დასრულდება. ვვარაუდობთ, რომ სტუდენტების პირველ ნაკადს სექტემბერში მივიღებთ. ახლა სააკრედიტაციო პროცესზე მიდის მუშაობა. გვინდა, რომ მაღალკვალიფიციური პედაგოგები და ექსპერტები მოვიწვიოთ და ისეთი სასწავლებელი გავაკეთოთ, რომლის ანალოგიც არ იქნება.

**- ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ, ლერი ხაბელოვმა განაცხადა, რომ ოლიმპიადაზე მედლების იმედი არ აქვს, მაშინ რატომ მივდივართ საერთოდ სოჭის ოლიმპიადაზე?**

- საქართველოს ნაკრები რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდეს, მედლების იმედი არ გვექნება, არ უნდა გავიდეთ? უკრაინის ოლიმპიური ნაკრები მიემგზავრება და ჩვენ რატომ უნდა ვთქვათ უარი გამგზავრებაზე. ჩვენ გამოვთქვით პროტესტი და მსოფლიომ იცის, რას წარმოადგენს რუსეთი. ჩვენ გავმიჯნეთ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან, თუმცა მაინც ერთვება ამაში პოლიტიკა, ამიტომ მხოლოდ სპორტული დელეგაცია მიემგზავრება, სამთავრობო დელეგაცია კი არ მიდის - ეს უკვე პოზიციაა! ოლიმპიადა მსოფლიოსია და არა რუსეთის. ეს იქნება ოლიმპიური კომიტეტის, ოლიმპიური მოძრაობის დაფასება. ეს არის მთავარი ამომავალი წერტილი. ვმოქმედებთ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

**„ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, ფეხბურთში სიტუაცია დავალაგო. დღეს რაც ხდება, მარაზმია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასამარდეს ის უმსგავსობა, რაც დღეს ფეხბურთშია. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ფეხბურთი არ არის მიტოვებული“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვალერი ხაბურძანია: „კახა კუკავა მოსკოვში ვნახე და ზოგადად ვისაუბრეთ“



ქეთი ხატიაშვილი

**თავის დროზე ლევან გაჩეჩილაძეს უთქვამს: ჩვენ პიარციხეში ვართ. რუსეთში წავალთ, ამბობენ, პუტინს შეხვდაო; ლონდონში წავალთ, ამბობენ, ჩხარტიშვილსო; პარიზში თურმე ოქრუაშვილს ვხვდებით. მოკლედ, ფეხი ვერ გაგვიდგამს გარეთო.**

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ეს თემა ისევ ცოცხლდება და ეს ლოგიკურიც არის. მედია იმ ფინანსური წყაროების მიგნებას ცდილობს, რომელსაც ესა თუ ის პარტია არჩევნების მოსაგებად „შოულობს“.

მერე ყველაფერი იმის მიხედვით ლაგდება, ვინ რა ტრაექტორიით მიდის – დასავლეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებს „ეკვრება“ თუ რუსეთში მცხოვრებთ.

მაგალითად, კახა კუკავა სანამ „ნაციონალურ მოძრობაში“ იყო, რა თქმა უნდა, პროდასავლურ ორბიტაზე ითვლებოდა, მისი დატოვების შემდეგ კი ის რამდენჯერმე გამოჩნდა მოსკოვში და რამდენჯერმე სტრასბურგში რუსული დელეგაციის მოწვევით. ამდენად, მედიამ მისი პოლიტიკური იმიჯი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთს. არასაპარლამენტო ოპოზიცია მასთან გაერთიანებას სწორედ ამ მოტივით არიდებდა თავს.

**თავის მხრივ, კახა კუკავა აცხადებდა, რომ ის პრორუსი კი არა, პროქართველია. ჯერ კიდევ 2010 წელს მან საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებთან დაკავშირებით შექმნილ დოკუმენტსაც სწორედ ასე დაარქვა: „პროქართული საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება“. და იქვე განმარტა:**

– ნატოში გაწევრიანება ან სამხედრო ბაზების განთავსების საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, წარმოადგენს დამატებით საფრთხეს საქართველოსთვის. ჩვენ არ გვაქვს უფლება და საშუალება იმისა, გავხდეთ სამიზნე მთელი რიგი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც დაპირისპირებულები არიან ამა თუ იმ პოლიტიკურ ბლოკთან თუ სამხედრო ალიანსთან.

ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება და დღის წესრიგში კახა კუკავა ისევ დადგა, თავისი პრორუსული წარსულით. სად იშოვის ის ახლა ფულს? შესაძლოა, კახაზე აქცენტი იმიტომ კეთდება, რომ მას გამარჯვების თითქმის რეალური შანსები ჰქონდა ნაძალადევის რაიონში ჩატარებულ შუალედურ არჩევნებში. მართალია, მაშინ მას მეორე ადგილის მოპოვებაში „უცნობი“ დაეხმარა, მაგრამ ის გამოკვეთილი ლიდერი იყო და ამ პოზიციების შენარჩუნებას ახლა ის არასაპარლამენტო ოპოზიციაში ცდილობს.

არასაპარლამენტო ოპოზიციამ, სხვათა შორის, კუკავას შუალედურ არჩევნებში მხარი არ დაუჭირა. არც ახლებმა, არც „ედპ“-მ, არც სხვებმა. მაშინ ამბობდნენ, საგარეო პოლიტიკური კურსის გამო, პრორუსულ ორბიტაზე ყველაფერი, რაც ბრუნავს და მოქმედებს, ჩვენთვის მიუღებელიაო.

ახლა არასაპარლამენტო პარტიები ჯერ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დამტკიცებას ელოდებიან. ახლაც ამბობენ, რომ საერთო კანდიდატის გარშემო იმ შემთხვევაში გაერთიანდებიან, თუკი ისეთ საკითხებში მიაღწევენ თანხმობას, როგორიც საგარეო პოლიტიკის კურსია.

თავად კახა აცხადებს, რომ გაერთიანება მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი იქნება ფიგურა, ვისაც პარტიები მერის პოსტზე მხარს დაუჭერენ. ანუ გამოდის, ფინანსების გარდა, არასაპარლამენტო პარტიებში ლიდერის პრობლემაცაა და საგარეო ორიენტაციისაც. პრორუსულ კურსს მხარს არ დაუჭერენ. პროქართული კი მათთვის თუნდაც იმიტომაა მიუღებელი, რომ ის უარს ამბობს ნატოზეც და დასავლეთზეც, რაც თავისთავად ნიშნავს პრორუსულ პოლიტიკას, რადგანაც სწორედ მოსკოვი ეწინააღმდეგება თავის საზღვრებთან ნატოს გაფართოებას.

ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ მედიაში ისევ გამოჩნდა ინფორმაციები, რომელიც კუკავასა და ვალერი ხაბურძანიას პოლიტიკურ კავშირზე მეტყველებს. ადრე ამაზე ვლადიმერ ხომერიკი საუბრობდა, ახლა – უშიშროების ყოფილი მინისტრი, რომელიც საქართველოში ღიად ლობირებს ევრაზიულ კავშირს, ანუ პუტინის საბჭოეთის აღდგენის გეგმას.

**„პრაიმტაიმთან“ საუბარში ვალერი ხაბურძანია ამბობს, რომ კუკავას მოსკოვში შეხვდა, მაგრამ მათ მხოლოდ ზოგადად ისაუბრეს:**

– კახა კუკავა მოსკოვში ვნახე და ზოგადად ვისაუბრეთ. რაც შეეხება ადგილობრივ არჩევნებში ერთობლივ მონაწილეობას, არსებული პოლიტიკური ვითარების ფონზე ამის აზრს ვერ ვხედავ, ამიტომაც მონაწილეობას არ მივიღებ.

თავად კახა კუკავას განმარტებით კი, ვალერი ხაბურძანიასთან მას არანაირი პოლიტიკური მოლაპარაკება არა აქვს და რაც იწერება, ტყუილია.

# „ოკუპირებული ტერ… შეუძლია, დიდი ზეწოლ…

ქეთი ხატიაშვილი

**რა ბერკეტებს ფლობს რუსეთი საქართველოზე ზემოქმედებისთვის, რატომ არის მნიშვნელოვანი უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ჩვენთვის, როგორი კანონით ჩატარდება ადგილობრივი არჩევნები და რას შეცვლის ბიძინა ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გამოჩენა. ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ესაუბრა:**

**– ბატონო დავით, რამდენად განაპირობებს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოს მომავალსაც და ჩვენზე ზემოქმედების რა ბერკეტები აქვს რუსეთს? დავოსში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთს საქართველოზე ზეწოლის ის ბერკეტები არ გააჩნია, როგორსაც ის უკრაინის შემთხვევაში ფლობს...**

– როცა ვსაუბრობთ უკრაინის გავლენაზე, უნდა გვესმოდეს, რომ ეს არ არის შიდა პოლიტიკური კრიზისი კლასიკური გაგებით. ეს კრიზისი, რაც დღეს არის, იმ მრავალწლიანი ბრძოლის ნაწილია, რომელიც ამ ქვეყანაში მიმდინარეობდა ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით – უნდა იყოს უკრაინა ევროპა თუ უნდა იყოს აღდგენილი საბჭოთა კავშირის ნაწილი. წლების მანძილზე რუსეთის მხრიდან იყო პირდაპირი ზეწოლა იმისთვის, რომ უკრაინა გახდეს აღდგენილი საბჭოთა კავშირის ნაწილი. გვახსოვს ეგრეთწოდებული გაზის ომები უკრაინასა და რუსეთს შორის, სავაჭრო ემბარგოები, გაზის ფასი, რომელიც რუსეთმა დაუწესა უკრაინას ეკონომიკის გასაკონტროლებლად და რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე გაზის ფასი დასავლეთ ევროპაში. ანუ ეს იყო მრავალწლიანი ბრძოლა უკრაინის მომავლისთვის, რომლის ყველაზე დრამატულ ფინალურ აქტსაც ახლა ყველა ვუყურებთ.

ეს არ არის შიდაპოლიტიკური კონფლიქტი, ეს არის საერთაშორისო გეოსტრატეგიული თამაში, თუ როგორი იქნება ამ სივრცის მომავალი. ვიქნებით ჩვენ ყველა ერთად – უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, ვიქნებით ევროპის ნაწილი, თუ ყველა ერთად დავბრუნდებით აღდგენილ საბჭოთა კავშირში. ამიტომ ის, რაც დღეს ხდება უკრაინაში, პირდაპირ გავლენას ახდენს და მოახდენს საქართველოს მომავალზეც. და სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება ბევრად უფრო აქტიური უნდა იყოს და აქტიური პოზიცია უნდა დააფიქსიროს უკრაინის პროცესებთან დაკავშირებით, იმიტომ რომ მაღალი ალბათობით, რამდენიმე თვეში ჩვენც დავდგებით რუსეთის მხრიდან გაზრდილი ზეწოლის წინაშე.

რაც შეეხება საქართველოს დამოკიდებულებას და იმას, რითიც ხელისუფლება დღეს თავს იწონებს, რომ ჩვენ არა ვართ დამოკიდებული რუსეთზე, ეს არის ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ წინა რვა წლის განმავლობაში და რის გამოც სერიოზულად გვაკრიტიკებდნენ, რომ თურმე ჩვენ გავწყვიტეთ რუსებთან კავშირი. ის, რომ საქართველო ენერგეტიკულად არ არის დამოკიდებული რუსეთზე, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი წინა წლების პოლიტიკის დამსახურებაა. გავიხსენოთ 2003 წლის საქართველო, რომელიც ელექტროენერგიასაც და გაზსაც რუსეთიდან იღებდა და მთლიანად რუსეთზე იყო დამოკიდებული. და, ალბათ, გახსოვთ ჩაბნელებული საქართველოც; გახსოვთ ისიც, როცა რუსეთმა გაზის მილები ააფეთქა და საქართველო ყინვაში დარჩა ზამთარში. და შევადაროთ ეს

> **„მინისტრებმა „მოქალაქე“ აღიქვეს, როგორც ზემდგომი დირექტივების მომცემი ორგანო“**

2012 წლის საქართველოს, როდესაც ჩვენ გადავაბარეთ ხელისუფლება. ეს იყო ერთი სფერო და ასეთი სფერო ძალიან ბევრია, სადაც ჩვენმა ხელისუფლებამ შეძლო რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება და განულება. ამიტომ, როდესაც დღევანდელი ხელისუფლება თავს იწონებს, რომ თურმე რუსეთს ბერკეტები არა აქვს, რომ გავლენა მოახდინოს, გაიხსენონ და აღნიშნონ, ვისი გაკეთებულია და ვისი მიღწეულია ეს დამოუკიდებლობა.

თუმცა, მეორე მხრივ, მე ვარდისფრად ოპტიმისტურად არ შევხედავდი ამ ფაქტს, იმიტომ რომ, გარდა ეკონომიკისა, გარდა ენერგეტიკისა და გარდა ვაჭრობისა, რუსეთს აქვს ძალიან დიდი ბერკეტი. ეს ბერკეტი არის ოკუპირებული ტერიტორიები. ამიტომ გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ რუსეთს არა აქვს ჩვენზე გავლენის მოხდენის საშუალება. ოკუპირებული ტერიტორიების გამოყენებით რუსეთს შეუძლია, დიდი ზეწოლა განახორციელოს საქართველოზე, ამიტომაც ყველა ერთად უნდა ვიყოთ მობილიზებულნი.

**– ამ ზეწოლის დროს რამდენად შეძლებს საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიცია ერთიანი პოზიციის შემუშავებას? იმიტომ რომ ბევრი საუბარია ახლი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსზე.**

– ჩვენ, რა თქმა უნდა, ბოლომდე შევეწინააღმდეგებით რუსეთის ზეწოლას და ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ საქართველოს თავისუფალი და ევროპული მომავალი არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. სადამდე გამოგვყვება ამ ბრძოლაში ხელისუფლება, ეს რთული კითხვაა. იმედი გვაქვს, რომ ძლიერი საზოგადოებრივი აზრი – და ეს აზრი საქართველოში პროდასავლურია – და ძლიერად პროდასავლური ოპოზიციის პირობებში ხელისუფლებაც ბოლომდე იბრძოლებს ამ ქვეყნის ევროპული მომავლის დასაცავად.

**– ღარიბაშვილმა რამდენჯერმე თქვა, რომ საქართველო ხელს მოაწერს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებს, კითხვის ნიშნები ხელისუფლების კურსთან დაკავშირებით მაინც გაქვთ?**

– კარგია, რომ დეკლარაციულ დონეზე ხელისუფლებამ შეცვალა რიტორიკა და მართლაც ნამდვილად პროდასავლური რიტორიკა აქვს. ეს კარგია. მაგრამ რაც შეეხება კონკრეტულ ნაბიჯებს, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნები არსებობს. კითხვები არსებობდა მაშინაც, როცა საგარეო პოლიტიკური კურსის კონცეფცია ყალიბდებოდა და ითქვა, რომ თურმე ჩვენ სომხეთის საგარეო კურსი გვაწყობს. კითხვის ნიშნები არსებობს ახლაც, როცა ჩვენ დღესაც კი ვკითხულობთ ინტერვიუებს, სადაც ამ ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ საქართველო არ უნდა იყოს პრობლემური თემა რუსეთსა და დასავლეთს შორის. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ პრობლემა არ ვიყოთ? მაშინ როცა პრობლემა არსებობს, ხმა არ ამოვიღოთ? კითხვის ნიშნები არსებობს მაშინაც, როცა რუსეთს თორმეტი კილომეტრით გადმოაქვს საზღვარი სასაზღვრო ხაზზე საქართველოსა და რუსეთს შორის და ხელისუფლების მხრიდან ამის შეფასება პრაქტიკულად არ ხდება. კითხვის ნიშნები არსებობს მაშინაც, როცა საქართველოს გულში მავთულხლართებს ატარებენ და ხელისუფლება ცდილობს, ამ პროცესის მნიშვნელობა მინიმუმზე დაიყვანოს. ასე რომ, კითხვის ნიშანი ბევრია და საგარეო კურსს არ განსაზღვრავს მხოლოდ დეკლარაციები. ყველა უნდა ვიყოთ ძალიან ფხიზლად, რომ ხელისუფლებამ რეალურად დასავლეთისკენ იმოძრაოს და ისე არ გამოვიდეს, რომ პროდასავლური რიტორიკით ნაბიჯები გადავდგათ რუსეთისკენ.



**– თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება, პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო კოდექსი. ახალ კანონმდებლობაში რამდენად აღმოფხვრილია ყველა ის ხარვეზი, რომელზეც საუბრობდნენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს არსებობდა არჩევნ-**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## იტორიების გამოყენებით რუსეთს ა განახორციელოს საქართველოზე“

# დავით ბაქრაძე: „ჩვენ ბოლომდე შევეწინააღმდეგებით რუსეთის ზეწოლას... სადამდე გამოგვყვება ამ ბრძოლაში ხელისუფლება, ეს რთული კითხვაა“



EXCLUSIVE

**ების გასაყალბებლად, და მეორე, ელოდებით თუ არა, რომ არჩევნების წინ იქნება დაპატიმრებები?**

– რაც შეეხება თვითმმართველობის კოდექსს, იმ ძალიან ხმამაღალი დაპირებიდან, რომელიც გვესმოდა, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს თვითმმართველობის სფეროში, ამ კოდექსში პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა. ამის თაობაზე ვსაუბრობთ ჩვენც; საუბრობს არასაპარლამენტო ოპოზიციაც და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. დაპირება იყო აბსოლუტურად სხვა, მოლოდინი – აბსოლუტურად სხვა და რეალობა მივიღეთ განსხვავებული. რა ცვლილებებიც კოდექსში შედის, ისიც გაუგებარია. მაგალითად, ამბობენ, რომ კარგია, რომ იზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა. ის, რომ თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა გაიზრდებოდა, ჩვენ ჯერ კიდევ 2010 წელს ვთქვით, როდესაც მერის არჩევნები პირველად ჩავატარეთ თბილისში. რა შემოაქვთ დღეს? შემოაქვთ სრულიად გაუგებარი კრიტერიუმები. ვიღაცას მოეწონა ერთი ქალაქი და არ მოეწონა მეორე ქალაქი. სიტყვაზე, რატომ თელავი და არა გურჯაანი? რატომ გორი და არა ახალციხე? ეს ძალიან გაუგებარია. ჩვენ მარტივად ვამბობ: 10 ათას მოსახლეზე მაღლა ყველა ქალაქი იყოს თვითმმართველი. ამაზე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობაა.

კანონში აბსოლუტურად არ არის გაწერილი ფინანსური დამოუკიდებლობა. ყველაფერი გადატანილია მთავრობაზე, რომ მთავრობამ წლის ბოლომდე უნდა წარმოადგინოს. რას წარმოადგენს, კიდევ არ ვიცით. პრობლემა არის ის, რომ ხდება პირდაპირ არჩეული მერის გადარჩევა საკრებულოს მიერ. შექმნილია გამოწვევის მექანიზმი, რაც არის სრულიად არადემოკრატიული და ამაზე კომენტარი არასამთავრობოებმაც გააკეთეს. პრობლემა არის ის, რომ ბარიერი, რომელსაც გვეუბნებიან, რომ თურმე 40%-მდე უნდა აწიოს, სინამდვილეში 50%-დან ხდება დაწევა 40%-მდე.

ანუ კოდექსში არაფერი რევოლუციური არ არის, ვიღებთ ძალიან უმნიშვნელოდ გაუმჯობესებულ და ძალიან საეჭვო ხარისხის კანონს.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ზეწოლები არ შეჩერებულა. პირიქით, ერთ-ერთ ბრალად არჩილ კბილაშვილს წაუყენეს, რბილად და არასაკმარისად ენერგიულად ატარებდი რეპრესიებს ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგო. ეს პროცესი არ შეჩერებულა და ის დღესაც გრძელდება. სამწუხაროდ, არა მაქვს არანაირი ოპტიმიზმი, ვიფიქრო, რომ ეს პროცესი გაჩერდება. ამის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რაც თბილისის ბიუჯეტის გარშემო ხდება. ეს პროცესები აჩვენებს, რომ ზეწოლები გაგრძელდება მინიმუმ უახლოესი თვეების განმავლობაში.

**– რამდენადაც ცნობილია, პარტიის საბჭოს სხდომაზე მერის არჩევნებზე უკვე იყო საუბარი, შეთანხმდით კანდიდატურებზე?**

– კანდიდატებთან დაკავშირებით საუბარი არ ყოფილა. შევთანხმდით მთავარ პრინციპზე, ყველა თანამდებობაზე ყველა დონეზე პარტიაში იქნება შეჯიბრებითობა, იქნება პრაიმერისები, იქნება არჩევითობა. პარტიის წევრები გადაწყვეტენ, ვინ უნდა წარმოადგენდეს პარტიას არჩევნებში. რაც შეეხება გვარებს, გვარებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია.

**– ვანო მერაბიშვილმა თქვა, რომ მონაწილეობას მიიღებდა საპრეზიდენტო არჩევნებში და ის დააპატიმრეს, გიგი უგულავამაც თქვა, რომ ის მერის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას... ელოდებით მის დაპატიმრებას? მით უფრო, რომ სასამართლო პროცესები მიმდინარეობს...**

– უკვე წელიწადია, რაც გიგი უგულავას წინააღმდეგ პროცესები მიმდინარეობს. ამ ერთი წლის განმავლობაში პროკურატურამ რამდენჯერმე მოითხოვა გიგი უგულავას დაპატიმრება და უბრალოდ, სასამართლოს ეყო საღი აზრი და კანონიერების განცდა, რომ ამ მოთხოვნას არ დამორჩილებოდა და ასეთი განაჩენი არ გამოეტანა. პროკურატურის მცდელობამ ის შედეგი მოიტანა, რომ მილიონ-ნახევარი ადამიანის მიერ არჩეული მერი ღამის პირველ საათზე ჩუმად, ხუთ წუთში, ყოველგვარი განხილვის გარეშე გადააყენეს თანამდებობიდან. ამიტომ, რაც შეძლო პროკურატურამ, შეძლო.

**– არ წყდება ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ნაციონალებში არის სერიოზული დაპირისპირებები და გარჩევები. უკვე გაირკვა, ვინ ვის ერჩის და რატომ...**

– ცალსახად გიდასტურებთ, რომ ის სტატიები, რომელიც ამ თემაზე იბეჭდება, აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. როგორც ჩანს, რაღაც გარკვეული მანქანა მუშაობს... ხდება ხოლმე, სახელმწიფო მანქანა ხანდახან რაღაცას აკეთებს. ამას აკეთებდა წინა წლებშიც, როცა ჩვენ ხელისუფლებაში ვიყავით და სხვა იყო ოპოზიციაში და დღეს ამას აკეთებენ ჩვენს წინააღმდეგ, როდესაც ოპოზიციის წინააღმდეგ რაღაც ჭორების გავრცელება ხდება. შემიძლია გითხრათ, რომ არანაირი დაპირისპირება, მით უმეტეს პიროვნული კონფლიქტები და გაწევ-გამოწევები არ არსებობს.

**– ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში გამოჩნდა, დააარსა ორგანიზაცია „მოქალაქე“. როგორ წარმოგიდგენიათ მისი როლი და ფუნქცია?**

– სამოქალაქო სექტორის გაძლიერება ნამდვილად ძალიან კარგი და კეთილი ამოცანაა, მაგრამ ჩემთვის ძალიან სიმპტომური და საგანგაშო იყო ჩვენი მინისტრების განცხადებები. გაიგეს თუ არა, რომ ეს ორგანიზაცია დაარსდა, მაშინვე განაცხადეს: ჩვენ, რა თქმა უნდა, დავუჯერებთ და სიამოვნებით მივიღებთ ქებასაც, რჩევებსაც და კრიტიკასაცო. ანუ ისე გამოვიდა, რომ მათთვის ზემდგომი დაარსდა. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მთელი არსი არის სწორედ ის, რომ მინისტრებსა და ხელისუფლებას უნდა აკონტროლებდეს გვერდიდან და არა ზემოდან. სამწუხაროდ, მინისტრების კომენტარებში ნათლად გამოჩნდა, რომ მათ „მოქალაქის“ შექმნა აღიქვეს, როგორც ზემდგომი, დირექტივების მომცემი ორგანოსი. პირველ რიგში, ეს იქნება ძალიან საშიში, იმიტომ რომ გამოვა – სამოქალაქო საზოგადოებაში გადასული ადამიანი მართავს ხელისუფლებას... მაგრამ თუ ჩვენი მინისტრები სწორად მიუდგებიან ამ საკითხს, სამოქალაქო სექტორის გაძლიერება სწორი, კარგი და ჯანსაღი პროცესია.

**„მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება ბევრად უფრო აქტიური უნდა იყოს და აქტიური პოზიცია უნდა დააფიქსიროს უკრაინის პროცესებთან დაკავშირებით“**

**„კოდექსში არაფერი რევოლუციური არ არის, ვიღებთ ძალიან უმნიშვნელოდ გაუმჯობესებულ და ძალიან საეჭვო ხარისხის კანონს“**

**„რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ზეწოლები არ შეჩერებულა. პირიქით, ერთ-ერთ ბრალად არჩილ კბილაშვილს წაუყენეს, რბილად და არასაკმარისად ენერგიულად ატარებდი რეპრესიებს ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგო“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# გია კორკოტაშვილი: „არ ვიცი, თუ ჩემი კანდიდატურა ისეთი კანდიდატურა იქნება, რომელიც რწმუნებულებაში მოვა საზოგადოებასთან, შეიძლება ადამიანი დაფიქრდეს...“





**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**არასაპარლამენტო ოპოზიცია იმედოვნებს, რომ დასავლეთი აიძულებს ხელისუფლებას, საარჩევნო ბარიერი სწორედ 50%-ზე შეინარჩუნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში... თუმცა, რა შეიძლება იყოს მერე, არ კონკრეტდება. როგორც თავად განამარტავენ, ქუჩის აქციები არ იგეგმება.**

**ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა პარლამენტში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და მისი თანმხლები კანონის – „საარჩევნო კოდექსის“ განხილვა დაიწყო. კანონში ცვლილება პირველი მოსმენით წინა კვირაში უკვე შევიდა და როგორც საპარლამენტო უმცირესობის წევრები აცხადებენ, „ოცნებას“ 50%-იანი ბარიერი, უბრალოდ, გაეპარა...**

**მიხეილ მაჭავარიანი:**

– პირველი მოსმენით მიღებულ კანონში მათ გაეპარათ, ჩაწერეს და ერთხმად მიიღეს 50%-იანი ბარიერი, ახლა გადაითვალეს, გადმოითვალეს და უკვე პიარტრიუკებს მიმართავენ, რომ თითქოს ისინი არსებულ 30%-იან ბარიერს ზრდიან, რეალურად მათ მიერ მიღებულ 50%-იანს აკლებენ.

თუმცა არსებობს მეორე ვერსია, რომლის თანახმადაც რესპუბლიკელებმა ზუსტად იცოდნენ, რა ციფრი ეწერა პროექტში. 50%-იანი ბარიერი ახლა შესაძლოა, ვიღაცებმა ნაცებისა და რესპუბლიკელების შეთქმულებად მონათლონ. წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ, საბოლოოდ, კოდექსში სწორედ 40% ჩაიწერება.

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრი, გია ჟორჟოლიანი მთელი უმრავლესობის სათქმელს თავად აჟღერებს: „50% უფრო მეტ მეორე ტურს გააჩენს, რაც ზედმეტი ხარჯია, „გაწელავს“ არჩევნებს და ასე შემდეგ.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის განცხადებით, ხელისუფლება არჩევნებში 40%-იანი ბარიერის გამოყენების შემთხვევაში გამარჯვებულ უმცირესობად გადაიქცევა. შესაბამისად, დანარჩენი 60%-ის მათ მიერ მართვა უსამართლობა იქნება.

**მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:**

– 50%-ს პლუს ერთი ხმა, ნიშნავს იმას, რომ ხარ უმრავლესობაში. 50%-ს ქვემოთ კი ნიშნავს იმას, რომ ხარ უმცირესობაში და უმცირესობიდან გინდა, მართო უმრავლესობა. მმართველი გუნდის მიერ წარმოდგენილი წინადადება ნიშნავს, რომ სურს მიღებული 40-42%-ით მართოს დანარჩენი 60-58%. ამიტომ ვთავაზობთ, რომ ან ჩვენზე მეტი ხმა აიღონ, ან ჩატარდეს არჩევნების მეორე ტური, სადაც ერთ-ერთი კანდიდატი 50%-ზე მეტს მიიღებს.

შესაბამისად, ოპოზიცია მიიჩნევს რომ დეტალებზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. დეტალებში კი ისინი მერობის კანდიდატს გულისხმობენ. ერთადერთი, ვისი კანდიდატიც ცნობილია, ეს „ოცნებაა“. თუმცა საზოგადოებაში არის მოსაზრება, რომ ნარმანიას ბოლო მომენტში მაინც ჩაანაცვლებენ. სწორედ ამ ცვლილებას ელოდება გია კორკოტაშვილი, რომელიც ფიქრობს, რომ თბილისი შედარებით „ჯიგარ“ მერს იმსახურებს.

ვინ შეიძლება გახდეს სამოქალაქო სოლიდარობის კანდიდატი, ამაზე მსჯელობას ორგანიზაცია რამდენიმე დღეში დაიწყებს. თუმცა მანამდე თავად კორკოტაშვილის გვარმაც გაიჟღერა. თავად რადიოწამყვანი მერობის არჩევნებში ჩაბმას გამორიცხავს, აცხადებს, რომ ბევრად ღირსეული მამულიშვილები არიან, თუმცა ეჭვები სწორედ მისმა სიტყვებმა გამოიწვია...

**გია კორკოტაშვილი:**

– მერის პოსტზე ლევან გაჩეჩილაძის კანდიდატურა არ განიხილება. ეს აზრი იმიტომ გავრცელდა, რომ ჩვენ მეგობრები ვართ. ამ თემაზე ლევან გაჩეჩილაძეს თუ რამის თქმა უნდა, გამოვა და იტყვის. ერთი რამ იმთავითვე ფაქტია, რომ ნარმანიას კანდიდატურას მხარს არ დავუჭერთ. რაც შემეხება მე, ჩემს კანდიდატურაზე არ მიფიქრია, იმიტომ, რომ ჩემზე ბევრად პატრიოტი, ვაჟკაცი და სახელოვანი ადამიანები არიან, ვისაც შეუძლია მართვაში მოსვლა. თუ მამულს, საქართველოს დასჭირდება, ხმამაღალი სიტყვების გარდა, მე შეიძლება ერთ-ერთი ჯარისკაცი ვიყო ამხელა ბრძოლაში.

ამ განცხადებამდე „კორკოტა“ სასურველ მერად სწორედ ლევან გაჩეჩილაძისა და ნინა ჟვანიას ასახელებდა, თუმცა მოგვიანებით ეს უარყო და მიზეზად ისევ „გრეჩიხა“ დაასახელა, მას არ აქვს არჩევნებში მონაწილეობის სურვილიო...

**გია კორკოტაშვილი, „სამოქალაქო სოლიდარობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი:**

– თბილისის საზოგადოება ხელისუფალთ წარვუდგენთ ჩვენს კანდიდატურას და შევეცდებით, დავუმტკიცოთ, რომ ჩვენი კანდიდატურა აჯობებს მათსას, თუმცა ეს იქნება მაშინ, როცა გვეცოდინება, ვინ არის ხელისუფლების კანდიდატურა.

**„ერთი რამ იმთავითვე ფაქტია, რომ ნარმანიას კანდიდატურას მხარს არ დავუჭერთ“**

**– ეს ხომ უკვე ვიცით?**

– ბატონი ნარმანია? არ ვიცი, საბოლოო გადაწყვეტილებაა თუ არა ნარმანია. თუ ნარმანია იქნება მათი არჩევანი, ჩვენ მოვძებნით სხვა პიროვნებას, რომელიც აჯობებს მას. თუ ასეთი პიროვნების მოძებნა თბილისში შეუძლებელი გახდება, მაშინ ხელისუფლების მიერ დასახელებულ კანდიდატურას დავუჭერთ მხარს. თუ ხელისუფლება არ დაგვთანხმდება, მაშინ ჩავატარებთ კენჭისყრას და რომელ კანდიდატსაც მეტი ნდობის ფაქტორი ექნება, ის მოიგებს ჩვეულებრივი არჩევნებით.

**– როგორ შეეცდებით, ხელისუფლება დაიყოლიოთ, თქვენს მიერ შერჩეულ კანდიდატს დაუჭიროს მხარი?**

– შევეცდებით, დავამტკიცოთ, რომ ჩვენი კანდიდატურა უფრო გამოსადეგი იქნება თბილისისა და თბილისელებისთვის.

**– სხვადასხვა დროს თქვენ გააჟღერეთ ლევან გაჩეჩილაძის, ნინა ჟვანიას გვარები მერობის კანდიდატებად...**

– კანდიდატებად მე არც ერთი არ დამისახელებია. ლევან გაჩეჩილაძე არასოდეს დამისახელებია, რადგან ამის სურვილი თავად ლევანს არ აქვს. ქალბატონ ნინას რაც შეეხება, მე ვიცი, როგორ ესმოდა მას ქალაქის სუნთქვა და როგორ დამოკიდებულებაში იყო ყველასთან. მე ყოველთვის მომწონდა მისი დამოკიდებულება საზოგადოებასთან. ამიტომ ვამბობ, თუ ჩვენი კანდიდატი ბევრად აღმატებული იქნება ნარმანიაზე, ასეთ შემთხვევაში დავაყენებთ მას.

**– გაჩეჩილაძესთან გქონდათ ამ თემაზე საუბარი?**

– კი, გვქონდა და მას ამის სურვილი არ აქვს.

**– თქვენ რომ გახდეთ კანდიდატურა, გამორიცხავთ?**

– არ ვიცი, თუ ჩემი კანდიდატურა ისეთი კანდიდატურა იქნება, რომელიც რწმუნებულებაში მოვა საზოგადოებასთან, შეიძლება ადამიანი დაფიქრდეს... თუ საზოგადოებას შენი სჯერა, მაშინ შეიძლება, გახდე კანდიდატი. თუმცა მე ჩემს კანდიდატურას ნამდვილად არ შევთავაზებ საზოგადოებას. ამაზე, მართალი გითხრათ, არც მიფიქრია. ჩემზე ბევრად ძლიერები, ბევრად მამულიშვილები არიან და იქიდან სჯობია, ამოირჩეს ვინმე.

კორკოტაშვილის განცხადებით, მერობის კანდიდატზე კონსულტაციები იანვრის ბოლოს დაიწყება. სწორედ ამ დროიდან „სამოქალაქო სოლიდარობას“ შესაძლებელია „თავისუფალი საქართველო“ შეუერთდეს, ყოველ შემთხვევაში პოლიტიკური პარტია თანამშრომლობას არ გამორიცხავს. კუკავას თქმით კი, ამ ეტაპზე ისინი სხვადასხვა პარტიებთან ერთად ძირითადად ბარიერის საკითხზე მსჯელობით არიან დაკავებულები.

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველო“:**

– გამორიცხულია, ჩვენ მხარი დავუჭიროთ 40%-იან ბარიერს. ეს არის ანტიდემოკრატიული სისტემა და მინიმალურადაც ვერ პასუხობს ქართველი საზოგადოების მოთხოვნებს.

**– ფიქრობთ, რომ ის შეიცვლება?**

– კი, იმედი გვაქვს, რომ შეიცვლება. მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს ამაზე, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან აქტიურად არიან ჩართულები და ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას მოუწევს მათი აზრის გათვალისწინება.

**– რაც შეეხება კანდიდატურას, უკვე განიხილავთ კონკრეტულ გვარებს?**

– კანდიდატურას, ვფიქრობ, რომ დაახლოებით კიდევ ათი დღე დასჭირდება.

**– ვისთან ერთად მსჯელობთ?**

– ამას ვერ ვიტყვი ჯერჯერობით, რადგან ჯერ ვმსჯელობთ იმაზე, ვის სურს ამ პროექტში მონაწილეობა.

**– შეიძლება ლევან გაჩეჩილაძის კანდიდატურაც განიხილოთ?**

– არა, არ გვქონია ამაზე საუბარი, თუმცა, თუ თავად მოისურვებს...

როგორც ცნობილი ხდება, კუკავას მოლაპარაკებები ირაკლი ოქრუაშვილთან და ვალერი ხაბურძანიასთან აქვს. ოქრუაშვილის პარტია კომენტარისგან თავს იკავებს. თეო ტლაშაძის განცხადებით, ოქრუაშვილი საკუთარ გეგმებზე თავად ისაუბრებს, თუ ამის სურვილი ექნება, რა თქმა უნდა. კუკავაც, როგორც ჩანს, კონკრეტულ პასუხს ელოდება, რომ, საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, ტყუილად არ გამოუვიდეთ ყვირილი. ყველას ახსოვს, როგორ ირწმუნებოდა ოპოზიციის ნაწილი, სწორედ კუკავასა და ჯონდი ბაღათურიას მონაწილეობით, რომ მათი საპრეზიდენტო კანდიდატი ტენორი პაატა ბურჭულაძე იქნებოდა. თუმცა პოლიტიკურ განხილვებს წერტილი თავად ბურჭულაძემ დაუსვა ერთადერთი წინადადებით: პოლიტიკაში ჩართვის ბევრი წინადადება მიმიღია, მაგრამ ამას არც ადრე ვაპირებდი და არც ამჯერად ვაპირებ ცხოვრების სტილის შეცვლასო...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ORBELI GROUP
# ორბელი ჯგუფი



## ერისთავის ქ. N1
**ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13**

Ⓐ







ORBELI GROUP ორბელი ჯგუფი

**100 ლარიანი**

**ვაუჩერი ორბელისგან**

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სუიციდის ფაქტი



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ნინო გვასალიას ტრაგედიის შემდეგ საპატრიარქომ და ბავშვთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა მედიას თხოვნით მიმართეს, თავი შეეკავებინათ სუიციდის ფაქტების გაშუქებისგან. მით უფრო, კონკრეტული ისტორიების გახმაურებისგან. ამბობდნენ, რომ სუიციდისკენ იმ პერიოდში საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა იყო მიდრეკილი... მათივე განცხადებით, მედია ამ შემთხვევაში სუიციდის პროპაგანდას უწყობდა ხელს. სწორედ ამ მიზეზითა და საპატრიარქოს თხოვნით, ნინოს მშობლებმაც თავი შეიკავეს საუბრისგან. ფსიქოლოგებისთვის მაშინ გაურკვეველი დარჩა, რომელ სტატისტიკას დაეყრდნო საპატრიარქო.**

ფაქტია, რომ 22 წლის ნინოს ტრაგედიის შემდეგ საქართველოში თვითმკვლელობის ბევრი ფაქტი დაფიქსირდა. შემთხვევების უმრავლესობა რაიონებში იყო. ერთ-ერთი ბოლო ტრაგედია 19 იანვარს დასავლეთ საქართველოში, მარტვილის რაიონში, სოფელ დიდ ჭყონში მოხდა. ირაკლი ცაავა 25 წლის გახლდათ. მან თავი საკუთარ ეზოში, დილით ჩამოიხრჩო. თუმცა საკუთარი გადაწყვეტილება წინა დღეს სოციალურ ქსელში დააანონსა. ეს სუიციდის პირველი შემთხვევა აღმოჩნდა, რომელიც წინასწარ დაანონსდა. ჩვენი ყურადღებაც სწორედ ამიტომ მიიპყრო.

ირაკლის „facebook“-ის საკუთარ გვერდზე დაწერილი სიტყვები მეგობრებმა ხუმრობად მიიღეს. თუმცა 25 წლის ბიჭს იმ დროისთვის გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

**ირაკლი ცაავა, 18 იანვარი: „visac tqven ar uyvarxart mag iraklis dedac ... tqven da me vici yvela cudi tvalit miyurebt mara xvalidan verc kargi da verc cudi tvalit ver mnaxavt miyvarxart sicocxleze metad(K)“.**

ბუნებრივია, კონკრეტულ მიზეზს, რატომ მიიღო ირაკლიმ ასეთი გადაწყვეტილება, ვერავინ ასახელებს. ვერსია, ისევე, როგორც ნინო გვასალიას შემთხვევაში, აქაც ბევრია. ამბობენ, რომ ირაკლის ერთი გოგო უყვარდა... იმასაც ამბობენ, რომ მას პირადი პრობლემები ჰქონდა... ერთ-ერთ ვერსიად, ასევე, მშობლებთან კონფლიქტი დასახელდა. ბუნებრივია, ოჯახის წევრები მომხდარის შესახებ არ საუბრობენ. ირაკლის მეგობრები ნებისმიერი სახის კონფლიქტს გამორიცხავენ, რადგან ამბობენ, რომ ის ძალიან მხიარული, თბილი და უკონფლიქტო ადამიანი იყო. მათთვის ისიც კი უცნობია, ირაკლის რაიმე სახის პრობლემა ჰქონდა, თუ... თუმცა თითქმის ყველა მათგანი საკუთარ თავს ერთი მიზეზის გამო ადანაშაულებს, – „პოსტს“ სათანადო ყურადღება არ მივაქციეთო... ტრაგედიის შემდეგ მეგობრებმა ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს, ირაკლის „facebook“-ის გვერდი ძალიან დიდხანს „აცოცხლონ“... „იკამ გული გვატკინა, დაგვტოვა და ცხოვრება საერთოდ შეგვიცვალა. ეს საიტი იარსებებს, არ დაიკარგება... ჩვენ არ დავივიწყებთ არასოდეს ირაკლის“...

ირაკლის ოჯახის ახლობელი იხსენებს, რომ ზუსტად იმ წუთებში, როდესაც 25 წლის ბიჭი სიცოცხლის დასასრულებლად ემზადებოდა, თავად ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. ბუნებრივია, ქალბატონმა დიანამ არც ის იცოდა, რას აპირებდა ირაკლი და არც ის, როგორ უჭირდა იმ წუთებში მისი ბიძაშვილის ოჯახს. ტრაგედიის შესახებ დიანა დანელიამ ირაკლის გარდაცვალების მეორე დღეს შეიტყო. საკუთარი უცნაური განცდაც სწორედ ამით ახსნა.

**დიანა დანელია, ირაკლი ცაავას დედის ბიძაშვილი:** „...წუხელ, 12 საათი იქნებოდა, საშინელი თავის ტკივილი რომ დამეწყო! ვერაფრით დავიძინე, რა წამალი არ დავლიე, მაგრამ ამაოდ! ემოციებს ავყევი, შემცივდა და შიშმა ამიტანა!.. ამ დროს თურმე ძალიან უჭირდა ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემს ალალ ბიძაშვილს მანანა დანელიას! ღმერთო, შენ დაიფარე ყველა მშობელი ამ საშინელი და შემზარავი ტკივილისგან! დედა რომ შვილის სიკვდილს მოესწრება... დღეს დილით კი ეს შემზარავი ამბავი გავიგე, ღმერთს ებარებოდეს შენი სული, შვილო ირაკლი, ძალიან მტკივა გული“.

ირაკლის მეგობრებს, ნათესავებს, ოჯახის წევრებს – ყველას ერთი კითხვა აქვს. რატომ მიიღო ახალგაზრდა ბიჭმა ასეთი გადაწყვეტილება? ბუნებრივია, კითხვები ყველას უჩნდება. მით უფრო, როდესაც ნათესავები ამბობენ, რომ ირაკლის ოჯახს პრობლემები არ ჰქონდა...

**ირაკლი ცაავას ნათესავი:**

– ძალიან კარგი ოჯახი აქვთ. გარდაცვლილის დედაც და მამაც მშრომელი, პატიოსანი ადამიანები არიან... მთელ რაიონში ყველა იცნობთ და პატივს სცემთ. ძალიან მეცოდება ირაკლის დედა და გული შემტკივა, რომ ასეთ ახალგაზრდა ასაკში დაემართა ის საშინელება, რასაც შვილის სიკვდილი ჰქვია...

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ადამიანი, რომელსაც სუიციდის გადაწყვეტილება აქვს მიღებული, სწორად ვერ აცნობიერებს საკუთარ გადაწყვეტილებას. ამბობენ, რომ თვითმკვლელობა რეალობისგან გაქცევის ყველაზე ცუდი გამოსავალია. შესაბამისად, სუიციდი სისუსტედ არის შეფასებული.

**ზურაბ მხეიძე, ფსიქოლოგი:**

– ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანმა სხვა გამოსავალი ვერ მონახა, ან ვერ გაუძლო არსებულ რეალობას. თუმცა არის რაღაც წუთები, რომლის დროსაც ადამიანმა შეიძლება განიცადოს თავი ძლიერად. თვითმკვლელი თავის თავზე ძლიერი ხდება, რადგან თითონ წყვეტს საკუთარი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, მაგრამ ეს განცდა მას თვითმკვლელობის პროცესში შეიძლება დაეუფლოს. საბოლოო ჯამში, ეს მაინც სისუსტეა.

**– შეიძლება ახლობლებმა ან მეგობრებმა შეატყონ ადამიანს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ?**

– შესაძლებელია, მშობელი და არა მარტო ის, არამედ ყველა ის ადამიანი, ვისაც მეტ-ნაკლებად ინტენსიური კონტაქტი აქვს სუიციდისკენ მიდრეკილ ადამიანთან, მიხვდეს და იეჭვოს მსგავსი გადაწყვეტილების შესახებ. უბრალოდ, კარგია, თუ რამდენიმე ზოგად სიმპტომს ვიტყვით, როგორ იქცევა ადამიანი, რომელმაც სუიციდის გადაწყვეტილება მიიღო.

1. ადრე მისთვის საინტერესო და საყვარელ ყველა საქმიანობაზე უცბად ინტერესის დაკარგვა;

2. თვითმკვლელობაზე საუბრის დაწყება, უფრო სწორად თემის შემოტანა, ხსენება, მაგრამ არა ხანგრძლივი დისკუსია და დებატები. საუბრის ბოლოს ნაღვლიანი ღიმილი და შესაძლებელია „ხუმრობაში გატარება“.

3. ვალების გასტუმრება, უფრო მორალურის. მაგალითად, პატიების თხოვნა ძველ მომხდარ ამბებთან დაკავშირებით და ა.შ.

4. საყვარელი ნივთების გაჩუქება, თითქმის სრულად დარიგება... ეს არის ის სიმპტომები, რომლის შემთხვევაშიც მაქსიმალური ყურადღება გვმართებს.

**„პრაიმტაიმი“ ირაკლი ცაავას მეგობარს დაუკავშირდა:**

**ბელა კოკაია, ირაკლი ცაავას მეგობარი:**

– მე და ირაკლი ბოლოს ერთად ვმუშაობდით ნინო ბურჯანაძის ოფისში. ყველა ძალიან გაოცებულები ვართ. არაფერი არ ეტყობოდა იმისი, რომ თავის მოკვლას განიზრახავდა ან სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ძალიან სხვანაირი პიროვნება იყო. ისეთი პრობლემა ირაკლის არც ჰქონია, რომ ვიფიქროთ, ამის გამო მოიკლა თავი-თქო. ცოტ-ცოტა პრობლემა კი ყველას გვაქვს, ადამიანები ვართ, ბოლოს და ბოლოს. „facebook“-ზე რომ დატოვა წერილი, ხვალ ვერავინ ვეღარ მნახავთო, ყველა მისმა მეგობარმა ეს გაატარა, როგორც მისი მორიგი ხუმრობა. ვიფიქრეთ, ალბათ, ნასვამია და ხუმრობსო. ასეთი კომენტარებიც იყო მიწერილი. ამ პოსტის დადების შემდეგ ყველა ურეკავდა ირაკლის, ყველა ცდილობდა, რომ გაერკვია, რა სჭირდა, მაგრამ არავის არ პასუხობდა.

**– ასეთი პოსტი ადრეც დაუწერია ოდესმე?**

– არა, არასოდეს.

**– რატომ არავინ სცადა მისი ნახვა მეორე დღემდე?**

– მეორე დღემდე არა, ირაკლიმ იმ საღამოსვე ჩამოიხრჩო თავი. ნათლისღება შემოდიოდა... 18 იანვრის გვიან საღამოს, დაახლოებით 12 საათზე. ტელეფონზეც რომ არ უპასუხა არავის, იფიქრეს, ალბათ, ნასვამია და სძინავსო.

**– ხშირად სვამდა?**

– არა, უბრალოდ, დღესასწაულები იყო და ხშირად აღვნიშნავდით ხოლმე. ძალიან უყვარდა მეგობრებთან ერთად ყოფნა, დროსტარება, ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები.

**– პოსტის შესახებ რას ამბობენ მეგობრები, ვინმესთან ჰქონდა კონფლიქტი ან ვის გულისხმობდა, როცა დაწერა: ვიცი, ყველა ცუდი თვალით მიყურებთო...**

– აბსოლუტურად არავისთან არ ჰქონია კონფლიქტი, საერთოდ ძალიან უკონფლიქტო ადამიანი იყო. ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონდა, ყველას ძალიან უყვარდა. ამიტომ ეჭვიც კი არ შეგვიძლია ვინმეზე მივიტანოთ.

**– თქვენ როგორ გაიგეთ მისი დაღუპვის ამბავი?**

– ირაკლი იმ საღამოს, თავის მეგობრებთან ერთად, სახლთან ახლოს აღნიშნავდა ნათლისღების მოახლოებას. დაახლოებით 11 საათზე მისულა სახლში, ოჯახის წევრებისთვის დაუბარებია, არ დაიძინოთ, თორმეტი საათის მერე ისევ მოგიწევთ გაღვიძებაო. ამ სიტყვებსაც არავინ მიაქცია ყურადღება. შემდეგ ბებიასთვის ფანარი გამოურთმევია, იმ დროს არც დედამისი იყო სახლში და არც მამამისი. დედა მუშაობდა და მორიგე იყო. სახლში მხოლოდ ბებია და ძმა იყვნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბებია გასულა მოსაძებნად, ცოტა ადრე რომ გასულიყო, ალბათ, ყველაფერი კარგად დასრულდებოდა... როცა ბებია ირაკლის საძებნელად სახლის უკან, ეზოში გავიდა, ანთებული ფანარი დაუნახავს. როგორც კი ფანარი აიღო, მაშინვე დაინახა ირაკლი, რომელიც იქვე ეკიდა ხეზე... ის აღარ იყო ცოცხალი. ბებიამ ნახა პირველმა გარდაცვლილი ირაკლი.

**– ბევრი ვერსია დასახელდა. ითქვა, რომ მშობლებთან ჰქონდა პრობლემა, ითქვა, რომ გოგო უყვარდა, ისიც დაიწერა, რომ ფული ჰქონდა წაგებული...**

– ფულის წაგება მიზეზი არ არის. ამაზე აქაც საუბრობენ, მაგრამ ეს მართლა არაფერ შუაშია. ერთხელ დაუშვა შეცდომა, ეს რამდენიმე წლის წინათ მოხდა, მაგრამ მას შემდეგ შეცდომა გამოსწორდა, თანხაც გადახდილია და ამიტომ ამის გამო თავს ნამდვილად არ მოიკლავდა. ოჯახური კონფლიქტი კი ყველას აქვს, ან დედასთან ან მამასთან, სერიოზული პრობლემები ნამდვილად არ ჰქონია, შეიძლება პატარ-პატარა წაკამათებები ყველა ოჯახში იყოს. რაც შეეხება გოგოს, სერიოზულად ირაკლის არავინ არ უყვარდა. ამიტომ არის ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, აბსოლუტურად გაუგებარი რატომ გადადგა ეს ნაბიჯი. ვერ ვხვდებით, თვითონ იმ მესიჯის შინაარსსაც ვერ ვხსნით.

**– ოჯახი არ საუბრობს მიზეზზე?**

– არავინ არ იცის მიზეზი. გაურკვეველია მისი გადაწყვეტილება. ირაკლის ვინც იცნობდა, ყველას უკვირს, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რადგან ის სულ იცინოდა, ძალიან მხიარული იყო.

## რატომ მოიკლა თავი 25 წლის ბიჭმა



ირაკლი ცაავა

**„იკამ გული გვატკინა, დაგვტოვა და ცხოვრება საერთოდ შეგვიცვალა. ეს საიტი იარსებებს, არ დაიკარგება... ჩვენ არ დავივიწყებთ არასოდეს ირაკლის“...**






## ბელა კოკაია: „დაახლოებით 11 საათზე მისულა სახლში, ოჯახის წევრებისთვის დაუბარებია, არ დაიძინოთ, თორმეტი საათის მერე ისევ მოგიწევთ გაღვიძებაო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დათა ახალაიას საიდუმლო

მირიან ბოქოლიშვილი

**გრიფით „საიდუმლო“ წერილი #16... 2006 წლის 24 თებერვალი... „პირადად“ ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს ი. მერაბიშვილს... გასაიდუმლოებული წერილი, რომელიც „პრაიმტაიმს“ ჩაუვარდა ხელში, სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ეხება. წერილს ხელს აწერს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი დავით (დათა) ახალაია. პატაკში კუდ-ის ხელმძღვანელი შს მინისტრს ატყობინებს, რომ, მისი დავალების შესაბამისად, ჩაატარა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებული გარემოებების დასადგენად.**

რატომ აწვდიდნენ მერაბიშვილს კუდ-იდან და თბილისის პოლიციის სამმართველოდან რადიკალურად განსხვავებულ ინფორმაციებს გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე? სანამ ამ დეტალებს გიამბობთ და გაგაცნობთ დათა ახალაიას მიერ გაგზავნილ საიდუმლო პატაკს, მანამდე შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, პროკურატურამ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით მესამედ დაკითხა ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია. როგორც მმართველი გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი ლევან ბერძენიშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, „გამოძიებამ უნდა დაადგინოს გარემოებები, თაკო სალაყაიას დაკვეთით მოკლეს სანდრო გირგვლიანი, თუ ამ ფაქტით მას მხოლოდ ასიამოვნეს“.

**ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობა:**

„ყველამ იცის, რომ თაკო სალაყაია დაკავშირებულია გირგვლიანის მკვლელობასთან. ყველამ იცის, რომ თაკო სალაყაიას ქეიფს შეეწირა ეს უპატიოსნესი ახალგაზრდა კაცი. ამ საქმეში სახელმწიფოს მონაწილეობა ევროპის სასამართლომაც დაადასტურა და მოითხოვა საქმის გამოძიება და დამნაშავეების დასჯა. არ ვიცი, თაკო სალაყაიას დააკავებენ თუ არა. არ ვერევი პროკურატურის საქმეებში, მაგრამ ის რომ ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა დაიკითხოს, გასაკვირი არაა. ყველამ იცის, რომ მან და მისმა ერთგულმა მონა-ყმებმა, მერაბიშვილის მოადგილეებმა და თანამშრომლებმა, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ ქალბატონისთვის ესიამოვნებინათ, შეიწირეს ახალგაზრდა კაცი“.

## მერაბ ბაღათურია: „გირგვლიანის გარდაცვალების ადგილზე, გარდა კუდ-ის დაკავებული თანამშრომლებისა, უნდა ყოფილიყვნენ ოლეგ მელნიკოვი და დათა ახალაია“

მაშინ, როდესაც თაკო სალაყაია პროკურატურას ჩვენებას აძლევდა, თბილისის საქალაქო სასამართლოში 26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილის მორიგი პროცესი მიმდინარეობდა. მეუღლის პროკურატურაში დაბარებას მერაბიშვილი სწორედ სასამართლო დარბაზიდან გამოეხმაურა.

„ეს არის შეუნიღბავი ზეწოლა ჩემს წინააღმდეგ, ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ. ეს არის უსუსური, ლაჩრული ქცევა ამ ხელისუფლებისგან და ამ გადაწყვეტილებით დაგვანახა, რომ ის ყველაფერზეა წამსვლელი. ეს ჩემზე არ იმოქმედებს. თანავუგრძნობ ჩემს მეუღლეს და დარწმუნებული ვარ, ისეთი მტკიცე იქნება, როგორ მტკიცედაც დგას ჩვენი ოჯახი საკუთარი პრინციპების გარშემო. ვიძლევი გარანტიას, რომ ასეთი პატარა ადამიანები დაისჯებიან. საქართველოს ხელისუფლებაში ჯერ არ ყოფილან ასეთ პატარა კაცები, რომლებიც ისეთ მდაბიო დონეზე დადიან, რომ ზეწოლას პირდაპირ ნათესავებზე ახორციელებენ“, **– განაცხადა მერაბიშვილმა.**

თაკო სალაყაიას შესახებ არაფერია ნათქვამი იმ საიდუმლო პატაკში, რომელსაც კუდ-ის მაშინდელი უფროსი ვანო მერაბიშვილს წერს. დათა ახალაია მინისტრს ატყობინებს, რომ მოპოვებული ინფორმაციების მიხედვით, 2006 წლის 28 იანვარს სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი ლევან ბუხაიძე 30-40 წუთის განმავლობაში იმყოფებოდნენ „შარდენ-ბარში“, საიდანაც გამოვიდნენ დაახლოებით 2 საათზე და ფეხით გაემართნენ თავისუფლების მოედნის მიმართულებით.

„ლესელიძის ქუჩაზე დასახელებული პირები შეაჩერა სამმა ახალგაზრდა მამაკაცმა, რომლებმაც ძალადობითა და ძალადობის მუქარით ჩასვეს ვერცხლისფერ „მერსედეს მლ“-ის მარკის ავტომობილში და მათი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით წაიყვანეს სოფელ ოქროყანის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოსთან. აღნიშნულ ადგილას ბოროტმოქმედებს შეუერთდა კიდევ ერთი პირი, რის შემდეგაც მათ სანდრო გირგვლიანსა და ლევან ბუხაიძეს მიაყენეს, როგორც სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე ჯანმრთელობისთვის საშიში მძიმე ხარისხის დაზიანებები. ინციდენტის დროს სანდრო გირგვლიანმა მოახერხა გაქცევა, ხოლო ლევან ბუხაიძემ დამნაშავეთა მიმალვისთანავე თავი შეაფარა იქვე მდებარე ავტოგასამართ სადგურს, საიდანაც მომხდარის შესახებ მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეატყობინა საპატრულო პოლიციას. მოგვიანებით შემთხვევის ადგილიდან გაქცეული სანდრო გირგვლიანის გვამი აღმოჩენილ იქნა სოფელ ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სხეულზე მიყენებული სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებების კვალით“, – წერს საიდუმლო პატაკში დათა ახალაია და იქვე უთითებს, რომ არსებული ინფორმაციით, დამნაშავეები არ დადევნებიან გაქცეულ სანდრო გირგვლიანს, რის გამოც, ბოლომდე დაუზუსტებელია, კონკრეტულად რამ გამოიწვია სასიკვდილო შედეგი.



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი

№76/87(ს) „24“ თებერვალი 2006 წ.

საიდუმლო
ეგზ. №1

„პირადად“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,
ბატონ ი.მერაბიშვილს

ბატონო მინისტრო,

თქვენი დავალების შესაბამისად, ჩემს მიერ ჩატარდა აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მოქალაქე ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებული გარემოებების დასადგენად. კერძოდ, მოპოვებული ინფორმაციების მიხედვით, 2006 წლის 28 იანვარს სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი ლევან ბუხაიძე, 30-40 წუთის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე „შარდენ-ბარში“, საიდანაც გამოვიდნენ დაახლოებით 2 საათზე და ფეხით გაემართნენ თავისუფლების მოედნის მიმართულებით. ლესელიძის ქუჩაზე დასახელებული პირები შეაჩერეს სამმა ახალგაზრდა მამაკაცმა, რომლებმაც ძალადობითა და ძალადობის მუქარით ჩასვეს ვერცხლისფერ „მერსედეს-მლ“-ის მარკის ავტომობილში და მათი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით წაიყვანეს სოფელ ოქროყანის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოსთან. აღნიშნულ ადგილას ბოროტმოქმედებს შეუერთდა კიდევ ერთი პირი, რის შემდეგაც მათ სანდრო გირგვლიანსა და ლევან ბუხაიძეს მიაყენეს, როგორც სიტყვიერი შეურაცხყოფა, აგრეთვე ჯანმრთელობისათვის საშიში მძიმე ხარისხის დაზიანებები. ინციდენტის დროს სანდრო გირგვლიანმა მოახერხა გაქცევა, ხოლო ლევან ბუხაიძემ დამნაშავეთა მიმალვისთანავე თავი შეაფარა იქვე მდებარე ავტოგასამართ სადგურს, საიდანაც მომხდარის შესახებ მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეატყობინა საპატრულო პოლიციას. მოგვიანებით შემთხვევის ადგილიდან გაქცეული სანდრო გირგვლიანის გვამი აღმოჩენილი იქნა

**მერაბიშვილისთვის გაგზავნილ წერილში ახალაია „შარდენ-ბარში“, ვასილ სანოძის დაბადების დღის აღნიშვნასაც ეხმაურება და მინისტრს ატყობინებს:**

„როგორც თქვენთვის ცნობილია, დანაშაულის ჩადენის დღეს, ანუ 2006 წლის 28 იანვარს დაახლოებით 3:30 საათამდე, ჩემს მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად, ვიმყოფებოდი ზემოთ მითითებულ „შარდენ-ბარში“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის, ვასილ სანოძის დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე, სადაც ამ უკანასკნელის მიწვევით უნდა მოსულიყო, ასევე, კუდ-ის პირველი სამმართველოს უფროსი გია (გერონტი) ალანია. მე რამდენჯერმე ვესაუბრე მას მობილური ტელეფონით, რა დროსაც ის დაბეჯითებით მარწმუნებდა, რომ მოემართებოდა „შარდენ-ბარში“. დაახლოებით 3:00 საათზე მან შემატყობინა, რომ ვერ შეძლებდა მოსვლას, რადგან პირად საქმესთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა შეხვედროდა თავის მეგობარს, რომლის ვინაობაც არ დაუსახელებია. 2006 წლის 2 თებერვალს ტელეფონით დამიკავშირდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი კონსტანტინე არჩაია და მომახსენა, რომ გია ალანიას თხოვნით მას შსს-ს მე-2 ადმინისტრაციული შენობის (მოდულის შენობა) ეზოდან უნდა გაეყვანა ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცებად ამოღებული „მერსედეს მლ“-ის მარკის ავტომობილი. მე დავინტერესდი ავტომობილის ფერით, რაზეც მან მიპასუხა, რომ ის იყო ვერცხლისფერი“, – წერს დათა ახალაია ვანო მერაბიშვილს. საიდუმლო პატაკში აღნიშნულია, რომ დროის ამ მონაკვეთში მოდულის შენობიდან მართლაც გავიდა ვერცხლისფერი „მერსედეს მლ“, რომლითაც კუდ-ის ოპერატიული მუშაკი, ავთანდილ აფციაური სარგებლობდა და სადაც ისხდნენ გია ალანია და კუდ-ის თანამშრომელი ალექსანდრე ღაჭავა.

„ჩემ მიერ ოპერატიული საშუალებებით მოპოვებული და გაანალიზებული იქნა გამოსაკვლევ პერიოდში, ანუ 2006 წლის 28 იანვარს 2 საათიდან 4 საათამდე გია ალანიას მიერ განხორციელებული სატელეფონო საუბრების ამსახველი დეტალური მონაცემები, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, აღდგენილ იქნა ამ უკანასკნელის მოძრაობის სავარაუდო მარშრუტი. აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით, 2006 წლის 28 იანვარს დანაშაულის ჩადენის პერიოდში ის იმყოფებოდა შპს „ჯეოსელის“ იმ ანძის მომსახურების არეალში, რომელიც ფარავს სოფელ ოქროყანის მიმდებარე ტერიტორიას. ამასთანავე, გია ალანია თავისი მობილური ტელეფონით რამდენჯერმე დაუკავშირდა კუდ-ის ოპერატიულ თანამშრომელს, მიხეილ ბიბილურიძეს, რომელიც, თავის მხრივ, ამავე პერიოდში იმყოფებოდა მითითებული ანძის დაფარვის ზონაში. ამრიგად, ერთი მხრივ, გია ალანიასა და კუდ-ის ზემოდასახელებული სხვა მუშაკების და, მეორე მხრივ, სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში მონაწილე პირების გადაადგილების მარშრუტი, ფაქტობრივად, იდენტურია. საყურადღებოა ის გარემოება, რომ რამდენიმე დღის წინ მე შესაბამისი ლეგენდით ვკითხე გია ალანიას, ხომ არ იმყოფებოდა ის დანაშაულის ჩადენის დღეს სოფელ ოქროყანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ან ჰყავდა თუ არა გაყვანილი „მერსედეს მლ“-ის მარკის ავტომანქანა, რაც მან საკმაოდ დაბნეულმა და აღელვებულმა უარყო“, – წერს დათა ახალაია შინაგან საქმეთა მინისტრს. ამავე წერილში კუდ-ის დირექტორი ვანო მერაბიშვილისგან ითხოვს თანხმობას აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების მიზნით, ვინაიდან მოპოვებული მონაცემები „იძლევა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილეობდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მუშაკები“.

როგორც ჩანს, დათა ახალაიამ ამ საიდუმლო პატაკის შემდეგ ვანო მერაბიშვილისგან სრული ნდობა მიიღო საქმის გამოძიების მიზნით. ყოველ შემთხვევაში გირგვლიანის საქმეზე მართლაც იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგა, რომლებსაც ის საიდუმლო პატაკში უთითებს, თუმცა ირკვევა, რომ კუდ-ის გარდა, ამ საქმეს თბილისის პოლიცია დამოუკიდებლად იძიებდა. შსს თბილისის სამმართველოს მაშინდელი უფროსი მერაბ ბაღათურია რამდენიმე ხნის წინ „პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ყვებოდა, ვისთან მიდიოდა



## რატომ აწვდიდნენ მერაბიშვილს გირგვლიანის მკვლელობაზე რადიკალურად განსხვავებულ ინფორმაციებს კუდ-იდან და თბილისის პოლიციის სამმართველოდან?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# წერილი ვანო მერაბიშვილს



## დათა ახალაია: „დანაშაულის ჩადენის დღეს, დაახლოებით 03:30 საათამდე, ჩემსმეგობრებთან და კოლეგებთან ერთად, ვიმყოფებოდი „შარდენ-ბარში“



**EXCLUSIVE**

მის მიერ ჩატარებული გამოძიების კვალი. საბოლოოდ საქმე იმით დასრულდა, რომ ბალათურია სამსახურიდან საერთოდ გაუშვეს, თუმცა ხელახალი გამოძიების პროცესში მან დეტალური ჩვენება უკვე მისცა პროკურატურას.

„მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების ადგილზე, გარდა კუდ-ის დაკავებული თანამშრომლებისა, უნდა ყოფილიყვნენ ოლეგ მელნიკოვი და დათა ახალაია. მე გარკვეული გეგმაც მქონდა მოფიქრებული, როგორ უნდა განმეხორციელებინა მათი დაკავება და პასუხისგებაში მიმეცა ყველა ზემოჩამოთვლილი პირი, თუ ამის საშუალება მომეცემოდა, მაგრამ საქმის პროკურატურაში წაღების შემდეგ, ფაქტობრივად, ჩამოვცილდი აღნიშნულ საქმეს. ჩემი აზრით, ვანო მერაბიშვილი კარგად ხვდებოდა, ვისზეც შეიძლებოდა გასვლა საქმის მასალებით, ამიტომაც მოხდა საქმის სასწრაფოდ პროკურატურაში წაღება. კონკრეტულად დათა ახალაია, ოლეგ მელნიკოვი და სხვები მე ვანო მერაბიშვილისთვის დამნაშავეებად არ დამისახელებია ჩვენი შეხვედრის დროს, მაგრამ, როცა ვეუბნებოდი, რომ, თუ საშუალება მომეცემოდა, ბოლომდე გავხსნიდი ამ საქმეს და პასუხისგებაში მივცემდი ყველას, ვფიქრობ, ის კარგად ხვდებოდა, რასაც ვგულისხმობდი“, – **ყვება თბილისის პოლიციის ყოფილი უფროსი მერაბ ბალათურია.**

საბოლოოდ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ეს დათა ახალაიას პატაკში იყო აღწერილი, თუმცა ახლა გამოძიება არკვევს უშუალოდ ახალაიას დანაშაულებრივ კავშირს გირგვლიანის მკვლელობის საქმეში. „პრაიმტაიმი“ ცოტა ხნის წინ, სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით, გირგვლიანის მკვლელობის ახალი ვერსიის შესახებ წერდა. ამ ვერსიით, იცვლება როგორც შემთხვევის ადგილი, ისე მკვლელობის უშუალო შემსრულებელი. საუბარია იმაზე, რომ სანდრო გირგვლიანი ოქროყანაში არავის მოუკლავს – ის თბილისში უშუალოდ დათა ახალაიამ მოკლა და ცხედარი კვლავ ოქროყანაში აიტანეს. ის, რომ გამოძიება ამ მიმართულებითაც მუშაობს, ცნობილია თავად ახალაიების ადვოკატებისთვისაც.

**გიორგი ონიანი, ადვოკატი:**

– დიახ, ამაზე ნამდვილად მიდის მუშაობა. ამით ისინი გასცდნენ ელემენტარულ ანა-ბანას იურისპრუდენციაში, რადგან პროკურატურის მიერ 4-5-ჯერ დაკითხვის შემდეგ მოპოვებულ ათობით ჩვენებაში ყვებიან, სად და რა ვითარებაში მოხდა ეს შემთხვევა. ახლა პროკურატურა ცდილობს, ეს ჩვენებები გვერდზე გადადოს, საქმე მთლიანად შეცვალოს და შეთხზას დათა ახალაიას ბრალეულობა. დიდი იმედი მაქვს, რომ იმ ადამიანებს, ვისთანაც პროკურატურა ამ თემაზე საუბრობს, ეყოფათ ვაჟკაცობა, გამოვლენ და იტყვიან, რას სთავაზობენ მათ. გამოძიება მათთან არ მიდის კითხვით – რა მოხდა? მათ პირდაპირ სთავაზობენ ვერსიას, რომელიც უნდა დაადასტურონ. ეს არის იმ ოჯახისა და მთლიანად საზოგადოების მორიგი შეურაცხყოფა.



## პროექტში „იზრუნე მომავალზე“ ჩართული თითოეული მოზარდი თითოეული ქეისია, რომელიც არ იხურება, ვიდრე ის დამოუკიდებლობას არ მიაღწევს

თეა ხომერიკი

**„ფონდი ნატახტარი“ უკვე მესამე წელია ახორციელებს პროგრამას „იზრუნე მომავალზე“, რომლის მიზანია ობოლ და მზრუნველობამოკლებული მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრირება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება. ასევე მათი მხარდაჭერისთვის საჭირო სერვისების შეთავაზება და სახელმწიფო მომსახურების გასვლის შემდეგ გარკვეული სამუშაო უნარების მიცემა. ამ ხნის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში სპეციალური მომსახურება და დახმარება საქართველოში არსებული მცირე საოჯახო სახლებისა და დიდ ინსტიტუციებში არსებული ობოლ და მზრუნველობამოკლებული ბავშვების 224 აღსაზრდელზე განხორციელდა.**




საქველმოქმედო კამპანიის ფარგლებში, ყოველ წელს, 3 თვის განმავლობაში - ნოემბრიდან - თებერვლამდე - „ნატახტარი ლიმონათის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან ფონდში ირიცხებოდა 1, 3 და 5 თეთრი შეფუთვის შესაბამისად: 0, 33, 0, 5, 1 და 2 ლიტრი. პროექტს ახორციელებს „ფონდი ნატახტარის“ პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველო“. პროექტის ფარგლებში ორი წლის განმავლობაში 240 ათასი ლარი შეგროვდა, რაც მზრუნველობამოკლებული მოზარდების დამოუკიდებელი ცხოვრების მომზადების ხელშეწყობისთვის იქნა გამოყენებული.

პროექტში ჩართული თითოეული მოზარდი თითოეული ქეისია, რომელიც არ იხურება, ვიდრე ის დამოუკიდებლობას არ მიაღწევს.

გთავაზობთ პროექტში მონაწილე მოზარდების მცირე ისტორიებს...

**ნანა. ნ. 18 წლის**

ნანას მამა სულ ეუბნებოდა, კარგი და სამაგალითო გოგო უნდა გამოხვიდეო, მაგრამ ის ვერ ახერხებდა მონაწილეობა მიეღო შვილის აღზრდის პროცესში. როცა დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების დრო დადგა, მამამ ვერც მაშინ მოახერხა ნანასთვის დახმარების გაწევა. მაგრამ ნანას მაინც ყოველთვის ეიმედებოდა, სჯეროდა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლის დატოვების შემდეგ მამასთან გადავიდოდა საცხოვრებლად...

თუმცა ვიდრე მამა შვილისთვის უშუალო დახმარებას შეძლებს, „ფონდი ნატახტარი“ უზრუნველყოფს ნანას ბინის ქირით და სტიპენდიით.

ნანამ სკოლა დაამთავრა და გამოსაშვებ წვეულებაზე ყველაზე ლამაზი იყო... მასაც უფროსი გულშემატკივარი ახლდა, მისი თანატოლების მსგავსად. უფროსი გულშემატკივარი კი „ფონდი ნატახტარის“ და „ასოციაცია ჩვენი სახლი-საქართველოს“ ფსიქოლოგი იყო...

ფსიქოლოგის აქტიური მხარდაჭერითვე, ნანა დასაქმდა და შეიძინა მეგობრები, რომლებიც დაეხმარნენ მისი პატარა ოთახის მოწყობაში.

ახალი მეგობრები აღმოჩნდნენ სტუდენტები, რომლებმაც სპეციალური აქცია მოაწყვეს ნანას მხარდასაჭერად.

დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების პირველ დღეებში ნანა შეშინებული და დაბნეული იყო. ახლა მას აქვს ბინა, აქვს სამსახური, ჰყავს მეგობრები და მისი მხარდამჭერი პროფესიონალი ფსიქოლოგი, რომელიც იქამდე გააგრძელებს მის გაძლიერებას, ვიდრე ნანა მართლაც დამოუკიდებელი არ გახდება.

**გიორგი. დ. 19 წლის**

გიორგიც, უამრავი მისი თანატოლის მსგავსად, ცხოვრობდა მცირე საოჯახო ტიპის სახლში, სადაც ჰყავდა არაჩვეულებრივი აღმზრდელი. სწორედ აღმზრდელისა და „ასოციაცია ჩვენი სახლი-საქართველოს“ ფსიქოლოგის აქტიური თანამშრომლობით, გიორგი ჩაერთო პროექტში „იზრუნე მომავალზე“, რომელსაც „ფონდი ნატახტარი“ აფინანსებს. მან დაამთავრა კოლეჯი, შეისწავლა ხელობა, დასაქმდა კომპანიაში „მაკნატუნა“, დაიწყო ავტოსკოლაში სიარული...

მოვიდა დრო, როცა გიორგის უნდა დაეტოვებინა მცირე საოჯახო ტიპის სახლი და დაეწყო დამოუკიდებლად ცხოვრება, მაშინ როცა დედა არათუ ვერ დაეხმარებოდა გიორგის, არამედ თავად სჭირდებოდა შვილის დახმარება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

„ფონდი ნატახტარის“ დახმარებით გიორგიმ იქირავა ბინა, მიიღო სტიპენდია და საკუთარ თავზე აიღო თავისი პატარა ოჯახის გაძღოლა.

შემთხვევა დაიხურა, რადგან „ასოციაცია ჩვენი სახლი-საქართველოსა“ და „ფონდი ნატახტარის“ სპეციალისტთა საკოორდინაციო საბჭომ გადაწყვიტა, რომ გიორგი მზად არის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ფსიქოლოგისა და აღმზრდელის თანმიმდევრული მუშაობის შედეგად გიორგიმ შეიძინა ის მნიშვნელოვანი უნარები, რაც დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელია: აქვს ეფექტური კომუნიკაციის უნარი, შეუძლია პასუხისმგებლობის აღება და საკუთარი ემოციების მართვა, გახდა მეტად თავდაჯერებული, აუმაღლდა თვითშეფასება...

ახლა ის სამხედრო სამსახურშია და საკუთარი ქვეყნის წინაშე დაკისრებულ ვალს იხდის.

**დათო. გ. 21 წ.**

დათო სრულწლოვანი გახდა და მოუწია დიდი ბავშვთა სახლის დატოვება, რის შემდეგაც ქუჩაში აღმოჩნდა, - არც სახლი ჰქონდა, არც ოჯახი ჰყავდა, არც ახლობლები. მძიმე ცხოვრების 2 წელი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ ცხოვრებაზე ხელი ჩაექნია, დაეჯერებინა, რომ არასდროს არაფერი შეიცვლება და უკეთესისთვის ბრძოლაში ფარ-ხმალი დაყარა. ეს ლოგიკური შედეგია დიდ ბავშვთა სახლში გატარებული წლებისა და იმ ცხოვრებისა, რაც დათომ გამოიარა ბავშვთა სახლის დატოვების შემდეგ.

დათო უკვე სრულწლოვანი იყო, როცა „ასოციაცია ჩვენი სახლი-საქართველოს“ და „ფონდი ნატახტარის“ ფსიქოლოგმა აღმოაჩინა, გაესაუბრა, ახალი პროექტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ადვილი არ იყო მისი დარწმუნება...

დათომ ფსიქოლოგის აქტიური მხარდაჭერით დაიწყო საგნებში მომზადება, „ფონდი ნატახტარის“ დაფინანსებით მოიძებნა ბინა, დაენიშნა სტიპენდია. ფსიქოლოგმა ორგანიზება გაუწია მისთვის კერძების მომზადების სწავლებასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი სხვა უნარების განვითარებას.

დღეს დათო სტუდენტია. დღემდე ებრძვის გულის სიღრმეში არსებულ უიმედობას, თუმცა ცხოვრების მიზანი აქვს და ფსიქოლოგის მუდმივი მხარდაჭერა ეხმარება ნაკლებად იქონიოს გავლენა მის ცხოვრებაზე წარსულის კვალმა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არის თუ არა ცირკში წასვ

თამუნა შენგელია

**თბილისის ცირკში ლომის მიერ დაგლეჯილი ახალგაზრდა კვლავ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. დაშავებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკაში ორშაბათს საღამოს მრავლობითი დაზიანებებით გადაიყვანეს. რესპუბლიკური საავადმყოფოს მედპერსონალი ვითარების დასტაბილურების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ავადმყოფის მდგომარეობას კრიტიკულად მძიმედ აფასებს. ექიმებს პროგნოზის გაკეთება უჭირთ.**

უკრაინის საცირკო დასმა თბილისში რამდენიმე წარმოდგენა გამართა, მათ შორის იყო ნომერი აფრიკული ლომების მონაწილეობით. სწორედ ლომების მომვლელი გახდა ცხოველის თავდასხმის ობიექტი. ოჯახის წევრების მოთხოვნით, დაზარალებულის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. „პრაიმტაიმის“ ცნობით, მისი სახელია რომანი, გვარად კი, სავარაუდოდ, ტიმოშენკოა. რომანს ევალებოდა ლომების გალიაში შესვლა, მათი დაბანა, კვება და მოვლა. შემთხვევაც ვოლიერში მოხდა.



„ცხოველის ბუნებას ცირკის პირობები ვერ ცვლის, მხოლოდ მცირედით ახშობს და ის, რაც ველურ ბუნებაში აშკარაა, ლატენტურ მდგომარეობაში გადაჰყავს. ცხოველი ვერ იტყვის, აღიზიანებს თუ არა სცენაზე მის საყურებლად მისული ადამიანები, სიამოვნებს თუ არა სხვადასხვა ტრიუკის განხორციელება. ის იმ პირობებს, რომელშიც ცხოველის ბუნების საპირისპიროდ აღმოჩნდა, საკუთარი ქცევით აპროტესტებს. ხშირად ეს ქცევა ადამიანებისთვის ლეტალური შედეგით სრულდება“



**ხათუნა გიორგობიანი, თბილისის ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელი:** „ის არის ადამიანი, რომელიც უშუალოდ აჭმევს ლომებს, უვლის, ასუფთავებს, მხოლოდ მას აქვს გასაღები, რითაც ვოლიერში შედის და სხვას იქ შესვლის უფლება არ აქვს. იმ საღამოსაც, ჩვეულებრივ, შევიდა გალიაში და ლომი მას თავს დაესხა. დაშავებულს ბევრი სისხლი დაკარგული არ აქვს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, რთული მდგომარეობა აქვს ხერხემალზე. სამწუხაროდ, ცირკში ას-



ეთი ფაქტები ხდება და ამას ვერსად გავექცევით. მხეცის ქცევის სრულად გაკონტროლება შეუძლებელია“.

ლომების ვოლიერში რომანი მარტო იმყოფებოდა, როცა მხეცი მას თავს დაესხა. ყვირილზე ცირკის თანამშრომლები მის დასახმარებლად გალიაში შევიდნენ, თუმცა გააფთრებული ცხოველის დაშოშმინება გაუჭირდათ. ლომმა მომვლელს კისრისა და გულ-მკერდის არეში რამდენჯერმე უკბინა და დატორა.

**ბექა ყიფშიძე, ცირკის თანამშრომელი:** „ეზოში ვიყავით, როცა ყვირილი მოგვესმა. შემდეგ ლომის ღრიალიც გავიგონეთ. ვოლიერთან მივედით და საშინელი სურათი დაგვხვდა. ამის გახსენებაც არ მინდა. ლომისა და ადამიანის გაშველება ხუმრობა ნამდვილად არ არის. დასის წევრებმა ლომი სხვა გალიაში გადაიყვანეს. დაზარალებული კი მიწაზე იწვა უგონო მდგომარეობაში. მაშინვე სასწრაფო გამოვიძახეთ და მომხდარი ცირკის ადმინისტრაციას შევატყობინეთ“.

ცირკის დაცვის უფროსი გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თბილისის ცირკში უსაფრთხოების სათანადო ნორმები არ არის, უარყოფს და ინციდენტს უბედურ შემთხვევას უწოდებს. გიორგი ქერდიყოშვილის თქმით, ტერიტორია უკრაინულ დასს ჰქონდა გადაცემული და ყველაფერი მთლიანად მათ მიერ კონტროლდებოდა.



**გიორგი ქერდიყოშვილი, თბილისის ცირკის დაცვის სამსახურის უფროსი:** „როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის დასი ჩამოდის, პერიმეტრი მათ განკარგულებაში გადადის და ტერიტორიას ისინი აკონტროლებენ. უკრაინული დასი თავად აკონტროლებდა ყველაფერს“.

მომხდარმა ფაქტმა საზოგადოებაში შიში გამოიწვია, არის თუ არა ცირკში წასვლა სახიფათო, შეიძლება თუ არა, მსგავსი ფაქტი სცენაზე მოხდეს. როგორც გიორგი ქერდიყოშვილი ამბობს, ქართული მხარე ყველა საერთაშორისო სტანდარტს იცავს და მაყურებლებისთვის საცირკო წარმოდგენებზე დასწრება









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ინციდენტი თბილისის ცირკში



ლომი, რომელმაც თბილისის ცირკში მომვლელი დაგლიჯა



უსაფრთხოა: „წარმოდგენები გარეული ცხოველების მონაწილეობით ყოველთვის დახურულ გალიაში იმართება. ცირკში შემუშავებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები. თბილისის ცირკი მსოფლიო საცირკო უსაფრთხოების სტანდარტებს სრულად პასუხობს“,- აცხადებს ქერდიყოშვილი.

ერთადერთი, რისგანაც ცირკში მისული მაყურებელი 100%-ით დაზღვეული არ არის, ეს ფსიქიკური შოკის მიღებაა. საცირკო ნომრები მხეცების მონაწილეობით ყოველთვის არაპროგნოზირებადია, დიდი ხნის გაწვრთნილი და ცირკის პირობებს შეჩვეული ცხოველის ქცევის წინასწარმეტყველება კი -შეუძლებელი.

მრავლობითი დაზიანებები კისრისა და გულ-მკერდის მიდამოში, დატორილი ხერხემალი, ტრავმული შოკი, ასეთი იყო დაზარალებულის პირველადი შეფასება რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანის დროს. სამწუხაროდ, მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. დაშავებულის ოჯახის წევრები უკრაინაში მომხდარის შესახებ უკვე ინფორმირებული არიან, თუმცა პრესასთან საუბარს თავს არიდებენ.

**ნატალია ხურციძე, რესპუბლიკური საავადმყოფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:** „გიდასტურებთ, რომ ლომის მიერ დაგლეჯილი პიროვნების მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა. ჩვენი ექიმები მაქსიმალურს აკეთებენ მის გადასარჩენად. არაერთი ღონისძიების მიუხედავად, ვითარება ჯერჯერობით არ დასტაბილურდა. დაშავებულის ოჯახს მედიის ყურადღების ცენტრში მოხვედრა არ სურს და ჩვენც მათ სურვილს ვითვალისწინებთ“.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში ცირკის თანამშრომლები ამბობენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცი ლომის გალიაში ნასვამ მდგომარეობაში შევიდა, თუმცა ამ განცხადების ოფიციალურად გაკეთებისგან თავს იკავებენ.




თავდასხმა







**თეიმურაზ წიქორიძე, საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე:** „ლომი - ცირკში იქნება ის, თუ ბუნებრივ გარემოში, მხეცის ბუნება არ იცვლება. შინაური ცხოველების არაბუნებრივ გარემოსთან შეგუება შედარებით მარტივია, მაგრამ მტაცებელი ცხოველის დამორჩილება ძალზე რთულია. ლომს არ უნდა გაუთამამდე. ყველა ნორმალურ შემთხვევაში თითო მტაცებელ ცხოველს ორი ვოლიერი აქვს გამოყოფილი. როცა გალიაში საკვების შესატანად თუ დასასუფთავებლად მომვლელი შედის, ცხოველი მეორე ვოლიერში გადაჰყავთ.

მე, როგორც ცხოველების დამცველი, ვამბობ, რომ ცხოველის ყოფნა ზოოპარკსა და ცირკში არის ტყვეობა და ნახევრად ტყვეობა. გარეული ცხოველის გაწვრთნა სასტიკ მოპყრობასთანაა დაკავშირებული. მხეცის ფსიქიკა ისეთია, რომ სასტიკი მეთოდებით უნდა იქნას დამორჩილებული. ცხადია, ის აგრესიას გამოავლენს. მსგავსი უბედური შემთხვევების მიზეზი, მეტწილად, ცხოველთან ზედმეტად თამამი მოპყრობაა“.

სამწუხაროდ, საცირკო ნომრები ყოველთვის მხიარულად არ სრულდება. ცირკის მსახიობები ამ პროფესიის არჩევის დროს სიცოცხლეს სასწორზე დებენ. ჯერ კიდევ 1872 წელს, ცნობილი ინგლისელი ლომების მომთვინიერებელი, მასატი, ასობით ადამიანის თვალწინ ლომებმა დაგლიჯეს. ეს ფაქტი ყველაზე სისხლიანი იყო მეცხრამეტე საუკუნის ცირკის ისტორიაში.

მსოფლიო შეძრა სპილო მერის ისტორიამ, რომელმაც 1916 წელს საკუთარი მომვლელი სასიკვდილოდ გათელა. უცნობია, რამ გამოიწვია მერის გაღიზიანება. ცხოველს ადგილობრივმა მოსახლეობამ სასტიკი განაჩენი გამოუტანა. ის ამწეკრანზე ჩამოახრჩეს.

გასულ წელს 35 წლის ამერიკელი, ცირკის თანამშრომელი, ალექსანდრე კრიპსინი ვეფხვებმა ცირკის არენაზე დაგლიჯეს. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ლომების თავდასხმის ობიექტი საქართველოში მყოფი უკრაინული დასის ხელმძღვანელი ალექსეი პინკოც გახდა. 2010 წელს ლვოვის ცირკის არენაზე პინკო 6 აფრიკულ ლომთან ერთად გამოდიოდა. ერთ-ერთმა ლომმა, სახელად პერსეიმ, აგრესიის გამომჟღავნება დაიწყო. ის თავს დაესხა პატრონს. ასისტენტები სცენაზე ავიდნენ, მაგრამ გამძვინვარებული ლომი ვერ დააწყნარეს. საბოლოოდ, ლითონის საგნებისა და წყლის ჭავლის გამოყენებით ლომი მწვრთნელს მოარიდეს. ალექსეი პინკო ხელ-ფეხისა და მუცლის დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. გამოჯანმრთელების შემდეგ მან კვლავ გააგრძელა ამ ნომრით სხვადასხვა წარმოდგენის გამართვა, კვლავ ლომ პერსეის მონაწილეობით.

„პრაიმტაიმის“ გადამღები ჯგუფი უკრაინის დასის ხელმძღვანელს თბილისის ცირკში გაესაუბრა. ალექსეი პინკო აღნიშნავს, რომ მომხდარი ძალზე ცუდია, თუმცა, მისი პროფესიის ადამიანები საკუთარი ნებით აწერენ ხელს ასეთ რისკს.

**ალექსეი პინკო:** „ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა. ვერავის დავადანაშაულებ. ლომი ვერ იტყვის, ეს რატომ გააკეთა. ამას არც აქვს მნიშვნელობა. მთავარია, ჩვენი მეგობარი გამოჯანმთელდეს“.

თბილისის ცირკში მომხდარი ინციდენტის მთავარი მონაწილე ლომს უკრაინული დასის წარმომადგენელმა კინაღამ კიდევ რამდენიმე ადამიანის ტრაგედია აჰკიდა. ძაღლების მომთვინიერებელი ქალბატონი დაგვემუქრა, რომ ლომის გალიაში ჩვენს ფოტოგრაფს შეაგდებდა, ხოლო მის გაწვრთნილ ძაღლებს ჩვენს თავს დააგლეჯინებდა: „არ ვხუმრობ. ყველას მოგიქსევთ. ჩემი ძაღლები არიან და სრული უფლება მაქვს, რაც მინდა, ის გავაკეთებინო. ლომებს გამოვუშვებ და თქვენს თავს დავაგლეჯინებ“,- ყვიროდა ის.

ცხოველის ქცევის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია. ლომების მომთვინიერებლებმა ცხოველის ქცევების მეტ-ნაკლები დამორჩილება შეძლეს, მაგრამ ცხოველის ბუნებას ცირკის პირობები ვერ ცვლის, მხოლოდ მცირედით ახშობს და ის, რაც ველურ ბუნებაში აშკარაა, ლატენტურ მდგომარეობაში გადაჰყავს. ცხოველი ვერ იტყვის, აღიზიანებს თუ არა სცენაზე მის საყურებლად მისული ადამიანები, სიამოვნებს თუ არა სხვადასხვა ტრიუკის განხორციელება. ის იმ პირობებს, რომელშიც ცხოველის ბუნების საპირისპიროდ აღმოჩნდა, საკუთარი ქცევით აპროტესტებს. ხშირად ეს ქცევა ადამიანებისთვის ლეტალური შედეგით სრულდება. უკრაინის საცირკო დასი, ალექსეი პინკოს ხელმძღვანელობით, ერთ-ერთი მოწინავეა თავის ქვეყანაში, თუმცა, დიდი გამოცდილების მიუხედავად, არაერთხელ გამხდარა საკუთარი გაწვრთნილი ცხოველების თავდასხმის ობიექტი. დაარღვია თუ არა უსაფრთხოების ნორმები თავად დაზარალებულმა, ალბათ, მეორეხარისხოვანია. სამწუხაროდ, ფაქტი მოხდა და ახლა მთავარია, როგორ გაგრძელდება ლომისგან დაგლეჯილი ახალგაზრდის სიცოცხლე, რომელიც სიკვდილს გააფთრებული ლომივით ებრძვის.


სპილო რომელმაც მომვლელი გათელა და ჩამოახრჩვეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „სადეპუტატო შატალოს“ ხიბლი



## რომელ დეპუტატს აქვს ყველაზე მეტი არასაპატიო გაცდენა




ნატა დვალიშვილი

**სახელისუფლებო ცვლილებიდან მოყოლებული, ბოლო პერიოდის ერთ-ერთი აქტუალური თემა, უნდა იყოს თუ არა პარლამენტის შენობა ქუთაისში, პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც უკავშირდება კიდევ ერთ საკითხს, რომელზეც დღეს ბევრი არ საუბრობს, თუმცა ფაქტია – ხალხის მიერ არჩეული პარლამენტარების დიდი ნაწილი ხშირად აცდენს პარლამენტის სხდომებს.**

შეხსენება, რომ ისინი ხალხმა საკანონმდებლო საქმიანობისა და პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობისთვის აირჩია, ამ ეტაპზე თუ არაა საჭირო, მალე გახდება... არჩეულმა დეპუტატმა კი, ვისაც საკუთარი მოვალეობები გაცნობიერებული აქვს, უნდა იცოდეს, რომ პარლამენტის სხდომებსა და კომიტეტის სხდომებზე დასწრება პარლამენტარის ვალდებულებაა.

დეპუტატის ყოველთვიური თანამდებობრივი სალდო 1490 ლარია, ამდენივე ემატებათ უფლებამოსილების განხორციელებისთვის, რაც ჯამში, დაახლოებით, 3000 ლარამდეა. დამატებით ანაზღაურებას საკომიტეტო მუშაობაში პარლამენტარი არ იღებს, რადგან ნებისმიერი დეპუტატი უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე კომიტეტის წევრი მაინც. წევრობა გასაგებია, მაგრამ რატომ არ დადიან დეპუტატები კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე, გაუგებარია.

პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მერვე მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს 2013 წლის საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომებს არასაპატიო მიზეზით გამოაკლდა მხოლოდ ერთი დეპუტატი, როლანდ ახალაია „ნაციონალური მოძრაობიდან“, მას ორი არასაპატიო გაცდენა აქვს. ხოლო 2012 წლის საშემოდგომო სესიის სხდომები სამჯერ არასაპატიო მიზეზით გაუცდენია თემურ ჭკუასელს „ქართული ოცნებიდან“.

ვინც თვალს ადევნებს პარლამენტის სხდომებს პირდაპირ ეთერში, ან თუნდაც, ჩანაწერებისთვის მიუქცევია ყურადღება, შეუძლებელია, არ დაგვეთანხმოს, რომ ხშირად სხდომათა დარბაზი ნახევრად ცარიელია...

**რა ხდება ამ შემთხვევაში და რატომ ითვლება ნახევრად ცარიელი დარბაზი „საპატიოდ“? „პრაიმტაიმმა“ განმარტება სთხოვა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, გიორგი კახიანს:**

„პლენარული სხდომის გაცდენა საპატიოდ ითვლება სამ შემთხვევაში: როცა დეპუტატი მივლინებაშია, როცა ჯანმრთელობის მდგომარეობა არ უწყობს ხელს, ან ოჯახური მდგომარეობისა და გარემოებების გამო. სამწუხარო პრაქტიკად დამკვიდრდა, რომ ფრაქციებიდან შემოდის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ დეპუტატი ვერ ესწრება სხდომას „ოჯახური მდგომარეობის“ გამო და ეს მათ, ავტომატურად, ეთვლებათ საპატიოდ. გაკონტროლება კი შეუძლებელია – რა მდგომარეობაზეა საუბარი, არ ვიცით, რადგან რეგლამენტით ამის მითითება არაა სავალდებულო. სხდომათა დარბაზში რომ შემოიხედოთ, ნახავთ, რომ ბევრი დეპუტატი არ ესწრება, მაგრამ, რეალურად, ეს საპატიო გაცდენად ეთვლებათ“.

როგორც ჩანს, ის ორიოდე შემთხვევა, რაც პლენარულ სხდომებზე არასაპატიო გაცდენად დაფიქსირდა, მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ფრაქციებს დაავიწყდათ, ახალაიასა და ჭკუასელისთვის განცხადებები დაეწერინებინათ... რაც შეეხება კომიტეტის სხდომებს, იქ ან ეს წესი არ მოქმედებს, ან საქმე ფურცლის ეკონომიასთან გვაქვს, რადგან არასაპატიო გაცდენების რაოდენობა შეუდარებლად ბევრია.















2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით კომიტეტების სხდომებზე არასაპატიო გაცდენა სულ 65 დეპუტატს აქვს, რაც არჩეული პარლამენტარების საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარია. ამ 65 დეპუტატიდან, 15 მმართველი კოალიციის წევრია, ხოლო დანარჩენი 40 – ოპოზიციისა. რეგლამენტის მიხედვით, თუ დეპუტატი მხოლოდ ერთი კომიტეტის წევრია, მას ორი არასაპატიო გაცდენა ეპატიება, ხოლო თუ სხვა კომიტეტის წევრიცაა, მაშინ ასეთი სამი გაცდენა ჩაეთვლება საპატიოდ. გაცდენების რაოდენობიდან გამომდინარე, „ქართული ოცნების“ 15 დეპუტატიდან 12-ს არასაპატიო გაცდენა გაუბათილდა, დანარჩენი სამი დეპუტატია: კობა დავითაშვილი, რომელიც უკვე აღარ არის მმართველი კოალიციის წევრი და 5 არასაპატიო გაცდენა აქვს, ნანა ყეინიშვილი და კარლო კოპალიანი, რომელთაც 3-3 არასაპატიო გაცდენა აქვთ.

უფრო მრავალფეროვანია ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატების გაცდენების „ფერთა გამა“. აქ „შატალოს“ დიდი მოყვარულები ყოფილან... ზემოხსენებული 40 დეპუტატიდან, 21-ის არასაპატიო გაცდენების რაოდენობას რეგლამენტი „იტანს“ – ერთი, ორი ან სამი არასაპატიო გაცდენა კიდევ არაფერი...

დარჩენილი 19 დეპუტატიდან თავისუფლად გამოიკვეთება „ტოპათეული“, რომლებსაც კომიტეტის სხდომებზე ყველაზე ბევრი არასაპატიო გაცდენა აღერიცხებათ:

პირველ ადგილზეა ბატონი გოგი ოჩიაური, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრია – 26 არასაპატიო გაცდენა.

25 არასაპატიო გაცდენით მეორე ადგილზეა გოგა ხაჩიძე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი.

ამდენივე, 25 არასაპატიო გაცდენა აქვს ზურაბ ჩილინგარაშვილს, საფინანსო-საბიუჯეტო და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების წევრს;

24 გაცდენა აქვს დავით ჭავჭანიძეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების სხდომებზე.

„ტოპხუთეულში“ მოხვდა ჩიორა თაქთაქიშვილი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრია და 22 არასაპატიო გაცდენას ითვლის.

მეექვსე ადგილზეა აკაკი მინაშვილი, 17 გაცდენით, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრი.

7 არასაპატიო გაცდენა აქვს გივი თარგამაძეს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომებზე.

მერვე, მეცხრე და მეათე ადგილებს, 12-12 არასაპატიო გაცდენით, ინაწილებენ კობა ნაყოფია, ომარ მეგრელიძე და სამველ პეტროსიანი.

ცხადია, კანონში საჯარიმო სანქციებიცაა გათვალისწინებული. პარლამენტის პლენარული სხდომის ან კომიტეტის სხდომის ყოველი არასაპატიო გაცდენისთვის დეპუტატს ხელფასის 10% ექვითება. თუმცა, ამასაც თავისი პროცედურა აქვს. როცა დეპუტატი აცდენს კომიტეტის სხდომას, იმავე კომიტეტში უნდა შედგეს ოქმი და გადაიგზავნოს ფინანსურ დეპარტამენტში, რომელმაც დეპუტატს ხელფასიდან თანხა უნდა დაუქვითოს.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი ვერ იხსენებს რომელიმე დეპუტატის არასაპატიო გაცდენების გამო დაჯარიმების შემთხვევას, თუმცა, სანქციების გამკაცრებაზე საკითხის დაყენებას არ გამორიცხავს: „სანქციები გავამკაცროთ იმისთვის, რომ დეპუტატმა იაროს პლენარულ სხდომებზე, აიძულო იაროს, დაავალო და მოსთხოვო კანონშემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობა, რაც ისედაც მათი მოვალეობაა, ცოტა არასერიოზულად მიმაჩნია... მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრობლემაა და ვერსად გავექცევით. არაა გამორიცხული, ეს საკითხი დღის წესრიგში დავაყენოთ, რადგან რაც დრო გადის, თემა აქტუალური ხდება. მით უმეტეს, ახლა, როცა პარლამენტი ქუთაისშია. შეიძლება, ვინმეს ქუთაისში ჩასვლის პრობლემა აქვს და ამიტომაც მიიღო გაცდენებმა ასეთი სისტემატური ხასიათი. ეს ფაქტორიც თავის საქმეს აკეთებს... თბილისში რომ იყოს პარლამენტი, შეიძლება, დასწრების პრობლემაც არ ყოფილიყო ასე მწვავე, მაგრამ დღეს პარლამენტი ქუთაისშია და, როგორც ჩანს, დეპუტატები ყოველთვის ვერ ახერხებენ ჩასვლას.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტს არ აქვს უფლება, დეპუტატს მოსთხოვოს კონკრეტული ანგარიში დასწრებებზე. რა მიზეზით არ დადიან, ჩემთვის ძნელი სათქმელია. ეს, ალბათ, მათ უნდა ჰკითხოთ“.

არასაპატიო მიზეზით გაცდენებზე ფინანსურ სანქციებს პარლამენტის ფინანსური დეპარტამენტი მხოლოდ მაშინ ახორციელებს, როცა მანდატურის სამსახურის მიერ ოქმი შედგება და დეპარტამენტს მიეწოდება. პარლამენტის მთავარი ბუღალტრის, ქალბატონ რევეკა ასტროვას თქმით, მსგავსი სანქციები გატარებულა, თუმცა რომელი დეპუტატის მიმართ, ეს არ დაუკონკრეტებია: „ჩვენ რეგლამენტის მიხედვით ვმოქმედებთ, როცა ასეთი ოქმი შემოვა მანდატურის სამსახურის მხრიდან, ხელფასიდან თანხას დავუკავებთ. ადრე იყო ერთი შემთხვევა, 2013 წელს – რამდენიმე, მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რისი უფლებაც კანონით გვაქვს“.

გასულ კვირას პრემიერ-მინისტრმა ხელფასები მინისტრთა კაბინეტის წევრებსაც შეუმცირა, პრემიებსაც ისინი მიიღებენ, ვინც უკეთესად და ეფექტურად იმუშავებსო.

საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასე თუ გააგრძელეს, ბიუჯეტის თანხები კი დაიზოგება, მაგრამ მათ გასაკეთებელ საქმეს ცარიელი წითელი სკამები თუ გააკეთებს?! სკოლის „შატალოს“ თავისი გემო ჰქონდა, როგორც ჩანს, არანაკლებია „სადეპუტატო შატალოს“ ხიბლიც...

















© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 9000 ტრაგედია საქართველოში

მარიამ ნადირაძე

**ამ სტატიას ჩვენი მკითხველის, ალბათ, მხოლოდ ის ნაწილი წაიკითხავს, რომლისთვისაც ეს თემა ახლობელია, ან კიდევ ის, ვისაც ეს სამსახურებრივად ეხება... ამას წინათ ჩემმა ერთმა მეგობარმა, რომელიც ეტლით მოსარგებლეა, გამიმხილა: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე აქტივობას ჩემს მოვალეობად ჩვენთვის კი არ მივიჩნევ, ვინც უკვე ეტლში ვსხედვართ, არამედ მათთვის, ვინც საკუთარ ფეხებზე დგას, ვინაიდან ჩვენი გამოჯანმრთელების შანსი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მათი ეტლში ჩაჯდომის“...**

**სხვადასხვა დროს საქართველოში არსებულ 9000 ოჯახში ჩვილის დაბადებამ შოკში ჩააგდო ოჯახის წევრები. ამის მიზეზი ახალშობილებისთვის დასმული დიაგნოზი იყო. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ ეს არ არის ზუსტი რიცხვი, ვინაიდან ეს არის მხოლოდ ის რაოდენობა, რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია აღრიცხული სახელმწიფოს მიერ.**

**გასული წელი სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა წლად გამოაცხადა. შეიქმნა სამთავრობო პროგრამებიც. ფურცელზე უამრავ დადგენილებასა და პროექტს მოეწერა ხელი და დაესვა ბეჭედი. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი მხოლოდ იმის დაფიქსირება შეგვიძლია, რომ ქუჩებში ისევ ძველებურად ვერ ვხედავთ ეტლით მოსარგებლეებს პანდუსების არარსებობის გამო და მშობლებს ისევ უწევთ სახლში გამოკეტვა შშმ შვილების, ვინაიდან გარემო კვლავაც აბსოლუტურად არაადაპტირებულია.**

**სახელმწიფო ამ კატეგორიის ბავშვებისთვის პენსიასაც გასცემს და ვაუჩერებსაც რეაბილიტაციისთვის. ანუ, ბიუჯეტიდან გამოიყოფა საკმაოდ სოლიდური თანხა, მაგრამ როდესაც გვაქვს პრობლემა, რომლის ნაწილობრივ მოგვარებაც მოუგვარებლობის ტოლფასია, ხომ არ რჩება შთაბეჭდილება, რომ გადასახადის გადამხდელთა ფულს სახელმწიფო ჰაერში ისვრის და რა გამოსავალი უნდა ვეძებოთ?**

**ამ თემაზე სასაუბროდ ჩვენს მკითხველს რესპონდენტად ჟურნალისტი ნინო მეუნარგია უნდა შევთავაზოთ, რომელიც ამ შემთხვევაში აუდიტორიის წინაშე არაპროფილურად წარდგება. ის ჩვენს კითხვებზე უპასუხებს, როგორც შშმ ბავშვის მშობელი:**

– პირველ რიგში, ეს არის შოკი, როდესაც იგებ დიაგნოზს. ამ შოკიდან გამოსვლას ზოგი მალე ახერხებს, ზოგი – გვიან, ზოგი კი ამ შოკურ მდგომარეობაში მთელი ცხოვრება რჩება. თუ გამოდიხარ, იწყებ ფიქრს, რა უნდა გააკეთო შენი შვილისთვის. პირველი ეტაპია ბავშვისთვის სახელმწიფოს მიერ სტატუსის მინიჭება. არის ოჯახები, ვისაც არ უნდათ, ასეთი სტატუსი მიენიჭოთ მათ შვილებს. რეგიონებში კი ხშირად არ არიან საქმის კურსში, რომ ეს არის გასაკეთებელი. სტატუსი კი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო საქმის კურსშია ამა თუ იმ ბავშვზე, რომ ის არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. ის დგება აღრიცხვაზე, ენიშნება პენსია. მას ეძლევა ვაუჩერი. ვაუჩერი გამოიყენება რეაბილიტაციის ცენტრში რეაბილიტაციის კურსის ჩასატარებლად, დღის ცენტრში სატარებლად და ა.შ... როგორც ჩვენ, ყველას, გვჭირდება წყალი და ჟანგბადი, ისე ამ ბავშვებისთვის არის სასიცოცხლოდ აუცილებელი რეაბილიტაცია. სახელმწიფოს გარეშე მარტო მშობელი ამ ყველაფერს ვერ გაუმკლავდება. საქართველოში არსებობს არაჩვეულებრივი ნეიროგანვითარების ცენტრი. ამ ცენტრში კურსის გასავლელად სახელმწიფო იძლევა წელიწადში 50 დღეს. ანუ ეს არის 5 ათდღიანი კურსი. არაჩვეულებრივი სპეციალისტები მუშაობენ, მაგრამ წელწადში 50 დღე არის ძალიან მწირი, ძალიან ცოტა... ეს არის წყლის ნაყვა.




„პირველ რიგში, ეს არის შოკი, როდესაც იგებ დიაგნოზს. ამ შოკიდან გამოსვლას ზოგი მალე ახერხებს, ზოგი – გვიან“

„წარმოგიდგენიათ, არც ერთი მარტოხელა დედა, რომელიც ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაშია, თავის შვილს არ თმობს“

**– იმისთვის, რომ რეაბილიტაციას შედეგი ჰქონდეს, როგორ უნდა წარიმართოს ის?**

– თვის განმავლობაში 20 დღე გავდივართ კურსს, 10 დღე ვისვენებთ... ასე გრძელდება უწყვეტ რეჟიმში. მშობელი ხდება იძულებული, რომ ის დღეები, რომელსაც სახელმწიფო არ უფინანსებს, თავად შეავსოს და სახლში მოიყვანოს სპეციალისტები. ეს იმდენად ძვირია, რომ ოჯახები სიღარიბისთვის იწირებიან. ზოგი ქონებას ყიდის, დარბიან გადარიცხვებზე, მეგობრები ეხმარებიან. ანუ ოჯახი თანხის მოძიების მუდმივ რეჟიმშია. ამის გაძლება ძალიან რთულია. ჩვეულებრივი ოჯახის ჩვეულებრივი შემოსავალი ამას ვერაფრით გასწვდება. მით უმეტეს, როცა იცი, რომ ეს ავადმყოფობა ქრონიკულია.

**– წელიწადში 50 დღე რეაბილიტაციისთვის სახელმწიფოსგან უფასო გაქვთ?**

– სოციალურად დაუცველებისთვის უფასოა. დანარჩენებისთვის ის 70 პროცენტს აფინანსებს. თუმცა, ორივე შემთხვევაში ტრანსპორტირება არ ფინანსდება. ძალიან ბევრს არ აქვს იმის საშუალება, რომ რეაბილიტაციის ცენტრამდე მივიდეს. ამ ბავშვების საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობა პრაქტიკულად შეუძლებელია. თანაც ეს პრობლემა მარტო თბილისში ხომ არ დგას?

**– თუ რეაბილიტაციის 50-დღიანი კურსი არაფერს აძლევს ბავშვს, რა კრიტერიუმებით დაადგინა კურსის ასეთი ინტენსიურობა სახელმწიფომ?**

– იმისთვის, რომ ყველამ მოახერხოს ამ პროგრამაში ჩაჯდომა, ვისაც სტატუსი აქვს მინიჭებული... ყველაზე რომ გადანაწილდეს დღეები. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ყველა ვერ ახერხებს ამის გაკეთებას. ერთი სიტყვით, აბსოლუტურად მოუქნელი სისტემაა. ნორვეგიაში, მაგალითად, სახელმწიფო სისტემატურად უზრუნველყოფს შშმ პირების მოთხოვნებს – მომსახურება, ტრანსპორტირება, რეაბილიტაცია... ბუნებრივია, ნორვეგიისა და ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ იმისთვის, რომ სისტემა მოქნილი გახდეს, რაღაცის მოფიქრება შეიძლება – თუნდაც ფონდების დაარსება. ამ სისტემის შესაქმნელად უნდა გამოიყენონ იმ ადამიანების გამოცდილება, ვინც ამაში კომპეტენტურები არიან. დაიდო ახალი სამთავრობო გეგმა, სადაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა რეაბილიტაცია, თემატურმა ჯგუფებმაც იმუშავეს, სამინისტროებშიც მოხდა განხილვა, მაგრამ მათთვის, ვინც გადაწყვეტილებას იღებს, ეს თემა არ არის ახლობელი. მე პრეტენზიას ნამდვილად არ ვაცხადებ. უბრალოდ, მინდა, ვურჩიო ყველას, მაქსიმალურად გამოიყენონ იმ ადამიანების გამოცდილება, ვინც კომპეტენტურია, ვისაც უშუალოდ ეხება ეს საკითხი. მარტივად გეტყვით: ზოგადად, ყველა ქალმა იცის, რომ სამშობიარო ტკივილები გაუსაძლისია, მაგრამ, თუ არ იმშობიარა, ვერასდროს გაიგებს, რა არის ეს რეალურად... ხომ შეიძლება, დაარსდეს საქველმოქმედო ფონდები და მათ მიეცეთ შეღავათები გადასახადებზე?.. მარტო სტატისტიკით მსჯელობა, როცა ამ თემაზე მუშაობ, ძალიან რთულია. არასამთავრობო სექტორიც ჩართულია ამ ყველაფერში, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ბავშვები ვერ იღებენ იმას, რაც მათ სჭირდებათ...

**– გამოდის, რომ შშმ 9000 ბავშვის არსებობა არასამთავრობოების ერთი ნაწილისთვის შემოსავლის წყაროა, გადასახადის გადამხდელებისთვის კი – ჰაერში გადაყრილი ფული?**

– სამწუხაროდ, ეს არის რეალური სურათი.

**– მოდი, პირდაპირ გკითხავთ: ყოველ თვე რა თანხა სჭირდება თქვენს შვილს რეაბილიტაციისთვის?**

– თითო სპეციალისტის მომსახურება ჯდება 400 ლარი. შესაბამისად, 3 სპეციალისტის მომსახურება – 1200 ლარი. ამის გარდა, საჭიროა ცურვა, რაითერაპია... თანაც, როდესაც სპეციალისტი სახლში მოგყავს, მისი მომსახურება გაცილებით ძვირია. სახელმწიფოს ეს უფრო იაფი უჯდება. გადარიცხვა რომ გავაკეთო და რასაც სახლში ვაკეთებ, ის, პროგრამის მიღმა, რეაბილიტაციის ცენტრში რომ ჩაუტარდეს ბავშვს, 700 ლარი ჯდება... ამ დროს პენსია 100 ლარი აქვთ ბავშვებს. პირდაპირ გკითხავთ, თქვენს შვილს თვეში 100 ლარი ეყოფა? თანაც, სამწუხაროდ, ასეთი ბავშვების დედები უმეტეს შემთხვევაში მარტოხელები არიან. მამაკაცები ვერ უძლებენ ასეთ დატვირთვას. ხშირად ისინი მიდიან, სხვა ოჯახებს ქმნიან... წარმოიდგინეთ, ამ შემთხვევაში რა მდგომარეობაში ვარდება ქალი. მათ შვილებს სპეციფიკური მოვლა სჭირდებათ. მათ არ აქვთ საშუალება, რომ ნებისმიერ სამსახურში წავიდნენ და ნებისმიერ ანაზღაურებაზე იმუშაონ, ვინაიდან ამ შემთხვევაში სჭირდებათ კვალიფიციური ძიძა, რომლის მომსახურებაც საკმაოდ ძვირია. ასე რომ, მარტოხელა ქალი რჩება აბსოლუტურად მარტო ასეთი პრობლემის წინაშე 100 ლარის ამარა. ბავშვი ამით უნდა გამოკვებოს, მედიკამენტებიც უყიდოს... ასეთ ბავშვებს ისეთი მედიკამენტები სჭირდებათ, რასაც სადაზღვევო პაკეტი არ ითვალისწინებს. მე ოჯახები მყავს ნანახი, მიწურებში ცხოვრობენ. სოციალურად დაუცველთა ბაზაში ხვდებიან, მაგრამ ის, რომ მის შვილს რეაბილიტაციის კურსის გავლა შეუძლია უფასოდ, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ და 100 ლარი აქვს პენსია, მას ვერავითარ შვებას ვერ აძლევს. ასეთ შემთხვევაში, როცა დედა გაუსაძლის მდგომარეობაშია და არ შეუძლია შვილის მოვლა და შენახვა, სახელმწიფო გვთავაზობს მიმღებ ოჯახს, რომელსაც დედა გადასცემს საკუთარ შვილს, სადაც 18 წლამდე მოუვლიან და ამისთვის სახელმწიფო თვეში აძლევს 600 ლარს. დღეს მიმღებ ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 128 ბავშვია, მაგრამ არც ერთი არ არის მარტოხელა დედისგან გადაცემული. წარმოგიდგენიათ, არც ერთი მარტოხელა დედა, რომელიც ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაშია, თავის შვილს არ თმობს. ამიტომ, ხომ შეიძლება, მოხდეს აღრიცხვა და სახელმწიფომ ის 600 ლარი დედებს მისცეს, რომლებიც ასეთ მდგომარეობაში არიან?

**– სოციალურ სამსახურში ამბობენ, რომ ხშირად მშობლები მანიპულირებენ ასეთი ბავშვებით და სწორედ ამიტომაც არ აძლევს სახელმწიფო მათ ამ ფულს...**

– იმ მიმღებ ოჯახს ხომ შეისწავლის სოციალური სამსახური? ხომ შეიძლება, ასევე, შეისწავლონ მდგომარეობა თავად ბავშვის საკუთარ ოჯახში და ამის მიხედვით გადაწყვიტონ დახმარების მიცემა? დედაზე უკეთ ვერავინ მოუვლის ბავშვს. თანაც, რეგულარულ და ნათესაურ ოჯახებში ბავშვს 18 წლამდე იტოვებენ. მერე რა უნდა ვუყოთ მათ? მიმღებ ოჯახს სახელმწიფო ფულს აღარ გადაუხდის. ეს ახალი ინსტიტუციაა და ამიტომ ამ კითხვაზე პასუხი სახელმწიფოს ჯერ არ აქვს. ამიტომ ეს მოდელი მოუქნელია. ეს სისტემა გადასახედია და თავიდან არის შესაქმნელი... ჩემი შვილი 5 წლისაა. მე, ფაქტობრივად ეს 5 წელი არ მიძინია. ჩვენ 24 საათში 5 საათი გვძინავს, ისიც ინტერვალებით. დილას სამსახურში წასვლა ჩემთვის, ერთგვარად, დასვენებაა. წარმოიდგინეთ იმ მშობლების მდგომარეობა, რომლებსაც არც ღამით სძინავთ და მერე მთელი დღის განმავლობაში ისევ ამ რუტინაში არიან – ამხელა ფიზიკური, მორალური და ფსიქიკური დატვირთვის ქვეშ იმყოფებიან... მე ახლა ერთ მაგალითს გეტყვით. კონფიდენციალურია და, ბუნებრივია, სახელსა და გვარს ვერ დაგისახელებთ: მარტოხელა დედა, რომელმაც 15 წლამდე გაზარდა შვილი, გადაყოლილი იყო მასზე, ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ 15 წლის შვილი საკუთარი ხელით მიიყვანა კოჯრის ბავშვთა სახლში. აბსოლუტურად გამოსული იყო წყობიდან. ეს ტრაგედიაა და ეს მარტო იმ ოჯახის კი არა, მთელი ქვეყნის ტრაგედიაა. თუმცა, მოგვიანებით, როგორც შევიტყვე, იმ ქალმა ისევ უკან წამოიყვანა ბავშვი... სანამ დედები იმაზე იფიქრებენ, რა ეშველებათ მათ შვილებს, როცა ისინი აღარ იქნებიან, ჩათვალეთ, რომ ამ ბავშვებისთვის არაფერი კეთდება. პირადად მე შიში მაძლიერებს.

– მთავრობის გადაწყვეტილებით, როგორც ვიცი, ამ მიმართულებით ნოვაცია დაინერგა – ბაღებსა და სკოლებში ინკლუზიური სწავლება... ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია არა მარტო შშმ ბავშვებისთვის, არამედ სხვა ბავშვებისთვისაც. ისინი თავიდანვე სწავლობენ მზრუნველობას... ეს ნოვაცია კარგია, მაგრამ მის განსახორციელებლად გარემო არ არის ადაპტირებული: ჩემი შვილი ბაღში დღეში 2 საათი ძიძას დაჰყავს და მას უზის კალთაში. ეს აღმზრდელმა რომ გააკეთოს, სხვა ბავშვებს როგორღა მიაქცევს ყურადღებას? ელემენტარულად პანდუსები არ არის ბაღებში, რომ ეტლით შეიყვანო ბავშვი. ამ ყველაფერს დრო სჭირდება, რასაკვირველია, მაგრამ ამ პრობლემების მოგვარება აქტიურად თუ არ დავიწყეთ, დრო გარბის, ბავშვები კი იზრდებიან. ამიტომ ჩვენ თავად უნდა მოვიფიქროთ უფრო მოქნილი მოდელი, რომელიც შედეგებს მოგვცემს და ამ მიმართულებით პრობლემები მაქსიმალურად უნდა შემცირდეს. ნურავინ მიწყენს, მაგრამ, როცა რეკლამებსა და შოუებში კოლოსალურ თანხებს იხდიან, გამოდის, რომ საქართველოში ეს თანხა არის. ხომ შეიძლება, ასეთ ბავშვებსაც მიექცეთ ცოტა ყურადღება? საახალწლოდ და სხვა დღესასწაულებზე ამ ბავშვებისთვის საჩუქრები რომ მოაქვთ, ეს უფრო მეტად გამაღიზიანებელია. მაგალითად, ჩემი შვილისთვის ტკბილეული არ შეიძლება. ასე რომ, ნებისმიერი ასეთი დახმარება საჭიროებას უნდა იყოს მორგებული. სხვანაირად ეს მხოლოდ პიარაქციაა და მეტი არაფერი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ნიშნით ათავისუფლებენ თანამშრომლებს საჯარო სამსახურიდან?



## my View
**მირიან ბოქოლიშვილი**

**ბიძინა ივანიშვილის მიერ გასულ კვირას დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ აქტიურად აპირებს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მუშაობას. როგორც ჩანს, ორგანიზაციის მთავარი ორიენტირი იქნება კონკრეტული პიროვნება და მისი უფლებები. ჯერ ძნელი სათქმელია, დაინტერესდება თუ არა ყოფილი პრემიერი მოქალაქე რეზო ოთარაშვილის საქმით, თუმცა აშკარაა, ეს სწორედ ის „ქეისია“, რომელიც ივანიშვილის ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს სრულად მიესადაგება. საქმე, რომელმაც კიდევ ერთხელ აქტუალური გახადა კითხვა – რამდენად დაცულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები საქართველოში?**



## რეზო ოთარაშვილი: „ცერებრალური დამბლა მაქვს კიდურზე და ჩემს ზურგს უკან არის ოჯახი, ცოლი და შვილი, რომლებიც დღეს ჰაერში დამიტოვეს“

EXCLUSIVE

რეზო ოთარაშვილი რედაქციაში თავად დაგვიკავშირდა და მისი უფლებების დარღვევის შესახებ მოგვიყვა. ახალგაზრდა ბიჭი დუშეთის მუნიციპალიტეტში სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობდა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებს კურირებდა. თავად ცერებრალური დამბლითაა დაავადებული, რის გამოც ზედა კიდური პარალიზებული აქვს. ადგილობრივ თვითმმართველობებში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის შეცვლისთანავე ის აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი, რომელიც დუშეთის მუნიციპალიტეტის ახალმა გამგებელმა სამსახურიდან გაათავისუფლა, ყოველგვარი კომპენსაციისა და ახსნა-განმარტების გარეშე. თავად გამგებელი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ოთარაშვილმა კონკურსი ვერ გაიარა და შეზღუდული შესაძლებლობა სამსახურში მისი დატოვების საფუძველი ვერ გახდებოდა. რეზო ოთარაშვილის თქმით კი, მისი შტატი მუნიციპალიტეტმა საერთოდ გააუქმა. ჩვენთან საუბრისას ოთარაშვილი ყვება, რომ გამგებელი მას დამამცირებლად მოიხსენიებდა და მის შეზღუდულ შესაძლებლობებს უსვამდა ხაზს. იმის დამტკიცებას, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მუშაობაში ხელს არ უშლიდა და სამსახურიდან ნამდვილად უკანონოდ გაათავისუფლეს, ოთარაშვილი ახლა სასამართლოში შეეცდება. დუშეთის რაიონულ სასამართლოში მან სარჩელი უკვე შეიტანა.

**რეზო ოთარაშვილი:**

– მას შემდეგ, რაც დუშეთის მუნიციპალიტეტში შეიცვალა პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, დაიწყო შემოტევები იმ თანამშრომლებზე, რომლებიც მანამდე ვმუშაობდით. წმენდა რიგით სპეციალისტებსაც კი შეეხოთ. დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი ტრიპოლსკი საკუთარ კაბინეტში იბარებდა „ოცნების“ აქტივისტებს და უკვე დასაქმებული ადამიანების ადგილს სთავაზობდა. გამგებელი რომ გადადგა, გამოაცხადეს კონკურსი, სადაც უშუალოდ ირაკლი ტრიპოლსკი იჯდა სათავადოში და ის წყვეტდა, ვინ უნდა გასულიყო არა მხოლოდ გამგებლად, არამედ ჩვეულებრივ რიგით თანამდებობაზე. მე, ცხადია, ეს გავაპროტესტე. ამის შემდეგ გააქტიურდა ზეწოლა, რომელიც აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ჩემ მიმართ დაიწყო პოლიტიკური დევნა, ვინაიდან ხმამაღლა ვთქვი, რომ გამგებლის თანამდებობაზე გიზო ჩოხელი კანონდარღვევით იქნა არჩეული. ჩოხელმა ვერანაირი მიზეზი რომ ვერ მომიძებნა, ბოლოს საკრებულოს მიმართა, რომ ჩემი შტატი საერთოდ გაეუქმებინათ. ანუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სპეციალისტი გამგეობას აღარ სჭირდება. აქედანაც კარგად ჩანს, რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას და კონკრეტულად დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ინვალიდთა მიმართ. როდესაც შტატს აუქმებ და მიშვებ სამსახურიდან, კანონით გათვალისწინებული ორთვიანი კომპენსაცია ხომ მაინც უნდა გადამიხადო? ცხადია, ამაზეც უარი თქვეს. მითხრეს, არანაირი კომპენსაცია არ გეკუთვნის, რადგან დროებით მუშაობდი ამ თანამდებობაზეო. ეს არის აბსურდი და ტყუილი, რის ტირაჟირებასაც ახდენს ჩოხელი.

> „მე ჩემი გაჭირვება არ მეყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რომ ვარ? როგორ შეიძლება ამხელა თანამდებობის პირი ასეთ შეურაცხყოფას აყენებდეს ადამიანს“

**– როგორც ვიცი, სასამართლოს მიმართეთ...**

– დიახ, მე ყველა საბუთი, რომელიც ჩემს სიმართლეს ადასტურებს, ხელთ მაქვს და უკვე მივმართე სასამართლოს. ამ დღეებში მაცნობებენ, კონკრეტულად როდის ჩაინიშნება პროცესი. აქ მარტო ჩემზე არ არის საუბარი. 76 ადამიანი სრულიად უაპელაციოდ გაუშვეს სამსახურიდან, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი აქტივისტები დაესაქმებინათ მათ ნაცვლად. არაერთ ადამიანს დავუკავშირდი, რომ ყურადღება მოექციათ. „ნაციონალურ მოძრაობასაც“ მივწერე, მაგრამ არც იქიდან გამომხმაურებია ვინმე. მარცხენა ხელი მთლიანად პარალიზებული მაქვს, ცერებრალური დამბლა მაქვს კიდურზე და ჩემს ზურგს უკან არის ოჯახი, ცოლი და შვილი, რომლებიც დღეს ჰაერში დამიტოვეს.

**– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ პოლიტიკური ნიშნით დაკარგეთ სამსახური?**

– გარდა იმისა, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, კარგად აჩვენებს ხელისუფლების დამოკიდებულებას, ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ. გულწრფელად მაინტერესებს, როდესაც ეს ხელისუფლება გამოდის და ადამიანის უფლებებით აპელირებს, ის, რაც ჩემ მიმართ ხორციელდება, სამართლიანობის ზეიმია? მთელი ცივილიზებული მსოფლიო ცდილობს, არ მოხდეს ჩემი კატეგორიის ადამიანების გარიყვა და მაქსიმალურად მოახდინონ ჩვენი ადაპტაცია საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ესენი, ნაცვლად ამისა, ერთი ხელის მოსმით, ქუჩაში გვყრიან. კარგით, რეზო ოთარაშვილი არ მოგწონს და მისი განთავისუფლება ნებისმიერ ფასად გაქვს მიზნად დასახული, მაგრამ მთლიანად რატომ აუქმებ შტატს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით მუშაობდა? გიზო ჩოხელი ჩემზე ამბობს, რომ ვარ გამოთაყვანებული, ლაპარაკის უნარი არ მაქვს, სიტყვას სიტყვაზე ვერ ვაბამ და საერთოდ არ ვარ იმ კატეგორიის ადამიანი, რომელიც მუნიციპალიტეტში უნდა მუშაობდეს. მე ჩემი გაჭირვება არ მეყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რომ ვარ? როგორ შეიძლება ამხელა თანამდებობის პირი ასეთ შეურაცხყოფას აყენებდეს ადამიანს. ამიტომაც არ გავჩერდები და სასამართლოს გზით მოვთხოვ პასუხს.

„პრაიმტაიმი“ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გიზო ჩოხელსაც დაუკავშირდა. მისთვის ოთარაშვილის პრეტენზიები მიუღებელი აღმოჩნდა და განაცხადა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების გამო გამონაკლისს ვერ დაუშვებდა.

**გიზო ჩოხელი, დუშეთის გამგებელი:**

– აბსოლუტურად უსაფუძვლოა ოთარაშვილის ბრალდებები. ჩატარდა კონკურსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის შესაბამისად. კონკურსი იყო ორ ეტაპად – ტესტირება და გასაუბრება. თქვენ მიერ ხსენებულმა ოთარაშვილმა ტესტირებაც კი ვერ გადალახა. არარეალურია, რომ თანამშრომლები მასობრივად გავათავისუფლეთ, 60 პროცენტი იგივე კადრია. თუ კონკურსი ვერ გაიარა, გამონაკლისს ვერ დავუშვებდით მხოლოდ იმის გამო, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ასეთ რამეს კანონი არ იცნობს.

დაირღვა თუ არა კანონი და შელახა თუ არა სახელმწიფო უწყებამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებები? ამას მალე სასამართლო გადაწყვეტს. საქმის განხილვას დუშეთის რაიონული სასამართლო უახლოეს ხანში შეუდგება.



**გიზო ჩოხელი: „არარეალურია, რომ თანამშრომლები მასობრივად გავათავისუფლეთ, 60 პროცენტი იგივე კადრია“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ემზარ კვიციანი სკანდალური ფაქტების გახმაურებას აპირებს!

## ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან პირველთან

## „დადგება თუ არა კვიციანის ჩვენების შემთხვევაში ირაკლი ალასანიას პასუხისმგებლობის საკითხი?!“



ეკა სოსელია

**ემზარ კვიციანი საქართველოში დაბრუნების ნებართვას ითხოვს. საგანგებო თხოვნით საქართველოს ხელისუფლებას ლევან პირველი მიმართავს, „მომეცით კვიციანის პასპორტი და მე მის საქართველოში ჩამოყვანას უზრუნველვყოფ!“ – აცხადებს ლევან პირველი. ემზარ კვიციანი 2006 წლის ივლისის ბოლოდან სამხედრო ამბოხებისა და ტერორისტული აქტების მოწყობის ბრალდებით იძებნება. სააკაშვილის ხელისუფლებამ მისი ადგილსამყოფელის დასადგენად თავის დროზე 100 000-ლარიანი ჯილდოც კი დააწესა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კვიციანის და, ნორა კვიციანი პატიმრობიდან განთავისუფლდა, საქართველოში დაბრუნებულ ემზარ კვიციანის ოჯახს კი საცხოვრებელი სახლი დაუბრუნდა. ამ დრომდე არ გადაწყვეტილა თავად ემზარ კვიციანის დაბრუნების საკითხი. პირველი, რაც მას დაბრუნებაში ხელს უშლის, პასპორტის უქონლობაა. ლევან პირველი აანონსებს, რომ საქართველოში დაბრუნებული კვიციანი სკანდალურ ფაქტებს გაახმაურებს და კოდორის ხეობის დაკარგვის სქემას დეტალურად გაშიფრავს.**

**ლევან პირველი:** ემზარ კვიციანთან კონტაქტი მაქვს და შემიძლია, ის საქართველოში ჩამოვიყვანო. პასპორტი არ აქვს და ფიზიკურად ვერ მოდის, სწორედ ამიტომ მივმართავ ხელისუფლებას, მომეცით ემზარის პასპორტი, ჩავალ და ჩამოვიყვან! ძალიან რთულ მდგომარეობაშია, სამშობლოში ჩამოსვლა უნდა, პოლიტიკური დევნილია, აბა, რა არის.

**– ემზარ კვიციანის საქართველოში ჩამოყვანას მისი ოჯახიც ცდილობს.. მიმართეს კიდეც მათ ხელისუფლებას ამის თაობაზე. რა პასუხს იღებენ, რატომ ვერ ხერხდება კვიციანის ჩამოყვანა?**

– ცუდ პასუხს არავინ აძლევთ, მაგრამ პრაქტიკულად რაღაც ძალები არსებობს, რომლებსაც არ უნდათ, რომ ემზარი საქართველოში დაბრუნდეს და ამიტომ აფერხებენ, ფაქტი სახეზეა.

**– რა ძალებს გულისხმობთ?**

– მაგას ემზარი იტყვის. მე რაც ვთქვი, ისიც საკმარია – დეტალებზე საუბარი მისი უფლება და პრეროგატივაა, მე უბრალოდ ვამბობ, მომეცით პასპორტი, რომ ის კაცი საქართველოში ჩამოვიყვანო.

**– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ემზარ კვიციანი საქართველოში დაბრუნების შემდეგ, საკმაოდ სკანდალური საქმეების გახმაურებას აპირებს...**

– გიდასტურებთ, მე ვიცი ეს ყველაფერი, ჩემთვის მონაყოლი აქვს. სხვა წყაროებიდანაც ვიცი, მაგრამ არ მაქვს მორალური უფლება, მის გარეშე ვილაპარაკო.

**„რაღაც ძალები არსებობენ, რომლებსაც არ უნდათ, რომ ემზარი საქართველოში დაბრუნდეს და ამიტომ აფერხებენ – ფაქტი სახეზეა“**



**– რას ეხება საქმე?**

– საქმე კოდორის ამბებსა და კოდორის დაკარგვას ეხება. ეს იყო შეთქმულება. ხეობა სვანების მიერ იყო დაცული და არავითარი თეორიული შანსი არ არსებობდა იქ აფხაზების ან რუსების შეტევის. ქართული მხარის შესვლის შემდეგ კი პრაქტიკულად კოდორი დავკარგეთ. საეჭვო შეთქმულება იკვეთება – შეთქმულება რუსულ მხარესთან. ეს ყველაფერი იყო დადგმული, მოხდა კოდორის ჩაბარება! ემზარმა ეს ყველაფერი იცის, თვითმხილველია. ის კაცი არ არის, რომ ვინმე ჩაწეროს და რაიმე ფარული მტკიცებულებები ჰქონდეს, მაგრამ ის ფაქტები, რასაც ის იტყვის, რეალობაა, მაგის გადამოწმება შესაძლებელია და ყველაფერი მარტივად დამტკიცდება. მე მაგალითად, გადამოწმებული მაქვს და ყველაფერი გამართლდა.

**„საქმე კოდორის ამბებსა და კოდორის დაკარგვას ეხება. ეს იყო შეთქმულება“**

**– ვისთან არის შესაძლებელი გადამოწმება?**

– ამ კითხვაზე პასუხიც იმ ნაწილს ეკუთვნის, რაზეც ლაპარაკი არ შეიძლება. ეს ყველაფერი რომ მოვყვე, შესაძლოა, ფაქტების მოსპობა დაიწყონ...

**– ვინ დაიწყებს ფაქტების მოსპობას, ახალ ხელისუფლებაშიც არის ვინმე, ვისაც შესაძლოა, არ აწყობდეს კოდორის მოვლენების გამოძიება?**

– როგორც ახალ, ისე ძველ ხელისუფლებაში არიან ფიგურები, რომლებიც ამ ყველაფერში მონაწილეობდნენ. სანამ ემზარი იყო კოდორში – ხეობა ქართულ იურისპრუდენციაში იყო. ემზარის „მოტეხვის“ შემდეგ კი ასე აღარაა და შემთხვევით არ მომხდარა, რომ ემზარი „მოტეხეს“, ამის შემდეგ რუსები შემოვიდნენ... აი, ეს იყო სწორედ შეთქმულება, რომელიც მიმართული გახლდათ კოდორის დაკარგვისკენ.



**– შესაძლებელია, რომ ემზარ კვიციანის ჩვენების შემდეგ ყოფილი და ახლანდელი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს?**

– რა თქმა უნდა, ვინც ამ პროცესებში მონაწილეობდა, ყველას პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ყველა მონაწილე პირველი პირის...

**– ვის გულისხმობს მოქმედი ხელისუფლებიდან? ერთ-ერთ ინტერვიუში ემზარ კვიციანი კოდორის ხეობის ჩაბარებას ამერიკელების გეგმას უკავშირებს და ირაკლი ალასანიას უპირისპირდება, ემზარ კვიციანი მიმართავს კიდეც ალასანიას: „ვეკითხები ირაკლი ალასანიას და ბევრჯერ შევეკითხები, სანამ სული მიდგას, რატომ ჩააბარე ხეობა? ჩემთვის სულ ერთია, გაეროში იყავი თუ სად იყავი. შენ მე პირობა მომეცი, რომ ხეობას დაიცავდი. რატომ არ დაიცავი?“ – ეს იმ პერიოდზეა საუბარი, როცა ალასანია გაეროში საქართველოს ელჩი იყო. ნიშნავს თუ არა კვიციანის ეს განცხადება იმას, რომ ჩვენების მიცემის შემთხვევაში ალასანიას პასუხისმგებლობის საკითხსაც დააყენებს?**

– მე ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი ემზარმა უნდა ილაპარაკოს და კონკრეტულ გვარებსა და სახელებსაც ის დაასახელებს. ემზარს ეს ინფორმაცია ჯერ ხელისუფლებისთვის არ მიუწოდებია და სწორადაც იქცევა. აქ ჩამოსვლამდე რომ ალაპარაკდეს, არსებობს საფრთხე, რომ საბუთებისა და მოწმეების მოსპობა დაიწყოს. სხვა ვითარება იქნება, როცა თვითონ ემზარი ამ ყველაფერს საჯაროდ მოყვება. მაგას მარტო არავინ დატოვებს, ყველა ის პიროვნება ეყოლება გვერდით, ვისაც სიმართლე აინტერესებს. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ის მარტო მებრძოლი კი აღარ იქნება, ვისი ხმაც საიდანღაც ისმის, მის გვერდით პატრიოტები დადგებიან, ადამიანები, რომლებსაც ღალატის ფაქტი აინტერესებთ. სისულელით კი არ გვაქვს დაკარგული კოდორი, არამედ ეს იყო შეთქმულება.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ემზარს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოში მარტივად დაბრუნდებოდა და ჯერაც არ აქვს გადაწურული იმედი. სტრესულ მდგომარეობაშია, ხომ წარმოგიდგენიათ, ამდენი წელი ელოდები, რომ შენი სიმართლე ყველამ გაიგოს და აი, თითქოს დადგა დრო და მაინც ვერ ხერხდება ეს ფიზიკურად... ალბათ, უკვე სხვა აზრები მოსდის თავში...

ზოგადად, სამართლიანობის აღდგენას რაც შეეხება, ვფიქრობ, თავიდანვე შეცდომაა დაშვებული. რეჟიმის პოლიტიკური შეფასება უნდა მომხდარიყო, რაც, ჩვეულებრივ, დიქტატორული, ანტისახალხო რეჟიმის წასვლის შემდეგ ხდება. ამას მხარს მთელი საქართველო დაუჭერდა. სწორედ ეს არის ამ მთავრობის მთავარი შეცდომა და მას ავტომატურად მოსდევს სხვა არასწორი ნაბიჯები...

**– თუკი თქვენს ამ განცხადებასა და მიმართვასაც არ მოჰყვა რეაგირება, რას აპირებთ, ოჯახის წევრები რამდენიმე თვის წინ ამბობდნენ, რომ აქციების გამართვას დაიწყებდნენ...**

– აქციები კი არა, ყველაფერს გავაკეთებთ, ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ, აქ მხოლოდ ემზარზე არ არის საქმე, ქვეყნისთვის აუცილებელ საკითხზეა საუბარი. თუ არ უნდათ ჩამოყვანა და ამ საკითხის გადაწყვეტა, მაშინ ჩვენ გადავწყვეტთ, ჩვენ მოვიფიქრებთ!

**„როგორც ახალ, ისე ძველ ხელისუფლებაში არიან ფიგურები, რომლებიც ამ ყველაფერში მონაწილეობდნენ“**

**„ემზარს ეს ინფორმაცია ხელისუფლებისთვის ჯერ არ მიუწოდებია და სწორადაც იქცევა. აქ ჩამოსვლამდე რომ ალაპარაკდეს, არსებობს საფრთხე, რომ საბუთებისა და მოწმეების მოსპობა დაიწყოს. სხვა ვითარება იქნება, როცა თვითონ ემზარი ამ ყველაფერს საჯაროდ მოყვება“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაამარცხებს თუ არა ჯანდაცვის სამინისტროს ახალი რეფორმა „სააფთიაქო ნარკომანიას“?

ნატა დვალიშვილი

**24 იანვრიდან საქართველოს ყველა აფთიაქში რამდენიმე დასახელების, ძირითადად, მეორე ჯგუფის მედიკამენტების ყიდვა მხოლოდ ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის საშუალებით იქნება შესაძლებელი. ჯანდაცვის სამინისტრომ ამ საკითხს სპეციალური ბრიფინგიც მიუძღვნა და განმარტა, რომ პირველ სექტემბრამდე პერიოდი, ერთგვარი, გარდამავალი ეტაპია, რომლის შემდეგაც მეორე ჯგუფში განკუთვნილი ყველა მედიკამენტის გაცემა მოხდება მხოლოდ რეცეპტის მეშვეობით. რა ხდება პირველ სექტემბრამდე და რას ჰქვია ეტაპობრივი რეფორმა? რას ემსახურება ეს ყველაფერი და არის თუ არა მიმართული პროცესების გაჯანსაღებისკენ? ხომ არ დაზარალდებიან ადამიანები, რომლებიც მუდმივად მოიხმარენ ამ ჯგუფის პრეპარატებს? რა სახის მოგება დააკლდებათ აფთიაქებს დაწესებული შეზღუდვებით და ხომ არ გამოიწვევს ეს ფასების ზრდას სხვა ჯგუფის მედიკამენტებზე? კითხვა უამრავია, თემა – მეტად მგრძნობიარე. იმდენად მგრძნობიარე, რომ ერთმა გადაცდენილმა და გაუთვლელმა ნაბიჯმა, შესაძლოა, სოციალური აფეთქებაც გამოიწვიოს. თუმცა, მივყვეთ მოვლენებს...**



## დავით სერგეენკო: „ფინანსური სანქციები არ აღმოჩნდა ქმედითი ბერკეტი, ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ გზით წავსულიყავით“

### ახალი სტრატეგია ნარკომანიის წინააღმდეგ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2013 წელს რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა გამოაქვეყნა, სადაც ყველა მიმართულებით დაფიქსირებული დანაშაულების შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა მოცემული. ყველაზე საგანგაშო და თვალშისაცემი აქ ისაა, რომ 2013 წელს 4-ჯერ მეტადაა გაზრდილი ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული. მაგალითად, თბილისში 2012 წელს რეგისტრირებული იყო ნარკოდანაშაულის 766 ფაქტი, ხოლო 2013 წელს – 3 384. ნარკომანიასთან ბრძოლა და ნარკომანიის მართვა, ის პროცესია, რომელიც ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მოიგო, თუმცა, თანმიმდევრული და გააზრებული პოლიტიკის გატარება იძლევა საშუალებას, სახელმწიფოს სადავეები ხელიდან არ გაექცეს, საკადრისი სასჯელი ჰქონდეს დანაშაულის ჩამდენს და მომხმარებელიც არ იყოს განწირული მუდმივად ნარკოდამოკიდებულებაზე.

ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ინფორმაციით, საკანონმდებლო ბაზა ბოლო ერთი წლის განმავლობაში კარგად დაიხვეწა, თუმცა პრაქტიკაში თანმიმდევრული ტაქტიკის გატარება ნარკომანების მიმართ, იმდენად არაეფექტურია, რომ ამაზე ხმამაღლა საუბარს აღარავინ ერიდება. **დავით სერგეენკოს** თქმით, ეს საკითხი ამჟამად მთლიანად დაექვემდებარა მის უწყებას და ნარკოლოგიაში, როგორც კლინიკური მედიცინის დარგში, სასწრაფოდ, ფორსირებული რეფორმის გატარებაა აუცილებელი: „ბევრი ქვეყანა ცდილობს, სასტიკი სადამსჯელო ღონისძიებებით გაუსწორდეს ნარკომანიას, მაგრამ უშედეგოდ. ნარკომანიის მართვა შედგება ხუთი სხვადასხვა ჯგუფის აქტივობისგან, დაწყებული ჩანაცვლებითი თერაპიით და დამთავრებული რეაბილიტაციით, თუმცა აქ არის უამრავი ნიუანსი. სწორედ ამ ტაქტიკურ მართვაში პროცესები მიდიოდა ინერციით, არ იყო რეფორმის რეალური ხედვა, ვგულისხმობ ნარკოლოგიის კლინიკურ ნაწილს. სწორედ აქ ვაპირებთ აქტიურ ზემოქმედებას და ვფიქრობთ, სწრაფ ფორსირებულ რეფორმას დავუქვემდებაროთ, რომელიც ისედაც საჭირო იყო და განსაკუთრებით აქტუალური გახდება ახლა, როდესაც სააფთიაქო ნარკომანიის არხები ცალსახად გადაიკეტება. საქართველოში არსებობს სამედიცინო დაწესებულებების ქსელი, ერთი მსხვილი სათავო დაწესებულება, ნარკომანიისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტი, და რამდენიმე მცირე კალიბრის დაწესებულება, რომლებიც სწორედ ამ პრობლემით არიან დაკავებულები. იქ პაციენტებს უტარდებათ ამბულატორიული, სტაციონარული მკურნალობა, ჩანაცვლებითი თერაპია, ე.წ. მეტადონის პროგრამა, ფსიქოლოგიური და ზოგადი რეაბილიტაცია. რაც უნდა იდეალურად იყოს გამართული ხუთივე მიმართულება, აქ ყოველთვისაა რეციდივის რისკი. აუცილებელია, ეს ხუთივე მიმართულება ერთმანეთთან მკაცრად კოორდინირებული იყოს, ანუ პაციენტის გადამისამართება ერთი მიმართულებიდან მეორეზე გააზრებულად უნდა მოხდეს, რაც, სამწუხაროდ, მოგვარებული არ არის. ახალი დაწესებულების შექმნა, ამ ეტაპზე, საჭირო არ არის. მთავარია, სწორად ორგანიზება და არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენება“.

### „სააფთიაქო ნარკომანია“

სანამ ნარკომანიის მართვას სახელმწიფო ახლი სტრატეგიის მიხედვით დაიწყებდეს, პირველი და მნიშვნელოვანი შეტევა „სააფთიაქო ნარკომანიაზე“ განხორციელდა. პირველი ნაბიჯი, რაც სახელმწიფომ რამდენიმე ხნის წინ გადადგა, არასრულწლოვნებზე მეორე ჯგუფის მედიკამენტების მიყიდვის აკრძალვა იყო, თუმცა დანარჩენ მომხმარებელს თავისუფლად შეეძლო იმ მედიკამენტების შეძენა, რომლითაც სუროგატული ნარკოტიკი, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერებების დამზადება იყო შესაძლებელი, მათ შორისაა ე.წ. კრაკადილი. სწორედ ეფედრინის, კოდეინისა და სხვა მსგავსი მედიკამენტების თავისუფალი რეალიზებით მართლაც, რომ კატასტროფული მასშტაბი მიიღო „სააფთიაქო ნარკომანიამ“ და მისი შეჩერება კანონიერი გზით უკვე აუცილებელი იყო. აიკრძალება ასევე ბაკლოფენისა და მისი ჯგუფის მედიკამენტების გაყიდვაც, რომლებსაც გამოხატული ნარკოტიკული თრობის ეფექტი აქვს. ჯანდაცვის მინისტრის, **დავით სერგეენკოს** თქმით, ეს მაქსიმალურად მოხსნის „სააფთიაქო ნარკომანიის“ რისკს და ამასთანავე, დააბრუნებს მივიწყებულ უნარჩვევებს, რაც პაციენტის ექიმთან მისვლასა და დანიშნულებისამებრ გამოწერილი რეცეპტით წამლების შეძენას გულისხმობს: „ბოლო ოცი წელია, როგორც მავნე პრაქტიკა, დამკვიდრდა თვითმკურნალობა, ადამიანები აღარ მიდიან ექიმთან, ჰგონიათ, რომ თვითმკურნალობით უშველიან თავს. დღეს სახელმწიფო ყველას უფინანსებს ექიმთან ვიზიტს, არ არის

> **„დღეს სახელმწიფო ყველას უფინანსებს ექიმთან ვიზიტს, არ არის პრობლემა, მივიდნენ და დანიშნულების მიხედვით შეიძინონ წამლები, ხოლო მთელი რიგი მედიკამენტები, კონტროლის გაძლიერების მიზნით გადავიდა რეცეპტით გაყიდვაზე“**

პრობლემა, მივიდნენ და დანიშნულების მიხედვით შეიძინონ წამლები, ხოლო მთელი რიგი მედიკამენტები, კონტროლის გაძლიერების მიზნით გადავიდა რეცეპტით გაყიდვაზე. მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადება აქვს და მუდმივად უწევს წამლის შეძენა, გამოიწერება გრძელვადიანი, მრავალჯერადი რეცეპტი, მათ არ მოუწევთ ყოველ ჯერზე ექიმთან მისვლა რეცეპტის წამოსაღებად. წელიწადში ერთხელ კი, ასეთი ადამიანები ნამდვილად უნდა მიდიოდნენ ექიმთან გამოკვლევაზე. ამ ვიზიტებს სახელმწიფო აფინანსებს და აქ არ იარსებებს შემაფერხებელი ფაქტორი. გასათვალისწინებელია ასევე გადაუდებელი შემთხვევები, მაგალითად, მაღალი წნევის, ძლიერი ალერგიული რეაქციის, ბრონქიალური ასთმის შემთხვევები, რომელიც ადამიანს უეცრად შეიძლება დაემართოს და თან არ ჰქონდეს რეცეპტი. ამიტომ 15-20 დასახელების მედიკამენტი ასეთი შემთხვევებისთვის ურეცეპტოდ გაიყიდება ყველა აფთიაქში.

ჩვენი მიზანია, გადამწყვეტი დარტყმა მივაყენოთ „სააფთიაქო ნარკომანიას“, რომ თავისუფლად აღარ იყიდებოდეს ის მედიკამენტები, რომლითაც ავადსახსენებელი სუროგატული ნარკოტიკები მზადდება. ძალიან მალე აიკრძალება ანესთეზიისთვის საჭირო მედიკამენტების საცალო გაყიდვა. დღეს ეს წამლები თავისუფლად იყიდება აფთიაქებში, რაც დამატებით საფრთხეს წარმოადგენს. ანესთეტიკები თავისი ბუნებითაა ტკივილგამაყუჩებელი და გარკვეული მედიკამენტური ძილისმომგვრელი საშუალება და მათ გამოყენებას მომზადებული ექიმი-ანესთეზიოლოგი და სპეციალური მონიტორინგის აპარატურა სჭირდება. ამის გარეშე სასიკვდილო საფრთხეები დგება. მაგალითისთვის, ეს იყო მაიკლ ჯექსონის გარდაცვალების მიზეზი – სამკურნალოდ გამოიყენეს ანესთეტიკი „პროფოლი“ და არ იყო სასიცოცხლო ფუნქციების შესაბამისი მონიტორინგი, რამაც გამოიწვია ამ ადამიანის გარდაცვალება. ასე რომ, ამ ტიპის მედიკამენტების გაყიდვა აიკრძალება საცალოდ და მისი შესყიდვა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებს შეეძლებათ“.

### სამედიცინო დაწესებულებების ახალი ვალდებულება

ამ რეფორმის მიხედვით, სამოქმედო გეგმა გადაეცემა ყველა სამედიცინო დაწესებულებას. ეს არის ერთგვარი სარეკომენდაციო ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ჯანდაცვის სისტემის გადასვლას რეცეპტების გაცემის ეტაპზე და ეს ყველაფერი პირველ სექტემბრამდე უნდა დასრულდეს. თითოეულმა დაწესებულებამ უნდა გაიაზროს, რა სჭირდება იმისთვის, რომ ყველა ექიმი მზად იყოს ახალი სისტემით მუშაობისთვის, თუ საჭირო გახდება გადამზადება, ჯანდაცვის სამინისტროს პროექტი ამასაც ითვალისწინებს.

რაც შეეხება აფთიაქებს, მათთვის მკაცრდება სადამსჯელო სანქციები, თუკი დაარღვევენ კანონს და რეცეპტების გარეშე მოახდენენ ამა თუ იმ მედიკამენტის რეალიზებას. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს, ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა შექმნეს ერთობლივი სამუშაო ჯგუფი და გამოიკვლიეს აფთიაქების საქმიანობა ამ მიმართულებით. გამოავლინეს ათეულობით შემთხვევა, საიდანაც გაირკვა, რომ აფთიაქები უპრობლემოდ იხდიდნენ დაკისრებულ ფულად ჯარიმას, შემდეგ აუქმებდნენ აფთიაქს, არეგისტრირებდნენ ახალ ფირმას და აგრძელებდნენ იმავე საქმეს. ამ ეტაპზე ჯარიმას დაემატება მეპატრონისთვის ხანგრძლივი დროით – 10-დან 20 წლამდე სააფთიაქო საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევა.

„ფინანსური სანქციები არ აღმოჩნდა ქმედითი ბერკეტი, ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ გზით წავსულიყავით, – აცხადებს დავით სერგეენკო, – ჩვენი ამოცანაა რისკების მინიმუმამდე დაყვანა. კერძო ბიზნესი ძალიან სენსიტიურია. როცა მათთვის წინასწარ ცნობილია სახელმწიფოს გეგმა და სტრატეგია, ისინი იოლად ახერხებენ ადაპტაციას. უხეში ჩაკეტვით არ უნდა მივიღოთ რიკოშეტი – რადგან დაეკარგათ მოგება ერთ მიმართულებაზე, არ მოხდეს სხვა სახეობის წამლებზე ფასების ზრდა. ჩვენ ვეცადეთ, ეს რისკები მინიმუმამდე დაგვეყვანა. შედეგად ველით ამ ორი უსერიოზულესი პრობლემის მოგვარებას, რომელიც საგანგაშო სტატისტიკაშია გამოხატული – სააფთიაქო ნარკომანია და თვითმკურნალობა“.

შედეგებამდე დრო მიგვიყვანს, რომელიც გასავლელი აქვს ექიმსაც, ფარმაცევტსაც, პაციენტსაც და იმ ნარკოდამოკიდებულსაც, რომელიც აფთიაქში შეძენილი მედიკამენტებით ახერხებდა თავისი აგრესიის ჩახშობას. მათ ბევრი რამ აქვთ სასწავლი, ექიმებსა და პაციენტებს – რეცეპტებთან ურთიერთობის გახსენება და შეჩვევა, ფარმაცევტებს – ამ ყველაფრის პატიოსნად გატარება, ხოლო „სააფთიაქო ნარკომანიის“ ჩაკეტვის „მსხვერპლებს“ – ახალი გზის ძიება, რათა იპოვონ საკუთარ თავში ძალა და შეძლონ რეალური ცხოვრებისთვის თვალის გასწორება.

სხვათა შორის, ნარკომანიასთან ბრძოლის ახალი სტრატეგიის შესახებ ინფორმაციისთვის გელა ლეჟავასაც დავუკავშირდით, რათა გვეკითხა, რა ძირითად მიმართულებებზე აპირებდა მუშაობას, მაგრამ გვიპასუხა, – მაცადეთ, ჯერ მუშაობა არ დამიწყიაო...

დაველოდებით, ისევე, როგორც მთელი საზოგადოება, რომლის მოურჩენელი სენი სწორედ ნარკომანიაა. სენი, რომელმაც უკვე მოასწრო ათასობით ჩვენი მოქალაქის, ჩვენი სისხლისა და ხორცის ფიზიკური თუ მორალური მოსპობა და განადგურება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აჭარის ტელევიზიაში ჩატარებული კონკურსი სკანდალის მიზეზი ხდება

**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ერთი ნახვით შეყვარების თეორია მუდმივად საკამათო თემაა, თუმცა ერთი ნახვით რომ შესაძლებელია, ადამიანი საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აირჩიონ, ამაზე უკვე აღარ დაობენ. ყოველ შემთხვევაში „აჭარის ტელევიზიაში“. ეს ისე, ხუმრობით, რეალურად კი ამ თემას არც მწვავე კამათი აკლია, არც ეჭვები და არც სკანდალები. ამის საფუძველი კი გახდა ის კონკურსი, რომელიც ტელევიზიამ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად ჩაატარა და ამ თანამდებობაზე, ხმათა უმრავლესობით, „გურია ნიუსის“ ყოფილი ჟურნალისტი, შორენა ღლონტი აირჩიეს. კონკურსის ობიექტურობა შედეგების გამოცხადებისთანავე დადგა ეჭვქვეშ, ვინაიდან შეტანილი განაცხადებით ირკვევა, რომ რამდენიმე კონკურსანტს გაცილებით მეტი სატელევიზიო გამოცდილება ჰქონდა, ვიდრე შორენა ღლონტს. ამ უკანასკნელს ოთხკაციანი საკონკურსო კომისიიდან მხარი სამმა დაუჭირა, ერთი ხმა ერგო ჟურნალისტ ვახტანგ ხუზმიაშვილს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ხუზმიაშვილი გამოთქვამს ეჭვს, რომ კომისია მიკერძოებული გახლდათ და რეალურად, ვინ უნდა აერჩიათ საინფორმაციო სამსახურის უფროსის პოსტზე, იმთავითვე გადაწყვეტილი იყო. იმის გასარკვევად, რა კრიტერიუმების გათვალისწინებით გაკეთდა არჩევანი შორენა ღლონტზე, ჩვენ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს, „აჭარის ტელევიზიის“ ხელმძღვანელ სოსო სტურუას დავუკავშირდით:**

– ამ კონკურსზე წარმოდგენილი იყო 7 კანდიდატი. ჩვენ ამომწურავად განვიხილეთ თითოეულის შესახებ ინფორმაცია, იყო მათთან დეტალური გასაუბრება. დაახლოებით 40-წუთიანი. შვიდივეზე ჩავატარეთ კვლევა, შევისწავლეთ წარსული, თუ ვისთან უმუშავიათ მათ და როგორი ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი. ასევე, მხედველობაში იქნა მიღებული, რა პროდუქტი შეუქმნია ამ ადამიანს. ყველაფრის გაანალიზების შემდეგ კომისიის თითოეულმა წევრმა მიიღო გადაწყვეტილება.

**– კონკრეტულად ქალბატონი შორენა რით იქნა გამორჩეული სხვა კანდიდატებისგან?**

– შორენას აქვს საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი, გამოირჩევა ჟურნალისტური პრინციპების დაცვით. გასაუბრებაზე დავინახეთ, რომ აქვს ორგანიზაციული ნიჭიც.

**– რაც შეეხება გამოცდილებას...**

– ხუზმიაშვილი და ღლონტი ბოლო წუთამდე განიხილებოდნენ, მათთან ერთად კიდევ ერთი კანდიდატი, ოთხი კანდიდატი კი თავიდანვე იქნა უარყოფილი. ხუზმიაშვილს ტელევიზიებში პროდიუსერად მუშაობის მეტი გამოცდილება ჰქონდა, ვიდრე ღლონტს, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ არჩევანი მასზე გაგვეკეთებინა. აქ გასათვალისწინებელი იყო წარსული და იმ ადამიანთა აზრიც, ვისთან ერთადაც უმუშავია.

**– და რა წარსული ჰქონდა ხუზმიაშვილს?**

– არა, მე მას წარსულს არ ვუწუნებ, არც უარყოფითი დახასიათება ჰქონია, თუმცა ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში ჟურნალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი არ ყოფილა შორენა ღლონტი, არ ნიშნავს, რომ შანსი არ უნდა მიეცეს. უბრალოდ, მასში მე დავინახე ის თვისებები, რომელიც ჟურნალისტური რედაქციის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს.

**– რომ დავაზუსტოთ... თქვენ ამბობთ, რომ ხუზმიაშვილს წარსულს არ უწუნებთ, მას არ ჰქონია უარყოფითი დახასიათება და გამოცდილებაც გაცილებით მეტი აქვს, მაგრამ არჩევანი მაინც შედარებით გამოუცდელ კადრზე გააკეთეთ... ცოტა უცნაური ლოგიკაა და იქნებ ავუხსნათ ჩვენს მკითხველს.**

– შეიძლება კარგად ვერ ავხსენი. კრიტერიუმებზე მე უკვე გესაუბრეთ: ბიოგრაფია, წარსული, შექმნილი კონტენტი და ის, თუ როგორ წარმოაჩინა თავი გასაუბრებაზე – ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით გაკეთდა არჩევანი.

ჟურნალისტი ვახო ხუზმიაშვილი კი ფიქრობს, რომ კომისია, რომელსაც სოსო სტურუა ხელმძღვანელობდა, მიკერძოებული იყო. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ის გამარჯვებული კანდიდატის სატელევიზიო გამოცდილებასაც იხსენებს.







**ვახო ხუზმიაშვილი, ჟურნალისტი:**

– პირდაპირ ვიტყვი, რომ ის 13-წლიანი გამოცდილება, რაც მე მქონდა, სხვა კანდიდატებს არ ჰქონიათ. გარდა იმისა, რომ ვიყავი არაერთი ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერი, გავლილი მაქვს „ბიბისის“ გადამზადების კურსი, რომელიც რატომღაც არ აღმოჩნდა საინტერესო საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნილი „აჭარის ტელევიზიისთვის“. მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ან კომისია იყო არაკომპეტენტური, ან თავიდანვე გადაწყვეტილი იყო შორენა ღლონტის გაყვანა. არ მინდა ჩემს თავზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ გამარჯვებული კანდიდატი ვერც ერთი კრიტერიუმით ვერ მიწევდა კონკურენციას, იქნება ეს სტაჟი, ჟურნალისტური პროდუქტი თუ სხვ. თუ არ ჰქონდა აზრი არც გამოცდილებას, არც სტაჟს, მაშინ თხები ქალბატონ თინათინს: თუ „რაღაც ისეთები“ მქონდა, რატომ დამიჭირეთ მხარი? სინამდვილეში გათამაშებული იყო სცენარი, ვითომ როგორ დემოკრატიულად ჩატარდა კონკურსი, სამი ხმა მიიღო ერთმა კანდიდატმა, ერთი ხმა კი – მეორემ. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია თინათინ დვალიშვილის დამოკიდებულება – თუ არ მოგეწონათ ჩემი კანდიდატურა და მქონდა „რაღაც ისეთი“, რატომ მომეცით ხმა? ეს ადამიანები, მათ შორის ქალბატონი თინათინ დვალიშვილი, ჩემს თვალში კი არა, ვერავის თვალში ველარასოდეს ვერ იქნებიან ობიექტურები.

**– კომისიის თავმჯდომარემ ჩვენთან საუბრისას დაადასტურა, რომ ხუზმიაშვილს ნამდვილად ჰქონდა უფრო მეტი გამოცდილება, თუმცა დაასახელა სხვა კრიტერიუმებიც, მათ შორის კანდიდატის წარსული და რეპუტაცია... ამ კუთხით ხომ არ ჰქონიათ შენთან პრეტენზია?**

– პირდაპირ გეტყვი, რომ, რაც არ უნდა იკვლიონ ჩემი წარსული ბატონმა სოსომ და კომისიის სხვა წევრებმა, ცუდს ნამდვილად ვერაფერს იპოვიან, რადგან არასდროს არც ერთ სამსახურში ისეთი არაფერი ჩამიდენია, რომ თავი უხერხულად ვიგრძნო. რაც შეეხება გამარჯვებულ კანდიდატს, მე მას ერთ-ერთმა პირველმა მივულოცე, თან ორჯერ, მაგრამ მას პასუხიც არ გაუცია.

თავად შორენა ღლონტი კი ამბობს, რომ მისთვისაც მოულოდნელი იყო კომისიის გადაწყვეტილება. აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის ახალი ხელმძღვანელი არხზე გარკვეული სიახლეების დანერგვას გეგმავს. „ვფიქრობ, უნდა შუქდებოდეს ყველა ახალი ამბავი. იქნება ეს რეგიონის ახალი ამბავი თუ ქვეყანაში მიმდინარე. მთავარი საინფორმაციო უნდა იყოს უფრო დინამიკური. ვფიქრობ, დღის მანძილზე გაშუქდება ყველა ახალი ამბავი, მაგრამ მთავარი საინფორმაციო გამოშვება უნდა იყოს განსხვავებული“, – ამბობს შორენა ღლონტი.

# როგორი არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ტელევიზია

სალომე გოგოხია

**ბრიტანელი ჟურნალისტი ჯიმ ფიში ჩვენს ქვეყანას და ქართულ ჟურნალისტიკას კარგად იცნობს. განსაკუთრებით საზოგადოებრივ მაუწყებელს და მის სტრუქტურას. ამჟამად, ბი-ბი-სი-ს ყოფილი კორესპონდენტი მედია ტრენერია და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჟურნალისტებს პროფესიული სტანდარტის დახვეწაში ეხმარება. თბილისში მისი ვიზიტი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ბი-ბი-სი-ს მედია სამეზობლო პროექტს უკავშირდება. გამოცდილ ჟურნალისტს ბი-ბი-სი-ს სპეციფიკაზე, ქართულ ჟურნალისტიკაზე და იმ სტანდარტებზე ვესაუბრეთ, რომლის მიღწევასაც ყოველდღიურ საქმიანობაში ვცდილობთ ქართველი ჟურნალისტები.**

**ჯიმ ფიში:** - მუშაობა ბეჭდვით მედიაში დავიწყე, შემდეგ გადავედი ბი-ბი-სი-ს რადიოში, სადაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი, შემდეგ ბი-ბი-სი-ს საერთაშორისო ტელევიზიის ცენტრში. წლების მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში კორესპონდენტი ვიყავი. ბოლო წლებია მედია ინსტრუქტორად ვმუშაობ. ძალიან ბევრ პროგრამაში ვარ ჩართული, რომელიც ხორციელდებოდა საქართველოში, მაკედონიაში, სერბიაში, ყოფილ იუგოსლავიაში.

**- ქართულ ჟურნალისტიკასთან რა ურთიერთობა გაქვთ?**

- საქართველოში მეხუთედ ვარ. საკმაოდ სერიოზულად ვმუშაობდი ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელთან იყო დაკავშირებული. საქართველო თბილისის და რეგიონების მეშვეობით გავიცანი. საკმაოდ კარგად ვიცნობ ქართულ ჟურნალისტიკას და ჟურნალისტებს.

**- ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც თვალში მოგხვდათ?**

- მე ვფიქრობ, უდიდესი პრობლემაა, როცა ჟურნალისტი დამოუკიდებელი არ არის. ბევრი წნეხის ქვეშ იმყოფება, იქნება ეს პოლიტიკური პარტიები, მფლობელები. თუ კერძო ტელევიზიასთან გვაქვს საქმე, ფინანსურად დამოუკიდებლად ვერ იარსებებს. ამიტომ, მათ სჭირდებათ რეკლამის მიმტანი, რასაც სარეკლამო კომპანიები გარკვეულწილად იყენებენ. ტელევიზიები და ჟურნალისტები დამოუკიდებლები ვერ არიან.

**- საქართველოში რომელ გახმაურებულ საქმეზე მუშაობდით? რამდენად მარტივი იყო თქვენთვის?**

- საქართველოში 2009 წელს, აგვისტოს ომიდან მოკლე დროში ჩამოვედი. ამ პერიოდში მუშაობა ჟურნალისტებისთვის ძალიან ძნელი იყო. ისინი ომის შედეგებზე მუშაობდნენ. მათ უნდა გაეანალიზებინათ სიტუაცია. საკმაოდ რთულ მდგომარეობაში იყვნენ. თუ ობიექტურად არ გააშუქებდნენ, პრორუსულს დაუძახებდნენ, ან პირიქით, ანტისახელმწიფოებრივს.

**- ბი-ბი-სი-ს წამყვანები თუ რეპორტიორები საკმაოდ ასაკოვნები არიან, ჩვენთან პირიქით, ახალგაზრდები არიან, ალბათ, ეს დისბალანსი აქ ყოფნისას თვალში გეცათ...**

- ჩვენ ახალგაზრდა, კარგი ჟურნალისტებიც გვყავს. ზოგადად, ბი-ბი-სი არის ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი, მნიშვნელოვანია, რომ რეპორტაჟები დაბალანსებული და მიუკერძოებელი იყოს. ახალგაზრდა ასაკში ძნელია საკმარისი გამოცდილება გქონდეს. ასევე, საკუთარი აზრი არ გამოავლინო. ჩვენთან, ბი-ბი-სი-ში ჟურნალისტს ცოტა მეტი დრო სჭირდება, ისე გაიზარდოს, რომ ტელევიზიაში წამყვანობა ან რეპორტიორობა ჩააბარონ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ჟურნალისტს არ შეუძლია ამის გაკეთება. თუ ნამდვილად ნიჭიერია, შეცდომებზე სწავლობს, უსმენს გამოცდილ ჟურნალისტებს, მაშინ შეუძლია საკმაოდ კარგი სიუჟეტი გააკეთოს.

**- ბი-ბი-სი-ს სტანდარტი და მისი დამოუკიდებლობა ბევრი ტელევიზიისთვის მისაბაძია. თუმცა, ყველა ვერ ახერხებს ამ სტანდარტთან მიახლოებას. სამწუხაროდ, ვერც ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებელი. როგორ ფიქრობთ, რა არის ამისთვის საჭირო? მხოლოდ სახელმწიფო ნება თუ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა?**




- ბი-ბი-სი-ს შექმნას, თუ როგორ მიაღწია დამოუკიდებლობას და არსებულ სტანდარტებს, დიდი ისტორია აქვს. როცა ბი-ბი-სი ყალიბდებოდა, მათ შექმნეს თავიანთი ქარტია, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. ქარტიის მიხედვით, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, არავის უფლება არ ჰქონდა, ჩარეულიყო ბი-ბი-სი-ს სარედაქციო პოლიტიკაში. ჩვენთან, სასამართლო ინსტიტუციები კარგად მუშაობს, რაც გახდა იმის გარანტი, რომ ბი-ბი-სი არის დამოუკიდებელი და არავის საჯილდაო ქვად არ ქცეულა და არც არასდროს იქცევა. ბი-ბი-სი ასევე დამოუკიდებელია ფინანსურად, იგი პირდაპირ ფინანსდება მაყურებლისგან. ლიცენზიას ყიდულობენ და ვინც უყურებს, აფინანსებს. ამ ქარტიიდან გამომდინარე, ბი-ბი-სი-მ შეინარჩუნა პოლიტიკური და ფინანსური დამოუკიდებლობა. კარგი იქნებოდა, რომ საქართველოშიც ასე მომხდარიყო. არჩეულიყო ბორდი. ბორდის თავმჯდომარე უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც საზოგადოება ენდობა. ბორდიც ასეთი პირებისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული. საზმაუ უნდა გამოვიდეს დაფინანსების იმ სტილიდან, რომლითაც ამჟამად ფინანსდება - სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამ მხრივ, გარკვეულად სწორედ სახელმწიფოზეა დამოკიდებული. თუ ბორდი და მისი თავმჯდომარე აპოლიტიკური და მიუკერძოებელი იქნება, ხოლო ტელევიზიას საზოგადოება დააფინანსებს, ვფიქრობ, საქართველო შეძლებს, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საზოგადოებრივი ტელევიზია ჰქონდეს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „თუ არ შეგიძლია, ყველაფერი გაიღო შენი პოლიტიკური მიზნისთვის, იქნები იმ დონეზე, რა დონეზეც არის დღეს ალასანია“

ქეთი ხატიაშვილი

**როგორია ახალი ხელისუფლების პიარი, რომელი მინისტრები გამოირჩევიან ამ მხრივ და რატომ ვერ იქცა ირაკლი ალასანია ლიდერად? რამდენად შესაძლებელია პოლიტიკური ლანდშაფტის შეცვლა და ვინ ჩაანაცვლებს ნაციონალებს? ამ საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ექსპერტი ხათუნა ლაზაგიძე ესაუბრა.**

## ხათუნა ლაგაზიძე: „თუ არ დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების... მაშინ მთელი საქართველოს მასშტაბით ნაციონალების კანონიზაცია მოხდება, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის“



# EXCLUSIVE

**– ხათუნა, შენი შეფასებით, ახალი ხელისუფლების პიარკამპანია როგორია? ორგანიზებულია?**

– სად ნახეთ ახალი ხელისუფლების პიარკამპანია? საერთოდ, არა აქვს და შეუძლებელია, ილაპარაკო რაიმე საიმიჯო მახასიათებლებზე.

**– ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ, პიარის თვალსაზრისით, რამდენიმე ფიგურაა გამოკვეთილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში. კახი კალაძე ჩემთვის აღმოჩენაა, მან ძალიან კარგად გაართვა თავი პოლიტიკას; საინტერესო პიარი აქვს სერგეენკოს. ღარიბაშვილმა კი შეძლო, საკუთარი თავი ლიდერის პოზიციაზე დაეფიქსირებინა.**

– რაღაცას ცდილობს ირაკლი ალასანიაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი პოლიტიკური მომავალი, ღიად ვთქვათ, გამიჯნეს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური მომავლიდან, ის საკმაოდ ფრთხილია საკუთარი პიარისა და თავის წარმოჩენის მიმართულებით.

**– ხომ არ დაკარგა მან გარკვეული წონა არაერთი წარუმატებლობის შემდეგ?**

– დღეს მკვეთრად გამოკვეთილი პროდასავლური ფლანგი საიმიჯო მახასიათებლების მქონე ლიდერის გარეშეა დარჩენილი. სამწუხაროა, რომ ირაკლი ალასანია დღეს ამ როლს ვერ ავსებს, თუმცა მას ყველა შესაბამისი მონაცემი ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ამ ადგილიდან ნაციონალები ჩააჩოჩეს, ასეთი ტიპის ლიდერზე მოთხოვნილება გაჩნდა, თუმცა ირაკლი ალასანიამ ამ სივრცის დაკავება ვერ თუ არ შეძლო და ეს ფაქტია.

**– როცა გამოკვეთილ პროდასავლურ ლიდერზე საუბრობ, ალასანიას კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს პროდასავლურ ფიგურად არ მიიჩნევ?**

– მე მკვეთრად პროდასავლურ ფლანგს ვუსვამ ხაზს, რომლისთვისაც ამოსავალია საქართველოს დასავლური ორიენტაცია და დასავლური ღირებულებები. დღევანდელი ხელისუფლება ამბობს, რომ ის უპირატესად პროქარულია.

კალაძესა და სერგეენკოზე მინდა ვთქვა. სახელისუფლებო პიარი მათზე არ მუშაობს. ერთიანი აწყობილი სისტემის არანაირი კვალი არ არსებობს. იდეოლოგია არა აქვს და რა პიარზეა საუბარი? ორივე საინტერესო ფიგურაა, მართლაც. ერთი მხრივ, სერგეენკო, რომელმაც პრინციპული ადამიანის იმიჯი შეიქმნა, და კალაძე, რომლის ბოლო მიმართვაც კი უკრაინასთან დაკავშირებით (თუმცა ძალიან დაგვიანებულმა. თუ უკრაინასთან მის კავშირებს გავითვალისწინებთ, მას ეს განცხადება ადრე უნდა გაეკეთებინა) არ იყო არც ვიცე-პრემიერის და მით უმეტეს, არც ენერგეტიკის მინისტრის განცხადება, ეს იყო პოლიტიკოსის ძალიან ემოციური გამოსვლა. სწორედ იმ ტიპის პოლიტიკოსის, ვისაც შეუძლია, ხალხის ფართო მასები აიყოლიოს. რამდენადაც ვიცი, ის თავის სიტყვებსა და გამოსვლებს ძირითადად თვითონ წერს. კალაძე თვალსა და ხელს შუა იზრდება. როგორი იქნება მისი ორგანიზატორული თვისებები პარტიის შენების შემთხვევაში, არ ვიცი... საერთოდ, 10-უცნობიან განტოლებას ჰგავს ეს პარტია, რომელიც მხოლოდ სათაურია, პრაქტიკულად. როგორ შეიძლება ხელისუფლებაში იყო და პარტია არ გყავდეს...

**– რით ხსნი ამას?**

– თვითონ პარტიაც ძალიან სუმბურული იყო. თან მიმდინარეობდა გაცხარებული ბრძოლა ხელისუფლებასთან და თან იქმნებოდა ეს პარტია. იქ კადრების შერჩევის პრინციპიც რთული იყო. ვინც მივიდოდა, შეჭყავდათ ყველა – ბევრი მისვლას ვერც ბედავდა. ვინც მივიდა, იქიდან ერთი ნაწილი „ნაცების“ შეგზავნილი იყო, მეორე ნაწილს ისეთი ინტელექტუალური შესაძლებლობები ჰქონდა, რომ მათზე პარტიის დაფუძნება, ცოტა არ იყოს, ძნელია და მესამე, ღირებული ნაწილი, ვინც მართლა ფასეული იყო, ჩაიკარგა... ყველა რაიონში ისეთი ბრძოლა და თავპირისმტვრევა იყო „ქართული ოცნების“ პარტიულ ოფისებში, რომ სად ვინ შერჩა, არ ვიცი.

რაც შეეხება ღარიბაშვილს, მე მის იმიჯზე ერთადერთი მისი პრესკონფერენციით შემიძლია ვიმსჯელო. ის ფიქრობს, რომ საზოგადოებში მოთხოვნილებაა ძლიერ ლიდერზე და მას თავისი სიხისტითა და სიმკაცრით სურს, გადაფაროს ასაკიც და პარალელურად შეავსოს მოთხოვნა ძლიერ ლიდერზე. ვნახოთ, ამას როგორ მოახერხებს.

> „პოლიტიკა არის ის პროფესია, რომელიც მთლიანად გითხოვს, ის ეჭვიანი ცოლივით არის, ერთი წამით გვერდით გახედვას არ გაპატიებს“



**– იგივე პრესკონფერენციაზე პრემიერმა ნაციონალებზე თქვა, რომ არ განიხილავს მათ სერიოზულად, თუმცა ნაციონალები პოლიტიკაში ერთადერთ ოპოზიციურ ძალად რჩებიან. მაგრამ, როცა ასეთი განცხადებები კეთდება, მათ შორის ხშირად უმრავლესობის მხრიდანაც, რამდენად მიანიშნებს ეს ახალი ოპოზიციური ძალის შექმნის სურვილზე? და თუ ხედავ ასეთ რესურსს?**

– ვერავის. საინტერესოა, რომ „ქართული ოცნების“ კოალიციის შიგნით მათი დუღაბია კოლიაციაში შემავალი სუბიექტების სისუსტე, გარეთ კი – „ნაციონალური მოძრაობა“. „ნაციონალური მოძრაობისგან შექმნილ მტრის ხატზე დგას ხელისუფლება. ეს, ზოგადად, ჩვენი ტიპის სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი. შევარდნაძე იდგა ასლან აბაშიძის მტრის ხატზე, სააკაშვილი – რუსეთის მტრის ხატზე, ახლა მაშველი რგოლივით ჰყავს ნაცები ხელისუფლებას. ასე გაგრძელდება საპარლამენტო არჩევნებამდე თუ რამე გარედან არ დაგვემუქრა. მათ შეუძლიათ თქვან: თუ არა ჩვენ, სხვა ვინ? ოპოზიციური ძალა არ არის და მაშინ ნაციონალები დაბრუნდებიან და სჯობია, ისევ ჩვენ მოგვეცით ხმაო. საოცრად კომფორტულია დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ იმიტომ რომ სულ ბაჯაღლო ოქროს რომ აფრქვევდეს, მისი მორალური ავტორიტეტი იმდენად დაბალია დღეს საზოგადოებაში რომ, უბრალოდ, მიუღებლობაა. ყრუ და ბრმა არის დღეს საზოგადოება „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან წამოსული თუნდაც ძალიან საღი მოსაზრების მიმართ. ეს ძალიან აწყობს დღეს ხელისუფლებას. თუ დააკვირდით, პრემიერი პრესკონფერენციაზე ყველა არასასურველ კითხვას ასე პასუხობდა: ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აგორებული თემაა და მე ამას პასუხს არ გავცემო. ამაზე მეტი კომფორტი რაღა უნდა იყოს?

**– თუმცა, ასეთ ვითარებას ხელოვნურად მაინც ვერ დაიჭერ, პოტენციალს ვინმეში ხედავ?**

– არა, რთული სიტუაციაა დღეს. თუ არ დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგის ქვეშ, რაც, ერთი მხრივ, დააფრთხობს „ნაციონალურ მოძრაობასაც“ და მის ამომრჩეველს და კიდევ უფრო შეულახავს იმიჯს ამ პარტიას მოწინააღმდეგეების თვალში – თუ ეს არ დაიწყო, მაშინ მთელი საქართველოს მასშტაბით ნაციონალების კანონიზაცია მოხდება, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის. საპრეზიდენტო არჩევნები კიდევ სხვა არჩევნებია... ადგილობრივში ყველა რაიონში ცალ-ცალკე გაფორმდება რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის მეორე პოლიტიკური ძალა ქვეყანაში.

**– არჩევნების წინ მასიური დაპატიმრება, ალბათ, ძალიან სარისკო იქნება ხელისუფლებისთვის?**

– რამდენიმე ლიდერიც რომ დააკავონ... დაკავება კიდევ იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ჩამორთმეული ქონების დაბრუნება.

**– ეს ძალიან ძვირიანი პროცესია...**

– ძვირიანია და მერეც შეიძლება დამატებითი დესტაბილიზაციის წყაროც გახდეს. არავინ იცის, ამ პროცესში შეძლებს თუ არა უკვე ახალი ხელისუფლება, დარჩეს სამართლიანი. ამ მხრივ, ამ პროცესში თავისთავად ძალიან ბევრი ხაფანგია...

**– ირაკლი ალასანიას თემას შეეხე... შენთვის ალასანია კონფორმისტია თუ პოლიტიკოსი?**

– ზოგადად, არანაირი ემოცია პოლიტიკური ფიგურების მიმართ არ მაქვს ხოლმე, მაგრამ, ალბათ, ალასანია არის ერთ-ერთი მათგან, ვის მიმართაც სიმპათიით ვარ განწყობილი. მიმაჩნია, რომ ირაკლი ყოველთვის იყო ერთ-ერთი ნათელი და სუფთა სახე ქართულ პოლიტიკაში და მსურდა, რომ მას გაცილებით მეტი პერსპექტივა ჰქონოდა, ვიდრე რეალურად ის ამას აღწევდა. მაგრამ ამ სურვილსა და რეალობას შორის რატომ იყო ეს აცდენა მუდმივად, ანუ მოლოდინსა და შედეგს შორის. ეს რთული კითხვაა და, ალბათ, პასუხიც მანდ უნდა ვეძებოთ – ხომ არ არის ამ რეალობასა და შედეგს შორის მუდმივად აცდენის მიზეზი ის, რომ მას სძალავს ხოლმე კონფორმიზმი. პოლიტიკა არის ის პროფესია, რომელიც მთლიანად გითხოვს, ის ეჭვიანი ცოლივით არის, ერთი წამით გვერდით გახედვას არ გაპატიებს. ყველაფერი უნდა შეგივსოს პოლიტიკამ და თუ შენ პოლიტიკაში სავსე მიდიხარ, თუ შენ ყველაფერი გაქვს და საბრძოლო არაფრისთვის გრჩება, პოლიტიკაში გაგიჭირდება. და, მგონი, ეს დაემართა ალასანიას. სააკაშვილი ცუდია, კარგია, ამ თემას არ მინდა შევეხო, მაგრამ ის არის იმის ნათელი მაგალითი, როგორი რისკიანი უნდა იყო, რომ წარმატებას მიაღწიო. თუ არ შეგიძლია, ყველაფერი გაიღო შენი პოლიტიკური მიზნისთვის, იქნები იმ დონეზე, რა დონეზეც არის დღეს ალასანია. და ვერ ახვალ იმ სიმაღლეზე, რომელზეც ავიდა სააკაშვილი. ამ შემთხვევაში თანამდებობრივ სიმაღლეს ვგულისხმობ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მინისტრობიდან თბილისის მერობის კანდიდატობამდე



# ექსკლუზიური ინტერვიუ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრთან

EXCLUSIVE

<u>სალომე გოგოხია</u>

**დავით ნარმანიას რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პორტფელის ტარება კიდევ ორი თვე მოუწევს. შემდეგ კი თბილისის მერობის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთვება.**

**– როგორ შეაფასებთ განვლილი წლის მუშაობას სამინისტროში და რა რჩება მთავარ გამოწვევად?**

2013 წელი საკმაოდ სავსე იყო გამოწვევებით. გასული წლის დასაწყისში იმ პროექტების რევიზიით ვიყავით დაკავებულები, რომელიც წინა ხელისუფლებიდან გადმოგვეცა. ვნახეთ ხარვეზები, სად რა მდგომარეობა იყო, სად რა უნდა გამოგვესწორებინა. საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გავწიეთ. ხარვეზები მოვაწესრიგეთ. პარალელურად, დავიწყეთ მუშაობა ინსტიტუციონალურ საკითხებთან დაკავშირებით. არ არსებობდა რეგულაციები, რომ სამინისტროს მოწესრიგებულად ემუშავა. ასევე, მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია. შევიმუშავეთ განვითარების სტრატეგია, რომელიც მთავრობამ მოიწონა. შესაბამისად, მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. კოჰაბიტაციის პროცესი და მრავალი წინააღმდეგობა რეგიონებში, რაც არსებობდა, ნაბიჯ-ნაბიჯ დავძლიეთ და მაქსიმალური შედეგი მივიღეთ. რაც ასეთ პირობებში შეიძლებოდა. 2013 წელს 130 მილიონი ლარით მეტი სამუშაოები შევასრულეთ, ვიდრე 2012 წელს. მოვაწესრიგეთ სისტემა, ხოლო 2014 წლის პროექტებზე მუშაობა ადრევე დავიწყეთ, რომ რეგიონებში სამშენებლო სამუშაოები ადრე გაზაფხულზე დაიწყოს. შესაბამისად, 2014 წელი გაცილებით მოწესრიგებული იქნება, რადგან სამინისტროში ინსტიტუციონალურ განვითარებასთან დაკავშირებული კომპონენტი მოწესრიგებულია.

**– გასულ წელს, რამდენიმე სამინისტრო განსაკუთრებული კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა პრემიებისა თუ სხვა დამატებითი ხარჯების გაწევისთვის. რაც შეეხება თქვენს უწყებას, შარშან, სამინისტროში თანამდებობრივი სარგო - 1 760 418, 88 ლარი; პრემია - 772 880, 67, მივლინება - 161 090, 18 ლარი, ხოლო საწვავის ხარჯმა - 198 892, 63 ლარი შეადგინა.**

- ჩვენი სამინისტროს ბიუჯეტის ფონზე, ეს თანხები მწირია, რადგან ჩვენი ერთ-ერთი მხარჯავი დაწესებულებაა. სამინისტროს ჯამური ბიუჯეტი 900 მილიონ ლარს შეადგენდა. სხვადასხვა სამუშაოებისთვის ხარჯები კიდევ დაემატა და ერთ მილიარდ ლარს გასცდა. ამ თანხის ფარგლებში ჩვენი სამინისტროს შრომის ანაზღაურება, პრემიები და საწვავის ხარჯები მინიმალურია. შიდა მივლინებები ბევრი გვაქვს. გასული წლის განმავლობაში საქართველოში 60 ათას კილომეტრზე მეტი გავიარე. რეგიონებს მონიტორინგი სჭირდებათ. შიდა მივლინება საკმაოდ მნიშვნელოვანია. რაც შეეხება პრემიებს, სხვა სამინისტროებისგან განსხვავებული არ გვაქვს. პრემიები შესაბამის თანამდებობაზე მომუშავეებს ეძლევათ. შეიძლება ჩვეულებრივი თანამშრომელიც იყოს. ლიმიტის ზემოთ დანამატი არავის მიუღია. ამ მხრივ, სამინისტროს ხარჯები საკმაოდ მოწესრიგებულია.

**- მმართველმა პარტიამ თბილისის მერობის კანდიდატად დაგასახელათ, თქვენი მისამართით ბევრი კრიტიკა იყო. წინასაარჩევნო კამპანიისთვის სტრატეგია უკვე შემუშავებული გაქვთ?**

- ჩემთვის ბევრი საინტერესო ხედვა მაქვს ჩამოყალიბებული. ძალიან საინტერესო პროგრამული დოკუმენტი მაქვს, რომელზეც ამ მომენტში ვმუშაობ. ჯანსაღი კრიტიკის არ მეშინია. ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან ბევრია არაჯანსაღი კრიტიკა. ლაფის სროლაც არის. ეს იმ ადამიანების სინდისზე იყოს, ვინც ამითაა დაკავებული. ჯანსაღ კრიტიკას მომავალშიც მივესალმები, რაც საშუალებას მაძლევს, რომ მეტი ვიფიქრო, რა მოვაწესრიგო და როგორ გავაკეთო. ადამიანებისგან ჯანსაღი კრიტიკა მომისმენია და მათთვის მადლობაც მითქვამს. უახლოესი ორი თვე ამ პოსტზე, სადაც ვარ, მუშაობას კიდევ ვაპირებ, ხოლო გადადგომის შემდეგ, დავიწყებ საარჩევნო კამპანიას.

**- დარწმუნებული ვარ, ოპონენტები აუცილებლად შეგახსენებენ მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობას. თქვენ ამ ადამიანებს ახალ თავშესაფარს დაჰპირდით, დაიწყეთ სამუშაო? სად აშენებდა საცხოვრებელი?**

- შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა მზად გვაქვს. ეკონომიკის სამინისტრომ ტერიტორიების რამდენიმე ალტერნატივა შემოგვთავაზა, სადაც თავშესაფარი უნდა ავაშენოთ. ტერიტორიას შევარჩევთ და გაზაფხულზე მშენებლობას აუცილებლად დავიწყებთ. ეს ნამდვილად ის გეგმაა, რომელიც მოსაწესრიგებელია და გასაკეთებელი. თავიდანვე ვთქვით, რომ ეს თავშესაფარი დროებითი იყო. რაც ვთქვით, გავაკეთეთ. დიდი მოცულობის თანხა არ დაიხარჯება, რადგან ტერიტორია უფასოდ გადმოგვეცემა, გვაქვს სახელწმიფო სამშენებლო კომპანიები, რომლებიც ამ სამუშაოს გასწევენ. თანამედროვე და ცივილური თავშესაფარი იქნება.

**- მინისტრის პორტფელი, მერობის კანდიდატი, ამ ყველაფერთან ერთად აკადემიურ საქმიანობას თუ ახერხებთ?**

- აკადემიური საქმიანობა ძალიან მიყვარს. ძალიან უშუალო ურთიერთობა მაქვს სტუდენტებთან. მინისტრობის მერე ამის აქტიური საშუალება არ მაქვს, მაგრამ კვირაში სამიოთხი საათი ლექციებს ვკითხულობ და სტუდენტებთან დისკუსიებშიც ჩართული ვარ. მათთან ურთიერთობა მეც ბევრს მაძლევს, სტუდენტებისგან საინტერესო ინიციატივა და მოსაზრებები მოდის.

**დავით ნარმანია: „ჯანსაღი კრიტიკის არ მეშინია. ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან ბევრია არაჯანსაღი კრიტიკა. ლაფის სროლაც არის. ეს იმ ადამიანების სინდისზე იყოს, ვინც ამითაა დაკავებული“**

# აფხაზეთში გატარებული არდადეგები



EXCLUSIVE

<u>სალომე გოგოხია</u>



**„იქნებ მინდოდა, რომ ძალიან კარგი ყოფილიყო, ან ასე მომეჩვენა, მაგრამ აფხაზეთი მართლაც მიწიერი სამოთხეა. იქიდან წამოსვლა აღარ მინდოდა“, - გვიამბობს 23 წლის ელენე გოგოხია. ჩვენი რესპონდენტი ოჩამჩირელია. აფხაზეთის ომის დროს მშობლებმა გამოაქციეს. საბედნიეროდ, მის მეხსიერებას ომის საშინელი კადრები არ ახსოვს.**

20 წლის შემდეგ, საკუთარ წარსულთან შეხვედრა გადაწყვიტა და დედასთან ერთად აფხაზეთს ესტუმრა. მშობლიურ სოფელში ნასახლარიც აღარ დახვდათ. „ოჩამჩირეში ზღვა და თხილნარია, პრაქტიკულად, ამ ქალაქში სიცოცხლე არ არის“, - გვიამბობს ელენე, რომელმაც აფხაზეთში გატარებული ერთკვირიანი არდადეგების შესახებ „PrimeTime“-ს უამბო.

„2013 წლის აგვისტოში დედასთან ერთად წავედი. გალში ჩემი ნათესავები ცხოვრობენ. მათ „გასტევოი“ გაგვიკეთეს. რამდენიმე დღე გალში დავყავით, შემდეგ ოჩამჩირისკენ წავედით. რა თქმა უნდა, გალში შესვლისთანავე რისკის წინაშე დგები, მაგრამ იქაურობის ნახვის სურვილი იმდენად დიდია, რომ ამ შიშმა უკან ვერ დამახევინა. ოჩამჩირისკენ მიმავალს გზად რამდენიმე რუსული ბლოკ-პოსტის გავლა გიწევს. გააჩნია, „მესაზღვრეები“ როგორ ხასიათზე არიან, გამოწმებენ, საბუთებს გთხოვენ, შეიძლება დაგაჯარიმონ კიდეც. ოჩამჩირეში ერთი დღე გავატარეთ. დასათვალიერებელი არც არაფერია. ჩემს სოფელს წყურგილე ჰქვია. ნამოსახლარიც კი არ იყო. აფხაზებს თხილნარი აქვთ გაშენებული. მათი ძირითადი შემოსავალი ეს არის. ჩემს სოფელში არავინ ცხოვრობს, კაცის ჭაჭანება არ არის“, - ამბობს ელენე.



ოჩამჩირისგან განსხვავებული სურათი დახვდა სოხუმში. ქუჩებში ხალხიც იყო და მყიდველები არც იმ ბუტიკებს აკლდა, სადაც ცნობილი ბრენდების სამოსი იყიდებოდა.

„სოხუმი ძალიან ლამაზი ქალაქია. აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. გზები, რაც ჩვენთან ასეთი პოპულარულია, კარგად არის გაკეთებული. განახლებულია სოხუმის თეატრი, ბულვარი. სამოსი საკმაოდ ძვირი ღირს. ცნობილი ბრენდების სამოსი იყიდება ე.წ. ბუტიკებში. სოხუმის აგრარულ ბაზარშიც ვიყავით. პროდუქტები რუსეთიდან შემოაქვთ“.



ამბობს, რომ უსაფრთხოების გარანტია არ ჰქონდა. „სოხუმში დეიდაშვილები გამომყვნენ, ისინი იქ მშენებლობაზე მუშაობენ, მაგრამ გარანტია მაინც არ გვქონდა. ამის მიუხედავად, თავს ისე თავისუფლად და ბედნიერად ვგრძნობდი, რომ თბილისში დაბრუნება აღარ მინდოდა. იქაურობა ისეთი კარგია, ისეთი მშობლიური იყო ჩემთვის... ერთ საღამოს რესტორანში ვიყავით, გვერდით მაგიდასთან აფხაზები ქეიფობდნენ. გამოგველაპარაკნენ და გვკითხეს, საიდან ხართო. ინსტინქტურად ვუპასუხეთ, რომ გალიდან. თავი დავიზღვიეთ. აფხაზებს თბილისელი სტუმარი ჰყავდათ. ქალაქში სიმშვიდეა. ბათუმის მსგავსად, სოხუმშიც ნახავთ ქვიშაში მოდუღებულ ყავას. ქუჩაში მეგრულად ვსაუბრობდით, ქართულად საუბარს მაინც მოვერიდეთ. სოხუმში მხოლოდ რუსულს და იშვიათად, აფხაზურს თუ მოჰკრავ ყურს. სომხების რაოდენობა ყველაზე მაღალია, სომხური სკოლაც აქვთ“.

ბოლო გაჩერება - გაგრა და ახალი ათონი.

„განსაკუთრებით გაგრა მომეწონა. ახალი ათონი ხომ ულამაზესია. აუცილებლად წავალ აფხაზეთში. თუმცა, წელს ვერ მოვახერხებ, რადგან სასწავლებლად უკრაინაში მივდივარ“, - ამბობს ელენე.



# ქართველი გოგონას აფხაზური კრუიზი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში, საქართველო, დიდ ბრიტანეთთან ითანამშრომლებს

ნანა შონია

**ნარკოდანაშაულთან, ტრეფიკინგთან და კიბერდანაშაულთან ბრძოლაში ქართველ ძალოვანებს ბრიტანელი კოლეგები დაეხმარებიან.**

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში დიდ ბრიტანეთთან თანამშრომლობას გულისხმობს, ხელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ და დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ტიმ სიმინგტონმა მოაწერეს. მემორანდუმის ხელმოწერა ორგანიზაციის ცენტრალურ ოფისში შედგა. ორი ქვეყნის ძალოვან უწყებებს შორის ურთიერთანამშრომლობა, ინფორმაციის გაცვლასაც გულისხმობს, რაც მხარეებს ერთობლივ მუშაობაში დაეხმარება.

გასულ კვირას, ალექსანდრე ჭიკაიძე დიდ ბრიტანეთში პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.

ამ ვიზიტის ფარგლებში, მინისტრმა გაცნობითი შეხვედრა ლონდონის საქალაქო პოლიციის სამსახურის შტაბ-ბინაში - Scotland Yard-შიც გამართა. ქართველმა მინისტრმა ლონდონის პოლიციის ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერა და პოლიციის მიერ ინციდენტების რეაგირებისა და მართვის შესახებ ინფორმაციას გაეცნო.

ალექსანდრე ჭიკაიძე, დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორს, საქართველოში დიდი ბრიტანეთის ყოფილ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ჯუდით გოფთს სამუშაო სადილზე ეწვია.















# ხუდონის მშენებლობაზე უარის თქმა ქვეყნის ღალატის ტოლფასია

თეა ხომერიკი

**ხუდონჰესის მშენებლობაზე საზოგადოებრივი აზრი განსხვავებულია. ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს, სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებს, ექსპერტებს და მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილს პროექტის მიმართ პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. თუმცა, ყველა მათგანი თანხმდება იმაზე, რომ ხუდონის მშენებლობა ეკონომიკურ განვითარებას განსაზღვრავს და ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. რაც შეეხება პროექტის რამდენიმე საკითხს, როგორიცაა განსახლება და ეკოლოგიური ფაქტორი, კვლავ სადავოდ რჩება.**




ეკონომიკის სფეროს ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკურ სარგებელთან ერთად, პროექტი არის ქვეყნის უსაფრთხოებისა და საიმედოობის გარანტიც.

უფრო ვრცლად, როგორ აფასებს ქვეყნის ენერგეტიკულ მდგომარეობას, რაში ხედავს გამოსავალს და როგორ წაადგება საქართველოს ეკონომიკას ხუდონჰესის მშენებლობა, ჩვენ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი, ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი პასუხობს.

**- როგორ აფასებთ მდგომარეობას ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მხრივ, რამდენად უზრუნველყოფილია ქვეყანა ამ თვალსაზრისით?**

- რეალობა არის ის, რომ საქართველოს საკუთარი ენერგორესურსები არ გააჩნია და არც ენერგოდამოუკიდებლობა გვაქვს. ადგილობრივი მოხმარების დაახლოებით 25-30 პროცენტს ვაკმაყოფილებთ. ყველა ის პროცესი, რაც ამ თვალსაზრისით რეგიონში ხდება, ჩვენს ენერგომატარებლებზე პირდაპირ აისახება. სიტუაციის გამოსწორების ერთადერთი გამოსავალი ჰიდროენერგეტიკის განვითარებაა. ამ გზით შევძლებთ, რომ გარედამოკიდებულებების დონე მნიშვნელოვნად შევამციროთ. ამ თვალსაზრისით კი, ყველაზე ეფექტური პროექტი ხუდონია, რის მშენებლობაზეც უარის თქმა ქვეყნის ღალატის ტოლფასია. არ შეიძლება, გარკვეული დაინტერესებული ჯგუფების ემოციებს საქართველოს ინტერესი შევწიროთ.

ხუდონჰესი არ არის მხოლოდ ენერგეტიკული მნიშვნელობის პროექტი, მასში თავს იყრის სხვადასხვა საკითხი, როგორიცაა ინვესტიციები, დასაქმება, ლარის კურსის გამყარება და სხვა, რაც, საბოლოოდ, ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს. გარკვეულწილად, ის არის ქვეყნის უსაფრთხოებისა და საიმედოობის გარანტიც.

**- გასული საუკუნის 80-იან წლებში აქტიურად მიმდინარეობდა ხუდონის მშენებლობის კამპანია. რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც დაიწყო ამ საკითხის წამოწევა და ზურაბ ჟვანიაც ამ პროექტის მხარდამჭერი იყო. რა შეიცვალა მას შემდეგ, როგორია დღეს საზოგადოებრივი აზრი ამ თემის გარშემო?**

- 80-იან წლებში ხუდონჰესის მშენებლობის თემა პროვოცირებული იყო ეროვნული მოძრაობის მიერ. ამ საკითხის აჟიტირება ხდებოდა ისე, რომ ეკონომიკური საკითხები საერთოდ არ განიხილებოდა. რატომღაც ასეა, საზოგადოებრივი აზრი არ ეგუება არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს, რაც, გრძელვადიან პერიოდში, შეიძლება ქვეყნისთვის სასარგებლო იყოს. ხშირ შემთხვევაში, ასეთ იდეებს ვერ იღებს.

თავის დროზე, არათუ არ ვიყავით მზად ამ გრანდიოზული მასშტაბის მშენებლობისთვის, შესაბამისი რესურსებიც არ არსებობდა. რა დონეზეც არ უნდა გაგრძელებულიყო მშენებლობა, ვფიქრობ, არ იქნებოდა სრულყოფილი.

**- რა დონეზეა დღეს საზოგადოებრივი აზრი ხუდონის შესახებ, რა იწვევს ყველაზე მეტ გაუგებრობას მოსახლეობაში, ხომ არ დადგა დრო, მხარეებმა ემოციებიდან დიალოგამდე გადაინაცვლონ?**

- დღეს, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის მხრიდან, რაც არ უნდა იყოს, აზრთა სხვადასხვაობა და პრინციპული დამოკიდებულება, საბოლოოდ ხელისუფლების გადასაწყვეტი საკითხია. მან უნდა დაარწმუნოს მოსახლეობის დიდი ნაწილი პროექტის მნიშვნელობაში და მაქსიმალურად შეძლოს მათი მოთხოვნების გათვალისწინება. ხელისუფლების გარდა, ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენის გამონახვა უნდა შეძლონ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სტრუქტურების წარმომადგენლებმაც, რომლებსაც პროექტთან გარკვეული შეხება აქვთ.

ჩვენს ინვესტიციებზე უარის სათქმელად არ გვაქვს საქმე, რადგან არ არის სხვა არჩევანი. მთავარია, ეროვნული ინტერესები არ შეილახოს.

**- თქვენი აზრით, რამდენად წაადგება ქვეყნის ეკონომიკას ხუდონის მშენებლობა, არის თუ არა ის ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის საწინდარი?**

- ხუდონჰესის მშენებლობის საბოლოო მიზანია ენერგოდამოუკიდებლობა. გარდა იმისა, რომ ის ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგებას უზრუნველყოფს, უამრავ ადამიანს დასაქმების შესაძლებლობას აძლევს. ვფიქრობ, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მთელი საქართველო ჩაერთვება, როგორც ეს ხდებოდა ენგურჰესის მშენებლობის პერიოდში. შეიძლება, ხუდონჰესმა ენერგოდამოუკიდებლობა სრულად ვერ უზრუნველყოს, მაგრამ ისეთი რაოდენობის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც ქვეყნისთვის გადარჩენის ტოლფასი იქნება.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სვანეთში მცხოვრებ მოსახლეობასთან მუშაობა. საზოგადოების ერთი ნაწილი ირწმუნება, რომ ხუდონი უნდა აშენდეს, ნაწილი პროექტის განხორციელებას პრინციპულად ეწინააღმდეგება. სვანეთში ღირსეული ხალხი ცხოვრობს. ვფიქრობ, საბოლოოდ გონივრულ გადაწყვეტილებამდე მივლენ. თავის მხრივ, კომპენსაცია სამართლიანად უნდა განაწილდეს, რომ ადამიანების გარკვეულმა ნაწილმა ამ თემით სპეკულაცია არ დაიწყონ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მეცნიერების განსხვავებული მოსაზრებები - საყდრისის

ნანა შონია

**ბოლნისის რაიონში არსებულ საყდრის-ყაჩაღიანის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა არ ცხრება. არქეოლოგების ნაწილის მოსაზრებით აქ უძველესი ოქროს მაღაროა, მეორე ნაწილი კი ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ იზიარებს და აცხადებს, რომ ამის დამადასტურებელი კონკრეტული, ფაქტობრივი მასალა არ არსებობს. სიტუაციაში გარკვევის მიზნით „პრაიმტაიმი“ ორი განსხვავებული მოსაზრების მქონე მეცნიერს დაუკავშირდა.**

**გოდერძი ნარიმანიშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:** - სამეცნიერო თაღლითობად ამას მხოლოდ ერთი ადამიანი მიიჩნევს და ეს შეიძლება მთლად რეალობას ვერ ასახავდეს. იმიტომ რომ იქ სამუშაოები 80-იანი წლების დასაწყისში დაიყო და დაიწყეს გეოლოგებმა, ეს იყო გეოლოგი თეიმურაზ მუჯირი. არსებობს მუჯირის ანგარიში, რომელიც სწორედ ამას ეხება. ეს მოხდა მაშინ, როდესაც კომუნისტებმა იქ, მადნის მოსაპოვებლად, ახალი შტოლნები გაჭრეს. ამის შემდეგ შეიცვალა სიტუაცია და ეს ტერიტორია გარკვეული დროით დაივიწყეს. 90-ან წლებში კი მისი შესწავლის იდეა გაჩნდა. გერმანიაში, ბოხუმში, ქართული ლითონის გამოფენა მოეწყო და სწორედ იქ გაჩნდა იდეა, რომ ამ ხალხის ისტორიის შესწავლა დაწყებულიყო. ამიტომაც, 2004 წელს, ჩამოვიდნენ გერმანელი სპეციალისტები, მათ შეისწავლეს საქართველოს ტერიტორიები და არჩევანი გაკეთდა საყდრისზე, რადგანაც იქ აღმოჩნდა სწორედ უძველესი მაღარო.

**- ამ ექსპედიციის დასკვნებით მტკიცდება, რომ მსოფლიოში ყველაზე ადრეული ხანის მაღარო იყო საქართველოში?**

- არის სხვადასხვა მეთოდები, ეს არის არქეოლოგიური მეთოდი და საბუნებისმეტყველო მონაცემები, ეს არის რადიონახშირბადის მეთოდით დათარიღებული და ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ საზღვარგარეთ. იქიდან მოვიდა საანალიზო მასალებზე პასუხი. ეს იყო შახტებში მოპოვებული ნახშირის ნარჩენები.

**- და როგორ ხდებოდა ამ ოქროს მოპოვება ადგილზე, მით უფრო, რომ ამ ადგილებში ოქრო ხილული არ იყო?**

- იცით რა, ასე, ცალსახად ამის თქმა ძალიან ძნელია. სხვადასხვა მეთოდით ხდებოდა. დღეს რაც ვიცით ეს არ არის აქსიომა. მეცნიერება იმას ემსახურება, რომ რაც არ ვიცით ის გამოვიკვლიოთ. ამიტომაც გვჭირდება კვლევა, დღეს რომ რაღაც არ ვიცით, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხვალეც არ გვეცოდინება რამე? ეს მიეკუთნება მტკვარ-არაქსის ეპოქას და ის, რომ ჯერ არაფერი გვაქვს ნაპოვნი, არაფერს ნიშნავს. იქ შემდეგ შეიძლება იყოს აღმოჩენილი. ჩვენ არ ვიცით უშუალოდ როდის და რა მიზეზით, ან ვის მიერ მოხდა გვირაბების დამუშავება. საიდანაც ისინი ოქროს მოიპოვებდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ საყდრისის კლდოვან მასივში მათ მონახეს ადგილები სადაც იყო ოქროს ძარღვები და ამას მიყვნენ. სხვადასხვა მეთოდით ხდებოდა მოპოვება, ეს არის ქვის უროები, ცეცხლის დანთების მეთოდი, ხურდებოდა კლდე და ადვილი მოსანგრევი ხდებოდა. შემდეგ ხდებოდა მათი გამდიდრება, ის იფშვნებოდა და შემდეგ იწყებოდა მისი გარეცხვა წყლით. თუმცა ოპონენტები იმასაც ამბობენ, რომ მდინარეული ქვიშის მოპოვება უფრო ადვილი იყო. რა თქმა უნდა, არაფერია გამორიცხული. მდინარეული ქვიშიდანაც უნდა იყოს მოპოვებული, მაგრამ დასახლებაში, რომელიც იქვე მდებარეობს, აღმოჩნდა ამ შახტებიდან გამოტანილი მადანი.

**- აქ პირველი პერიოდის მადანზეა საუბარი?**

- დიახ, პირველი პერიოდის მადანზეა საუბარი, ეს მონაცემები არის მათი მიღებული და ამაზე დაყრდნობით ვაკეთებთ გარკვეულ დასკვნებს.

**- თქვენ, ალბათ, ბუნებრივია, ნანახი გაქვთ ამ გერმანული ექსპედიციის დასკვნები?**

- მე წაკითხული მაქვს მათი ნაშრომები. კარგად ვიცნობ ანგარიშებს, რომელსაც წარმოადგენდა ხოლმე ეს ექსპედიცია. მე გახლდით არქეოლოგიური კომისიის წევრი, რომელიც შესაბამის ნებართვებს გასცემს და იბარებს ანგარიშებს.

**- ანუ ყოველწლიური ანგარიშები გაქვთ ნანახი?**

- რა თქმა უნდა.

**- თუმცა, თავად ექსპედიციის ხელმძღვანელი ირინა ღამბაშიძე ამბობს, რომ ანგარიშები და კვლევების დიდი ნაწილი გერმანულ ენაზეა და ქართულად ახლა ხდება მისი თარგმნა?**

- რა მნიშვნელობა აქვს ამას?

**- არა, როგორ არ უნდა ჰქონდეს ამას მნიშვნელობა, მით უმეტეს თქვენთვის, თქვენ ამბობთ, რომ ანგარიშებს იცნობთ...**

- იცით რა, მე ცოტა გერმანული ვიცი და ამიტომაც გერმანულადაც მაქვს ეს ნანახი. სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული მათი ნაშრომები.

**- ნაშრომების უმეტესობა ქართულენოვანი არ არის და სწორედ ამიტომაც გისვამთ ამ კითხვას.**

- იცით რა, მეცნიერებას ასეთი საზღვარი არ აქვს.

**- ანუ ფიზიკურად თქვენ ქართულად სრულ ვერსიას ვერ ნახავდით და გერმანული თუ გაქვთ ნანახი, ეს სხვა რამეა...**

- არა, იცით რა, ამის გარდა კიდევ ერთ რამეს უნდა მიაქციოთ ყურადღება, რომ ყოველწლიურად საქართველოს ეროვნული მუზეუმში ხდება ანგარიშების განხილვა, სადაც ექსპედიციის ხელმძღვანელი ვალდებულია საზოგადოებას სლაიდების და ფოტოების ჩვენებით გააცნოს რა შედეგები მიიღო. მე ეს ნამდვილად მაქვს ნანახი. ღამბაშიძე კითხულობდა ამ ანგარიშს და ეს საჯარო გამოსვლები ყოველწლიურად იმართებოდა.

**- ბატონო გოდერძი თქვენ იარაღი და მასალები ახსენეთ, ეს ქვები და უროები, რაც ადგილზეა ნაპოვნი, ბევრად უფრო რბილია, ვიდრე ის კლდე, რომელსაც ამუშავებდნენ, ამაზე რას იტყვით?**

- იცით რა, მე სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სამთო არქეოლოგი არ გახლავართ და ამიტომაც ეს მათი პრეროგატივაა. თუმცა რბილი ქვით სრულიად შესაძლებელია მაგარი ქანის მონგრევა. ამ დონეზე შემიძლია ეს დაგიდასტუროთ.

**- ანუ ამ რბილ ქვას შეეძლო, რომ უფრო მაგარი ქვები დაემტვრია?**

- რა თქმა უნდა...

**- კიდევ გკითხავთ ბატონო გოდერძი, როგორ ჩადიოდნენ ეს ადამიანები ადგილებზე, რომელიც ფაქტობრივად უჰაერო იყო. არგუმენტად იხსენიებენ იმას, რომ ისინი იყვნენ მომცრო ტანის, უხეშად რომ ვთქვათ, ლილიპუტები. ამაზე რას იტყვით?**

- არა, ლილიპუტები არ ყოფილან, თუ ახლა ჩადის ადამიანი იქ, მაშინ რატომ ვერ ჩავიდოდა? ირინას და ჩემი სტუდენტები იქ დღესაც ხომ ჩადიან?

**- ანუ თქვენ ამბობთ, რომ ანალოგიური ვითარება იყო იმ საუკუნეებში, რაც დღეს გვაქვს?**

- რა თქმა უნდა. ადამიანი დღეს ჩადის და მუშაობა შეუძლია, რატომ არ შეეძლო მაშინ. თუ ევოლუციას გავითვალისწინებთ ჩვენი წინაპრები უფრო ტანმორჩილები იყვნენ, ვიდრე ვართ ჩვენ დღეს. ტანორჩილება არ ნიშნავს ლილიპუტობას.

**- ანუ ეს ძარღვები გარედან იყო შესამჩნევი და სწორედ ამას მიუყვებოდნენ ეს ადამიანები?**






- იცით რა, მე მაგას ვერ გეტყვით. გეოლოგების აზრია, რომ ისინი ამას მიუყვებოდნენ. რატომ არ მუშაობდით უფრო მეტხანსო. ასეთი კითხვაც დაისვა. იმათ რისი საშუალებაც ჰქონდათ იმდენი ხანი მუშაობდნენ. ექსოპედიციები ველზე თვე ან თვე-ნახევრი მუშაობდნენ.

**- რატომ, არ იყო ამის სიტუაცია?**

- არა, უბრალოდ თანხა არ იყო?

**- რატომ ის თანხა ხომ საკმაოდ სოლიდურია, თუ არ ვცდებით, 800 ათას ევროზეა საუბარი.**

- არა, ეს არაფერი არ არის. 9 წლის მანძილზე საუბარია 800 ათას ევროზე და თქვენ გგონიათ 100 ათასი ევრო რამეს ნიშნავს? უფრო დიდხანს რომ ემუშავათ, უფრო სხვაგვარი შედეგები იქნებოდა. 2013 წელს მიღებული მონაცემები ვერ უარყოფს ქართულ-გერმანული ექსპედიციის მონაცემებს. ანალიზები აჩვენებს, რომ ეს არის უძველესი საწარმო, თუ მაღარო.

პროფესორ ვახტანგ ლიჩელის განცხადებით, ჩატარებული ექსპედიციის და ნანახი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საყდრის -ყაჩაღიანის ტერიტორიაზე უძველესი საბადოს არსებობა არ დასტურდება.

პროფესორ ვახტანგ ლიჩელის განცხადებით, ჩატარებული ექსპედიციის და ნანახი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საყდრის -ყაჩაღიანის ტერიტორიაზე უძველესი საბადოს არსებობა არ დასტურდება.

**ვახტანგ ლიჩელი, პროფესორი:** - ის, რომ საყდრისის არქეოლოგიური ობიექტის ფუნქციისა და თარიღის შესახებ წარმოიშვა რამდენიმე განსხვავებული მეცნიერული აზრი, ეს სრულიად ლოგიკური გახლავთ; სხვაობა მით უფრო ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ-გერმანული ექსპედიციის მუშაობის პერიოდში აღმოჩნდა მადნის მოპოვებასთან დაკავშირებული არტეფაქტები, რომელთა ფუნქციური და ქრონოლოგიური ინტერპრეტაცია არ შეიძლება ყოფილიყო ერთგვარი. ხოლო 2013 წლის შემოდგომაზე ჩატარებული დამატებითი არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად არქეოლოგიური ნაშთები საყდრისის-ბორცვზე არ დადასტურდა. საზოგადოდ პალეომეტალურგიაში დათარიღების საკითხი პრობლემატურია ორი მიზეზის გამო და ეს მნიშვნელოვანი გახლავთ. პირველი გახლავთ ის, რომ ასეთ შემთხვევებში დიაგნოსტიკური მასალა ყოველთვის მცირე რაოდენობითაა. მეორე მიზეზი კი მადნის რესურსების გამოყენების პერიოდულობა ანუ მრავალჯერადობაა. აუცილებლადაა გასათვალისწინებელი ერთი ფაქტორიც: ამ მცირე ტერიტორიაზე არსებული ნაშთები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდს განეკუთნება, ფუნქციურად დაკავშირებული იყო და მეტ-ნაკლებად განსაზღვრავდა ერთმანეთის ყოფისა და წარმოების ხასიათს, რადგან ამ ერთ ვიწრო ხეობაში იზოლირებული საზოგადოების არსებობა სრულიად გამორიცხულია. ამდენად, გარდა თვით საყდრისი-ყაჩაღიანის გეოლოგიური ნაპრალის კვლევისა, მისი გააზრების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მის არეალში მდებარე ყველა არქეოლოგიური ძეგლის ანუ ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინება. ამ ხეობის არქეოლოგიური რეალობა და მასთან დაკავშირებული ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა ტექნოლოგიების მიხედვით ჩატარებული ანალიზების შედეგი კი ასეთი გახლავთ: კვირაცხოვლის ენეოლითურ ნამოსახლაზე -ეს არის ძვ.წ. მე-5 ათასწლეული და აგრთვე, ადრებრინჯაოს ხანის ანუ ძვ.წ.4-3 ათასწლეულების ყორღანში გამოვლენილი მასალის მდიდარი პალინოლოგიური სპექტრი მიუთითებს მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარებაზე. ხოლო არაპალინოლოგიურ ნაშთებში ბევრია ფუტკრის ბუსუსი, კლანჭები და ეპიდერმისი, რაც მეფუტკრეობის განვითარებაზე მიუთითებს. კვირაცხოვლის ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზის შედეგად დადასტურდა შემდეგი ფაქტები. მაკროსკოპია-ნაცრისფერი კარბონატული ქანი, პერიგენული მასალა, მეტად მრავალფეროვანია სხვადასხვა ზომის განსხვავებული გენეზისის ნამსხვრევები, სადაც ჭარბობს კირქვის ნამსხვრევები. გვხვდება კვარციტები, ბაზალტები და სხვა. მარცვლების





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უძველესი საბადო, მითი თუ სამეცნიერო თაღლითობა?

## ტყუილია !!!



ეს სურათი, რომელიც წარმოჩენილია როგორც პრეისტორიული ოქროს მაღარო, სინამდვილეში არის 80-იან წლებში ჩვენი გეოლოგების მიერ გაყვანილი საძიებო გვირაბი



სინამდვილეში ეს არის მეორადი ჟანგეული მინერალები

დამუშავების ხარისხი მაღალია, მასალა შეცემენტებულია კარბონატით. კედლის კონსტრუქციაში, მაღალი ალბათობით, საქმე უნდა გვქონდეს ხელოვნურად შეცემენტებულ ქვიშასთან. ეს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისთვის ძალიან საინტერესო ფაქტი გახლავთ. წარმოებასთან დაკავშირებული ნაშთები აქ არ დადასტურებულა. ამავე ხეობაში ახალი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის ძეგლებზე ჩატარებულმა ანალოგიურმა ინტერდისციპლინარულმა ანალიზმა კვლავ უჩვენა სოფლის მეურნეობის განვითარების სურათი. აქაც წარმოებასთან დაკავშირებული ნაშთები არ დასტურდება. წარმოებასთან დაკავშირებული აღმოჩნდა მხოლოდ საყდრისი-ყაჩაღიანის ჩრდილოეთით გათხრილი განვითარებული შუა საუკუნეების ნაშთები ანუ ქურები, რომელთა კედლებზეც შემორჩენილია მინისებური აფსკები. ეს ნაშთები არის არა უძველეს მე-11-12 საუკუნისა. მათი ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგად დადგინდა: პალინოლოგიური ანალიზის მიხედვით ქურებში ფართოფოთლოვანთა ხის მსხვილ შეშას წვავდნენ ნახშირის მისაღებად, ხოლო მინისებური აფსკით დაფარული ქვების სილიკატური ანალიზის შედეგად ივარაუდება, რომ ქურაში ხდებოდა ჭიქურის მომზადება; ამაზე მეტყველებს მლღობი შპატების (Na2O და K2O) მაღალი შემცველობები. არსებობს ამ აფსკების წარმოშობის სხვა ტექნოლოგიური ახსნა - მინისებური აფსკების არსებობა, სპეციალისტების დაკვირვებით, სპილენძის მატარებლი ქანების მინერალოგიური შედგენილობის გამოძახილია. აღნიშნული ტერიტორია რიოლიტური ქანებით ხასიათდება, რომელთა შედგენილობაში ხშირად პლაგიოკლაზების ჩანართებიანი მინის მასაც შედის. სპილენძის გამოდნობისას შესაძლოა ამ მასის გალღობა და შედგენით მონათესავე ბლოკების ერთმანეთთან ურთიერთობა. ამიტომაც შესაძლოა, ეს ქურები ნახშირის მიღებას და ადგილობრივი სპილენძის გამოდნობის საქმეს ემსახურებოდა. ამასვე ადასტურებს სპილენძის მადნის დამუშავების შედეგად დაგროვილი ქვის გროვები. ამ არქეოლოგიურ სიტუაციას თუნდაც მხოლოდ ირანში 80-ზე მეტი ანალოგია აქვს. ეს ანალოგიები თარიღდება პერიოდით გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ანუ ძვ.წ. 2 ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ვიდრე შუა საუკუნეების ჩათვლით. ამიტომაც, ჩემი აზრით, ამ რეალურ არქეოლოგიურ კონტექსტში, რეალურად არსებული ფაქტების მიხედვით უნდა იქნას გააზრებული საყდრისი-ყაჩაღიანის გეოლოგიური ნაპრალის გამოყენების პროფილიც. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვსაუბრობთ ბრინჯაოს მცირე მასშტაბის წარმოებაზე. ეს არის ის ჩვენი საბოლოო დასკვნა, რაც მთლიანად ეყრდნობა არქეოლოგიურ და ინტერდისციპლინარული ანალიზის მონაცემებს ამ ხეობაში. აქვე მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რადგან გამონამუშევრებზე და მაღაროებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ხანის ძალიან მძლავრი და მართლაც უნიკალური მაღაროები დიდი რაოდენობით არის ცნობილი სვანეთში და რაჭაში. ეს სრულიად უნიკალური მაღაროებია, თუმცა არც ერთ მათგანს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი დღემდე არ აქვს მინიჭებული და თუ მათი საკითხი დადგება დღის წესრიგში, ეს მართალც მნიშვნელოვანი იქნება.




**- რაც შეეხება უშუალოდ საყდრისი-ყაჩაღიანის თარიღს, ამაზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- რაც შეეხება უშუალოდ თარიღს, ამაზე სამი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ერთი, რასაც თვითონ ქართულ-გერმანული ექსპედიცია ამტკიცებს და იგულისხმება მე-4 მე-3 ათასწლეულების მიჯნა; მეორე მოსაზრება გამოქვეყნებულია 2010 წელს ცნობილი ქართველის პალეომეტალურგების ნაშრომში, სადაც მითითებულია, რომ ეს გამონამუშევარი შესაძლოა მხოლოდ მე-3 -2 ათასწლეულს განეკუთვნებოდეს და, მესამე, ჩემი აზრით, ეს არის მე-2 ათასწლეულის მე-2 ნახევრის ან უფრო მოგვიანო ხანის სპილენძის მცირე საწარმო. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენი მრავალპროფილიანი გამოკვლევების შედეგად ადგილზე ფაქტობრივი წარმოება დასტურდება მხოლოდ შუა საუკუნეებში ანუ შეიძლება ვივარაუდოთ გვაინი ბრინჯაოს ხანიდან ვიდრე შუა საუკუნეებამდე.

**- იარაღები ახსენეთ თქვენ და ერთ-ერთი არგუმენტი, რაც ექსპედიციას აქვს, არის ის, რომ ჩვენი წინაპრები ბევრად უფრო ტანმორჩილნი იყვნენ და ამიტომაც ახერხებდნენ შესვლას და იქ ოქროს მოპოვებას, ამაზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ანთროპოლოგიური მასალა. ძალიან ბევრი სამარხია აღმოჩენილი და გამოკვლეული, რაც უკლებლივ ყველა ქართველი არქეოლოგისათვის კარგადაა ცნობილი. შეგასენებთ, რომ ძვ.წ. 4-3 ათასწლეულების ადამიანების პარამეტრები ასეთია: მცხეთის მიდამოებში, ნიჩბისში გათხრილი მამაკაცის სიმაღლე 172 სმ-ია; წეროვანში გათხრილი ამავე პერიოდის მამაკაცის ჩონჩხის სიმაღლე 169 სმ-ია; ქვემო ქართლში, სადაც საყდრისი მდებარეობს სწორედ ძვ.წ. 4-3 ათასწლეულების ადამიანების სიმაღლე ასეთია: მამაკაცები 172 სმ, ქალები 152 სმ. დამეთანხმებით, რომ პრაქტიკულად არავითარი სხვაობა დღევანდელ ადამიანებთან მიმართებაში არ არსებობს.

**- არსებობს მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ აქ იყო უძველესი ოქროს მაღარო?**

- როგორც მოგახსენეთ, ის არქეოლოგიური კონტექსტი და ინტერდისციპლინარული ანალიზები , რომელიც საყდრის-ყაჩაღიანის გარშემო დადასტურდა, მიუთითებს მხოლოდ სპილენძის შესაძლო მცირემასშტაბიან წარმოებაზე. და თუ შეიძლება დავამატებ ორიოდ სიტყვას: მეცნიერების განვითარების საფუძველი ყოველთვის იყო და იქნება განსხვავებული აზრის არსებობა. ამ შემთხვევაშიც ასეთ ფაქტთანა გვაქვს საქმე.

სამეცნიერო დისკუსია, მით უმეტეს ისეთ არაზუსტ მეცნიერებაში, როგორიც არქეოლოგიაა, ზოგჯერ ათწლეულობით შეიძლება გაგრძელდეს, რისი მაგალითიც ბევრი მოგვეპოვება. ისტორიას ასევე იმის ბევრი მაგალთიც ახსოვს, როგორ არ დადასტურებულა მსოფლიოში გახმაურებული „აღმოჩენები“ წლების შემდეგ, ხოლო ფანტაზიად მონათლულ იდეებს ხორცი შეუსხამთ. ყველა ჰიპოთეზასა აქვს სიცოცხლის უფლება, მაგრამ აქ საზოგადოებაში სხვა შეკითხვები ჩნდება, რაც სამეცნიერო სფეროს სცილდება:

- როგორ მოხდა, რომ მეცნიერულად ჯერ კიდევ დაუდასტურებელ ობიექტს მიენიჭა ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი, თანაც ისე, რომ სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ვერავითარი დოკუმენტი ვერ მოიძებნა
- რატომაა, რომ საყდრისთან დაკავშირებული გერმანელი მეცნიერების შრომები თითქმის ყველა ენაზეა ნათარგმნი ქართულის გარდა, როცა უპირველეს ყოვლისა ეს ქართული სამეცნიერო წრეებისათვის უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი
- რატომაა, რომ ჯერ დაუდასტურებელი არქეოლოგიური ობიექტი, რომელიც 2006 წლიდან ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსით არსებობს, მაგრამ რომლის თაობაზე საზოგადოებამ მხოლოდ ახლახან შეიტყო, ამავე საზოგადოების მხრიდან საქართველოსათვის მნიშვნელოვან და ბოლნისისათვის სასიცოცხლოდ საჭირო საწარმოზე შეტევის მიზეზი ხდება.

ამ და სხვა ძალზე საჭირბოროტო კითხვებზე პასუხების გაცემას მომავალშიც შევეცდებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ ისაკუთრებენ სხვის ქონებას ე.წ. „მესამე პირები“?



## დაზარალებულები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ელიან

## „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ – ეს საქმე იქნება ტესტი იმისა, გაგრძელდება თუ არა საქართველოში საკუთრების უფლების ხელყოფა“

my View

მირიან ბოქოლიშვილი

**საქართველოში უძრავი ქონების არც ერთი მესაკუთრე დაცული არ არის თაღლითებისგან. ამ დასკვნის საფუძველს იურისტებს ის ათობით საქმე აძლევს, რომელიც სასამართლო განხილვის საგანი გახდა, თუმცა დაზარალებულებმა კუთვნილი ქონების დაბრუნება ვერ მოახერხეს. საქმე, რომელზეც ახლა გიამბობთ, იქნება ერთგვარი ტესტი იმისა, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული საკუთრების უფლება იგნორირებული იქნება თუ გაგრძელდება პრაქტიკა და თაღლითობით ჩამორთმეული ქონება ნამდვილ მესაკუთრეებს არ დაუბრუნდებათ.**

მოკლედ, ალბათ, თქვენც ხშირად გსმენიათ, რომ საჯარო რეესტრში გაყალბებული მონაცემებითა და სხვადასხვა მაქინაციებით, კონკრეტულ პირს წაართვეს საკუთრება. სასამართლო ადგენს თაღლითობის ფაქტს და დამნაშავესაც აძლევს პასუხისგებაში, თუმცა თუ მან ქონების გაყიდვა მოასწრო, მყიდველი საქართველოს კანონმდებლობით კეთილსინდისიერ მხარედ ითვლება და ნივთის რეალურ მეპატრონესთან შედარებით უპირატესობა ენიჭება. საბოლოო შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მიიღოს დამნაშავის რამდენიმეწლიანი პატიმრობა, ან საპროცესო გარიგება, ხოლო მისი საკუთრების დაბრუნების თეორიული შანსიც კი არ რჩება, მიუხედავად იმისა, რა ღირებულების ქონებაზეა საუბარი. ასე რომ, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, თქვენი ბინა თაღლითური გზით გადაიფორმოს სხვა პირმა, მოახდინოს მისი რეალიზაცია მესამე პირზე და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ახალმა „მესაკუთრემ“ ჩემოდნების ჩალაგება მოგთხოვოთ.

ასე დაემართა ნოდარ დვალსაც, რომლის სარჩელსაც ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს და რითაც ის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საკუთრების უფლების აღდგენას ითხოვს. პარალელურად კი სარჩელით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს და სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს, რომელიც რეალურ მესაკუთრეს საკუთრების დაბრუნების უფლებას უზღუდავს. როგორც უკვე გითხარით, ამ გზით არაერთი მოქალაქეა დაზარალებული, თუმცა დვალის შემთხვევა განსაკუთრებულია, გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ეხება ნახევარ მილიონ ლარამდე შეფასებულ ქონებას, რომელიც მესამე პირმა, სულ რაღაც, 45 ათას დოლარად შეიძინა.







დეტალების გასარკვევად, ჩვენ ნოდარ დვალის ადვოკატს, არჩილ ჩოფიკაშვილს ვესაუბრეთ. მისი თქმით, დვალმა 2002 წლის 1-ელ მარტს შეიძინა და ფლობდა 2100 კვ.მ მიწის ნაკვეთს თბილისში, დიდ დიღომში, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მიმდებარედ, საკუთრების უფლება კი დაირეგისტრირა საჯარო რეესტრის მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში. 2011 წლის 7 მარტს ნოდარ დვალის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ყალბი მიღება-ჩაბარების აქტით საკუთრების უფლება დაირეგისტრირა ვინმე მურმან გამყრელიძემ და შეცვალა ნაკვეთის საკადასტრო მონაცემი. ამის შემდეგ, აღნიშნული ნაკვეთი ჯერ ვეფხია კ-მ შეიძინა, მოგვიანებით კი – დავით ბ-მ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 სექტემბრის განაჩენით, მურმან გამყრელიძე ცნობილი იქნა დამნაშავედ და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენებისა და თაღლითობით მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებისთვის სასჯელად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მოგვიანებით მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, საბოლოოდ კი სასჯელის ზომა ამნისტიით გაუქარწყლდა.

მიუხედავად იმისა, რომ გამყრელიძე სასამართლოს მიერ ნოდარ დვალის ქონების მისაკუთრებისთვის თაღლითად აღიარეს, დაზარალებული დღემდე ვერ ახერხებს საკუთრების დაბრუნებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ მისი სამოქალაქო სარჩელი არ დააკმაყოფილა. ამჟამად საქმე მეორე ინსტანციაშია.

**არჩილ ჩოფიკაშვილი, ადვოკატი:**

– ჩვენ, ასევე, მივმართეთ სააპელაციო სასამართლოს და უახლოეს ხანში ველით პროცესის ჩანიშვნას. ამ საკონსტიტუციო სარჩელით ვითხოვთ სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლის თანახმადაც, განსხვავებით მოძრავი ნივთებისგან, უძრავ ნივთზე მესაკუთრე ვერ აღიდგენს საკუთრების უფლებას, თუ თაღლითის მიერ მოხდება მისი გასხვისება. მაგალითად, ამ მუხლის საფუძველზე ადამიანს შეუძლია თაღლითური გზით წართმეული ავტომობილის დაბრუნება, მაგრამ ამავე გზით წართმეული სახლის დაბრუნებას ვერ შეძლებს. კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია საკუთრების უფლება, კონსტიტუცია არ აკეთებს დათქმას მოძრავ და უძრავ ნივთზე, უფლება არის უფლება და არ აქვს მნიშვნელობა, უძრავია ნივთი თუ მოძრავი.

**– გამოდის, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლს თაღლითები აქტიურად იყენებენ...**

– დიახ, პრაქტიკაში ძალიან აქტიურად იყენებენ ის ადამიანები, ვისაც განზრახული აქვთ თაღლითური გზით სხვისი ქონების მისაკუთრება. ეს შემთხვევები განსაკუთრებით გახშირდა მას შემდეგ, რაც გაჩნდა სკაიპის მეშვეობით სანოტარო მოქმედებების შესრულების შესაძლებლობა და ასევე, 2008 წლიდან, როცა დაიწყო მიწის ნაკვეთების ელექტრონული რეგისტრაცია. მანამდე არსებულ რეგისტრაციებზე იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ეს არის დაუზუსტებელი რეგისტრაცია და ამით მოიხსნა პასუხისმგებლობა. შესაბამისად, თაღლითებს გაუადვილდათ, გაყალბების გზით, ახალი ელექტრონული ნახაზის გამოყენების საშუალებით დაირეგისტრირონ სხვისი ქონება. ფაქტობრივად, დღეს ჩვენ გაქვს მდგომარეობა, როცა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი იცავს თაღლითებს. შემიძლია გითხრათ, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში ეს მესამე პირიც თაღლითია. როგორც წესი, ეს არის ერთი ჯგუფი. ახლა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, გაგრძელდება თუ არა ეს მახინჯი პრაქტიკა და საკუთრების უფლების ხელყოფა საქართველოში.



არჩილ ჩოფიკაშვილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ დავუმტკიცოთ ბანკებს სიმართლე?

მაგდა კლდიაშვილი

**მუდამ „მართალი“ ბანკები“ და დაზარალებული მომხმარებლები - რა ხდება მაშინ, როდესაც ბანკი, რომელსაც მათთან ანგარიშის გახსნის, თანხის შენახვისთვის, სმს-სა და ინტერნეტ ბანკინგისთვის ყოველთვიურად „ხელფასს“ უხდი, კვლავ იმაზე ფიქრობს, როგორ დაგაზარალოს. ქართულ სინამდვილეში, ბანკებთან თავის დაცვის მექანიზმი არ არსებობს.**



საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ბანკში ანგარიშის გასახსნელად და მისი შენახვისთვის მომხმარებელი ფულს ბანკს იქეთ უხდის. მაგალითისთვის, გერმანულ Deutsche Bank-ში ანგარიშის გახსნა უფასოა, ხოლო ის ადამიანი, რომელიც რეკომენდაციას გასწევს ამ ბანკში ანგარიშის გახსნაზე, საჩუქრდება. მას თავად შეუძლია სასურველი ნივთის ამორჩევა სპეციალური სიიდან. პრიზები კი საკმაოდ შთამბეჭდავია.

„პრაიმტაიმს“ „საქართველოს ბანკის“ მომხმარებელი დაუკავშირდა, რომელმაც ბანკთან არსებულ პრობლემებზე ისაუბრა.

**ბანკი „ყოველთვის მართალია“**

როგორც ლევან გოგიაშვილი ყვება, პირველად პრობლემა მაშინ შეიქმნა, როდესაც თანხის ბანკომატიდან გამოტანისას ჩამოჭრა ანგარიშიდან ორჯერ მოხდა.

„ბანკომატიდან ფული გამოვიტანე. შემდეგ კიდევ დამჭირდა და თანხა ვერ მივიღე. ანგარიში შევამოწმე და დეპოზიტზე არაფერი მქონდა. მივმართე დიღმის მასივში მდებარე ექსპრეს ფილიალს, სადაც გააკეთეს ამონაწერი და ოპერატორმა მითხრა, რომ მართლაც გაუგებრობა იყო და წამების შუალედში, ბანკომატი ორ ტრანზაქციას ვერ შეასრულებდა. დამაწერინეს განცხადება და მითხრეს, რომ ანგარიშზე ფული 6 კვირაში დამიბრუნდებოდა. 6 კვირის გასვლის შემდეგ, არაფერი შეიცვალა. კვლავ მივმართე იმავე ფილიალს, საიდანაც სათაო ოფისში გადარეკეს და ჩემი მონაცემები მისცეს. პასუხი მოვიდა, რომ თანხა განაღდებული იყო და უკან ვერ დავიბრუნებდი. აქამდე თუ ნახეს, რომ არ მქონდა განაღდებული ორჯერ ერთი და იგივე თანხა, შემდეგ როგორ აღმოჩნდა განაღდებული. ბანკს სიმართლეს ვერასდროს დაუმტკიცებ“, - ამბობს გოგიაშვილი.

შემდეგი პრობლემა თანხის კონვერტაციას უკავშირდება. „საქართველოს ბანკის“ მომხმარებელი ამბობს, რომ რამდენიმე საიტზე გადასარიცხად, თანხა ინტერნეტბანკინგის საშუალებით ევროსა და დოლარში დააკონვერტა.

როგორც წესი, ასეთი ოპერაციების შესრულების შემდეგ, ბანკი ანგარიშზე გადახდილ თანხას ბლოკავს და რამდენიმე დღეში ასრულებს გადარიცხვას. თანხის დაკონვერტების შემთხვევაში კი პრობლემა ჩნდება.

ლევან გოგიაშვილის თქმით, მას თანხა ბანკმა 1.645 კურსით გადაუცვალა და ამ კურსით დაკონვერტებული თანხა ლარებში დაიბლოკა, რომელიც შემდეგ ხელმისაწვდომი არ არის.

„რამდენიმე დღეში მესიჯი მომივიდა ბანკისგან, რომ გადახარჯვის გამო ანგარიში დამებლოკა. ვნახე, რომ მინუსებში იყო წასული. შევამოწმე ამონაწერი და აღმოჩნდა, რომ იმ დღეს, როდესაც ბანკმა გადარიცხვა შეასრულა, დოლარის კურსი 1.649 იყო. შესაბამისად, დავზარალდი“, - ამბობს ლევან გოგიაშვილი.

მისივე თქმით, ბანკში სცადა პრობლემის გარკვევა, რადგან ყოველთვიურად მისი ანგარიშიდან ოვერდრაფტის პროცენტის ჩამოწერა ხდებოდა, ოვერდრაფტი კი იმ ორგანიზაციაზე, საიდანაც ხელფასი ერიცხებოდა, დაშვებული არ იყო.

ბანკის თანამშრომლის განმარტებით, ოვერდრაფტის პროცენტი, რომელიც ხან 1 და ხან ორ თეთრს შეადგენს თვეში, იმიტომ ეჭრება, რომ არსებულ ანგარიშზე გადახარჯვა ხდება და ბანკის მომხმარებელს ამის გადახდა უწევს.

მაშინ, როდესაც დაკონვერტებული თანხა, შესაბამისი კურსით უკვე დაბლოკილია და იმის საფრთხე არ არსებობს, რომ მას მომხმარებელი გაიტანს, რამდენად კანონიერია ბანკის ქმედება, გაზრდილი კურსით ჩამოჭრის, დარიცხული ჯარიმის გადახდა კი კვლავ ანგარიშის მფლობელს უწევს.

„პრაიმტაიმი“ „საქართველოს ბანკის“ ოპერატორსაც ესაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ ვინაიდან დაბლოკილი თანხის გადარიცხვა გვიან ხდება, იმ დღეს არსებული კურსით ხდება ანგარიშსწორება.

ბანკი ხომ არ დაზარალდება, ზიანდება კვლავ მომხმარებელი, რომელსაც იმავე ბანკში არსებული სესხის ან განვადების შემთხვევაში, ერთი დღის გადაცილებისთვის პირგასამტეხლოს თანხის 0.5% იხდის. ჯარიმა ექსპრესს ბარათებზე დღიურად 20 თეთრს შეადგენს. სხვა ბანკებში ჯარიმის ოდენობა ვადაგადაცილებაზე 20 ლარია.

გოგიაშვილის შემთხვევაში, შეიძლება, დარიცხული ოვერდრაფტების ოდენობა დიდ თანხას არ შეადგენს, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რამდენი კლიენტი ჰყავს ბანკს, წლის განმავლობაში, ის აუცილებლად დიდ მოგებაზე გავა.

განაღდება GEL 30.00 ორგ:8001045 კოდი:517751 ავტ თარ:30.08.2012 BG ATM-DIGOMI, BL5, H 1A
განაღდება GEL 30.00 ორგ:8001045 კოდი:489084 ავტ თარ:30.08.2012 BG ATM-DIGOMI, BL5, H 1A

# რას მივირთმევთ?

ანა ბარბაქაძე

**თითქმის ტრადიციად იქცა, ყოველ ახალ წელს-წინასადღესასწაულო დღეებში ტელევიზიებისა თუ სხვა მედია საშუალებების სიუჟეტები და რეიდები ბაზარში, საკვები პროდუქტის ხარისხის შესამოწმებლად, მიუხედავად იმ რეზონანსისა, რომელიც მსგავს სიუჟეტებსა და სტატიებს მოჰყვება, ფაქტია, რომ საკვებითა და ალკოჰოლური სასმელით ინტოქსიკაცია ხშირია. სასწრაფო სამედიცინო დამხარების ინფორმაციით 2014 წლის პირველი სამი დღის განმავლობაში, სასმელით ინტოქსიკაციის 200-მდე,საკვებით მოწამვლის კი დაახლოებით 60 შემთხვევა დაფიქსირდა. უმეტესს შემთხვევაში ჯანმრთელობის პრობლემებს და საკვების გადაჭარბებული დოზით მიღებას ემატება, თავად საკვების ხარისხი, ის, არც თუ ისე სახარბიელო სანიტარული მდგომარეობა თუ პროდუქტის შენახვის წესების დარღვევა, რომელიც უკვე წლებია არსებობს, არა მხოლოდ ბაზრებში, არამედ ქალაქის მსხვილ მარკეტებშიც.**



რძის პროდუქტები, რომლებიც რეალურად არ შეიცავენ რძეს, დასაშვებ ზომაზე მეტი ტყვიის შემცველობა მარილში, შაურმით მოწამლულები და არალეგალური სასაკლაო სოფელ კუმისში. ეს ის რამდენიმე თემაა, რომელზეც ბოლო დღეებია აქტიურად საუბრობენ. ამ რამდენიმე მნიშვნელოვან მაგალითს მოგვიანებით მივუბრუნდებით, მანამდე კი თბილისის ბაზარს ვეწვიოთ, რომელიც, ჩემდა გასაკვირად, საგრძნობლად დაცარიელებული დამხვდა. ეს უკმარისობა გარე მოვაჭრეების ნაკლებობამ გამოიწვია. ამის მიზეზი მალევე ამიხსნეს, უშუალოდ ბაზრის ტერიტორიაზე მოვაჭრეებმა. მათი თქმით, გარე მოვაჭრეებს საქმიანობის უფლება ძველით ახალ წლამდე ჰქონდათ, შემდეგ კი ტერიტორია დაატოვებინეს, ზოგი მათგანი ბაზარში შევიდა ზოგმა კი დროებით შეაჩერა ვაჭრობა, რადგან ვერ ახერხებდნენ, ბაზრის ტერიტორიაზე-ფართის საფასურის გადახდას.

მართალია ღია ცის ქვეშ აღარ დგანან, მაგრამ ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ხორცი, ყველი და სხვა რძის ნაწარმი არა მაცივრიდან, არამედ პირდაპირ დახლიდან იყიდება. ამაში პრობლემას ვერ ხედავს, რძის პროდუქტებით მოვაჭრე ზოია რიჟამაძე: „მე, როგორც პიროვნება, ადამიანი, არ მივცემ თავს უფლებას გავყიდო ისეთი საქონელი, რაც სხვას ზიანს მიაყენებს, აქ ყველა ასეა, არავის არ მოაქვს ცუდი და ძველი საქონელი. არ მსმენია, რომ აქ ნაყიდი პროდუქტი შემდეგ არ გამოდგომოდათ, არ გვაქვს საქართველოში დასაძველებელი პროდუქტი, შესაბამისად, აქ ყველაფერი ახალია“.

ქალბატონი ზოიას აზრს იზიარებს, ხორცით მოვაჭრე ალექსანდრე მეგუთვნიშვილი, მან არც ვეტერინარული საბუთის წარმოდგენაზე გვითხრა უარი და დასძინა, რომ საკუთარ პროდუქტზე პასუხს აგებს.

**ალექსანდრე მეგუთვნიშვილი:** - ზამთარია, ცივა, ახლა უმაცივროდ საქონელი არ ფუჭდება, ზაფხულში კი ჩვენ ყოველთვის მაცივარში ვინახავთ პროდუქტს, არც მყიდველებს აქვთ პრეტენზია იმაზე, რომ ახლა მაცივარში არ გვიდევს, კარგი პროდუქტი გვაქვს, კარგ ფასში, შესაბამისად, უკმაყოფილო არავინ რჩება.

ხორც-პროდუქტების სექციის შემდეგ ხილ-ბოსტნეულთან მივედი, ალბათ, ყველას შეგვიმჩნევია მიწაზე ან მიწასთან ოდნავ აცილებით, ყუთებში ჩაყრილი მანდარინები, ვაშლები, სხვადასხვა სეზონური ხილი და ბოსტნეული. მოვაჭრეები ამაში პრობლემას ვერ ხედავენ, როგორც ამბობენ, აქ შეძენილ პროდუქტს ყველა რეცხავს და შესაბამისად, ის, ყუთში იქნება შენახული თუ მანქანაში ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.



დღეს, წინასადღესასწაულო დღეებთან შედარებით ბაზარში ნაკლები მყიდველია, თუმცა რამდენიმე მათგანთან გასაუბრება მაინც შევძელი, როგორც აღმოჩნდა, მათი უმეტესობა პროდუქტის საყიდლად ბაზარში იმიტომ მოდის, რომ აქ არჩევანი მეტია, ფასები კი, მაღაზიებთან შედარებით ნაკლები. ხოლო კითხვაზე თუ შექმნიათ ოდესმე ბაზარში ნაყიდი პროდუქტის გამო პრობლემა, ყველამ უარყოფითი პასუხი გამცა, მათი თქმით ჯერ არასდროს შექმნიათ ჯანმრთელობის პრობლემა აქ ნაყიდი პროდუქტის გამო, მაქსიმუმი რასაც გამყიდველები აშავებენ, ეს წონაში მოტყუებაა, ისიც ბოლო დროს იშვიათად ხდება.

წონაში ნაკლებად ატყუებენ, მაგრამ მაინც სცოდავენ რძის პროდუქტების მწარმოებლები, ერთ-ერთი ბოლო კვლევის შედეგად, მაღაზიიდან აღებული 15 დასახელების რძის პროდუქტიდან, რეალურად მხოლოდ 5 აღმოჩნდა ნამდვილი რძის ნაწარმი, დანარჩენები კი მცენარეულ ცხიმს შეიცავენ; მართალია ეს ინფორმაცია უმეტეს შემთხვევაში ეტიკეტზევეა დატანილი, თუმცა მომხმარებელი, რომელმაც არ იცის თუ როგორ უნდა შეამოწმოს პროდუქტის შემცველობა, მოტყუებული რჩება. ამ უკანასკნელი მიზეზით ადამიანის ინტოქსიკაცია და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის ალბათობა ძალიან მცირეა. მისგან განსხვავებით მნიშვნელოვანია ხორცი და მისგან წარმოებული პროდუქცია, რომელიც ბოლო პერიოდში არაერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია რამდენიმე დღის წინ შაურმით მოწამლული 10 ადამიანი, რომელთა განცხადებაზეც სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, შპს ლესელიძე-2014-ში არაგეგმიური ინსპექტირება განახორციელა, სადაც კრიტიკული შეუსაბამობები გამოავლინა, პროდუქტი მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული აღმოჩნდა, რის შედეგადაც საშაურმეს საწარმოო პროცესი შეუჩერდა და 1000 ლარით დაჯარიმდა. ამავე სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, დროული რეაგირება მოახდინა ბაზარზე,









გაყიდვაში არსებულ მარილზე, რომელშიც ტყვიის დაშვებულ ნორმაზე მეტი აღმოჩნდა. ირანული მარილის აღნიშნული პარტია, ქსელიდან გამოთხოვილია და იგი წესისამებრ განადგურდება.

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია 15 იანვარს სოფელ კუმისში აღმოჩენილმა არალეგალურმა სასაკლაომ. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო საჭირო ღონისძიებების გატარება. „სპეციალისტებმა ადგილზე დაათვალიერეს ე. წ. ჭალას ტერიტორია, რომელიც, მათი განმარტებით, ნაგავსაყრელს უფრო ჰგავს, ვიდრე სასაკლაოს. ღია ცის ქვეშ მიმოფანტულია დაკლული ცხოველების, მათ შორის ვირის და ცხენის ჩონჩხები. სააგენტომ აღნიშნული ფაქტი შემდგომი კვლევისთვის უკვე აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. პარალელურად, სარეალიზაციო ობიექტებში გაძლიერებულია კონტროლი. ერთ-ერთი ვერსიით, დაკლული ცხოველების ხორცი შესაძლოა, თბილისის საშაურმეებსა და რესტორნებში მოხვედრილიყო. ამიტომ თბილისის სამმართველოს სპეციალისტები დედაქალაქის მასშტაბით პერმანენტულ რეიდებს ახორციელებენ. შემოწმდება ყველა ის ობიექტი, სადაც ასეთი პროდუქტის მოხვედრის ალბათობაა“.

ვკითხულობთ სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

აღნიშნულ და გასულ წელს გამოვლენილი სხვა ფაქტების გამო კანონი მკაცრდება, 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ჯარიმა სურსათის ეტიკეტირების წესების დარღვევისთვის. თუმცა ერთია კანონი, მეორე კი მისი აღსრულება. უმეტეს შემთხვევაში დაზარალებულები თავს არიდებენ სამართლებრივ პროცესებს და ამა თუ იმ პროდუქტსა და კომპანიას ბოიკოტს მხოლოდ მისი არყიდვით უცხადებენ, რაც თავისთავად ამცირებს დარღვევების პრეცედენტებს და შესაბამისად, ამ სფეროს იმდენი ყურადღება აღარ ექცევა, რაც რეალურად საჭიროა.

ამ სტატიაში განვიხილეთ ბოლო დროს საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცეული თემები, ასევე შევეცადეთ გვეჩვენებინა ის, თუ რა განწყობაა ამ ყველაფერთან დაკავშირებით ბაზარში. დადგენილებების და კანონის აქტიურად ამოქმედების მოლოდინში კი, მოსახლეობას ისღა დარჩენია, თავად იზრუნოს საკუთარ თავზე და კარგად წაიკითხოს ეტიკეტი, ის ინფორმაციაც კი, რაც ყველაზე წვრილი შრიფტითაა დატანილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბანქო, ფული და აზარტს აყოლილი ქალაქი



სალი კიპაროიძე

**მაშინ, როცა 1520 წელს საფრანგეთში მეფე ფრანცისკ I - ის ბრძანებით აზარტული თამაშები დაკანონდა, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ დაახლოებით 200 წლის შემდეგ, პარიზში ამ თამაშებს „სპეციალურ სახლებს“ - ე.წ. სამორინეებს აუგებდნენ. საფრანგეთის დედაქალაქში პირველი კაზინოების გახსნის მერე კი, ეს სენი ნელ-ნელა მთელ მსოფლიოს მოედო. სწორედ მაშინ გაიგო მსოფლიომ, რომ გარდა კარტის თამაშისა, არსებობდა თამაში ბორბალზე, ე.წ. რულეტზე. დღესდღეობით, რულეტი კაზინოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თამაშად ითვლება; გავრცელებული ლეგენდის თანახმად, სათამაშო ბორბალი გამოიგონა ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა და მათემატიკოსმა, ბლეზ პასკალმა. თუმცა არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც, ფრანგმა ფრანსუა ბლანმა სული მიჰყიდა ეშმაკს იმისთვის, რომ გაეგო რულეტის საიდუმლო. ამ თეორიის დასამტკიცებლად მოჰყავთ რულეტის ყველა ნომრის ჯამი, რომლის საერთო რაოდენობაც 666-ს შეადგენს. ყოველივე ამის გამო გასული საუკუნის 70-იან წლებში, ინგლისში უამრავი კინოთეატრი დაიხურა, რადგან ხალხს კინოში სიარულს, კაზინოებში სიარული და სათამაშო აპარატებთან დგომა ერჩივნა. ადრე, აზარტული თამაშების სახლები უამრავი უკანონო საქმიანობის, მათ შორის ფულის გათეთრების ყველაზე კარგი საშუალება იყო, თუმცა სათამაშო ბიზნესის იატაკქვეშეთიდან გამოსვლისა და ლეგალური არსებობის უფლების მოპოვების შემდეგ, დღეს, უკვე ჩვენს ქვეყანაშიც აღარავის უკვირს ქალაქებში მომრავლებული სამორინეები. როგორც ჩანს, ადამიანების უმრავლესობა საკუთარ ფორტუნას ცდის ადგილზე, სადაც დროს ვერავინ გრძნობს, სათამაშო ბიზნესის წესია, მოთამაშეს დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდეს, ამიტომ კაზინოში მზის შუქი არსაიდან შედის, ვერსად ვერ ნახავთ საათსაც. დღესდღეობით მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის აზარტული თამაშები მათი ყოველდღიურობის ნაწილია. აზარტი ერთგვარ სენსაციას წარმოადგენს, რომელიც ადამიანთა უმრავლესობისთვის რაღაც სარისკოსთან, საშიშთან, მაგრამ საოცრად მიმზიდველსა და საინტერესოსთან ასოცირდება, სწორედ იმიტომ, რომ აკრძალული ხილი გემრიელია, დღეს, კაზინოზე, სათამაშო ავტომატებსა და ტოტალიზატორზე უამრავი ადამიანია დამოკიდებული. ყველა ადამიანს აქვს საკუთარი განცდის, ემოციის თუ ადრენალინის გარკვეული რაოდენობა, რომელსაც დახარჯვა და გამოყოფა სჭირდება, თამაშზე დამოკიდებული ადამიანები კი ამის საუკეთესო საშუალებად აზარტულ თამაშებს ასახელებენ და საკუთარ ადრენალინს მხოლოდ და მხოლოდ კაზინოებში უმასპინძლდებიან. საქართველოში ბევრია ისეთიც, ვისთვისაც აზარტული თამაშები არა გართობის, არამედ გამდიდრების გზაა, მაგრამ სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ გემბლინგი, იგივე აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, 21-ე საუკუნის ერთ-ერთი სენია, რომელიც აზარტისა და ადრენალინის გამოყოფასთან ერთად, უმეტესწილად, ე.წ. „იგროკების“ საფულეებს აცარიელებს.**

ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კაზინოს მარკეტინგის მენეჯერი გვამცნობს, რომ მიუხედავად სოციალურად დაუცველი ფენის უზომოდ დიდი რაოდენობისა, საქართველო არის ქვეყანა, სადაც არსებობს ისეთი სეგმენტიც, რომელიც ერთ ღამეში ნახევარ მილიონ დოლარსაც კი აგებს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მომხმარებლები მხოლოდ ქართველები არ არიან, იმის გამო, რომ თურქეთსა და აზერბაიჯანში აზარტული თამაშები კანონით აკრძალული ხილია, ჩვენთან სათამაშოდ მეზობელი ქვეყნებიდან თითქმის ყოველდღე ჩამოდიან. საკმაოდ ცოტა, მაგრამ არსებობს ისეთი ფაქტებიც, როცა კაზინო მოთამაშეს საკმაოდ დიდი თანხით ჯიბედამშვენებულს უშვებს. თუმცა მათი ეს „სიკეთე“, უმეტეს შემთხვევაში, ბუმერანგის პრინციპით მოქმედებს, რადგან „მოგებული იგროკი“ აუცილებლად ბრუნდება უკან. ხშირ შემთხვევებში თამაშში აქტიურად ჩაბმულ ადამიანებს, იგივე ლუდომანებს, დამოკიდებულებას უშუალოდ თამაშის პროცესში განცდილი შეგრძნებები უჩენს.

კარტის დარიგებით განცდილი სიამოვნება და ამ სიამოვნებაზე დამოკიდებულება, უცხო არაა პოკერის მოთამაშეებისთვისაც, რომელიც დღეს განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს. პოკერის, როგორც თამაშის არსებობა 500 წელს ითვლის. მისი დაბადების ადგილად ნიუ ორლეანის შტატი ითვლება. პოკერს ადრე ძირითადად კოვბოები, მძარცველები და მატყუარები თამაშობდნენ, თამაშის მიმდინარეობის დროს ისინი პატიოსან ხალხს ყველაფერს ართმევდნენ, ამან პოკერს სახელი გაუტეხა და მისი თამაში დიდხანს იკრძალებოდა. თუმცა, 1970 წელს ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი პოკერში, ამ ფაქტმა თამაშს ლეგალურობა დაუბრუნა. მალე საკმაოდ დიდი დაინტერესება და პოპულარობა ჰპოვა ინტერნეტ სივრცეში „ონლაინ“ პოკერის გამოჩენამაც, არასრულწლოვან ბავშვებს ჩვეულებრივად შეუძლიათ დარეგისტრირდნენ, სახლიდან გაუსვლელად, და ითამაშონ ფულზე, რაც კანონდარღვევაა, თუმცა, მიუხედავად ამისა, არ კონტროლდება. ასე რომ, მისი საშუალებით გამოუცდელ მოთამაშეებს მინიმალური ფსონითაც კი შეუძლიათ თამაშის დაწყება. ლეგალურობის მიუხედავად, კანონი თამაშზე გარკვეულ შეზრუდვებს აწესებს, შეზღუდვებში იგულისხმება ასაკობრივი ცენზი, რადგან სამორინეებში 21 წლამდე პირებისთვის, სათამაშო აპარატების სალონსა და ტოტალიზატორში კი 18 წლამდე მოზარდებისთვის შესვლა აკრძალულია, თუმცა ჩვენმა ცდამ აჩვენა, რომ საქართველოში, პირადობის მოწმობის საფუძველზე, სალონში შესულ პირთა იდენტიფიცირება, ხშირ შემთხვევაში, არ ხორციელდება, თუ მოზარდის სახის გამომეტყველება არასრულწლოვანების გონივრულ ეჭვს არ ბადებს.

ამ თემაზე მედიცინის წარმომადგენლებს თავისი მოსაზრება აქვთ. ლუდომანიით დაავადებულ ადამიანთა ფსიქიკაზე, ფსიქოლოგი ნინო მშვილდაძე გვესაუბრა.

„აზარტული თამაშებისადმი სიყვარული ფსიქიკური პათოლოგიაა, მასზე დამოკიდებულება ისეთივე დაავადებაა, როგორიც ნარკომანია. ლუდომანი დროთა განმავლობაში ფსიქიკურად ეჯაჭვება თამაშის პროცესს და საკუთარ ქცევებს ველარ აკონტროლებს. ასეთ ადამიანებს უყალიბდებათ თამაშისადმი არა მარტო ფსიქიკური, არამედ ფიზიკური დამოკიდებულება. ლუდომანების უმრავლესობას ნელ-ნელა უუფასურდება ყველა დანარჩენი ინტერესი, მთელი დღე ფიქრობენ თამაშის დაწყების დროზე, თავის წარმოსახვაში აყალიბებენ სათამაშო ტაქტიკასა და სტრატეგიებს. სწორედ მათ ამ უკონტროლო ქცევებს ეწირება ადამიანის ცხოვრების სხვა ღირებულებები. ხშირად გემბლინგს ადამიანი მიჰყავს ისეთ რთულ ვითარებამდე, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ფსიქიკური აშლილობა. ამასთან ერთად მოთამაშეების უმრავლესობა ხშირად კარგავს უამრავ მატერიალურ ღირებულებას, რაც სულიერ განადგურებას და ხშირ შემთხვევაში სუიციდსაც იწვევს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მოსწავლეებისა სტუდენტების დიდი ნაწილიც ამ საშინელებაშია ჩართული. ეს ყველაფერი ეპიდემიასავით არის. რაც შეეხება აზარტისაგან თავის დაღწევას, ეს საკმაოდ რთული საკითხია და ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად პასუხის გაცემა რთულია. უპირველესად ადამიანმა უნდა შეძლოს თვითკონტროლის დაბრუნება, პრობლემის გააზრება და გამოფხიზლება, რაშიც მათ ფსიქოლოგთან კონსულტაციები დაეხმარებათ“.







თითქმის ყველა მოთამაშის ისტორია კი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს.

დათო ყ. - 30 წლის

„დაახლოებით 6 წლის წინ, მეგობარს კაზინოში გავყევი, რომელმაც იმ დღეს საკმაოდ დიდი თანხა მოიგო. მაშინ ფინანსურად ძლიერი ოჯახი მყავდა და ვიფიქრე, რომ თუ მოვიგებდი ხომ კარგი, თუ არადა ამით დიდი არაფერი დააკლდებოდა ჩემს ოჯახს. ფორტუნამ არც მე მიმტყუნა და ზედიზედ 5-ჯერ სოლიდური თანხა მოვიგე. მეორე დღეს ისევ მივედი კაზინოში და მოგებული თანხის ნახევარზე მეტი წავაგე. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში კონტროლის ილუზია მმართავდა, მეგონა, რომ კარგად ვაკონტროლებდი მოვლენებს და მივხვდებოდი როდის უნდა გავჩერებულიყავი. თუმცა ეს ყველაფერი მალე ჩვევაში გადამეზარდა და მივხვდი, რომ თავს ველარ ვაკონტროლებდი. ნელ-ნელა ყველაფერი დავკარგე, სახლი, მანქანა, ოჯახი, თვითკონტროლი. ახლა კი ჩემი მცირე ხელფასის აღებისთანავე კაზინოში მივდივარ და თუ ხელფასსაც ვაგებ, ოჯახისგან დარჩენილ წვრილმან ნივთებს ვალომბარდებ“.

აზარტული თამაშებისადმი დიდ ინტერესსა და ლტოლვას სუსტი სქესის ადამიანებიც საკმაოდ მძაფრად განიცდიან. ფსიქოლოგის თქმით, ქალები ამ გაუგებრობაში უფრო სწრაფად ეხვევიან და, მამაკაცებისგან განსხვავებით, ფსიქოთერაპიასაც ნაკლებად ექვემდებარებიან, ისინი ამ სენს უფრო გვიან და რთულად აღწევენ თავს, სწორედ ამიტომ მათ ქმედებებს, ხშირად ფონად დეპრესია გასდევს.

ბევრ ქვეყანაში კაზინოების ტერიტორიულ განლაგებას კანონი არეგულირებს. ყაზახეთსა და რუსეთში კაზინოების მოწყობა მხოლოდ პერიფერიულ ზონებშია ნებადართული. 2013 წლიდან დედაქალაქიდან კაზინოების გადატანა სომხებმაც დაიწყეს. თუმცა ამის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობა ჯერჯერობით არაფერს გვეუბნება. ფაქტი კი სახეზეა, არსებობს „აზარტს აყოლილი ქალაქის“ მოთხოვნა, არის მიწოდებაც.

როგორც ვხედავთ, აზარტული თამაშები დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი დაუმარცხებელი სენია, რამაც შეძლო ადამიანების მოწყვეტა რეალური სამყაროსგან და სრულიად განსხვავებულ ცხოვრებაში ჩათრევა. სტატისტიკის თანახმად, წელიწადში დაახლოებით 100 მილიონი ადამიანი სტუმრობს კაზინოებს. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მილიონობით არსებული სამორინეების მიუხედავად, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ის, რომ ყველა აზარტულ მოთამაშეს ერთხელ მაინც უოცნებია სათამაშო ბიზნესის მსოფლიო დედაქალაქში, ლას-ვეგასში მოხვედრაზე. სადაც, როგორც ამბობენ, გაცილებით უფრო მეტს ლოცულობენ, ვიდრე იერუსალიმში ან მექასა და მედინაში.



**„საქართველო არის ქვეყანა, სადაც არსებობს ისეთი სეგმენტიც, რომელიც ერთ ღამეში ნახევარ მილიონ დოლარსაც კი აგებს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აგრესია და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში

თეონა ბოგვერაძე

**აგრესია არის სპეციფიკურად ორიენტირებული ქცევა, რომელიც მიმართულია ყველა იმ დაბრკოლების მოსაცილებლად ან დასაძლევად, რომელიც ფიზიკური და ფსიქიკური ორგანიზმის მთლიანობას უქმნის საფრთხეს. აგრესიის მოტივად გვევლინება ისეთი ზიანის მიყენება სხვისთვის ან სხვისი ინტერესებისთვის, რომელიც უკუაგდებს ფრუსტრაციის წყაროს. შედეგად კი სასიამოვნო ემოციურ ძვრას ელის. სწორედ ასეთი ძვრის მიღწევაა აგრესიით მოტივირებული ქცევის მიზანი. მკვლევარები ერთმანეთისგან განასხვავებენ თანდაყოლილ და ინსტრუმენტალურ აგრესიას. მაგ., როცა ფეხბურთელი თავისი აგრესიული სტილით აღწევს გარკვეულ მიზანს, მისი აგრესიულობა განიხილება როგორც ინსტრუმენტალური. მაგრამ, თუ მისი აგრესია მიმართულია იქითკენ, რომ ამით შური იძიოს მოწინააღმდეგის კარგი ტექნიკური ილეთით მისი მოტყუებისთვის, ეს უკვე მტრული აგრესიაა. ამ შემთხვევაში აგრესია თვითმიზანი ხდება. ასევე, არსებობს ანტისოციალური და პროსოციალური აგრესია. საქმე ისაა, რომ აგრესია ყოველთვის არ განიხილება როგორც მიუღებელი. მაგ., როდესაც სამართალდამცავი თავისი აგრესიული ქცევით უვნებელყოფს დამნაშავეს, ამით ის იცავს სოციალურ ნორმებს. მისი აგრესიულობა განიხილება როგორც პროსოციალური. მაშინ როცა, ადამიანი არღვევს სოციალურ ნორმებს, აწყობს დებოშს, მისი ქცევა განიხილება, როგორც ანტისოციალური.**

სტატისტიკა შემაშფოთებელ მონაცემებს იძლევა მსოფლიოში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ. განსაკუთრებით მძიმეა, ამ მხრივ, მდგომარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები გვთავაზობენ იმის ახსნას, რამ განსაზღვრა აგრესიის ასეთი მაღალი დონე შეერთებულ შტატებში. ისინი მიუთითებენ, რომ ქვეყანაში არსებობს მრავალი ეთნიკური და ენობრივი ჯგუფი, რაც ქმნის სოციალურ არამდგრადობას, მაღალი აგრესიის მიზეზად მეცნიერები ასევე ასახელებენ ეკონომიკური რესურსების არათანაბარ განაწილებას, ცეცხლსასროლი იარაღის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობასა და სანქცირებულ ძალადობას, რაშიც გულისხმობენ ომებში მონაწილეობას.

ბოლო დროს საქართველოში აგრესიული ფონი განსაკუთრებით გაიზარდა, რასაც, სამწუხაროდ, არაერთი ფაქტი მოწმობს. მაგ., 2013 წელს ქართულ ინტერნეტსივრცეში გავრცელებულმა ფოტომ, სადაც ახალგაზრდა მამაკაცს ხელში ძაღლის მოჭრილი თავი უჭირავს, საზოგადოება შოკში ჩააგდო. „თამაზ ხუსკივაძემ ორლულიანი თოფით 2 წლის კავკასიური ნაგაზი მოკლა, შემდეგ ნაჯახით თავი მოაჭრა და სიამაყის გრძნობით სურათიც გადაიღო“. წერდნენ ინტერნეტში. ამის გამო ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებმა პროკურატურაში სასწრაფოდ შეიტანეს საჩივარი. მომხდარ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით აღიძრა, რომელიც ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობას გულისხმობს და ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.

ასევე, ამას წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის ზოოპარკში მოზარდებმა ცივეტას ცეცხლი წაუკიდეს, რასაც ზოოპარკის დირექტორმა, ზურაბ გურიელიძემ სამწუხარო ფაქტი უწოდა და პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ასეთი შემთხვევები ხშირია.

სამყარო ჯერ კიდევ გაჯერებულია ომებით, ტერორიზმით, მკვლელობებით, ადამიანის გატაცებებით და ა.შ. ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგვრჩეს, რომ აგრესია სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. აგრესიის ზემოჩამოთვლილი ფორმები რომც ავიცილოთ, მას მაინც განვიცდით სხვა კონტექსტში. იშვიათია ადამიანი, რომელსაც რაიმე მიზეზით არ დაუკარგავს მოთმინება. შესაბამისად, დგება საკითხი, რატომაა ადამიანი აგრესიული? რატომ შეუძლია ადამიანს, სხვას მიაყენოს ზიანი?ეს საკითხი ყოველთვის იყო მსჯელობის საგანი და საბოლოოდ მოხერხდა ამხსნელი თეორიების კლასიფიკაცია და გამოიყო აგრესიულობის სამი ძირითადი წყარო: 1. შინაგანი დეტერმინანტები; 2.არსებული სოციალური პირობა; 3. გარეგანი პირობები და აღძრული მოთხოვნილება.




**საქართველოში აგრესიის გამომწვევი მიზეზების შესახებ ვესაუბრეთ ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფის დამფუძნებელს თემურ შენგელაიას, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს და არაერთი ტრენინგი აქვს ჩატარებული.**

***– როდის შეიქმნა ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფი და რა იყო ამ ორგანიზაციის შექმნის მიზანი?***

– ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფი ჩამოყალიბდა 2012 წლის ოქტომბერში. თავიდან გვქონდა საინიციატივო ჯგუფის სახელი, ხოლო შემდგომ დავრეგისტრირდით, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. ჩვენი ორგანიზაციის დაარსებასა და ფუნქციონირებაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებამ და დავით ბატონიშვილის ინსტიტუტმა. ჩვენ დღემდე აქტიურად ვთანამშრომლობთ ამ ორგანიზაციებთან და ვფიქრობ, ისინი ჩვენი განუყრელი მეგობრები არიან. ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფის შექმნის მიზანია კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების ცალკეული დარგის საქართველოში პოპულარიზაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხებისადმი.

– რა სახის პროექტები გაქვთ განხორციელებული და მომავალში რა თემატიკაზე გეგმავთ პროექტების ჩატარებას?

– ამ საკითხს ძალიან ფაქიზად და გულისყურით ვეკიდებით. ჩვენ ვცდილობთ ვთქვათ სრულიად ახალი სიტყვა, გავაკეთოთ ისეთი პროექტები, რაც საზოგადოებას, განსაკუთრებით მის ახალგაზრდულ ნაწილს, სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს წაადგებათ და ეს იქნება სრულიად ახალი, რაც მანამდე არასდროს განხორციელებულა. ჩვენ განვახორციელეთ პროექტები: „იმიტირებული გამოძიება, 48 საათი“, „კონფერენცია კრიმინოლოგიაში“, „იურიდიული ოლიმპიადა“. ასევე, სხვა უამრავი პროექტი და მათ შორის ჩავატარეთ ტრენინგი კრიმინოლოგიაში, რომლის ერთ-ერთი თემა იყო აგრესია. აგრესია ჩვენი ორგანიზაციის კვლევის საგანია და ძალიან ბევრს ვმუშაობთ ამ საკითხზე. მომავალშიც ვგეგმავთ კვლევებსა და ექსპერიმენტებს ამ მიმართულებით. სულ 5 ექსპერიმენტი ჩატარდება.

– როგორ ფიქრობთ, რა არის აგრესიის გამომწვევი მიზეზები საქართველოში და რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ მოსახლეობაში აგრესიის შესამცირებლად?

– რაც შეეხება საქართველოში აგრესიულ გარემოს, ამას უფრო ნათლად ხედავენ ის ადამიანები, ვინც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ევროპის წამყვან ქვეყნებში და მერე დაბრუნდნენ საქართველოში. საზოგადოება აქ ბევრად უფრო აგრესიულია. ეს ყველაფერი გამოიხატება მზერაში, ჟესტიკულაციაში და ა.შ.

აგრესიის მიზეზებია: სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, სატელევიზიო ძალადობა, არქიტექტურული მოწყობა, უმუშევრობა, რაც იწვევს ადამიანის ფრუსტრაციას. ფრუსტრაციიდან აგრესიამდე კი ერთი ნაბიჯია.

ამის გარდა, არის სხვა პრობლემებიც. ერისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქართველებმა ბოლო 20 წელიწადში 4 შეიარაღებული კონფლიქტი გამოიარეს.

ეს დაძაბულობა და საომარ სიტუაციაში ყოფნა, დევნილების უამრავი რაოდენობა საქართველოში, ქაოსი და არეულობა ხშირად ათეული წლობით ილექება საზოგადოებაში და შემდეგ იწვევს აგრესიას.

რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან ქმედით ნაბიჯებს, აუცილებელია, რომ სკოლებში შემოღებულ იქნას ისეთი პროგრამები, როგორიცაა სასკოლო მედიაცია, აგრესიის მართვის გაკვეთილები, რაც აპრობირებულია გერმანიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. აუცილებელია ფსიქოლოგები უფრო აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, ჩატარდეს სპეციალური საკორექციო-განმავითარებელი მეცადინეობები როგორც უმცროს, ასევე უფროსკლასელებთან, მასწავლებლებსა და მშობლებს უნდა მიეცეთ საგანგებო რეკომენდაციები.

# ეს რიჩარდი არც ერთ რიჩარდს არ ჰგავს



**my View**

**დეა თავბერიძე**

**ეს არის ყველაზე ხმაურიანი, ყველაზე ამბიციური და ყველაზე მასშტაბური სპექტაკლი, - ასე აფასებს დამდგმელი რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი „რიჩარდ მესამეს“... სპექტაკლს, რომელზეც რეპეტიციამდე ძალიან დიდხანს იფიქრა და იმუშავა... უილიამ შექსპირის უკვდავი პოემა, განსხვავებული ვერსიით, „თავისუფალ თეატრში“ გათამაშდა.**

**ავთანდილ ვარსიმაშვილი:** „ეს არ არის ის პიესა, რომლის რეპეტიციები შეიძლება დაიწყო ისე, რომ დიდხანს არ ემზადებოდე. არის პიესები, რომლებიც შეიძლება უბრალოდ დადგა და არის პიესები, რომელთანაც მთელი ცხოვრება გინდა, რომ მიხვიდე. ეს სპექტაკლიც ერთ-ერთი მათგანია. მით უმეტეს საქართველოში, როდესაც ასეთი დიდი მაგალითი გვაქვს, რამაზ ჩხიკვაძის გენიალური შესრულებით, რა თქმა უნდა, ჩვენ ვითვალისწინებთ ყოველივეს, რაც ჩვენამდე იყო, ეს სპექტაკლი არაფრით არ ჰგავს იმ სპექტაკლს, სრულიად სხვაა... ეს არის ყველაზე დიდი პრემიერა, „თავისუფალი თეატრის“ ისტორიაში. თუნდაც იმიტომ, რომ 25 ადამიანია დაკავებული და 15 სცენაზე დგას, ამდენი ადამიანი არასოდეს მდგარა „თავისუფალი თეატრის“ არც ერთი სპექტაკლის სცენაზე.





**- ფიქრი რამდენი ხანი გრძელდებოდა, როდის ჩაიფიქრეთ ამ სპექტაკლის დადგმა?**

- ალბათ, 40 წელი, მაშინ როდესაც პირველად წავიკითხე „რიჩარდ მესამე“, მაშინვე გამიჩნდა ამის დადგმის სურვილი. ამის ვადას ვერ განსაზღვრავ, ვერანაირად. შექსპირის პიესებთან მთელი ცხოვრების მანძილზე მიდიხარ, ასე არ არის, რომ უცებ გადაწყვიტე და მეორე დღეს დაიწყე დადგმა... დასზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული... არ მინდა ვიღაცვიღაცები გავაღიზიანო, მაგრამ, მე ვთვლი, რომ „თავისუფალი თეატრის“ დასი დღეს ყველაზე ძლიერი დასია საქართველოში, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ამ რანგის პიესებს შევეჭიდოთ.

**- როგორია პრემიერის შემდეგ თქვენი განწყობა, შეძლო დასმა იმის განხორციელება რა ჩანაფიქრიც გქონდათ?**

- ასე რომ არ ყოფილიყო, არც გავიდოდით პრემიერაზე. ჩვენმა თეატრმა მიიღო კიდევ ერთი ძალიან წარმატებული სპექტაკლი, რომელიც ძალიან ძალიან დიდხანს იქნება თეატრის რეპერტუარში. უბრალოდ, გუშინ ერთი შემადგენლობა იყო, დღეს არის მეორე... გუშინ აპოლონ კუბლაშვილმა ითამაშა, დღეს გოგა ბარბაქაძის ჯერია, ვნახოთ ეს პაექრობა როგორ დასრულდება. ისინი თავიანთი ხასიათით სრულიად განსხვავებულები არიან, უბრალოდ, კონცეფცია აქვთ საერთო...

**- რატომ გადაწყვიტეთ ერთ როლზე ორი შემსრულებელი გყოლოდათ?**

**„რიჩარდის როლზე ორი შემსრულებელია, აპოლონ კუბლაშვილი და გოგა ბარბაქაძე. ისინი მონაცვლეობით თამაშობენ... იგივეა ქალის როლებზეც“...**

- იმიტომ რომ თეატრის დასში მყავს ორი შემსრულებელი და თუ საჭიროა სამიც და ოთხიც. თავისუფალი თეატრი დღეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თეატრალური დასია და ამით ჩვენ ვუჩვენებთ იმას, რომ ამგვარ როლებზეც კი გვყავს რამდენიმე მსახიობი.

**- საკმაოდ ხმამაღალი განაცხადიც გააკეთეთ, საქართველოში ყველაზე ძლიერი დასი თავისუფალი თეატრიაო...**

- კი, გავაკეთე. იმიტომ კი არა, რომ სხვა თეატრებში არ არიან ნიჭიერი ადამიანები, მე ვთქვი, რომ ეს არის ერთადერთი თეატრი სადაც არ არის ბალასტი. ნებისმიერ თეატრში თქვენ ნახავთ ათამდე მსახიობს მაინც, რომელიც არ სჭირდება თეატრს, თავისუფალ თეატრში ასეთი მსახიობი არ არის...

რიჩარდის როლზე ორი შემსრულებელია, აპოლონ კუბლაშვილი და გოგა ბარბაქაძე. ისინი მონაცვლეობით თამაშობენ. იგივეა ქალის როლებზეც. კლარენსის როლს ჯაბა კილაძე ასრულებს. სულ ახალი რაკურსით დაინახავს მაყურებელი ჯაბას. თითოეული მსახიობისთვის ეს სპექტაკლი, როგორც აღნიშნავენ, ახალი ეტაპია.

**აპოლონ კუბლაშვილი:** - ერთ-ერთი ყველაზე რთული რამეა. ძალიან საინტერესოს გარდა, სხვა ეტაპია ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის.

**გოგა ბარბაქაძე:** - ძალიან რთული როლია, მსახიობისთვის საკმაოდ სერიოზული და საინტერესო. ფაქტობრივად, ჩემი პროფესიისთვის გაკვეთილივით არის. ჩემთვის პირველი როლია ასეთი მასშტაბით... რიჩარდ მესამე საოცრებაა...

**ჯაბა კილაძე:** - შექსპირი ჩემი უსაყვარლესი დრამატურგია. მიხარია, რომ ამ ასაკში მომიწია შექსპირთან შეხება. ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე იმ პროცესით რასაც რეპეტიცია ჰქვია.

**კახა მიქიაშვილი:** - ძალიან მიხარია, რომ თავისუფალი თეატრის სცენაზე დიდი ხნის მერე ისევ დაიდგა შექსპირი. შექსპირი ნებისმიერი მსახიობისთვის კარიერის რა ეტაპზეც არ უნდა იყოს, არის დიდი ტრენაჟი და დიდი სკოლა. მე შემიძლია ვთქვა, რომ ეს რიჩარდი არც ერთ რიჩარდს არ ჰგავს, განსხვავებული რიჩარდია.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მადლობა ჩემს ხალხს, რომლისგანაც ჩემს მიმართ ასეთი დიდი სიყვარული მოდის...“



**my View**
**დეა თავზერიძე**

თამარ იშხნელს, შვილიშვილის მანანა მენაბდის სამეგობრო სტუმრობდა. გაუმასპინძლდა იშხნელის ქალი, სადილით, სიმღერებით, იუმორით... არც ახალგაზრდებმა დააკლეს, თურმე იუმორი და ქალბატონ თამარს, რომელიც ძალიან ამაყობდა, რომ გამგრძელებელი ჰყავდა, უთხრეს... მანანა სოლო სიმღერას კი კარგად მღერის, მაგრამ ხმებში ისე ვერ არის, როგორც თქვენს შთამომავალს ეკადრება. პირველს ჰა და ჰა, მეორეშიც ისე რა, მესამეში კი სულ არაფრად არ ვარგაო... გადაირია იშხნელის ქალი, რას ამბობთ თქვენო. პირველს ხო უნობს, მეორესაც უნობს, მესამესაც და ქვეყანამ იცის კრასავიცა რომ არისო... ეს რამდენიმე ათეული წლის წინათ იყო, დღეს კი ამბობენ, მანანა მენაბდეს იშხნელების თაობა მხრებით მოაქვსო...



დები იშხნელების ოჯახში დაბადებულს სიმღერის სიყვარული, რომ ბავშვობიდანვე დაჰყვა გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს, მაგრამ სიმღერის გარდა იშხნელების შთამომავალმა საკუთარი თავი შემოქმედების არა ერთ სფეროში გამოსცადა. მანანა მენაბდის ცხოვრებას სიმღერის გარდა – პროზა, პოეზია და ხატვა ავსებს. რამდენიმე დღის წინ კი ქართველ მკითხველს კიდევ ერთი საინტერესო წიგნის გამოსვლა მიულოცეს ხელოვანებმა და ლიტერატორებმა. ეს მანანა მენაბდის იგავ-არაკებია.

**გაგა ლომიძე, ლიტერატორი:** - პირველ რიგში, მინდა მივულოცო ქალბატონ მანანას, საკუთარ თავს და ყველა ქართველ მკითხველს ამ წიგნის გამოსვლა, მგონი ათ წელზე მეტია ეს იგავები იხვეწება. იშვიათია, რომ ქართველი ავტორები ამდენს მუშაობდნენ ტექსტზე, რაც, რასაკვირველია, ხარისხიანი ტექსტის პირველი გარანტია. იგავი თავისი ფორმით მისადაგებულია თანამედროვეობას. ეს იგავები მოგითხრობთ ბევრ სხვადასხვა სიტუაციაში აღმოჩენილი კაცის შესახებ და მუდმივად იგრძნობა ამ იგავებში მერაბ მამარდაშვილის ნააზრევის ნაკვალევი.

**ზაზა აბზიანიძე, მწერალი:** - არაჩვეულებრივი და საოცარი წიგნია. მანანა თამაშობს სიტყვებით, მეტაფორებით, მაგრამ ეს თამაში არ არის ხალისიანი, მეტსაც გეტყვით, შექსპირი არ არის თავის გმირებთან ასეთი ულმობელი, როგორც მანანა. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დამრჩა ეგზისტენციალური შიშის, ხელოვანის სიმარტოვის განცდა... იმ გარემოში, რომელშიც კარგიც და ცუდიც თანაარსებობენ, ხელოვანი განზე დგას და უყურებს, ხან სასოწარკვეთით, ხან ირონიით... მანანამ მოდელი შექმნა თავისი არსებობის სამ სამყაროში, ქართულ-რუსულ და გერმანულ სამყაროში, მაგრამ ბოლომდე არც ერთს არ უნდა, რომ მიაკუთვნოს თავისი თავი. ასეთია, ის არავის არ ჰგავს და ეს წიგნიც ასეა, არ ჰგავს არავის.

## მიხეილ თუმანიშვილის თეატრში, მომღერალ მანანა მენაბდის კონცერტი და იგავ-არაკების კრებულის „და დრო გადიოდა“ პრეზენტაცია გაიმართა



**EXCLUSIVE**

**ქეთი დოლიძე:** - ჩემთვის მანანა არის რენესანსის ადამიანი, ადამიანი, რომელსაც ხელოვნების ბევრ სფეროში ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ჩვენ ერთად ვსწავლობდით თუმანიშვილთან. ბატონი მიშა მანანაზე ამბობდა, – როგორ მოვიხელთო არ ვიციო... სულ გარბოდა. ბევრი რამე უნდოდა. თუმანიშვილი თვლიდა, რომ გამორჩეულად ნიჭიერი იყო – კარგი რეჟისორი შეიძლება დადგეს მისგანო. მაგრამ ასე არ მოხდა, მანანას გენეტიკამ დაძლია, სიმღერას მიუძღვნა თავისი თავი. თუმცა სხვა ბევრი რამ მოასწრო ცხოვრებაში, მაგრამ მისი სათქმელი ჯერ კიდევ წინ არის, რომელსაც ის ერთად მოუყრის თავს. ეს იქნება მისი ლიტერატურული ნაწარმოებები, ლექსები, არაჩვეულებრივი კოლაჟები, და რაც მთავარია სიმღერა, რადგან სიმღერით იშვა მანანა მენაბდე.



**მანანა მენაბდე:** - ეს წიგნი მეოცე საუკუნის ბრწყინვალე მოაზროვნეს მერაბ მამარდაშვილის ნათელ ხსოვნას ეძღვნება. ძალიან ბევრს ვურთიერთობდი მასთან, ძირითადად მე ჩუმად ვიყავი, მერაბი საუბრობდა. მერე, მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური წიგნები, რაც კი ხელში ჩამივარდა ყველა წავიკითხე. არ ვიცი რამდენად გავიგე და რამდენად ჩავუღრმავდი ამ წიგნებს, მაგრამ ამან ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, რაღაცნაირად ჩამომაყალიბა, როგორც ადამიანი და როგორც მწერალი.

**მიშა თუმანიშვილი**

„დაუდგრომელი ადამიანი ვარ, როცა მიშასთან მესამე კურსზე ვიყავი, „რეროში“ კონკურსი გამოცხადდა. რა თქმა უნდა, ამ კონკურსში მივიღე მონაწილეობა, გავიმარჯვე და გავხდი „რეროს“ სოლისტი. მიშა პროფესიაზე შეყვარებული ადამიანი იყო, მე სიმღერაზე და ასე გაიყარა ჩვენი გზები... საოცრება იყო მიშა თუმანიშვილი. მან ძალიან ბევრი რამ მომცა, როგორც მუსიკოსს და როგორც ადამიანს“...

ცხოვრების ნახევარი პერიოდი საქართველოში გაატარა, მერე რუსეთი იყო, მერე გერმანია. ბევრი ამბობს, რომ იქაურ გარემოს შეჩვეული ხელოვანი ახლა უკვე უცხოეთში მყოფ ახალგაზრდებს უდგას გვერდით და გზის გაკაფვაში ეხმარებაო. თავად კი გულისტკივილით აღნიშნავს, თუ ახალგაზრდას პირობებს შეუქმნი და მის ნიჭს მოეფერები, ის არასოდეს არ წავა სხვაგანო... მისი კარიერის დასაწყისში კი ორკესტრ „რეროსთან“ ერთად მოგზაურობა და უამრავი კონცერტი იყო. შემდეგ, მოსკოვში რუსეთის თეატრალური ხელოვნების აკადემიაში გააგრძელა სწავლა. აკადემიის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა მომღერალი მსმენელს ქართული, რუსული და ევროპული სიმღერების, რომანსების და მუსიკალური ნაწარმოებების თავისებურ ინტერპრეტაციას სთავაზობდა. 1991 წლიდან მანანა მენაბდე ქალაქ ბერლინში ცხოვრობს და მოღვაწეობს.



**„ბედნიერი ვარ, რომ შევიძინე, ასეთი ახალგაზრდა პატარა მეგობარი, დიდი ადამიანი და ძალიანსერიოზული მუსიკოს ნიკა ნიკვაშვილი“**

**მანანა მენაბდე:** - როდესაც გერმანიაში ჩავედი, ბევრი რამის გადაფასება მოხდა ჩემში. როცა მარტო რჩები ბევრ რამეზე გიხდება ფიქრი. ამ განშორებამ და სიმარტოვემ ძალიან დიდი ნაყოფი გამოიღო. ბევრ რაღაცას უფრო მეტად ჩავუღრმავდი. მერე დავიწყე სერიოზულად წერა. ხატვა... სადაც არ უნდა წავიდე ჩემი თბილისი და ჩემი საქართველო ყველგან დამაქვს. შემოქმედისთვის დაკარგული დრო არ არსებობს...

ეს იგავ-არაკები იცით როგორ დაიწერა? იყო პერიოდი, როდესაც სხვა გამოსავალი არ მქონდა, სადარბაზოებს ვხეხავდი და ვწმენდდი, მერე კიბეზე ჩამომჯდარი იგავ-არაკებს ვწერდი. მე ჩემი არც ერთი გადადგმული ნაბიჯის არ მრცხვენია. ჩემი გიტარით ქუჩაშიც გავსულვარ თავი რომ მერჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ჰენრიხ ბერნის სტიპენდიატი ვიყავი და არაერთგზის, გამოფენებიც მქონდა, მაგრამ რა გზით და როგორი სახით მივაღწიე ამ ყველაფერს?! როგორც ანა მანიანი იტყოდა, ნუ შეეხებით ჩემს ნაოჭებს, ნუ დამიფარავთ, რამეთუ ისინი ჩემთვის ძვირფასია. ამ ნახნაგებისგან, ამ ნაოჭებისგან შედგება ადამიანის ცხოვრება... იმაზე არ უნდა იფიქრო თუ ვინ რას იტყვის შენზე, არც ვილაცის დასანახად არ უნდა გააკეთოს ადამიანმა რამე, არამედ მხოლოდ საკუთარი თავისთვის.

**მანანა მენაბდის შემოქმედებითი საღამო მუსიკალურად ნიჭიერმა მუსიკოსმა ნიკა ნიკვაშვილმა გააფორმა. მსმენელზე ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯგუფმა The WINDOW, ამ ჯგუფის წევრები მომღერლის პატარა მეგობრები არიან. 21 მარტს მანანა მენაბდე საქართველოს ისევ ესტუმრება და თავის მსმენელს კიდევ ერთ ლამაზ საღამოს აჩუქებს.**









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ამერიკელებისთვის ლეგენდადქცეული ჯორჯ ბალანჩინი



**my View**
**დეა თავბერიძე**










**დღეს რიჩარდ ნორლანდი ჯორჯ ბალანჩინზე ისეთი სიამაყით საუბრობდა, რომ ბევრ ქართველს შეშურდებოდა მისი. „ის ქართული წარმოშობის თვალსაჩინო ამერიკელია“ - თქვა და ამით გაამართლა უცხოელმა ის შინაგანი, რაც ამ შემთხვევაში ძირითადად ქართველებს ახასიათებთ ხოლმე...**

არაჩვეულებრივი კალენდარი - ჯორჯ ბალანჩინის ფოტოებით, წიგნი - 20 საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი ქორეოგრაფის საინტერესო ისტორიებით, ფილმი შთამბეჭდავი კადრებით და საბოლოოდ მისი საიუბილეო საღამო თბილისში, მაესტროს ცნობილი მოცეკვავითა და „კონჩერტო ბაროკოთი“ ბალანჩინის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოდგენით... აშშ-ის საელჩო ჯორჯ ბალანჩინის 110-ე წლისთავს ამ ღონისძიებებით აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ლეგენდარული ქორეოგრაფის დაბადების დღეს ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლანდი და მსოფლიოში აღიარებული ქართველი ბალერინა ნინო ანანიაშვილი „Frontline Club Georgia“-ში ჟურნალისტებს შეხვდნენ და მომავალი გეგმა გააცნეს.

**რიჩარდ ნორლანდი, აშშ-ის ელჩი:** - ეს დიდებული ხელოვანი ერთ-ერთი უდიდესი ქორეოგრაფია მსოფლიოს ისტორიაში და ასევე ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართული წარმოშობის ამერიკელიც. საელჩო საიუბილეო წლის განმავლობაში ბევრ საინტერესო პროექტს განახორციელებს. პირველი ნაწილი ჩვენი პროექტებისა გახლავთ კალენდარი, რომელშიც ჯორჯ ბალანჩინის ცხოვრებისა და სასცენო მოღვაწეობის შესანიშნავი ფოტოებია შესული. შემდეგი ჩვენი აქტივობა, რომელიც წელს გვექნება, იმ წიგნის ქართულ ენაზე გამოცემაა, რომლის ავტორიც ელიზაბეთ კენდელი გახლავთ, ამ წიგნს „ბალანჩინი და დაკარგული მუზა“ ჰქვია. ჩვენ ასევე ხელი შევუწყვეთ ქალბატონ ოლგა ჟღენტს ბალანჩინის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღებაში, ფილმს „ბალანჩინის გახსენება“ ჰქვია. ვფიქრობ, რომ ამ დოკუმენტური ფილმის გაგრძელებასაც გადაიღებენ და ყურადღების ცენტრში მოხვდება ბალანჩინის დაბრუნება საქართველოში, მისი ოჯახი და ის პერიოდი, რომელიც მან სანკტ-პეტერბურგში გაატარა. ამ სადღესასწაულო წლის აღნიშვნა საქართველოში ჯორჯ ბალანჩინის ცნობილი მოცეკვავის ბარტ კუკის ჩამოსვლით გაგრძელდება. ის ქალბატონ ნინო ანანიაშვილთან და სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასთან ერთად, ბალანჩინის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წარმოდგენას „კონჩერტო ბაროკოს“ დადგამს. ჯორჯ ბალანჩინს ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც მისტერ ბი. ჩემთვის ძალზე სასიხარულოა, რომ ამ პროექტებში თვით სრულფასოვანი ლეგენდა ნინო ანანიაშვილია ჩართული.

**ნინო ანანიაშვილი:** - ბალეტის მოყვარულებმა, ალბათ, იციან, რომ თბილისის სახელმწიფო ბალეტს რეპერტუარში ბალანჩინის 9 ბალეტი აქვს. ეს ბალანჩინის არაჩვეულებრივი შედევრებია. აქედან რამდენიმე ბალეტი ბარტ კუკის დადგმულია, ამჯერად ის კიდევ ერთხელ დადგამს ბალანჩინის პერიოდის ნამდვილ, თანამედროვე ბალეტს „კონჩერტო ბაროკოს“ ბახის მუსიკაზე, მე ვთვლი, რომ ეს ძალიან ეტაპობრივი ბალეტი იყო მის ცხოვრებაში. ეს არის მისი ხელწერა, მისი სტილი, მისი მრავალფეროვნება. ჩემთვის ეს ყოველივე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საბჭოთა სივრციდან, მე ვიყავი პირველი ბალერინა, რომელიც მისტერ ბის თეატრში მოხვდა, მაშინ მისი სამი შედევრი ვიცეკვე, ამას დიდი აღფრთოვანებაც მოჰყვა, მეც მიხარია, რომ ეს შევძელი, ახლა კი ჩვენს თეატრში უკვე 9 შედევრი გვაქვს. 23 მაისს კი თბილისის სახელმწიფო დასთან ერთად სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული სტუმრები შეასრულებენ ნაწყვეტებს ერთმოქმედებიან საღამოზე. მთელი წელიწადი ეძღვნება ბალანჩინის ხსოვნას და ამ თარიღს. მინდა, რომ თქვენც შემოგვიერთდეთ და 23 მაისს მიიღოთ ნამდვილი სიამოვნება.

### ნაწყვეტები ჯორჯ ბალანჩინის ცხოვრებიდან

მელიტონ ბალანჩივაძე, ოჯახთან ერთად, პეტერბურგში ცხოვრობდა, ძმები გიორგი და ანდრია იქ დაიბადნენ. ჰყავდათ და, თამარი, რომელიც პროფესიონალი მხატვარი იყო. 1918 წელს მელიტონი საქართველოში გამოიძახეს. ქუთაისში მუსიკალური სასწავლებელი უნდა დაეარსებინა. ოჯახი თავიდან პეტერბურგში დარჩა. შემდეგ კი, გაჭირვების გამო, გიორგის გარდა, ყველა საქართველოში გადმოვიდა. ჯორჯი პეტერბურგში საბალეტო ხელოვნებას სწავლობდა. საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში კი ბალეტისთვის თავი უნდა დაენებებინა. ბალეტზე უზომოდ შეყვარებულმა პეტერბურგში მარტო დარჩენა არჩია.

### ბალანჩინის ხმაურიანი და წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრება...

1924 წელს ჯორჯ ბალანჩინი გასტროლებზე უცხოეთში წავიდა. მერე ტუბერკულოზით დაავადდა და სამკურნალოდ შვეიცარიაში მოუხდა გამგზავრება. სამშობლოში თავის დროზე ველარ დაბრუნდა და ამის გამო რუსეთიდან არასასიამოვნო წერილი მიიღო. მიხვდა, რომ უკან დაბრუნება არ ღირდა, ამიტომ საფრანგეთში დარჩენა არჩია. თავიდან ძალიან გაუჭირდა. ერთ-ერთ მოგონებაში ბალანჩინი წერს: „შარვალი გავყიდე და იმ ფულით საჭმელი ვიყიდე“. შემდეგ ამერიკელმა პროდიუსერმა, რომელიც საფრანგეთში ბალანჩინის დადგმას დაესწრო, ნიუ-იორკში მიიწვია. იქიდან დაიწყო ამერიკული ბალეტის ფუძემდებლის – ბალანჩინის ხმაურიანი და წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრება... თავიდან პატარა თეატრში მუშაობდნენ. შემოსავალი არ ჰქონდათ. რეპეტიციებს გაყინულ დარბაზში ატარებდნენ. ბილეთებს 2 დოლარად ყიდნენ და ერთი სპექტაკლიდან 18 დოლარს იღებდნენ. ასე იმუშავა დიდხანს. მერე კი მისი სპექტაკლებით უდიდესი მაგნატები დაინტერესდნენ. ფორდმა და როკფელერმა ძალიან დიდი ბიუჯეტი გამოუყვეს. სწორედ ამის შემდეგ შექმნა საბალეტო სკოლა, სადაც თავისი მეთოდით ასწავლიდა.





### საქართველოში დაბრუნება

საქართველოში ჯორჯ ბალანჩინი პირველად 1962 წელს ჩამოვიდა, მანამდე მისი წარმატებები მხოლოდ ოჯახის წევრებმა იცოდნენ. საზოგადოებისთვის ბალანჩინის მოღვაწეობა გასაიდუმლოებული და დაფარული იყო. ემიგრანტი ძმის გამო ანდრიასაც შეზღუდვები ჰქონდა და ყოველთვის თვალთვალის ქვეშ იყო. ძმების შეხვედრა 44 წლის შემდეგ სასტუმრო „მოსკოვში“ შედგა.

### ჯარჯ ბალანჩივაძის მოგონებიდან

„ძმების შეხვედრას მეც ვესწრებოდი. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მის შემოქმედებაზე უფრო პირადი მაინტერესებდა... პირველი, რაც ბიძაჩემს ვკითხე, ის იყო, თუ რატომ ჰყავდა ამდენი ცოლი და რატომ უყვარდა ასე სიგიჟემდე ქალები. გაეცინა და მიპასუხა: „ალბათ, იმიტომ, რომ ყოველთვის ისინი მტოვებდნენ და არა მე... ამის მიუხედავად, მთელი ცხოვრება ვცდილობდი, მათთვის ცხოვრება გამელამაზებინა. ქალები ჩემს ხელში ბევრად ლამაზები ხდებოდნენო...“

### საქართველოში მეორედ 10 წლის შემდეგ ჩამოვიდა

ძალიან დაძაბული იყო, როგორც შემდეგ გაირკვა, საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის ძალიან ეშინოდა. ამ რეჟიმის იმედი არ ჰქონდა, არ იცოდა, რა ელოდა. ამბობდა, ხაფანგი ხომ არ დამიგესო. ნერვიულობდა. სულ აქეთ-იქით იყურებოდა, მოსასმენი აპარატი ხომ არ არის დამონტაჟებულიო. საბედნიეროდ, მისი შიში არ გამართლდა... ჯორჯმა ქართული არ იცოდა, მაგრამ მის ქართველობას ყოველთვის ხაზს უსვამდა. ძალიან უყვარდა ქართული საჭმელები, განსაკუთრებით მჭადი და ხაჭაპური. არის წერილები, სადაც დედას სთხოვს, საცივის რეცეპტი გამომიგზავნეო... ჯორჯ ბალანჩინის ბალეტები, საავტორო უფლებებით, დღეს მთელს მსოფლიოში იყიდება და ძალიან დიდი შემოსავალი აქვს. მას ამერიკამ ურჩია, რომ თავისი ძმისთვის არაფერი დაეტოვებინა, რადგან ეს საბჭოთა პერიოდში საშიშიც იყო და ისედაც სახელმწიფო ჩამოართმევდა...



**ერთ-ერთ მოგონებაში ბალანჩინი წერს: „შარვალი გავყიდე და იმ ფულით საჭმელი ვიყიდე“. შემდეგ ამერიკელმა პროდიუსერმა, რომელიც საფრანგეთში ბალანჩინის დადგმას დაესწრო, ნიუ-იორკში მიიწვია. იქიდან დაიწყო ამერიკული ბალეტის ფუძემდებლის ხმაურიანი და წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრება...**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჯულიანა ბარგნარი: „მე ვერ დავუშვებ, რ



**my View**

თამარ გონგაძე

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ გარშემო ინტერესი არ ცხრება. ცნობისმოყვარე მკითხველები ხან რა სიახლეებით გვიკავშირდებიან და ხან - რა. ამჯერად ინტერესის ფოკუსში ჯულიანა ბარგნარი და გიორგი ყიფშიძე მოექცნენ. გაგვირკვიეთ მათ შორის რა ხდებაო? პროექტმა რამდენიმე წყვილის პირადი (და არა მხოლოდ) ცხოვრება შეცვალა. სალომე ჭაჭუა და გიორგი ვარდოსანიძე წინა ურთიერთობებს გამოამშვიდობა და დააწყვილა. ოთო ფოლადაშვილსა და იულია ქავთარაძეს შორის არსებულ რომანზეც ალაპარაკდნენ და ალბათ, არც თუ უსაფუძვლოდ. მახსოვს, ამბობდნენ, კარატისტ რატი წითელაძეზე მისი მეწყვილის - ანი ჯაჯანიძის ქმარი ეჭვიანობსო... კულუარებს თუ მივყვებით, იყო მსგავსი ისტორიები... კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, ესეც ვიცით. თუმცა მედლის მეორე მხარის პრინციპს თუ მივყვებით, ნაწილობრივ ის აზრიც უნდა გავიზიაროთ, ერთად კარგად მოცეკვავე წყვილზე იჭორავებენ. განსაკუთრებით მაშინ, თუ პროექტში წყვილი შედგა, „ფეხშეწყობილად“ ცეკვავდა და ვნების ცეცხლს ცეკვების ცეცხლით აგიზგიზებდა. მოკლედ, მკითხველის ინტერესის დასაკმაყოფილებლად არენა ჯულიანა ბარგნარს დავუთმე. 22 წლის ყოფილა, არადა, პარკეტზე „როლში“ ბევრად დიდი გგონია. პირველ სეზონზე აჩიკო მეფარიძის მეწყვილე იყო და პირველივე ტურზე გამოეთიშა პროექტს, მეორე სეზონზე ჯაბა კილაძემ დიდხანს მისცა ცეკვის საშუალება. გიორგი ყიფშიძესთან ერთად კი ფინალურ სამეულში მოხვდა. ჯულიანასგან და გიორგისგან ნამდვილად ერთ-ერთი ფავორიტი წყვილი შედგა. მსახიობის შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება აშკარა იყო. მისი მონდომება ბარგნარს თავის გამოვლენის კარგ საშუალებას აძლევდა. ჯულიანა პროექტის მიერ მოტანილი ცვლილებებიდან სითამამისა და თავდაჯერებულობის მომატებას გამოჰყოფს. შემოსავლის წყარო გაუჩნდა. მეორე წელია სამეჯლისო ცეკვაში მოსწავლეებს ამზადებს.





### „გაქრობა მინდოდა, უკაცრიელ კუნძულს ვნატრობდი“

ჯულიანა ბარგნარი: - პოპულარობა ჩემთან თავისით მოვიდა, გულახდილად რომ ვთქვა, არასდროს მიძებნია. ხალხისგან სითბოსა და სიყვარულს ვიღებ. თუმცა, ამის მიუხედავად, მდომებია, რომ უჩინარი და უცნობი ვყოფილიყავი. არ გამომდის, მცნობენ. არის მომენტები, როდესაც არავისთან არ გსურს ურთიერთობა, საუბარი. უბრალოდ, გინდა, რომ დაისვენო. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ დასასრულს ისეთი გადაღლილი ვიყავი, რომ გაქრობა მინდოდა, უკაცრიელ კუნძულს ვნატრობდი. 24-საათიანმა რეჟიმმა გადამღალა.

### „გულის სიღრმეში გიჟური და „ჟილკიანი“ ვარ“

ორი წელია ჯულიანას მეწყვილე ოთო ფოლადაშვილია. სხვადასხვა ქვეყნების კონკურსებში წყვილში გამოდიან. ოთომ გვერდზე ტატუ გაიკეთა - მისი და ჯულიანას „პასადობლე“. „თავიდან ზურგზე უნდოდა ამ ტატუს გაკეთება. ვუშლიდი - არ გინდა ტატუ, არ გაიკეთო-მეთქი. ჩემთვის ცოტა უცნაურია, თუმცა ლამაზია. „პასადობლე“ ჩემთვის ყველაზე გამორჩეული ცეკვაა. ოთოსთან რომ შევწყვილდი, აღმოჩნდა, რომ მისთვისაც გამორჩეულად საყვარელი ცეკვაა. ვინც კარგად მიცნობს, იცის, რომ ჩემ შინაგან ხასიათს „პასადობლე“ მთლიანად ასახავს. საერთოდ ჩაკეტილი ადამიანი ვარ, სანამ კარგად არ გავიცნობ ადამიანს, ვერ ვიხსნები. ან ვარ ბოლომდე გახსნილი, ან ჩაკეტილი ვრჩები. გაცნობისთანავე ბოლომდე გახსნა არასწორადაც მიმაჩნია. მაგრამ, როდესაც ადამიანს ვატყობ, რომ ჩემთან ურთიერთობა უნდა, მაშინ მეც ვაძლევ ამის საშუალებას და ვიხსნები. გულის სიღრმეში გიჟური და „ჟილკიანი“ ვარ. „პასადობლეს“ უხდება კიდეც ეს ხასიათი. უნდა იგრძნო ეს ყველაფერი და თუ ეს თვისებები არ გაქვს, კარგად ვერ იცეკვებ. ეს ჩანს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ შინაგანად ასეთი ვარ“.

### „მის გვერდით თითქოს ყოველთვის დაცული ვარ“

გიორგი ყიფშიძეზე საუბარმა თვალებში სითბო ჩაუღვარა, არ მომჩვენებია...

„გიორგი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფართიზე გავიცანი, პროექტის დაწყებამდე, ბათუმში. მე და შენ წყვილში უნდა ვიცეკვოთო, მითხრა. როგორც ამბობს, თავიდანვე სურდა, რომ მე მასთან წყვილში მეცეკვა. სხვასთან აწყვილებდნენ და უარი უთქვამს. მე მისი ჰიპერაქტიურობის ფონზე ხმას არ ვიღებდი. გოგო, დამელაპარაკე, ხომ უნდა გავიცნოთ ერთმანეთი, როგორი ხასიათები გვაქვსო, მითხრა. როდესაც ვცეკვავ, ეს ჩემი სამყაროა, ამ დროს ვიხსნე-











**„როგორც გიორგი ამბობს, თავიდანვე სურდა, რომ მე წყვილში მასთან მეცეკვა“**

**„მე ერთადერთი უნდა ვიყო. შეიძლება ეგოისტურად ჟღერდეს, მაგრამ არ შემიძლია საყვარელი მამაკაცის ვინმესთან გაყოფა“**

**„გიორგისგან ძალიან დიდ პატივისცემას ვგრძნობ. მის გვერდით თითქოს ყოველთვის დაცული ვარ. ჩემთვის ბიჭისგან პატივისცემის განცდა ძალიან ბევრს ნიშნავს“**

**„ბევრ წყვილში არ იყო ის ერთობა, რაც ჩვენ გვქონდა. ეს ერთმანეთის მხარდაჭერაში გამოიხატებოდა“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ომ ჩემ გამო ოჯახი დაენგრეს ადამიანს“









EXCLUSIVE

## „გიორგი სულ ყვიროდა, ვგიჟდები, ვგიჟდები შენზე, პელე ხარო“





ბი და ყველაფერზე ვსაუბრობ. როგორც თევზი წყალში ისე ვარ. ცეკვაზე მუშაობა რომ დავიწყეთ, გიორგისთან მაშინ გავიხსენი. ცეკვა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. გულზე მხვდება, როდესაც ადამიანი ცეკვას ირონიულად უდგება. გიორგის შეიძლება თავიდან გართობა უნდოდა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ცეკვა ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, თვითონაც სერიოზულად ჩაერთო. „იუთუბიზე“ ახალ-ახალი ცეკვების, ინფორმაციების მოძიება დაიწყო. მესიამოვნა, რომ ჩემ სფეროს გულით მიუდგა. ალბათ, ამიტომაც შედგა ჩვენი წყვილი. სამი თვის განმავლობაში ორივე ბოლომდე ვიხარჯებოდით.

**- ხშირია შემთხვევა, ცეკვის დროს მეწყვილეებს შორის გრძნობა ჩნდება.**

- არის შემთხვევები... ჩვენ შემთხვევაში კი გიორგისგან ძალიან დიდ პატივისცემას ვგრძნობ. მის გვერდით თითქოს ყოველთვის დაცული ვარ. ჩემთვის ბიჭისგან პატივისცემის განცდა ძალიან ბევრს ნიშნავს. ამას მისგან ყველა სიტუაციაში ვგრძნობ. მაღლა მაყენებდა და ცდილობდა, უსიამოვნება აერიდებინა ჩემთვის. როდესაც ხედავდა, რომ რაღაც მაღელვებდა, ნომრის მომზადებისას ვღელავდი, ასწორებდა სიტუაციას. ადამიანური თვალსაზრისით ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

**- გაჟონა ინფორმაციამ, რომ თქვენ შორის რაღაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პროექტის წყვილის ურთიერთობა.**

- ამას ყოველთვის ამბობენ.

**- რატომ? არ გვაქვს ამ პროექტში დაწყვილების მაგალითი?**

- გვაქვს :)) ადამიანს თუ უნდა, ასეთი რამის თქმის საბაბს ყოველთვის იპოვის. მე და გიორგი ყოველთვის ერთად ვიყავით, დასვენების დღესაც - პარასკეობითაც. ვთქვათ, გიორგი სადღაც კლუბში უსმენდა ცოცხალ მუსიკას, დამირეკავდა - მოდიო და რეპეტიციიდან მივდიოდი. ნებისმიერს შეეძლო დავენახეთ და ეთქვა, ესენი თავისუფალ დროსაც ერთად ატარებენო. ჩვენ ძალიან ბევრი საერთო ინტერესი გვაკავშირებდა და ახლაც გვაკავშირებს. მას სურდა თუმანიშვილის თეატრში რაღაც დადგმაში ჩვენი საცეკვაო ნომერი ჩაესვა, მაგრამ არ გამოვიდა. ასე რომ, მე და გიორგი დღემდე ვკონტაქტობთ. მოცეკვავე წყვილებზე სულ ლაპარაკობენ. რა თამამად გაუკეთებია ვიღაცას დასკვნები. გიორგის ცოლი ჰყავს. მე არ მსურს ამაზე ფიქრი. ეს ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მე ყოველთვის თავს ქალის ადგილას ვაყენებ, იმიტომ, რომ არ მსურს, რომ მე ასე მომექცნენ. გიორგიზე არ ვსაუბრობ, ზოგადად ვამბობ. თუ ადამიანი თვითონ ეყრება ცოლს და პრობლემა აქვს და მე არ ვარ ამასთან კავშირში, ეს სულ სხვა თემაა. მაგრამ მე ვერ დავუშვებ, რომ ჩემ გამო ადამიანს ოჯახი დაენგრეს. ეს არის ჩემი ხედვა. გიორგი სულ ყვიროდა, ვგიჟდები, ვგიჟდები შენზე, პელე ხარო :) საერთოდ, მამაკაცისგან ყურადღებას რომ ვგრძნობ, ყოველთვის ვფიქრობ, რომ მეგობრულად მოვწონვარ, მოვწონვარ, როგორც ადამიანი-მეთქი. ჩემსა და გიორგის შორის რომ მეგობრობაა, ეს ზუსტად ვიცი.

**- გრძნობა მეგობრობიდანაც იწყება.**

- რატომაც არა? არავინ იცის, ხვალ და ზეგ რა იქნება...

**- იცნობ მის ცოლს?**

- როგორ არა, ძალიან კარგი გოგოა. შოუში გვეხმარებოდა, გიორგის გვერდში ედგა. გიორგის ქალიშვილიც და კრისტიც მოდიოდნენ.

**- ცოლები...**

- ჰარემი :)) ეს საჩემო არ არის. მე ერთადერთი უნდა ვიყო. შეიძლება ეგოისტურად ჟღერდეს, მაგრამ არ შემიძლია საყვარელი მამაკაცის ვინმესთან გაყოფა.

**- როგორი ადამიანია?**

- ძალიან ნიჭიერია. საერთოდ, მე ვთვლი, თუ ადამიანი ნიჭიერია, ის ბევრ სფეროშია ნიჭიერი. მხიარული და კეთილია. თავის კონკურენტებს ძალიან ეხმარებოდა. იყო მომენტები, შეიძლებოდა რაღაც მომენტში თვალი დაეხუჭა იმიტომ, რომ კონკურენტია, მაგრამ არა! საჭიროებას თუ ხედავდა, ყველაფერს აკეთებდა და ყველას, ვისგანაც სითბოს გრძნობდა, ეხმარებოდა. უზომოდ ემოციურია. ზოგჯერ თავისი ემოციურობით მლლიდა კიდეც. აუტსაიდერებში დგომისას მასთან ერთად ვნერვიულობდი. გაიღიმე მაინცო, მეორე დღეს მეუბნებოდნენ, აუტსაიდერებში რა სახით დგახაროო. თავს ვერ ვაკონტროლებ მაგ დროს, პირი მიშრება და გიორგისაც იგივე ემართება-მეთქი. ვიცოდი პროექტს გამოთიშვა როგორი შოკი იქნებოდა მისთვისაც. ვამხნევებდი ხოლმე - რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ღირსეულად უნდა დავტოვოთ პროექტი-მეთქი. გავარდნის საღამოს კაფეში წავედით ქეთი ხატიაშვილთან, მის მეუღლესთან, გიორგი ბარბაქაძესთან ერთად. პროექტს გამოთიშვა იმ დღეს ვერ ვიგრძენით. ვერც მეორე დღეს აღვიქვით ეს. მესამე დღეს, რომ გავიღვიძე, შინაგანი დეპრესია ვიგრძენი. რაღაც მაკლდა, თავიდან ვერ მივხვდი - რა. საღამოს გიორგის შევხვდი, ფინალისთვის ცეკვა უნდა მოგვემზადებინა. გიორგიმაც ზუსტად იგივე მითხრა - დეპრესია მაქვსო.

### „ცეკვა უბრალოდ აახლოებთ“

**- რა არის საჭირო იმისთვის, რომ წყვილი შედგეს? თქვენზე ამბობდნენ, სხვა ცეცხლით ცეკვავდნენო...**

- გიორგისგან „ჟილკა“ ვიგრძენი. ამისთვის საერთო მიზნის ქონაა აუცილებელი. ყველას თავისებური ხასიათი აქვს, მაგრამ როდესაც იცი, რომ ორივეს საერთო მიზანი გაქვთ, მერე იწყება ლავირება. შეიძლება ერთმა უკან დაიხიოს, დაუთმოს და ასე... ჩვენი მიზანი? რა თქმა უნდა, გამარჯვება იყო. გიორგისგან სულ ვგრძნობდი მხარდაჭერას და მეც ვცდილობდი, რომ მის გვერდით ვყოფილიყავი. როდესაც შენი პარტნიორისგან მხარდაჭერას და დაცვას ვერ გრძნობ, მარტო ხარ. ეს საშინელებაა. ბევრ წყვილში არ იყო ის ერთობა, რაც ჩვენ გვქონდა. ეს ერთმანეთის მხარდაჭერაში გამოიხატებოდა. გამოსვლის წინ ერთმანეთს ვეხმარებოდით. გიორგის გასვლის წინ ვეუბნებოდი, არ უყურო წინა მოცეკვავე წყვილის ცეკვას-მეთქი. მაგალითად, ჩვენ დრამას ვცეკვავდით და წინა გამომსვლელი კომიკურ ჟანრში. გინდა არ გინდა ერთვები მის ნომერში და მერე შენ ნომერში გადმორთვა გიჭირს. თუ შინაგანად არ იქნები მზად, ენერგეტიკას მაყურებელს ვერასდროს გადასცემ. რამდენჯერაც ასე ვცადეთ, გამოგვივიდა. ყოფილა შემთხვევა, არ დაუჯერებია და ისეთი არ გამოსულა ცეკვა.

**- რა მაგიაა ცეკვის დროს, გრძნობას რა აჩენს?**

- ყოველთვის არ არის ასე. როდესაც ადამიანები ერთმანეთს შეეფერებიან და ხასიათით ეწყობიან, ცეკვა უბრალოდ აახლოებთ. ცეკვის დროს ადამიანის გაცნობა თავიდან ბოლომდე შეიძლება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც 24 საათს მასთან ატარებ. გატყუებს თუ არა ადამიანი, ეს ყველაფერი ცეკვაში იგრძნობა. ცეკვას ფარსის გამოვლენა შეუძლია. შენი ხასიათი ცეკვაში კარგად ჩანს, რბილი ხარ, ცეცხლოვანი თუ ჯმუხი.

**- რომელ ცეკვას მიიჩნევ, რომ საუკეთესოდ გამოგივიდათ?**

- მაყურებელს „ვენური ვალსი“ მოსწონდა. გიორგის „ტანგო“ უყვარს. მართალია, ნერვიულობის ფონზე ისე არ გამოგვივიდა, მაგრამ ვთვლი, რომ „ტანგო“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო. კარგი იყო „ინდური“ და „ფოქსტროტი“.

**- რაზე ჩხუბობდით?**

- მე პუნქტუალური ადამიანების სიაში ვარ. ყოფილა შემთხვევა, გიორგის დაუგვიანია. რა თქმა უნდა, მიზეზი ჰქონია, თუმცა 2 საათი დაუგვიანია და ამაზე ძალიან ვეჩხუბებოდი.

**- ჟან რენოს შენც ამსგავსებ?**

- როგორ არა. სპექტაკლზე დაგვპატიჟა და რომ დასრულდა, მის საგრიმიოროში ავედით. ჟან რენოს სურათი აქვს გაკრული, ლეონის როლში. ზუსტად იგივე კოსტიუმით, რაც გიორგის ეცვა ლეონის როლში ცეკვისას. ვიფიქრე, თვითონ არის და დაბეჭდა-მეთქი. სამი წელია ეს სურათი მაქვსო, მითხრა. ბედია, რომ ამ შოუში მოხვდი-მეთქი, ვუთხარი. ქორეოგრაფებს სულ უნდოდათ ლეონის როლი მიეცათ მისთვის.

**- რას უსურვებ გიორგის?**

- გიორგის ახლა ერთი საქმის გაკეთება უნდა. მინდა გამოუვიდეს, წარმატებას ვუსურვებ. ცხოვრებაში ყოველთვის ჰქონდეს მიზანი. ინიციატივიანი ადამიანია. კარგი იდეების პატრონია, მიზნების რეალიზებისთვის გარშემო კარგ ადამიანებს ვუსურვებ, რათა ყოველთვის კომფორტულად და კარგად იყოს.

**„რომ გავიღვიძე, შინაგანი დეპრესია ვიგრძენი. რაღაც მაკლდა, თავიდან ვერ მივხვდი - რა. საღამოს გიორგის შევხვდი, ფინალისთვის ცეკვა უნდა მოგვემზადებინა. გიორგიმაც ზუსტად იგივე მითხრა - დეპრესია მაქვსო“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




თამარ გონგაძე

# ლელა წურწუმია ამერიკაში საქველმოქმედო კონცერტებს მართავს








**სოსო თოლორაია:** „ბრუკლინში ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობს. ქართველი მართლმადიდებელი ღვთისმსახურები რუსულ ტაძრებში ატარებენ წირვა-ლოცვას. ამიტომ სალოცავის დაარსების იდეა ლოგიკურია"

**ლელა წურწუმია:** „12 თებერვალს ჩემი დაბადების დღეა. ამერიკაში უბრალოდ ვგეგმავდი წასვლას, რადგან დიდი ხანია არ ვყოფილვარ და თან ჩემს კონცერტებზეც მოთხოვნა იყო, უარი არ ვთქვი, მით უმეტეს ასეთ საქმეში მონაწილეობაზე. ტაძრის დაარსებაში დახმარება ძალიან მადლიანი საქმეა"

„სოკო ივენთ ჯგუფის" ორგანიზებით 9 თებერვალს ჩიკაგოში და 14 თებერვალს ნიუ-იორკში ლელა წურწუმიას სოლო კონცერტებია დაგეგმილი. კონცერტებს საქველმოქმედო სახე აქვს და ის ორი თვის წინ დაიგეგმა.

„ბრუკლინში მოიძებნა ადგილი, სადაც ქართული ტაძრის დაარსება სურთ. ორგანიზატორებს უნდათ თავი მოუყარონ ბრუკლინში მცხოვრებ ქართველებს. ქართველი მოძღვრები იქ რუსულ ტაძრებში ქადაგებენ. ამიტომ გაჩნდა ქართული ტაძრის დაარსების იდეა", - ამბობს კახა მამულაშვილი.

„მოგესალმებით, ჩემო მონატრებულო ემიგრანტებო. პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ 2014 წელი! საკუთარ სამშობლოსა და ოჯახებისგან მოწყვეტილებს გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას. ჩემს კონცერტებზე შემოსული თანხით გვინდა მხარი დავუჭიროთ ბრუკლინში ქართული მართლმადიდებლური ტაძრის დაარსების ინიციატივას. მოგიწოდებთ, რომ თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ამ აქციაში და ერთად ვიზრუნოთ ჩვენი და ჩვენი შვილების სულიერ საზრდოზე. წინასწარ გიხდით მადლობას და მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი" - http://babajana.com-ზე თავის მიმართვაში ამბობს ლელა წურწუმია.

მომღერალი ამერიკაში მეუღლესთან ერთად 6 თებერვალს მიემგზავრება და ათ დღეს დაჰყოფს. „12 თებერვალს ჩემი დაბადების დღეა. ამერიკაში უბრალოდ ვგეგმავდი წასვლას. რადგან შორი მანძილია, დიდი ხანია არ ვყოფილვარ ამერიკაში და თან ჩემს კონცერტებზეც მოთხოვნა იყო, უარი არ ვთქვი, მით უმეტეს ასეთ საქმეში მონაწილეობაზე. ტაძრის დაარსებაში დახმარება ძალიან მადლიანი საქმეა. ჩიკაგოში, პატარა საკონცერტო დარბაზში, ერთსაათიანი კონცერტით გამოვდივარ, ნიუ-იორკში კლუბში უფრო დიდი საღამოა დაგეგმილი. ვნახავ, რა გარემო იქნება და ჩემს რეპერტუარს ისე მოვარგებ, ძველ და ახალ სიმღერებს შევასრულებ. ჩემს სიმღერებს ცეკვებით „ვერნისაჟის" ის მოცეკვავეები გააფორმებენ, რომლებიც იქ მოღვაწეობენ. სიმღერები გადაგზავნილია და უკვე ნომრებს ამზადებენ. ორივე საღამოს წამყვანი სოსო თოლორაიაა. კონცერტს „მონატრება" ჰქვია.

**სოსო თოლორაია:** „ბრუკლინში ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობს. ქართველი მართლმადიდებელი ღვთისმსახურები რუსულ ტაძრებში ატარებენ წირვა-ლოცვას. ამიტომ სალოცავის დაარსების იდეა ლოგიკურია. გთხოვთ მობრძანდეთ კონცერტზე და მონაწილეობა მიიღოთ კეთილი საქმის კეთებაში ღვთის სადიდებლად..."

# რატომ არ მივიდნენ მომღერლები მაია კაჭკაჭიშვილის კონცერტზე?



**მაია კაჭკაჭიშვილი: „არ შეიძლება ადამიანს დაპირდე და მერე „გადააგდო". არა უშავს, ყველაფერი წინ გვაქვს და დრო გვაჩვენებს, ვის ვინ დასჭირდება და როგორ დასჭირდება"**








**მაია კაჭკაჭიშვილმა, შემოქმედებითი პაუზის შესავსებად, 11 იანვარს „ბედ ლაუნჯში" მომღერლების მინი შემადგენლობით (თორმეტი შემსრულებლით) თავისი საავტორო საღამო ჩაატარა. ახალგაზრდა მომღერლებმა ორი საათის განმავლობაში მაიას სიმღერები შეასრულეს. იმღერა კომპოზიტორმაც, რეპერ „ძვალთან" ერთად - „თბილისო". რახან ლაუნჯში იყო კონცერტი, მაიკოს სოლიდური ასაკის მომღერლები არ დაუპატიჟებია, თუმცა დაპატიჟებულთაგან სამი მომღერალი არ მივიდა. როგორც თავად მაია „პალიტრატივიჯისთვის" მიცემულ კომენტარში ამბობს, ის, ნინი ბადურაშვილმა, თიკა ჯამბურიამ და ნინო ჩხეიძემ „გადააგდეს". „არ შეიძლება ადამიანს დაპირდე და მერე „გადააგდო". არა უშავს, ყველაფერი წინ გვაქვს და დრო გვაჩვენებს, ვის ვინ დასჭირდება და როგორ დასჭირდება".**

როგორც მომღერლები ამბობენ, მაია გაფრთხილებული ჰყავდათ.

**ნინი ბადურაშვილი:** - მაია ამ კომენტარს ჩემზე რომ არ აკეთებს ვიცი. იცოდა, რომ მე წინა დღეს მოწამლული ვიყავი და ვერ მივიდოდი. ცოტა უხერხულად ვგრძნობ თავს ასეთი რამ მოხდა-მეთქი, მივწერე. მეც ვნახე ეს ვიდეო, მაიას კომენტარი, მაგრამ არ მწყენია, ჩემზე არ იყო. მაიას სხვა კონცერტებზე ყოველთვის ვყოფილვარ. ალბათ, სხვებსაც ჰქონდათ მიზეზი, რისთვისაც ვერ მივიდნენ. არა მგონია უმიზეზოდ მოიქცნენ ასე. ყველას უყვარს მაია.

**თიკა ჯამბურია:** - მე პრობლემა მქონდა და მაიას „ფეისბუქზე" იმავე საღამოს მივწერე, ბოდიშები მოვუხადე, საპატიო მიზეზი მაქვს-მეთქი. მართალია, ადამიანს რომ ელოდები და არ მოვა, ცუდია. შეიძლება ნაწყენიც იყოს და მართალიც არის. მას ბევრი აქვს გაკეთებული და ნაშრომი ჩვენთვის. მაგრამ ნინა შეუძლოდ მყავდა და სახლიდან ვერ გავიდოდი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე მაიას კონცერტზე გამოსვლაზე უარი მეთქვას, ხშირადაც გამოვსულვარ. მქონდა მიზეზი, თორემ რა სისულელეა, არ „გადავაგდებდი". სხვების მიზეზები არ ვიცი. მე იმდენი პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს, რომ ადამიანს მსგავსი რამ უბრალოდ, არ გავუკეთო.

**- მას შემდეგ არ გიკონტაქტია მაიასთან?**

- არა.

**მაია კაჭკაჭიშვილი:** - ეს კომენტარი რომ გავაკეთე, მერე ვნახე მომღერლების მესიჯები, ტელეფონი ჩანთაში მქონდა. ესემესები თავიდან რომ მენახა, აღარაფერს ვიტყოდი. ნინი იყო მოწამლული და ვერ მოვიდოდა, დანარჩენებმაც მომწერეს და ვიცოდი, რომ ვერ მოვიდოდნენ.

დაიწერა, რომ ნინა წკრიალაშვილი კლუბში მივიდა, მაგრამ როცა მისი სიმღერის დრო მოვიდა, ის ველარ იპოვეს.

**ნინა წკრიალაშვილი:** - კონცერტი გვიან დაიწყო, მე აეროპორტში მეჩქარებოდა, საფრანგეთში მივფრინავდი. ასე რომ, არსად გავპარულვარ. სიმღერა რომ არ მდომოდა, კლუბში საერთოდ არ მივიდოდი.

„ნინა იყო მოსული, პრობლემა შეექმნა, გავიდა და ველარ დაბრუნდა. პრეტენზია არ მაქვს. კონცერტმა კარგად ჩაიარა, მე კმაყოფილი ვარ. არავისზე ნაწყენი არ ვარ", - აცხადებს მაიკო.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





# ბექა ჩხაიძე ყურებამდეა შეყვარებული



„თქვენი ფურცლებიდან ვეუბნები - მე შენ ძალიან მიყვარხარ და ყველაფერი ჩვენ რომ გვინდა ისე იქნება“



**ბექა ჩხაიძე:** „აუუუ, იცით, რა გოგოააა, ყურებამდე ვარ შეყვარებული. ამისთვის ღირდა მთელი ჩემი წარსული თავისი ყველაფრით. სუპერ გოგოა, ჩემი სიცოცხლეა“

**კვარტეტ „ალილოს“ წევრი ბექა ჩხაიძე გამოვტეხეთ - მომღერალი შეყვარებულია. არადა, ეკო ფანგანთან დაშორების შემდეგ კარგა ხანს ტოვებდა ამ ურთიერთობის დაკარგვით გულდაწყვეტილის შთაბეჭდილებას. თითქოს მათი შერიგებაც აქტუალური იყო, ყოველ შემთხვევაში შოუებში წამყვანები იმიჯშეცვლილ ფანგანს ამისკენ უბიძგებდნენ. რას შვრებით შენ და ეკო-მეთქი, მივწერე ბექას. რაღა დროს ეკოა, ხუთი თვეა ყურებამდე შეყვარებული ვარო, მიპასუხა. მომღერალი ამ ეტაპზე შეგნებულად იკავებს თავს რჩეულის ვინაობის დასახელებისგან, რაღაც თემა გვაქვს მოსაგვარებელიო. თუმცა დაგვპირდა, რომ ცოტა ხანში შეყვარებულის ვინაობას პირველი ჩვენვე გაგვიმხელს.**

„აუუუ, იცით, რა გოგოააა, ყურებამდე ვარ შეყვარებული. ამისთვის ღირდა მთელი ჩემი წარსული, თავისი ყველაფრით. სუპერ გოგოა, ჩემია, ჩემი სიცოცხლეა. უპირველეს ყოვლისა ძალიან ვუყვარვარ და მიყვარს. მეორე და მთავარი - გიჟდება სიმღერაზე. ეს არის უმთავრესი. თვითონ არ მღერის. მესამე - მეგობრებზე თანგადაყოლილია. თუკი რაიმე სასურველი შეიძლება ქალს ჰქონდეს, ყველაფერი აქვს ჩემს გოგოს :)“ .

**- რაც მთავარია, სიმღერა უყვარსო, ხაზგასმით აღნიშნე. ეკოს არ უყვარდა?**

- კი, ეკოსაც შევაყვარეთ ქართული სიმღერა :) მაგრამ ეს პირდაპირ შეყვარებული დამხვდა სიმღერაზე.

**- სად გაიცანი?**

- სუფრაზე გავიცანი. ისე კი, ადრე, დაახლოებით სამი წლის წინ, საერთო მეგობართან შევეფეთეთ ერთმანეთს. მაგრამ მაშინ აზრი არ ჰქონდა არაფერს, მიუხედავად იმისა, რომ არავინ მყავდა, მაგრამ იყო მიზეზები... ველარ გავაგრძელეთ კონტაქტი. ახლახან აღმოვაჩინეთ, რომ თურმე ორივეს გვინდოდა ერთმანეთის ნახვა, ამას რომ ვიხსენებთ, ვიცინით. მას ჩემი რამდენიმე უახლოესი მეგობარი იცნობს.

**- უმღერი ხოლმე?**

- ჯერ ფანჯრებთან არ მივდგომივარ. „ჩუმ წრეში“ ვუმღერი ხოლმე. ფანჯრებთანაც მივადგები მალე. რასაც მისთვის გავაკეთებ ერთადერთი და უკანასკნელი იქნება ჩემს ცხოვრებაში. მსგავსი რამ არ გამიკეთებია. მოკლედ, ყველაზე მეტად გვიყვარს ერთმანეთი, ყველაზე ბედნიერები ვართ. ვიცი, წაიკითხავს ამ ინტერვიუს. თქვენი ფურცლებიდან ვეუბნები - მე შენ ძალიან მიყვარხარ და ყველაფერი ჩვენ რომ გვინდა ისე იქნება.

# მირიან ბარათეონს ახალი მეზობელი ანაცვლებს

**ირაკლი სალინაძე:** „გმირები დაემატება, შესაბამისად, ახალ თემებს მოიტანენ. თავის სივრცეს წამოიღებს მაგალითად, დაოჯახებული თინა“







**მეხუთე სეზონის დაწყებას სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ პროდიუსერები სიახლეებით გეგმავენ. ბუნებრივია, ამაზე ჯერ არ საუბრობენ. სცენარი იწერება, ერთ კვირაში გადაღებები დაიწყება. ტელევიზიით მაყურებელი მას ან თებერვლის ბოლო შაბათ-კვირას, ან მარტის პირველ შაბათ-კვირას ნახავს.**

**ირაკლი სალინაძე:** - ცვლილებები იქნება, მაგრამ არა ძირეული, კონცეფცია არ შეიცვლება. ახალი მსახიობები დაემატება, ძველი მსახიობების ნაწილი გამოაკლდება. არ მინდა სიახლეების გაცემა, სიურპრიზი სჯობს. გპირდებით, რომ სიახლეები იქნება სასიამოვნო.

**- მხატვრული ფილმის „ჩემი ცოლის დაქალი კინოში“ სიუჟეტს ექნება საერთო სერიალთან?**

- სერიალში ფილმი არ აისახება, რადგან ის მაინც დამოუკიდებელი პროდუქტია. თუმცა, რაც კარგია მასში, ის სერიალში გადმოვა.

**- „ ჩემი ცოლის დაქალის ქორწილიდან“ მეგობრები ხომ შემოვიდნენ სერიალში?**

- ქორწილი სერიალის შინაარსთან უფრო ინტეგრირებული იყო. მან თავისი სიახლეები მოიტანა, ის იმ ჯაჭვის ნაწილი იყო, რასაც სერიალი წარმოადგენდა. მეორე ფილმის შემთხვევაში სულ სხვანაირი ვითარებაა.

**- ბარათეონი რჩება სერიალში?**

- საჭიროების შემთხვევაში იქნება, მაგრამ არა ისეთი აქტიური ფორმით, როგორც აქამდე იყო. გმირები დაემატება, შესაბამისად, ახალ თემებს მოიტანენ. თავის სივრცეს წამოიღებს დაოჯახებული თინა. ახალი მეზობელი გაჩნდება, რომელიც ცალკე თემაა...

**- ბოლო იქნება ეს სეზონი?**

- ნელ-ნელა დადგა სერიალის ბოლოსკენ წასვლის დრო. ეს გაზაფხულზე იქნება თუ შემოდგომაზე, წინასწარ არ ვიცი. შევხედავთ რეიტინგს, მაყურებლის დამოკიდებულებას, ალტერნატიულ პროექტს, რომლის დაწყებასაც სეზონის ბოლოს ვგეგმავთ და იმის მიხედვით გადავწყვეტთ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნანა ჯანელიძე - პირველად კაბინეტში



## my View

**თამარ გონგაძე**

**რეჟისორი ნანა ჯანელიძე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის რიგით მეექვსე დირექტორად გასული წლის 25 მარტს დაინიშნა. ამბობს, რომ წინადადებაზე დიდხანს არ უფიქრია, უცებ გადავხტიო. „13 წელია კინოცენტრი არსებობს და აღმოჩნდა, რომ ყოფილი აღმოსავლეთქვეყნებიდან და განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველო კინოცენტრით ძალიან წინ წასულია. მას დიდი ხანი ქმნიდნენ რეზო ესაძე, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი და ყოველი დირექტორი მისი განვითარებისთვის თითო აგურს დებდა. თამარ ტატიშვილმა თანამდებობიდან წასვლა რომ გადაწყვიტა (ევრიმაჟში გაწევრიანება მისი დამსახურებაა), დაბნეულობის წინაშე აღმოვჩნდით. უცებ კინოცენტრი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ ბევრი ფიქრის დრო არ იყო. უცებ გადავხტი, მორევისკენ. ღამეები არ მეძინა, ვნერვიულობდი. აქამდე კაბინეტში არასდროს ვმჯდარვარ. უჩვეულო აღმოჩნდა ჩემთვის. მაგრამ უკვე ყოველ პროექტს ფილმივით ვუყურებ. ფილმს რუტინა აქვს, მონური შრომაა. ყოველი პროექტიც დიდი და საინტერესო სამუშაოა“, - ამბობს ნანა ჯანელიძე.**




„ვფიქრობ, რომ ჩემი ამ თანამდებობაზე ყოფნა თენგიზს არ მოეწონებოდა. მისთვის ყველაზე მთავარი ფილმის გადაღება იყო. ჩემში დირექტორის პოტენციას არ იცნობდა, ამიტომ ძალიან გაუკვირდებოდა“







### „შენ აქ ცხოვრობ?“

ბევრ დაგეგმილ საინტერესო სიახლეზე მესაუბრა. კინოცენტრს ნამდვილად ახალი სული შთაბერა. იმდენ ახალ პროექტს ვიწყებთ, უკვე ზედმეტიც მოგვდისო, ნახევრად ხუმრობით ამბობს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რის გაკეთებასაც აპირებს, ქართული ფილმის „ოქროს ფონდის“ აღდგენაა.

კაბინეტში მამამთილის, რეჟისორ თენგიზ აბულაძის ფოტოები უკიდია, მხნეობისთვის, ძალის მოსამატებლად... „ვფიქრობ, რომ ჩემი ამ თანამდებობაზე ყოფნა თენგიზს არ მოეწონებოდა. მისთვის ყველაზე მთავარი ფილმის გადაღება იყო. ჩემში დირექტორის პოტენციას არ იცნობდა, ამიტომ ძალიან გაუკვირდებოდა“.

საკუთარი ფილმების სცენარებზე მოუცლელობის გამო ღამღამობით მუშაობს, მხატვრულზე და დოკუმენტურზე. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე ფილმის გადაღება სურს. რთული რეჟიმის გამო ოჯახის წევრები სახლში ნაკლებად ხედავენ. შენ აქ ცხოვრობო - დილით გაოცებულ შვილიშვილს უკითხავს.

### „დაბალბიუჯეტიანი ევროპული ფილმის ბიუჯეტით“

„ბევრი გამოწვევა და ამოცანებია კინოცენტრში. დინამიკური ორგანიზაციაა და ბევრი საინტერესო საქმის გაკეთება შეიძლება. თუმცა მთელი კინოცენტრი ცუდი დაბალბიუჯეტიანი ევროპული ფილმის ბიუჯეტით არსებობს - მილიონ რვაასი ათასი ევროთი. ამ თანხით რიგდება ხელფასები, კეთდება ფესტივალები, კონკურსები, გამოიცემა ჟურნალი, ფინანსდება პროექტები... კინო მწვავე კულტურული იდენტობის ნიშანია, კულტურასთან შენს მიკუთვნებას ასახავს. კინო არის დამსაქმებელიც. ერთ ფილმზე ათასამდე კაცი მუშაობს. იქმნება „კინოშნიკების“ სოციუმი, რომლებმაც იციან, რომ ყველაზე კრიტიკულ მომენტში ერთმანეთის გვერდში უნდა იდგნენ. საინტერესო დაჯგუფებაა. მძიმე სიტუაციაა განათლებაში. აღმოჩნდა, რომ კინოპროდიუსერი არ გვყავს. სულ სამი-ოთხი პროდიუსერია. საბჭოთა კავშირი თვითონ იყო პროდიუსერი და ამ პროფესიის ადამიანი არ იყო საჭირო. ჯერ კიდევ ვერ მიხვდა საზოგადოება, რა მნიშვნელოვანი რგოლია კინოწარმოებაში პროდიუსერი. როდესაც ქვეყანას არანაირი ტრადიცია არ აქვს, რთულია თავიდან დაწყება. სტუდენტებთან სპეციალისტები ჩამოგვყავს, მაგრამ პროექტის გაწერაა საჭირო. ახალგაზრდებიც მოტივირებულნი უნდა იყვნენ. მეჩვენება, რომ განებივრებულები არიან“.

### კინო სკოლაში

რეჟისორს სურს სკოლის მოსწავლეებს ფილმები შეაყვაროს. ამისთვის კინოს მიტანას სკოლებში გეგმავს. „რახან ჩვენმა ქვეყანამ კინოთეატრების არქონის გამო კინო დაკარგა, გადავწყვიტეთ, ჩვენ ვიზრუნოთ ამაზე, კინო მიგვაქვს სკოლაში. კულტურის სამინისტრო იძენს და სკოლებში ამონტაჟებს კინოპროექტორებს. გვინდა ბავშვები კარგი ფილმების ყურებას, მათ გარჩევას მიეჩვიონ, ფილმებთან ერთად განცდა და ცხოვრება ისწავლონ. კონკურსის მეშვეობით კინომცოდნეებს ავარჩევთ, რომ მერე ისინი სკოლებში ფილმის ჩვენებებზე მივავლინოთ. ბავშვთან სხვანაირად უნდა ილაპარაკო, რომ ის დააინტერესო და მისი გონება დაიპყრო. გვინდა ეს გეგმა მაღალკლასელებთან მარტიდან ავამოქმედოთ. კარგი იქნება თუ შემდეგ ბავშვებს სცენარს დავაწერინებთ, რომ მათში ფილმის გადაღების სურვილმაც გაიღვიძოს. თავდაპირველად თბილისში 30 სკოლას მოვიცავთ. მერე შევისვენებთ სამი თვით და სექტემბრიდან რეგიონების სკოლებშიც მივიტანთ კინოს. რეგიონებში ბავშვებს ძალიან ულიმღამო ცხოვრება აქვთ. მხოლოდ ტელევიზორს უყურებენ და კომპიუტერს, თუ აქვთ. მეტყველება, აზროვნება, ემოციების გაცვლა-გამოცვლა უნდა ისწავლონ. ამისთვის ყველა ტიპის ფილმებს ვაყურებინებთ - გვინდა მივუტანოთ ჩარლი ჩაპლინიც და ზაზა ურუშაძის „მანდარინებიც“.

„რახან ჩვენმა ქვეყანამ კინოთეატრების არქონის გამო კინო დაკარგა, გადავწყვიტეთ, ჩვენ ვიზრუნოთ ამაზე, კინო მიგვაქვს სკოლაში“

### ჯიფონი საქართველოში

ქალბატონი ნანა ძალიან ამაყია იმით, რომ ერთი კვირის წინ თბილისს ეროვნული კინოცენტრის მოწვევით იტალიიდან ჯიფონის საბავშვო ფილმების ფესტივალის დამფუძნებელი და დირექტორი კლაუდიო გუბიტოსი სტუმრობდა. ჯიფონის საბავშვო ფილმების ფესტივალის დამფუძნებლის ვიზიტი თბილისში სამომავლოდ ფესტივალის საქართველოში გამართვამ განაპირობა. ეროვნული კინოცენტრი ჯიფონის ფესტივალთან 2013 წლიდან თანამშრომლობს. კინოცენტრის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, შარშან ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალს პირველად ეწვია 3 ქართველი მოსწავლე – ჟიურის წევრების რანგში. ეს საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალი 40 წელიწადზე მეტია არსებობს. ფესტივალი იტალიის პატარა ქალაქ ჯიფონი ვალე პიანაში ტარდება, არის შემთხვევები, როდესაც ფესტივალი სხვა ქვეყნებშიც იმართება. მისი უნიკალურობა იმაშია, რომ ფესტივალის ჟიურის წევრები მხოლოდ ბავშვები და მოზარდები არიან. ყოველწლიურად 3 000-ზე მეტი ბავშვი უყურებს ფილმებს, მსჯელობს, განიხილავს და ავლენს საუკეთესოებს.

„ათასობით ბავშვი ჩადის იტალიის ამ პატარა ქალაქში, ცხოვრობენ ოჯახებში, ასაკობრივად დაყოფილ ფილმებს უყურებენ თანატოლებთან ერთად. ჟიურიში არიან და აფასებენ ფილმებს, ეს ფილმები კი ამ შეფასებების მიხედვით იმარჯვებენ. შარშან სამი ბავშვი გვყავდა გაგზავნილი და შთაბეჭდილებით დახუნძლული ჩამოვიდნენ. ქუჩებში კლოუნადები, წარმოდგენები იმართება. დიდი საბავშვო დღესასწაულია, ოღონდ არა გართობის, არამედ ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით. „პიონერფილმი“ ვაჩვენეთ, მოიხიბლა ბავშვებით, ერთად იმღერეს. გვყავდა მუზეუმებში, ჩვენი ძველი კულტურით მოიხიბლა. დიდი შთაბეჭდილებით წავიდა. გვითხრა, წელს, ივლისში, საქართველომ ერთდღიანი მიღება მოაწყოს ჩვენ ფესტივალზეო. მოგვცა უფლება არა სამი, არამედ შვიდი ბავშვით წარვსდგეთ. ბავშვებს რეგიონიდანაც ავარჩევთ. 2015 წელს ჯიფონი საქართველოში ჩატარდება. ასეთი რამ იშვიათად ხდება. შვიდი-რვა წელი მუშაობენ ქვეყნები ამ თემაზე. ბრენდი ჩამოდის თავისი კონცეფციითა და ფილმებით, თანაც საჩუქრად, თანხას არ ვიხდით. ამისთვის მზადება მთელმა ქვეყანამ უნდა დაიწყოს“.

### ორი ფილმით „ბერლინალეზე“

„მეორე წელია საქართველო ორი ფილმით უნდა წარსდგეს „ბერლინალეზე“. ეს იმას ნიშნავს, რომ კინოცენტრში ძალიან სწორად ხდება კონკურსებზე სცენარის შერჩევა და დაფინანსება. ფესტივალზე მიდის თინა ყაჯრიშვილის „პატარძლები“ და ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“. თინა ასევე წარდგენილია დებიუტანტი რეჟისორების რანგითაც. „ბერლინალე“ კარგი ტრამპლინია, მასზე მოხვედრა ნიშნავს, რომ ფილმი ხარისხიანია. ძალიან საამაყოა შარშანდელი ფილმები „გრძელი ნათელი დღეები“ და „მანდარინები“. გასულ კვირას ლოს ანჯელესში „მანდარინები“ უჩვენებიათ და ზაზა ურუშაძემ თქვა, მსოფლიოს იმ ფილმების ათეულში მოხვედრილა, დარბაზიდან გასულ მაყურებელს არომატი და შთაბეჭდილება დიდხანს რომ მიჰყვება. ძალიან მინდა ავამუშაო ანიმაცია. პერსპექტივები გაჩნდა, გამოჩნდა ანიმატორების სრულიად ახალი თაობა. გვინდა სცენარების კონკურსი გამოვაცხადოთ“.

### „იავნანა“

იანვარში ფილმი „იავნანა“ 20 წლის გახდა. რეჟისორს უხარია მისი ფილმი დღემდე ასე თბილად რომ ახსოვთ.

„გამიკვირდა „იავნანა“ რომ ახსოვდათ 20 წლის მერე. ესე იგი რაღაც დატოვა, ბავშვებშიც და დიდებშიც. არ ვუყურებ ხოლმე. ამ ფილმში ჩემი შვილი ხუთი წლისაა და საყვარელია, მხოლოდ მას შევასწრებ ხოლმე თვალს. „იავნანა“ გარკვეული ეტაპი იყო. ომის დროს ვიღებდით და ემიგრაცია გვქონდა სამოთხეში, სადაც ყველაფერი ჩვენი შექმნილი იყო“.



„ბევრი ფიქრის დრო არ იყო. უცებ გადავხტი, მორევისკენ. ღამეები არ მეძინა, ვნერვიულობდი. აქამდე კაბინეტში არასდროს ვმჯდარვარ. უჩვეულო აღმოჩნდა ჩემთვის. მაგრამ უკვე ყოველ პროექტს ფილმივით ვუყურებ“




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ისი-პარი ICI PARIS

## 2014 წლის წამახალისებელი გათამაშების შედეგები

| N | პრიზის დასახელება | მოგებული ბილეთის ნომერი |
|---|---|---|
| 1 | ტელევიზორი | 018447 |
| 2 | ტელევიზორი | 088147 |
| 3 | ტელევიზორი | 057487 |
| 4 | აიფონი / iPhone | 042440 |
| 5 | აიფონი / iPhone | 109438 |
| 6 | აიფონი / iPhone | 074079 |
| 7 | პლანშეტი | 100475 |
| 8 | პლანშეტი | 013481 |
| 9 | პლანშეტი | 058007 |
| 10 | ვიდეო კამერა | 010610 |
| 11 | ვიდეო კამერა | 119971 |
| 12 | ვიდეო კამერა | 003467 |
| 13 | კომპიუტერი ლეპ ტოპი | 040652 |
| 14 | კომპიუტერი ლეპ ტოპი | 080055 |
| 15 | კომპიუტერი ლეპ ტოპი | 070870 |
| 16 | ავტომანქანა FORD FIESTA | 017532 |



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N3 (253) ორშაბათი, 27 იანვარი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



# არის თუ არა ცირკში წასვლა სიცოცხლისთვის საშიში

## EXCLUSIVE



**ბექა ჩხაიძე ყურებამდეა შეყვარებული**

ISSN 1987-7404



**ჯულიანა ბარბნარი: „მე ვერ დავუშვებ, რომ ჩემ გამო ადამიანს ოჯახი დაენგრეს“**



**ლელა წურწუმია ამერიკაში საქველმოქმედო კონცერტებს მართავს**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება